

ვალერი ლორია

საქართველოს
ადმინისტრაციული
საპროცესო სამართალი

საქართველოს განათლების სამინისტრომ
დაამტკიცა სახელმძღვანელოდ უმაღლესი
სასწავლებლების სტუდენტებისათვის

გამომცემლობა „მერიდიანი“

თბილისი 2002

სახელმძღვანელო წარმოადგენს პირველ ცდას საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის საკითხების თანმიმდევრულად და სრულყოფილად გაშუქების მიზნით. მასში საკითხები განხილულია სასწავლო პროგრამის მიხედვით, ახსნილია ადმინისტრაციული პროცესის კარდინალური პრობლემები, გადმოცემულია ცალკეულ ავტორთა შეხედულებები, განხილულია ქართული და უცხოური ლიტერატურა ადმინისტრაციულ პროცესთან დაკავშირებით. შრომაში გაანალიზებულია საქართველოში მოქმედი ადმინისტრაციული და ადმინისტრაციულ-პროცესუალური კანონმდებლობა.

განკუთვნილია სახელმძღვანელოდ საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო სამართალში და გათვალისწინებულია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, ასპირანტებისა და სხვა დაინტერესებულ პირთათვის. რეკომენდებულია თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს მიერ.

რედაქტორი პროფ. აპოლონ ფალიაშვილი
 რეცენზენტები: დოც. ვახტანგ თორღია
 დოც. გიორგი გიორგაძე

© გამომცემლობა „მერიდიანი“ – 2002 წ.

© ვალერი ლორია 2002

ISBN 99928-32-96-7

სარჩევი

შესავალი 5

თავი I

აღმინისტრაციული პროცესის ცნება, არინიფიკაცია და სტადიები	7
§ 1. აღმინისტრაციული პროცესის ცნება	7
§ 2. აღმინისტრაციული პროცესის პრინციპები	35
§ 3. აღმინისტრაციული პროცესის სტადიები	40

თავი II

აღმინისტრაციულ პროცესში სამისწარმოების სახეების ზოგადი მიმოხილვა 51

თავი III

აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების სამისწარმოება	70
§ 1. აღმინისტრაციული ინდივიდუალური აქტის მიღება	70
§ 2. ნორმატიული აღმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემისა და აღსრულების წესი	78

თავი IV

აღმინისტრაციული განცხადებებისა და მიმართების სამისწარმოება	82
§ 1. აღმინისტრაციული განცხადებების საქმისწარმოება	82
§ 2. აღმინისტრაციული მიმართების საქმისწარმოება	92
§ 3. მტკიცების ტვირთი და მტკიცებულება აღმინისტრაციულ პროცესში	96
§ 4. საპროცესო ვადები. შეტყობინება და დაბარება	106
§ 5. საპროცესო ხარჯები	110

თავი V

აღმინისტრაციული განცხადების მართი, უორმაღური, საჯარო სამისწარმოება	112
§ 1. მართი აღმინისტრაციული საქმისწარმოება	112
§ 2. აღმინისტრაციული საქმის წარმოება კოლეგიურ აღმინისტრაციულ ორგანოში	116
§ 3. უორმაღური აღმინისტრაციული საქმისწარმოება	117
§ 4. საჯარო აღმინისტრაციული საქმისწარმოება	119

თავი VI

აღმინისტრაციული საჩივრის სამისწარმოება 122

თავი VII

მმართველობის ააარატის დაკომალმტაბის სამისწარმოება 138

თავი VIII

ღისტიალინური ბადატმომის სამისწარმოება 152

თავი IX

ადმინისტრაციული ღვაწლის სამინისტროსადმი 164	164
§ 1. ადმინისტრაციული ღვაწლის განხილვა სასამართლოში 164	164
§ 2. სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვის თავისებურება 190	190

თავი X

სააპელაციო და საკასაციო სამსახურის წარმოება ადმინისტრაციული ღვაწლის სამსახურში 199	199
§ 1. სააპელაციო წარმოება ადმინისტრაციული ღვაწლის საქმეებზე 199	199
§ 2. საკასაციო წარმოება ადმინისტრაციული ღვაწლის საქმეებზე 204	204

თავი XI

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სამსახურისადმი 208	208
§ 1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის აღქმა და გამოკვლევა 208	208
§ 2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა ადმინისტრაციულ ორგანოში 224	224
§ 3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე დადგენილების მიღება და გასაჩივრება 239	239

თავი XII

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სამსახურის განხილვა სასამართლოში ... 249	249
§ 1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში 249	249
§ 2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე სააპელაციო და საკასაციო გასაჩივრება 259	259

თავი XIII

ადმინისტრაციული სახელმძღვანელო 268	268
--	-----

თავი XIV

ადმინისტრაციული იუსტიციის პროცესები სასამართლოში 281	281
--	-----

თავი XV

ადმინისტრაციულ-საპროცესო სამართლის კოლიზიის საკითხები სასამართლოში ადმინისტრაციულ-მატერიალური სამართლის კოლიზიის კონტაქტში 291	291
§ 1. ადმინისტრაციული მატერიალური და პროცესუალური სამართლის წყაროების მოკლე მიმოხილვა 291	291
§ 2. ადმინისტრაციული სამართლისა და ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის კოლიზიის საკითხი 293	293
საზღვარიანი საკითხები 298	298

შესავალი

ადმინისტრაციულ-საპროცესო სამართალი დიდი ხანი არაა, რაც სასწავლო დისციპლინად იქნა შემოღებული იურიდიულ ფაკულტეტზე. ეს განაპირობა ადმინისტრაციული სამართლისა და ადმინისტრაციულ-საპროცესო სამართლის განუვითარებლობამ ჩვენს ქვეყანაში. საბჭოთა ხელისუფლების დროს ადმინისტრაციული სამართალი იყო თანამდებობის პირთა უფლებებისა და მოქალაქეთა მხოლოდ მოვალეობების განმსაზღვრელი სამართლის დარგა. ასეთ პირობებში მოქალაქეთა უფლებების ადმინისტრაციულ-სამართლებრივ დაცვაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ამიტომ არც არსებობდა ადმინისტრაციულ-საპროცესო სამართალი, როგორც მოქალაქეთა და სამართლის სხვა სუბიექტების კონკრეტული საკითხების მმართველობის სფეროში გადაწყვეტის იურიდიული ფორმა. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების გაუქმების შემდეგ საქართველოს სამართალშემოქმედებით ცხოვრებაში წინა პლანზე წამოიწია ადამიანის უფლებებმა და მათი დაცვის სამართლებრივმა გარანტიებმა. ამ თვალსაზრისითი უდიდესი გასაქანი მიეცა იურიდიული პროცესის დემოკრატიული ფორმების დამკვიდრებას ჩვენს ქვეყანაში. საქართველოს 1997 წლის 13 ივნისის ორგანულმა კანონმა „საერთო სასამართლოების შესახებ“ აღიარა, რომ მართლმსაჯულება არის სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ერთ-ერთი ფორმა და მას ახორციელებენ საერთო სასამართლოები სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლისსამართლებრივ საქმისწარმოებათა მეშვეობით (მუხლი 1-ლი, პუნქტი მე-2).

ადმინისტრაციულ-საპროცესო საქმისწარმოება იურიდიული პროცესუალური ფორმის ისეთი სახეა, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ყოველდღიურ საქმიანობასთან და წარმოადგენს მმართველობის სფეროში ადამიანის უფლებების დაცვის აუცილებელ პირობას. ადმინისტრაციულ-საპროცესო მოქმედებებით უზრუნველყოფილია არა მხოლოდ ადმინისტრაციული სამართლის ნორმების რეალიზაცია, არამედ სამართლის ისეთი დარგების ნორმათა შეფარდებაც, როგორცაა: შრომის სამართალი, ეკოლოგიური სამართალი, მიწის სამართალი, საფინანსო სამართალი, საგადასახადო სამართალი, საბაჟო სამართალი, ნაწილობრივ საკორპორაციო თუ სამოქალაქო სამართალი. სამართლის მრავალი დარგისათვის მომსახურების მისია, რომელიც აკისრია ადმინის-

ტრაციულ-საპროცესო სამართალს, კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იურიდიული პროცესის ამ ფორმის პრაქტიკულ დანიშნულებას და მისი სამართლებრივი რეგლამენტაციის სრულყოფას.

აღნიშნული მიმართებით საქართველოში ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა და შეიქმნა საკანონმდებლო ბაზა ადმინისტრაციულ-საპროცესო ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს საქართველოში ისეთი კოდიფიცირებული აქტების ამოქმედება, როგორცაა: ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. ამ კოდექსებმა არსებითი გარდატეხა შეიტანეს საქართველოში ადმინისტრაციულ სამართალდაცვით საქმიანობაში და ადამიანის უფლებების დაცვის დემოკრატიული ფორმების დამკვიდრებაში. ჩვენს ქვეყანაში თანდათანობით იკიდებს ფეხს ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემის, მათი იურიდიული გარანტიების დამკვიდრებისა და დემოკრატიული ადმინისტრაციულ-პროცესუალური ფორმების უწყომანოდ გამოყენების ატმოსფერო.

ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, დიდია ინტერესი ადმინისტრაციულ-პროცესუალურ მოქმედებათა სამართლებრივი ბუნების გარკვევისადმი და ფართოა ამ საკითხებით დაინტერესება არა მხოლოდ სტუდენტი ახალგაზრდობისა, არამედ თეორიული და პრაქტიკული დარგის მუშაკებისაც. წინამდებარე შრომის მიზანია სწორედ ამ ამოცანის გადაჭრისათვის ხელის შეწყობა და ჩვენი სტუდენტი ახალგაზრდობისათვის სასწავლო ბაზის შექმნისათვის ზრუნვა. რამდენადაც წინამდებარე შრომა პირველი ცდაა აღნიშნულ სფეროში სასწავლო ლიტერატურის შექმნის თვალსაზრისით, ავტორი – სიამოვნებით მიიღებს ყველა საქმიან მოსაზრებას და წინადადებას ამ წიგნის სრულყოფის მიზნით.

ადმინისტრაციული პროცესის ცნება. პრინციპები
და სტადიები

§ 1. ადმინისტრაციული პროცესის ცნება

(მატერიალური ნორმების რეალიზაციის მიზნით იქმნება პროცესუ-
ალური ფორმები, რომლებიც პროცესუალური ნორმების მეშვეობით
აწესრიგებენ კონკრეტული საკითხის, კონკრეტული საქმის განხილვი-
სა და გადაწყვეტის წესს სამართალშეფარდების გზით.)

იურიდიული პროცესი მატერიალური სამართლის სიცოცხლის
ფორმაა, იგი გვევლინება პროცესუალური ფორმების შინაარსით, რომელ-
იც წარმოადგენს პროცესუალურ მოქმედებათა გარეგნულ გამოვლინებას.
იურიდიულ პროცესში იგულისხმება სახელმწიფოს ცალკეულ ორგა-
ნოთა (ადმინისტრაციულ და სასამართლო ორგანოთა) საქმიანობა ინ-
დივიდუალურ-კონკრეტული საქმის გამოსაკვლევად, განსახილველად
და გადასაწყვეტად სამართლის ნორმის შეფარდების გზით. პროცესუ-
ალური საქმიანობა შემოქმედებითი საქმიანობაა, რომლის დროსაც
მიიღება შეფარდების აქტები (ადმინისტრაციული აქტები ან სასა-
მართლო აქტები). ადმინისტრაციული პროცესი ამ საქმიანობის ნაირ-
სახეობაა, რომელსაც ადგილი აქვს მმართველობის სფეროში, და წარ-
მოადგენს ამ სფეროში წამოჭრილი კონკრეტული საკითხების, ინდი-
ვიდუალური საქმეების გამოკვლევის, განხილვისა და გადაწყვეტის
თანამიმდევრულ საქმიანობას, რასაც ახორციელებენ ადმინისტრაციუ-
ლი ორგანოები და სასამართლოები.

(ადმინისტრაციული პროცესი, ისევე როგორც სხვა იურიდიული
პროცესუალური ფორმები (სამოქალაქო პროცესი, სისხლის სამართ-
ლის პროცესი), წარმოადგენს ინდივიდუალური საქმის გამოკვლევის,
განხილვისა და გადაწყვეტის პროცესს. ადმინისტრაციული პროცესის
მეშვეობით წესრიგდება მატერიალური სამართლის დარღვების (პირველ
რიგში, მატერიალური ადმინისტრაციული სამართლის) ისეთი ნორმები,
რომლებიც გამოხატულებას პოულობენ ინდივიდუალურ ადმინისტრაცი-
ულ-სამართლებრივ საქმეებში. მაგალითად, მოქალაქის პენსიით უზრუნ-
ველყოფის უფლება გამოხატულებას პოუბს საპენსიო საქმეში, რომელსაც

ადმინისტრაციული საგანმცხადებლო საქმე ეწოდება; მოქალაქის ვალდებულებას. პასუხი აგოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის, გამოხატულებას პოვნებს მისი ადმინისტრაციული გადაცდომის საქმეში; მოქალაქის დავა დარღვეული უფლების აღსადგენად გამოიხატება ადმინისტრაციული საჩივრის საქმეში და ა.შ. თითოეულ ამ საქმეს თავისი ადმინისტრაციულ-პროცესუალური ფორმა აქვს (საგანმცხადებლო, სამართალდარღვევის, საჩივრის და ა.შ.). მაგრამ არა ყოველი კონკრეტული უფლება თუ მოვალეობა, არა ყოველი სამართლებრივი ნორმა თავის გამოხატულებას როდი პოვნებს ინდივიდუალურ საქმეში. მაგალითად, ინსტრუქციის გამოცემა, ინსტრუქტაჟის ჩატარება, ქვემდგომი ორგანოს შექმნა და სხვა, არაა დაკავშირებული ინდივიდუალური, კონკრეტული საქმის გადაწყვეტასთან, ისინი ორგანიზაციული ხასიათის მოქმედებებია. მაშასადამე, სახელმწიფო მმართველობის სფეროში სამართლის სუბიექტები თავიანთ მატერიალურ უფლებებსა და მოვალეობებს განხორციელებენ როგორც ინდივიდუალური საქმეების მეშვეობით, ისე ორგანიზაციული მოქმედებებითაც, რომელთაც არა აქვთ კონკრეტული საქმის გადაწყვეტის ხასიათი და ამიტომ ადმინისტრაციულ პროცესს არ განეკუთვნებიან. ამდენად, ადმინისტრაციული პროცესი აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების ისეთი ფორმაა, სადაც წყდება ინდივიდუალური საკითხი, კონკრეტული საქმე სამართლის ნორმის შეფარდების გზით.

ინდივიდუალური საქმეები, რომელთა გადაწყვეტასაც წარმოადგენს ადმინისტრაციული პროცესი, ხასიათდება შემდეგი თავისებურებით: ჯერ ერთი, მათი შინაარსი არის სუბიექტების კონკრეტული მატერიალური უფლებები და მოვალეობები; მეორეც, ინდივიდუალური საქმის სუბიექტები არიან კონკრეტული, სავსებით გარკვეული პირები და არა ზოგადად იურიდიული თუ ფიზიკური პირები; მესამეც, ინდივიდუალურ საქმეებს აქვთ სრულიად გარკვეული გარეგნული გამოვლინების ფორმები, რომლებიც დამკვიდრებულია მმართველობის სფეროში (განცხადების, საჩივრის და ა.შ. ფორმები); მეოთხეც, ინდივიდუალურ საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის შედეგად მიიღება სამართალშეფარდების აქტები, რომელთაც მმართველობის სფეროში ადმინისტრაციული აქტები ეწოდება. აქ ჩამოთვლილი პირველი ორი ნიშანი შეეხება ყველა ინდივიდუალურ საქმეს (ადმინისტრაციულ-პროცესუალურს, სამოქალაქო-პროცესუალურს, სისხლისსამართლებრივს), ხოლო ადმინისტრაციულ-

პროცესუალურ ფორმებში მათი გამოვლინება და გადაწყვეტა ადმინისტრაციული აქტების გამოცემის შედეგად შეეხება მხოლოდ ადმინისტრაციულ ინდივიდუალურ საქმეს.

იურიდიული პროცესი მატერიალური სამართლის რეალიზაციის ფორმაა, მაგრამ თუ რომელი იურიდიული პროცესი გამოიყენება ამა თუ იმ მატერიალური ნორმის რეალიზაციისათვის, დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ ფორმაში გამოვლინდება ინდივიდუალური საქმე, რომელიც მოცემული მატერიალური ნორმის შეფარდების გზით უნდა გადაწყდეს. გარდა ამისა, ეს ფორმა დამოკიდებულია არა მხოლოდ სამართლის დარგზე, რომელსაც ეს ნორმა განეკუთვნება, არამედ სამართლებრივი სისტემის განვითარებაზეც ქვეყანაში, დემოკრატიაზე მთლიანად, ამა თუ იმ პროცესუალური ფორმის სრულყოფაზე, და ამის საფუძველზე კანონმდებლის შეხედულებაზე. მაგალითად, ამჟამად კანონმდებელს მიაჩნია, რომ წერილმანი ხულიგნობის საქმე განხილულ უნდა იქნეს სასამართლო ადმინისტრაციული წარმოების წესით.

| სამართლის მრავალი დარგის მატერიალური ნორმები (საფინანსო, შრომის, მიწის სამართლის და სხვ.) რეალიზაციას პოუბენ ადმინისტრაციული პროცესის მეშვეობით. გამონაკლისია სისხლის სამართლისა და კონსტიტუციური სამართლის ნორმები. | სისხლის სამართლის ნორმების რეალიზაციისათვის იყენებენ მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესს, ვინაიდან დანაშაულებრივ ქმედებათა საქმეები გამოვლინდება მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებში; ხოლო კონსტიტუციური სამართლის ნორმები რეალიზებულია საქართველოს პარლამენტში საპარლამენტო პროცედურის მეშვეობით და დაკავშირებული არაა ინდივიდუალური, კონკრეტული საქმეების განხილვა-გადაწყვეტასთან. სამართლის ცალკეული დარგის ნორმები გამოიყენება მმართველობის ორგანოების მიერ ყოველდღიურ აღმასრულებელ საქმიანობაში და ეს ნორმები კონკრეტულ ინდივიდუალურ საქმეებთან არის დაკავშირებული, რომელთაც ადმინისტრაციულ-პროცესუალური ფორმები აქვთ იმის გამო, რომ სუბიექტების საფინანსო, შრომითი, მიწისა და სხვა უფლებები და მოვალეობები ქმნიან ინდივიდუალური საქმეების შინაარსს, რომელთაც აქვთ მმართველობითი ხასიათის გარეგნული გამოვლინების ფორმები, აღნიშნული საქმეები განიხილება და გადაწყდება ადმინისტრაციული პროცესუალური წესით. ეს კი ადასტურებს ადმინისტრაციული პროცესის მომსახურებით როლს არა მხოლოდ

ადმინისტრაციულ-მატერიალური სამართლის, არამედ სამართლის სხვა დარგების მიმართაც.

ამრიგად, მატერიალური სამართლის ამა თუ იმ დარგს ემსახურება იურიდიული პროცესის ესა თუ ის ფორმა, ხოლო თუ პროცესის ეს ფორმა საკმაოდ სრულყოფილად ემსახურება სამართლის მოცემულ დარგს, არ წარმოიშობა იმის აუცილებლობა, რომ შეიქმნას ამ დარგის შესაბამისი პროცესუალური ფორმა. ამიტომაც, რომ/ადმინისტრაციული პროცესი წარმატებით ემსახურება ადმინისტრაციულ, საფინანსო, მიწის, შრომის, საბაჟო, ეკოლოგიურ, საგადასახადო და სამართლის სხვა დარგებს.)

ადმინისტრაციული პროცესი განეკუთვნება აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებას. სასამართლო ორგანოებისაგან განსხვავებით, მმართველობის ორგანოები ახორციელებენ თავიანთ ფუნქციებს მმართველობის ორგანიზაციის სახით, რომლის დროსაც მათ მუშაობაში წამოიჭრება ინდივიდუალური საკითხები, რომლებიც ადმინისტრაციულ-პროცესუალურ გადაწყვეტას საჭიროებენ სამართალშეფარდების გზით, ხოლო ამის შემდეგ – გადაწყვეტილების აღსრულების ორგანიზაციას. სასამართლო ორგანოებს კი არ შეუძლიათ განახორციელონ ორგანიზაციული ხელმძღვანელობა მმართველობის სფეროში. გადაწყვეტენ რა ადმინისტრაციულ საქმეებს, სასამართლო ორგანოები ამის იქით ვერ მიდიან, მათი ორგანიზაციული ხელმძღვანელობის როლი აღნიშნულ სფეროში გამორიცხულია. ეს გამოწვეულია იმით, რომ სასამართლო ორგანოები ასრულებენ სასამართლო ხელისუფლებას, ხოლო მმართველობის ორგანოები – აღმასრულებელ ხელისუფლებას.

არასწორია შეხედულება სასამართლოში თითქოს შერეული პროცესის არსებობის შესახებ¹. ასეთი პროცესი არ შეიძლება არსებობდეს ინდივიდუალურ საქმეთა განსხვავებული გამოვლინების ფორმების გამო. სამოქალაქო საპროცესო კოდექსში პირდაპირაა მითითებული, რომ არაქონებრივი დავების, კერძოდ, საქორწინო და საოჯახო საქმეების მიმართ გამოიყენება სამოქალაქო-საპროცესო კოდექსით დადგენილი წესები (მუხლი 352-ე), მაშასადამე, შერეული პროცესის გამოყენება დაუშვებელია. მართალია, ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსის 1-ლ მუხლში აღნიშნულია, რომ თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენი-

¹ Бартыков И.Ф., Дагаль П.С., Елисейкин П.Ф. и др. Административные правонарушения, рассматриваемые в судебном порядке, М., 1964, с. 117-122.

ლი, ადმინისტრაციულ საქმისწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. ეს ნიშნავს არა იმას, რომ ამა თუ იმ საკითხის მოსაწესრიგებლად ერთდროულად შეიძლება თითქოს სამოქალაქო და ადმინისტრაციული ნორმების გამოყენება, არამედ იმას, რომ, როცა ესა თუ ის საკითხი ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსში არაა მოწესრიგებული, იგი შეიძლება მოწესრიგდეს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმებით, მაგრამ ადმინისტრაციულ-პროცესუალური ფორმების დაცვით. ამასვე მიუთითებენ ქართველი სამართალდამცველები კანონის კომენტარებისას, მაგრამ ისინი ცდებიან, როცა აღნიშნავენ, რომ, რაკი ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსში არაა მუხლი მოსამართლის აცილებისა და თვითაცილების შესახებ, ამ შემთხვევაში თითქოს უნდა იქნეს გამოყენებული სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 30-34-ე მუხლები¹. სასამართლოში ადმინისტრაციული დავების განხილვა ადმინისტრაციულ-პროცესუალურია, ამიტომ ამ დროს უნდა იქნეს გამოყენებული ადმინისტრაციული საპროცესო ნორმები, ხოლო თუ ისინი არაა, მხოლოდ მაშინ გამოიყენება სამოქალაქო-საპროცესო ნორმები. მაგრამ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-93-ე მუხლებში მოცემულია საქმის განმზილველი თანამდებობის პირის აცილებისა და თვითაცილების საკითხები, რაც უნდა შეეხოს სასამართლოშიც ადმინისტრაციული მოსამართლის აცილების შემთხვევებსაც. უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსში თავდაპირველად მოცემული იყო მოსამართლის აცილების წესი (მუხლი მე-8), მაგრამ იგი გაუქმდა სწორედ იმიტომ, რომ ეს წესი მოწესრიგებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, რომელიც შეეხება ყველა ადმინისტრაციულ საქმეს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიც აწესებს აცილების წესს, მაგრამ იგი გამოიყენება არა სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ საქმეებზე, არამედ მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებზე. აცილების განსხვავებული წესი სხვადასხვა კატეგორიის საქმეების მიმართ გამოწვეულია ამ საქმეთა განსხვავებული ბუნებით, განსხვავებული პროცესუალური ფორმებით. განსხვავებული პროცესუალური ფორმები რომ საჭირო არ იყოს, მაშინ არც პროცესის ცალკეული სახე იარსებებდა. დაბალი სამართლებრივი განვითარების ეპოქაში იურიდიული პროცესი არ იყო დიფერენცირებული, იგი მხოლოდ სისხ-

¹ იხ. ჯ. რუსიაშვილი, ი. ტაბუკაძე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარები, გამომც. „სამართალი“, 2000 წ., გვ. 13.

ლის სამართლის პროცესის ფორმას ატარებდა (შუმერებში, მორევების სასამართლოში სვანეთში). დღეს კი პროცესუალური ფორმების მრავალფეროვნების გამო, საზოგადოების დემოკრატიული განვითარების შედეგად არსებობს იურიდიული პროცესის სამი სახე, რომელთაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვთ და ერთმანეთში არ შეიძლება აეურიოს.

✓ სამოქალაქო და სისხლის სამართლებრივი პროცესებისაგან განსხვავებით, ადმინისტრაციული პროცესი მოიცავს არა მარტო სამართალდარღვევისა და ადმინისტრაციული დავის საქმეთა განხილვას, არამედ მმართველობის სფეროში სუბიექტების კონკრეტული უფლებებისა და მოვალეობების განორციელების პოზიტიურ საქმეთა განხილვასაც. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ ადმინისტრაციული პროცესის ფარგლები უფრო ფართოა, ვიდრე სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის პროცესის. ✓

საქმეთა სამოქალაქო-სასარჩელო და ადმინისტრაციულ-პროცესუალური განხილვის წესებს შორის სხვაობა მეტად დიდია. ადმინისტრაციულ საქმეთა სასამართლო განხილვა ხდება მმართველობის სფეროში ჩარევის გზით ადმინისტრაციული ფორმებისა და მეთოდების გამოყენების საფუძველზე. სასამართლოს ამ დროს არ შეუძლია გადაწყვიტოს დავა მხარეთა მოლაპარაკების საფუძველზე, როგორც ეს სამოქალაქო პროცესშია. ადმინისტრაციულ საქმეზე სასამართლო პროცესის ერთ-ერთი მხარეა, ან სახელმწიფო ორგანოს თუ თანამდებობის პირის მხარესაა, თუმცა კანონისადმი თანასწორობის პრინციპის ურყევი დამცველია. ადმინისტრაციულ მოსამართლეს, მიუხედავად მისი აღნიშნული მდგომარეობისა, მაინც ევალება თანაბრად დაიცვას როგორც სახელმწიფოს, ისე მოქალაქის ინტერესები. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იქნებოდა სამედიატორო სასამართლო და ვერ გადაწყვეტდა ადმინისტრაციულ დავას. ამიტომ მოქალაქე ადმინისტრაციულ პროცესში დაქვემდებარებულია ადმინისტრაციული მოსამართლისადმი, რომლის გარეშეც მას არ შეუძლია მოიპოვოს ადმინისტრაციული უფლებები. თუ სამოქალაქო პროცესში სამოქალაქო დავა შეიძლება განიხილოს ნებისმიერმა სასამართლომ, ადმინისტრაციულ პროცესში ადმინისტრაციულ დავას განიხილავს ის სასამართლო, რომლის სამოქმედო არეალშიც ეს დავა წამოიჭრა, ვინაიდან სხვაგან ამ დავას აზრი არა აქვს. სწორედ ამიტომაც, რომ ადმინისტრაციულ პროცესში მმართველობის მთელი ორგანოს ან მთელი სასამართლოს აცილება დაუშვებელია, არამედ

შეიძლება მხოლოდ თანამდებობის პირის ან მოსამართლის აცილება, ხოლო სამოქალაქო პროცესში დასაშვებია მთელი სასამართლოს აცილება და საქმის სხვა ქალაქში განხილვის მოთხოვნა. მოცემული ადმინისტრაციული რაიონისა თუ ქალაქის ადმინისტრაციული საქმის განხილვა სწორედ შესაბამისი რაიონისა თუ ქალაქის კომპეტენციაა, რომელიც არ შეიძლება სხვა რაიონისა თუ ქალაქის სასამართლოსა თუ მოსამართლეს გადააბარონ. სამოქალაქო სასამართლო წარმოების დროს (განსაკუთრებით საკასაციო ინსტანციაში) სასამართლო ეყრდნობა წარმოდგენილ მასალებს, ხოლო ადმინისტრაციული საქმის განხილვისას სასამართლო აწარმოებს გამოძიებას და ადგენს კანონიერების დარღვევის ფაქტებს მმართველობის სფეროში. როგორც სამართლიანადაა მითითებული ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლში, ადმინისტრაციულ საქმეზე სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები, მაშინ, როდესაც სამოქალაქო პროცესში მხოლოდ მხარეთა შუამდგომლობით შეუძლია სასამართლოს თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, ვისთანაც უნდა იყოს ისინი. (სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის მუხლი 103-ე, პუნქტი მე-2). სრულიად განსხვავებულია ადმინისტრაციული და სამოქალაქო საქმისწარმოების ვადებიც, რომელიც ადმინისტრაციულ პროცესში შეკვეცილია; ადმინისტრაციულ პროცესში საქმისწარმოების დროს დასაშვებია თავისუფალი გათვალისწინების უფლება და საქმის ოპერატიული გადაწყვეტა, რაც სამოქალაქო პროცესში გამორიცხულია. როგორც ცნობილია, თუ სამოქალაქო პროცესში არც ერთი მხარე არ გამოცხადდა, საქმე შეიძლება არ იქნეს განხილული (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლი 231-ე), ხოლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მარტივი საქმისწარმოებითა და ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსის 27-ე მუხლით სასამართლო უფლებამოსილია მხარეთა წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ადმინისტრაციული საქმე განიხილოს და გადაწყვიტოს მხარეთა დაუსწრებლად.

ფრანგი ადმინისტრაციისტი გუი ბრებანი არასწორად ხსნის ადმინისტრაციულ პროცესში სასამართლო განცხადების „გადაცემითი ეფექტის“ არსს, როცა მიიჩნევს, რომ ამ პრინციპის თანახმად, ადმინისტრაციული მოსამართლე შემოფარგლულია შეტანილი განცხადებისა თუ საჩივრის შინაარსით, რომ დავის გადაწყვეტისას მოსამართლე თითქოს

არ უნდა გავიდეს მომჩივნის არგუმენტაციის ფარგლებს გარეთ. ამასვე ამტკიცებენ ჯ. რუსიაშვილი და ი. ტაბუცაძე¹.

ადმინისტრაციული საქმისწარმოების თავისებურება სწორედ იმაშია, რომ ადმინისტრაციული მოსამართლე უნდა გასცდეს მომჩივნის საჩივრის ფარგლებს და ჩასწვდეს სახელმწიფო მმართველობის სიღრმეში მომხდარი დარღვევის არსს, რამდენადაც საქმე გვაქვს კანონიერების აღდგენასთან სწორედ მმართველობის სფეროში. გადაცემითი ეფექტის არსი ადმინისტრაციულ პროცესში იმაში მდგომარეობს, რომ სასამართლო თავისი ინიციატივით ვერ აღძრავს ადმინისტრაციულ საქმისწარმოებას, რადგან ამისათვის აუცილებელია მოქალაქისა თუ სხვა სუბიექტის საჩივარი თუ განცხადება. რამდენადაც სასამართლო აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო არაა, მას არ შეუძლია ასეთი ჩარევა განახორციელოს და თავისი ინიციატივით წამოიწყოს ადმინისტრაციული საქმისწარმოება, მაგრამ თუ ასეთი წარმოება წამოიჭრა უფლებამოსილი პირის მეშვეობით, მაშინ სასამართლო ვალდებულია აღადგინოს კანონიერება აღმასრულებელი ხელისუფლების სფეროში, თუნდაც, რომ ამისათვის საჭირო გახდეს განმცხადებლისა თუ მომჩივნის მოთხოვნის ფარგლებს გარეთ გასვლა. ეს არ არის სასამართლო ხელისუფლების ჩარევა აღმასრულებელ ხელისუფლებაში, ეს არის კანონიერების აღდგენის მოთხოვნის პრინციპის დაცვა სახელმწიფოში სასამართლოს მეშვეობით. ამიტომ არასწორია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 113-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნაც, რომლითაც ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო იხილავს ამგვარ საჩივარს მასში აღნიშნული მოთხოვნის ფარგლებში. სწორედ კანონიერების აღდგენის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული საქმის განმხილველი ორგანო საჭიროების შემთხვევაში უნდა გასცდეს კიდევ განცხადებისა თუ საჩივრის ფარგლებს და გაარკვიოს საქმის ყველა გარემოება და ისე გადაწყვიტოს საკითხი, როგორც ამას მოითხოვს იმავე კოდექსის 69-ე მუხლის პირველი ნაწილი. აღსანიშნავია, რომ დასახელებული მუხლის ბოლოს აღნიშნულია, რომ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია გასცდეს აღ-

¹ იხ. Бранбн Г. Французское административное право, М., 1988, с. 440; ჯ. რუსიაშვილი, ი. ტაბუცაძე, საქართველოს ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსის კომენტარები, გამომც. „სამართალი“, თბ., 2000 წ., გვ. 63.

მინისტრაციული საჩივრის მოთხოვნის ფარგლებს. „კანონით გათვალისწინებული შემთხვევა“ კი გულისხმობს ჩვენი კანონმდებლობის მოთხოვნას – მოსამართლის მიერ კანონიერების აღდგენის აუცილებლობას მართლმსაჯულების განხორციელებისას, როგორც ამაზე მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლი.

ამრიგად, ადმინისტრაციული პროცესი არის ადმინისტრაციული და სამართლის სხვა მატერიალური დარგების რეალიზაციის ფორმა, რომელიც მდგომარეობს მმართველობის ორგანოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების (ე.ი. ადმინისტრაციული ორგანოს), აგრეთვე სასამართლოების მიერ სამართალშეფარდების გზით ისეთ ინდივიდუალურ საქმეთა განხილვასა და გადაწყვეტაში, რომლებიც წარმოიშობა მმართველობის სფეროში და გააჩნიათ გარეგნული გამოვლინების ადმინისტრაციულ-პროცესუალური ფორმები.

ადმინისტრაციული პროცესი დაკავშირებულია ადმინისტრაციულ იურისდიქციასთან, თუმცა ისინი ერთმანეთს არ ემთხვევა. იურიდიულ ლიტერატურაში ადმინისტრაციულ იურისდიქციად მიაჩნიათ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ სასამართლოსადმი მიმართვის გარეშე ქვემდებარე საკითხების უშუალოდ გადაწყვეტა და, საჭირო შემთხვევაში, ადმინისტრაციული სანქციების გამოყენება¹. აქედან გამომდინარე, იურისდიქციული საქმიანობა წარმოადგენს როგორც ადმინისტრაციული პროცესის, ისე მმართველობის არაპროცესუალური საქმიანობის ნაწილს. მას ახორციელებს მმართველობის ზოგიერთი ორგანო. იურისდიქციული საქმიანობა მოიცავს როგორც სამართალდარღვევებთან და დავებთან დაკავშირებულ, ისე სუბიექტების მოქმედებათა განმსაზღვრელ, მათ მოქმედებათა შეფასებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებსაც, რაც მათი კომპეტენციის გამომხატველია. მაგრამ ადმინისტრაციული პროცესი ამით არ აიხსნება.

კანონიერების უზრუნველყოფა სახელმწიფო მმართველობაში მიიღწევა როგორც სახელმწიფო აპარატის შიგნით მმართველობის შესაბამისი ფუნქციის (კონტროლის) განხორციელების, ისე აპარატის გარეთ სპეციალური ორგანოების მეშვეობით ადმინისტრაციული დავების, საჩივრების, ადმინისტრაციული და დისციპლინური სამართალ-

¹ იხ. Козлов Ю.М. Предмет советского административного права, изд. МГУ, М., 1967, стр. 84-85.

დარღვევების განხილვის გზითაც. პირველ შემთხვევაში ესაა მმართველობის ფუნქციის განხორციელება, ხოლო მეორე შემთხვევაში – ადმინისტრაციული მართლმსაჯულების განხორციელება. საქმიანობის ორივე სახე წარმოადგენს ადმინისტრაციული იძულების იურისდიქციულ საქმიანობას. მმართველობის აპარატის შიგნით და მის სისტემაში კანონიერების დაცვის საშუალებას ადმინისტრაციულ იურისდიქციულ კონტროლს უწოდებენ, მის გარეთ კი – ადმინისტრაციულ იუსტიციას. (ადმინისტრაციული იძულების იურისდიქცია ორივე ფორმით დაკავშირებულია მმართველობის ორგანოების ორგანიზაციულ მუშაობასთან, რომელიც არა მხოლოდ იძულებას გულისხმობს, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციას გამოხატავს, მისი უფლებამოსილების განხორციელებას წარმოადგენს. მთელი ეს საქმიანობა კი ადმინისტრაციული იურისდიქციული საქმიანობაა. ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოებში (სასამართლოებში) საქმეთა გადაწყვეტა ადმინისტრაციული იურისდიქციის ხასიათს ატარებს იმიტომ, რომ ადმინისტრაციული საქმის გადაწყვეტა აქ ხდება მმართველობის ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით. ადმინისტრაციული იურისდიქცია ადმინისტრაციულ სასამართლოებში ატარებს ნეგატიურ მოვლენებთან (ადმინისტრაციულ დაევებთან, საჩივრებთან, სამართალდარღვევებთან) დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგების ხასიათს და მმართველობის ორგანოთა პოზიტიური იურისდიქციული საქმიანობის სფეროში ისინი არ ერევიან, თუ ეს არ არის დაკავშირებული განსახილველ კონკრეტულ საქმესთან.

ადმინისტრაციული პროცესის ცნება იურიდიულ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. არსებობს ადმინისტრაციული პროცესის ვიწრო და ფართო გაგება. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ადმინისტრაციული პროცესი სახელმწიფო მმართველობის პროცესში ყველა ინდივიდუალური საქმის განხილვასა და გადაწყვეტას მოიცავს. ავტორთა ვიწრო ჯგუფი კი თვლის, რომ ადმინისტრაციული პროცესის ცნება უნდა შეიზღუდოს და მისი ფარგლები მხოლოდ ზოგიერთი კატეგორიის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვით უნდა განისაზღვროს (ა.ფ. კლეინმანი, ნ.გ. სალიშჩევა, ო.მ. იაკუბა, ვ.ს. თადევოსიანი, მ.ი. პისკოტინი, მ.ი. ეროპკინი, კ. სვობოდა, ფ. ტოლდი, ე. სტაროსციაკი და სხვები). მაგალითად, ა.ფ. კლეინმანის აზრით, ადმინისტრაციულ პროცესს ადგილი აქვს მხოლოდ სასამართლოში ადმინის-

ტრაციულ საქმეთა განხილვის დროს¹ ადმინისტრაციული პროცესის ასეთი გაგება მიუღებელია, ვინაიდან იგი მმართველობის სფეროდან სასამართლო ხელისუფლების სფეროშია გადატანილი. ადმინისტრაციული პროცესი კი სახელმწიფო მმართველობის ერთ-ერთი ფორმაა და იგი მართლმსაჯულების განხორციელების საშუალებაა. მაგრამ სასამართლოში ადმინისტრაციული მართლმსაჯულება ადმინისტრაციული პროცესის ფორმით ხორციელდება, ანუ სასამართლო ამ დროს იყენებს მმართველობის ფორმებსა და მეთოდებს ადმინისტრაციული პროცესის სახით. ეს არ უშლის ხელს სასამართლოს ადმინისტრაციული მართლმსაჯულების განხორციელებაში, პირიქით, სწორედ ადმინისტრაციული პროცესის მეშვეობით შეიძლება განხორციელდეს ადმინისტრაციული მართლმსაჯულება, რაც სრულებითაც არ ცვლის სასამართლოში ადმინისტრაციული პროცესის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ხასიათს, მის მმართველობით ბუნებას. გარდა ამისა, ა.ფ. კლეინმანის აზრი არათანმიმდევრულია, ვინაიდან ზოგიერთი კატეგორიის ადმინისტრაციული საქმეები შეიძლება ერთდროულად განიხილოს როგორც სასამართლომ, ისე სახელმწიფო მმართველობის ორგანოებმა (მაგალითად, პირის ქუჩაში მთვრალ მდგომარეობაში ყოფნა), მაგრამ ორივე შემთხვევაში საქმეთა განხილვის ადმინისტრაციულ-პროცესუალური ხასიათი ეჭვს გარეშეა.

ნ.გ. სალიშჩევა სწორია, როდესაც ადმინისტრაციულ პროცესს მიიჩნევს სახელმწიფო მმართველობის ფორმად, მაგრამ ცდება, როდესაც მის ფარგლებს მხოლოდ ზოგიერთი კატეგორიის საქმეთა განხილვით ზღუდავს. იგი ადმინისტრაციულ პროცესს მხოლოდ ადმინისტრაციულ დავათა და ადმინისტრაციულ გადაცდომათა საქმეების განხილვას მიაწერს, სხვა კატეგორიის ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვას კი ადმინისტრაციულ წარმოებას აკუთვნებს. ნ.გ. სალიშჩევას აზრით, ადმინისტრაციული წარმოება არ მოიცავს მმართველობას მთლიანად, ვინაიდან იგი მოწესრიგებულია მატერიალური ადმინისტრაციული ნორმების გარკვეული ნაწილით; ადმინისტრაციული წარმოება სახელმწიფო მმართველობისაგან დამოუკიდებელი ცნებაა².

¹ იხ. Клейнман А.Ф. Вопросы гражданского процесса в связи с судебной практикой, — журнал „Социалистическая законность“, 1946, №9, стр. 12.

² Салищева Н.Г. Административный процесс в СССР. Изд. „Юридическая литература“, М., 1964, стр. 9.

ადმინისტრაციული პროცესის ასეთ გაგებას ჩვენ ვერ დავეთანხმებით. ადმინისტრაციული პროცესი და ადმინისტრაციული წარმოება ერთგვაროვანია, ერთი რიგის ცნებებია. ადმინისტრაციული პროცესი მოიცავს ადმინისტრაციული წარმოების რამდენიმე სახეს. ამდენად, პირველი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე მეორე. შემდეგ, ნ.გ. სალიშჩევა არ ასახელებს ადმინისტრაციული დავისა და სამართალდარღვევის საქმეების სხვა კატეგორიის საქმეებისაგან განხილვის განმასხვავებელ კრიტერიუმს. ნ.გ. სალიშჩევას თუ დაუუკერებთ, გამოდის, რომ საპენსიო საქმის განხილვა სცილდება ადმინისტრაციული პროცესის ფარგლებს, ხოლო საჩივრის შეტანის გამო იმავე საპენსიო საქმის განხილვა — ადმინისტრაციული პროცესია. და ეს მაშინ, როდესაც აქ განხილვის არა მარტო პრინციპები, არამედ განხილვის ფორმებიცა და მეთოდებიც ერთნაირია.

ადმინისტრაციული პროცესი დაკავშირებულია ადმინისტრაციულ იურისდიქციასთან, თუმცა ისინი ერთმანეთს არ ემთხვევა. იურიდიულ ლიტერატურაში ადმინისტრაციული იურისდიქცია გულისხმობს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ სასამართლოსადმი მიმართვის გარეშე სადავო საკითხების უშუალო გადაწყვეტას და, საჭირო შემთხვევაში, ადმინისტრაციული სანქციების გამოყენებას¹.

აქედან გამომდინარე, იურისდიქციული საქმიანობა წარმოადგენს როგორც ადმინისტრაციული პროცესის, ისე მმართველობის არაპროცესუალური საქმიანობის ნაწილს. მას ახორციელებს მმართველობის ზოგიერთი ორგანო. ამიტომ იურისდიქციული საქმიანობა არ ემთხვევა ადმინისტრაციულ პროცესს, რომელიც ზოგი ისეთი ინდივიდუალური საქმის გადაწყვეტას გულისხმობს, რომელიც მმართველობის ამა თუ იმ ორგანოს კომპეტენციას განეკუთვნება. ნ.გ. სალიშჩევა არათანმიმდევრულია მაშინაც, როდესაც ადმინისტრაციულ პროცესს იურისდიქციულ საქმიანობად მიიჩნევს და, ამავე დროს მას არაურთიერთდაქვემდებარებული ადმინისტრაციული დავისა და ადმინისტრაციული იძულების ზომების გამოყენებასთან დაკავშირებული საქმეების განხილვით შემოფარგლავს².

¹ Козлов Ю.М. Предмет советского административного права. Изд. МГУ, 1967, стр. 84-85.

² Салищева Н.Г. Административный процесс в СССР. Изд. „Юридическая литература“, М., 1964, стр. 9.

ცნობილია, რომ იურისდიქციული საქმიანობა მოიცავს როგორც სამართალდარღვევებსა და დაევბთან დაკავშირებულ, ისე სუბიექტების მოქმედებათა განმსაზღვრელ, მათ მოქმედებათა შეფასებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებსაც, მაგრამ ადმინისტრაციული პროცესი ამით არ აიხსნება.

ნ.გ. სალიშჩევას აზრით, ყოველგვარი ადმინისტრაციული დავა არ წარმოადგენს ადმინისტრაციული პროცესის საგანს, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც არასამსახურებრივ, არაურთიერთდაქვემდებარებულ ურთიერთობებში წარმოიშობა; და ეს მაშინ, როდესაც იურისდიქციული საქმიანობა სამსახურებრივ ურთიერთობებში წარმოშობილ დავათა გადაწყვეტასაც გულისხმობს.

ადმინისტრაციული პროცესის სფეროს შემოფარგვლა მართო დავებისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეებით არასწორია, ვინაიდან პროცესი მთელი მატერიალური სამართლის „სიცოცხლის ფორმას“ წარმოადგენს და არა ნაწილისას. ადმინისტრაციული პროცესი არ შეიძლება განვიხილოთ სისხლის სამართლის ან სამოქალაქო სამართლის პროცესის თვალსაზრისით, ვინაიდან ადმინისტრაციული პროცესი მმართველობის, ორგანიზაციული საქმიანობის ფორმაა. ადმინისტრაციული გადაცდომა და მასთან ბრძოლა სახელმწიფო მმართველობის ვიწრო სფეროა; ადმინისტრაციული პროცესის მხოლოდ ამ სფეროთი შემოფარგვლა აღმასრულებელ-განმკარგულებელი საქმიანობის შეზღუდულობას, მისი მნიშვნელობისა და როლის შეუფასებულობას გამოიწვევდა. ამიტომ ცდებიან ის ავტორები, რომლებსაც ადმინისტრაციული პროცესი მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეთა განხილვამდე დაჰყავთ (ო.მ. იაკუბა, ა.პ. კლიუშნიჩენკო, მ.ი. ეროპკინი და სხვ.).

რა თქმა უნდა, ადმინისტრაციული უფლებების შესახებ დავის განხილვა მმართველობის ორგანოებში და ამ უკანასკნელთა მიერ მატერიალური ნორმის იძულებითი განხორციელება ადმინისტრაციული პროცესის სფეროს მიეკუთვნება, მაგრამ ამ ავტორთა შეცდომა ის არის, რომ ისინი ამის იქით არ მიდიან და არ მიიჩნევენ, რომ მმართველობის სფეროში სხვა კატეგორიის ინდივიდუალურ საქმეთა განხილვის წესიც ადმინისტრაციული პროცესია, რომ ადმინისტრაციული პროცესი მხოლოდ იძულებასთან არაა დაკავშირებული.

სახელმწიფო მმართველობაში რეგულირების ძირითადი მეთოდი

დარწმუნებაა. პოზიტიურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობათა სფეროში ხშირად წამოიჭრება მთელი რიგი ინდივიდუალური საქმეები, რომლებიც ადმინისტრაციულ-პროცესუალურ გადაწყვეტას საჭიროებს.

მმართველობის სფეროში ადმინისტრაციული პროცესის სამართლის ნორმების გამოყენების ნეგატიურ ფორმებამდე დაყვანა საფუძველს აცლის სახელმწიფო მმართველობას და მის შემადგენელ ნაწილს ადმინისტრაციულ პროცესს; უარყოფს მის დიდ ორგანიზაციულ, შემოქმედებით მნიშვნელობას.

მმართველობის ორგანოებში განსახილველ ყველა ინდივიდუალურ საქმეს აქვს წარმოშობის ერთიანი საფუძველი სახელმწიფო მმართველობის სახით. ამიტომ არის რომ მათი განხილვის ფორმები და მეთოდები მმართველობის ორგანოებში ძირითადად ერთგვაროვანია, რაც ერთიანი კოდიფიცირებული ადმინისტრაციულ-პროცესუალური აქტის შექმნის საშუალებას იძლევა.

განსახილველი საქმის ინდივიდუალურობა ადმინისტრაციული პროცესის საფუძველია. მაგრამ ამ პროცესის ფარგლები ავტორთა მიერ გაგებულა სხვადასხვაგვარად, რის გამოც მათი ზოგიერთი შეხედულება ამ საკითხზე დაეას იწვევს. არ უარყოფს რა ადმინისტრაციული პროცესის ფართო ცნებას, ი.მ. კოზლოვი ამტკიცებს, რომ ამ ცნებაში იგულისხმება მატერიალური ადმინისტრაციული სამართლის ნორმებში მოცემულ მოთხოვნათა შეფარდებასთან (რეალიზაციასთან) დაკავშირებული საქმიანობა¹. ასეთი მოსაზრება იწვევს რამდენიმე შენიშვნას.

უპირველეს ყოვლისა, ადმინისტრაციული პროცესი ყოველთვის არ გულისხმობს მატერიალური ადმინისტრაციული ნორმის შეფარდების პროცესს, ვინაიდან ზოგიერთ შემთხვევაში ადმინისტრაციულ პროცესში მატერიალური ნორმის შეფარდებას ადგილი არა აქვს საქმის წარმოების შეწყვეტის გამო. მაგალითად, ადმინისტრაციული გადაცდომის ნიშნების არარსებობისას მატერიალური ნორმის შეფარდებას ადგილი არა აქვს, მიუხედავად იმისა, რომ მთელი საქმისწარმოება ამ შემთხვევაში, ეჭვს გარეშეა, ადმინისტრაციულ პროცესს წარმოადგენს. მატერიალური ადმინისტრაციული ნორმის შეფარდება დაკავშირებულია ადმინისტრაციული პროცესის ერთ-ერთ სტადიასთან, კერძოდ, საქმეზე

¹ Козлов Ю.М. Предмет советского административного права. Мзд. МГУ, 1967, стр. 92.

დადგენილების გამოტანასთან. ყველა საქმიანობა, რომელსაც ადგილი აქვს ნორმის შეფარდებად, ადმინისტრაციული პროცესის შემადგენელი ნაწილიცაა.

გარდა ამისა, კონკრეტულ-ინდივიდუალურ საქმეთა გადაწყვეტასთან დაკავშირებული საქმიანობა ყოველთვის როდია მატერიალური სამართლის ნორმების შეფარდება. ინდივიდუალურ საქმეთა გადაწყვეტასთან დაკავშირებულია მთელი რიგი ორგანიზაციული მუშაობა, რომელიც გარანტიას, პირობას ქმნის ინდივიდუალურ საქმეთა სწორი გადაწყვეტისათვის და რომელიც სრულებითაც არაა დაკავშირებული ნორმის შეფარდებასთან. ადმინისტრაციული პროცესი ინდივიდუალური საქმის გადაწყვეტასთან დაკავშირებული საქმიანობა კი არაა, არამედ ამ ინდივიდუალურ საქმეთა გადაწყვეტა, რომელიც დაკავშირებულია მმართველობის ორგანოს კომპეტენციის განხორციელების მრავალმხრივ ფორმებთან, მათ შორის სამართალშეფარდებასთან.

გარდა ამისა, ადმინისტრაციული პროცესი გულისხმობს არა მხოლოდ ადმინისტრაციულ-მატერიალური ნორმის შეფარდებას, არამედ სამართლის სხვა დარგების ნორმების შეფარდებასაც. მმართველობის აპარატში და „მის ფარგლებს გარეთაც“ შეიძლება ადგილი ჰქონდეს არა მარტო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხასიათის ინდივიდუალურ საქმეებს, არამედ შრომის სამართლებრივი, საფინანსო, მიწის, აგრარულ, სამოქალაქო სამართლებრივი ხასიათის საქმეებსაც. ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას შეფარდებულ უნდა იქნეს არა ადმინისტრაციულ-მატერიალური სამართლის, არამედ შესაბამისი დარგის სამართლის ნორმები, ხოლო თვით პროცედურას, უეჭველია, ადმინისტრაციულ-პროცესუალური ხასიათი ექნება. ამრიგად, მმართველობის სფეროში სამართლის სხვადასხვა დარგის ნორმების შეფარდება ხორციელდება ადმინისტრაციულ-პროცესუალური ფორმებით და ამ მხრივ ადმინისტრაციული პროცესი მხოლოდ ადმინისტრაციული მატერიალური სამართლის რეალიზაციის ფორმას როდი წარმოადგენს.

დაბოლოს, მატერიალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმების შეფარდებას ადგილი აქვს არა მარტო ადმინისტრაციულ პროცესში, არამედ სამოქალაქო პროცესშიც¹, რის გამოც ადმინისტრაციული მატერიალური ნორმების მხოლოდ შეფარდების ცნება ადმინისტრაციული

¹ Корнев А.П. Нормы административного права и их применение, М., 1978, стр. 63.

პროცესის დამახასიათებელი ნიშნების გასარკვევად არ გამოგვაგდება.

ადმინისტრაციულ პროცესად ჩვენ ვერ მივიჩნევთ სამართალშემოქმედებით საქმიანობას, როგორც ამას ზოგიერთი ავტორი თვლის¹.

ნორმატიული აქტების მიღება (სამართალშემოქმედება) სახელმწიფო მმართველობის აუცილებელი ნიშანია. მის გარეშე შეუძლებელია აღმასრულებელ-განმკარგულებელი საქმიანობის განხორციელება. ნორმატიული აქტების მიღებით მმართველობის ორგანოები, მართალია, თავიანთ კომპეტენციას, დაკისრებულ მოვალეობებსა და უფლებებს ახორციელებენ, მაგრამ ეს საქმიანობა ადმინისტრაციული პროცესი როდია.

ადმინისტრაციულ პროცესს ადგილი არა აქვს სამართალშემოქმედებითი ფუნქციის განხორციელების პირობებში, ე.ი. იმისათვის, რათა ადმინისტრაციულ-პროცესუალური წესით შეფარდებულ იქნეს მატერიალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმა, საჭიროა მას წინ უძღოდეს უკვე განხორციელებული სამართალშემოქმედება. თუ ადმინისტრაციული პროცესი ნორმის შეფარდების პროცესია, რა თქმა უნდა, იგი სამართალშემოქმედების შემდეგი ეტაპია და ნორმატიული აქტების მიღების პროცედურას არ ემთხვევა. ნორმატიული აქტების მიღება, თავის მხრივ, არავითარი კონკრეტული საკითხის გადაჭრას არ გულისხმობს.

გარდა ამისა, სამართალშემოქმედებითი საქმიანობა მარტო მმართველობის ორგანოებისათვის არ არის დამახასიათებელი. ადმინისტრაციული სამართლის ნორმების შემცველ აქტებს ღებულობენ აგრეთვე ხელისუფლების ორგანოებიც. ყველა ეს საქმიანობა საერთოდ სცილდება სახელმწიფო მმართველობას და, ამდენად, ადმინისტრაციული პროცესის ფარგლებსაც, რომელიც სახელმწიფო მმართველობის შემადგენელი ნაწილია.

ყოველივე აქედან გამომდინარეობს, რომ ნორმატიული აქტების მიღება, სამართალშემოქმედება მმართველობის სფეროში არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ადმინისტრაციულ პროცესად.

სახელმწიფო მმართველობის ფუნქციები ხორციელდება აღმასრულებელ-განმკარგულებელი საქმიანობის ყველა ფორმის მეშვეობით, რომელსაც ადგილი აქვს სახელმწიფოში და არა მხოლოდ ადმინისტრაციული პროცესის საშუალებით. სახელმწიფო მმართველობის ყველა ფორმისათვის დამახასიათებელია სახელმწიფო მმართველობის

¹ Сорокин В. Д. Административно-процессуальное право, М., 1972, стр. 230-231.

ფუნქციის განხორციელება შესაბამის უფლებამოსილებათა ფარგლებში, ამიტომ ეს ნიშანი არ შეიძლება ადმინისტრაციული პროცესის სპეციფიკურ ნიშნად იქნეს მიჩნეული. ადმინისტრაციული პროცესი სახელმწიფო მმართველობის შემადგენელი ნაწილია; იგი სახელმწიფო მმართველობის სხვა ფორმებისაგან განსხვავებით სპეციფიკური თვისებებით ხასიათდება და არა მხოლოდ იმ ზოგადი თვისებებებით, რაც საერთოა სახელმწიფო მმართველობაში.

დიდ ინტერესს იწვევს ადმინისტრაციული პროცესის საკითხების დამუშავება საზღვარგარეთის ქვეყნების იურიდიულ ლიტერატურაში. აღნიშნულ ქვეყნებში მეტ-ნაკლებად კოდირებულია ადმინისტრაციულ-პროცესუალური კანონმდებლობა. საზღვარგარეთის ქვეყნების იურიდიულ ლიტერატურაში ადმინისტრაციული პროცესი გაგებულია ფართო შინაარსით და იგი მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეთა განხილვასთან არ არის დაკავშირებული. რამდენადაც ევროპისა და ამერიკის ბურჟუაზიული ქვეყნების ადმინისტრაციულ-პროცესუალური ლიტერატურის პირველწყაროები ჩვენ არ გაგვაჩნია, ამჯერად დაეკმაყოფილდეთ აღნიშნული ქვეყნების თარგმნილი და ზოგიერთი მოპოვებული ლიტერატურის მიმოხილვით. იუგოსლავიელი ადმინისტრაციისტი ს. პოპოვიჩი თვლის, რომ ადმინისტრაციული პროცესი — ეს არის ადმინისტრაციული წესით გადაწყვეტილების მიღება, ე.ი. მატერიალური ადმინისტრაციული ნორმების შეფარდება მმართველობის ორგანოებში, ხოლო როდესაც სამართლის სხვა დარგების ნორმების შეფარდებას აქვს ადგილი, მაშინ ადმინისტრაციული პროცესი გამოირიცხულია¹.

ადმინისტრაციული პროცესის ასეთი გაგება არასრულყოფილია, ვინაიდან ადმინისტრაციულ პროცესში ადგილი აქვს სამართლის სხვა დარგების ნორმების შეფარდებასაც; ამავე დროს, როგორც აღვნიშნეთ, ადმინისტრაციული წესით გადაწყვეტილების მიღება ადმინისტრაციული პროცესის მხოლოდ ერთ-ერთი სტადიაა და მთლიანად არ მოიცავს ადმინისტრაციულ პროცესს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული ავტორი ადმინისტრაციულ-პროცესუალურ მოქმედებას მიაკუთვნებს ისეთი ხასიათის მოქმედებებს, როგორცაა აღრიცხვა, რეგისტრაცია, აღწერის ჩატარება და სხვ.² აღნიშნული მოქმედებები წარმოადგენენ ტექნიკურ ოპერაციებს,

¹ Попович С. Административное право (общая часть), М., 1968, стр. 293.

² Там же, стр. 295.

მათი მეშვეობით უშუალოდ არ გადაწყდება კონკრეტული ინდივიდუალური საქმეები. ამის გამო ისინი ადმინისტრაციულ პროცესს არ მიეკუთვნება. რა თქმა უნდა, ადმინისტრაციული პროცესიც საჭიროებს ტექნიკური ოპერაციების ჩატარებას (საქმის რეგისტრაცია, გადაწყვეტილებიდან ამონაწერის გაკეთება, კორესპონდენციის გაგზავნა და ა.შ.), მაგრამ ყოველივე ეს არ შეადგენს ადმინისტრაციული პროცესის არსს, რომელიც ინდივიდუალურ, კონკრეტულ საქმეთა განხილვაში მდგომარეობს.

ჩეხი იურისტის ი. ტურეჩეკის აზრით, ადმინისტრაციული პროცესი არის კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ ინდივიდუალურ საქმეთა განხილვა¹, ხოლო კ. სვობოდას მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულ წარმოებას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როდესაც სახელმწიფო მმართველობის ორგანოები კონკრეტულ საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტისას უფარდებენ სამართლის ნორმებს, რასაც შედეგად მოჰყვება ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტების მიღება, შეცვლა ან გაუქმება².

ამრიგად, ჩეხი იურისტები ადმინისტრაციული პროცესის განმარტებისას ეყრდნობიან სამართლის ნორმების შეფარდების ცნებას, კერძოდ, კი ადმინისტრაციული მატერიალური სამართლის ნორმების შეფარდებას. ასეთი შეხედულება ძირითადად სწორია, ვინაიდან ამ შემთხვევაში ადმინისტრაციული პროცესი უკავშირდება როგორც ადმინისტრაციული, ისე სამართლის სხვა დარგების მატერიალური ნორმების შეფარდებას. მაგრამ ვერ დავეთანხმებით კ. სვობოდას იმაში, თითქოს კონკრეტული ადმინისტრაციული საქმის განხილვისას ყველა შემთხვევაში აქვს ადგილი ადმინისტრაციული აქტების მიღებას, შეცვლას ან გაუქმებას. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მთელ რიგ შემთხვევებში ინდივიდუალური საქმეები მმართველობის ორგანოებში განიხილება ადმინისტრაციული აქტების მიღების, გაუქმებისა თუ შეცვლის გარეშე. ამასთან, სამართლის სხვადასხვა დარგის ნორმების შეფარდებისას საქმე გვაქვს არა მხოლოდ ადმინისტრაციულ-ინდივიდუალურ, არამედ სხვა ხასიათის ინდივიდუალურ საქმეთა გადაწყვეტასთან. ზემოთ დასახელებულ ავტორთა მოსაზრებები გამოძინარეობენ ადმინისტრაციული პრო-

¹ „Бюллетень чехословацкого права“, 1955, №4, стр. 257.

² Свобода К. Основные вопросы административного производства (на примере Чехословакии). Автореферат кандидатской диссертации, М., 1960, стр. 7.

ცესის ფართო ცნებიდან, უკავშირებენ რა მას მმართველობის ორგანოებში ყველა კატეგორიის ინდივიდუალურ საქმეთა გადაწყვეტას.

შენიშვნას იწვევს აღნიშნულ ჩეხ იურისტთა მოსაზრება იმის შესახებაც, რომ ადმინისტრაციულ პროცესს ადგილი აქვს მხოლოდ სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მუშაობაში, როგორც ცნობილია, ადმინისტრაციულ-პროცესუალურ საქმიანობას ეწვეიან აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებები, ორგანიზაციები და სასამართლოები.

ადმინისტრაციული აქტების მიღებას უკავშირებს ადმინისტრაციულ პროცესს უნგრელი მეცნიერი ფ. ტოლდიც¹. იგი აიგივებს ადმინისტრაციულ პროცესს მის ორ სტადიასთან, კერძოდ, გადაწყვეტილების მიღებასა და მის აღსრულებასთან. ადმინისტრაციული პროცესის ასეთი გაგება კი მის ფარგლებს გარეთ ტოვებს მის ისეთ სტადიებს, როგორცაა ადმინისტრაციული საქმის აღძვრა, განხილვა და სხვ. პოლონელი მეცნიერები ე. ისერზონი, ე. სტაროსციაკი და სხვ. ადმინისტრაციულ პროცესს განმარტავენ როგორც ადმინისტრაციული აქტის მიღების პროცესს.

ადმინისტრაციული პროცესის ახსნა, ადმინისტრაციული აქტების გამოცემის თვალსაზრისით უფრო მართებულია, ვიდრე ადმინისტრაციულ იურისდიქციასთან მისი დაკავშირება. ადმინისტრაციული იურისდიქცია ფართო ცნებაა, იგი მოიცავს სახელმწიფო მმართველობის მრავალფეროვან ფორმებს, გამოხატავს მმართველობის ორგანოს (და არა დაწესებულების, ორგანიზაციის ან საწარმოს) უფლებამოსილებას გარკვეული უფლებებისა და ფაქტების იურიდიული შეფასებისა და გადაწყვეტის საქმეში. ადმინისტრაციული აქტის მიღება კი ყოველთვის კონკრეტული საქმის გადაწყვეტასთანაა დაკავშირებული.

ვფიქრობთ, არასწორია ე. სტაროსციაკი, როდესაც ადმინისტრაციული პროცესის ამოსავალ წერტილად ადმინისტრაციული იძულების გამოყენებას მიიჩნევს². ჩვენი აზრით, უფრო სწორი პოზიციებიდან გამოდის ი. ბორკოვსკი, რომელიც ადმინისტრაციულ პროცესს იმ ორგანოთა საქმიანობას უკავშირებს, რომელიც ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ საქმეებს განიხილავს³.

¹ Обзор венгерского права, 1958, №1, стр. 12.

² Старосцьяк Е. Институты административного процесса европейских социалистических стран, „Советское государство и право“, 1964, №7, стр. 122.

³ Борковский И. Институты и структура процесса административного делопроизводства - Studia Prawno-Ekonomiczne, t. V. Lodz, 1970, стр. 253.

გარკვეულ ინტერესს იწვევს ბულგარელი ადმინისტრაციისტივისტების 3. სტაინოვისა და ა. ანგელოვის შეხედულება ადმინისტრაციულ პროცესზე, მათი აზრით, ადმინისტრაციული პროცესი ისეთ პროცედურას წარმოადგენს, რომელიც დაკავშირებულია იურიდიული აქტების მიღებასთან. ადმინისტრაციული პროცესი სასამართლო საქმისწარმოების გამარტივებული ფორმაა: ამ დროს ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ გამოტანილი დადგენილება მართლმსაჯულების აქტია¹. ასეთი მტკიცება მართებულია. ადმინისტრაციული პროცესი, მართლაც საქმის წარმოების გამარტივებული ფორმაა, იგი სასამართლო წარმოების ფორმასაც წარმოადგენს და ამიტომ არ შეიძლება მისი სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის პროცესის გამარტივებულ ფორმად დაყვანა. ისიც მართალია, რომ ადმინისტრაციულ პროცესს ახასიათებს პროცესუალური სამართლის საერთო დამახასიათებელი ნიშნები, მაგრამ, იგი, ამავე დროს, განსხვავდება მათგან სპეციფიკურობით. ეს სპეციფიკურობა, უპირველეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ ადმინისტრაციული პროცესი ინდივიდუალურ საქმეთა გადაწყვეტის ორგანიზაციული, აღმასრულებელ-განმკარგულებელი საქმიანობის ფორმაა. გარდა ამისა, ადმინისტრაციული პროცესი არ შეიძლება დაკავშირებულ იქნეს იურიდიული ხასიათის ყოველგვარი აქტის გამოცემასთან, კერძოდ, ნორმატიული აქტის მიღებასთან.

ადმინისტრაციული პროცესის განსხვავება სხვა საქმიანობისაგან ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებისას ადმინისტრაციული აქტის მიღების თვალსაზრისით შეუძლებელია. ადმინისტრაციული სახდელის დაკისრება შეიძლება ადმინისტრაციული აქტის მიღების საფუძველზე, ამიტომ ეს ორი მომენტი ერთდროულია. გარდა ამისა, მმართველობის აქტის ცნება უფრო ფართოა, ვიდრე ადმინისტრაციული აქტისა, რომელიც ადმინისტრაციულ-პროცესუალურ ფორმებში მიიღება. ამიტომ მმართველობის აქტის მიღების პროცედურა მხოლოდ ნაწილობრივ მოიცავს ადმინისტრაციულ პროცესს. ამასთან, ადმინისტრაციული აქტის, როგორც მმართველობის აქტის ერთ-ერთი სახის მიღება ყოველთვის არ არის დაკავშირებული ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებასთან, ადმინისტრაციული აქტი ხშირ შემთხვევაში არ ატარებს ადმინისტრაციული იძულების ხასიათს.

რაც შეეხება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ დავას ადმინისტრაცი-

¹ Стайнов П. Ангелов А. Административное право НРБ (Общая часть), Госюриздат, 1960, стр. 371, 392, 399, 414.

ულ პროცესში, უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დავა უფრო ვიწრო ცნებაა, ვიდრე ადმინისტრაციული პროცესი, ვინაიდან იგი მოიცავს დარღვეულ უფლებათა და ინტერესების ადმინისტრაციულ-სამართლებრივ დაცვას, მაშინ, როდესაც ადმინისტრაციული პროცესი სცილდება დაცვის ამ ფარგლებს. ფრანგი ადმინისტრაცივისტები ჟ. ვედელი და გ. ბრებანი ადმინისტრაციულ პროცესად მიიჩნევენ ადმინისტრაციული დაგების განხილვას¹.

ამრიგად, იურიდიულ ლიტერატურაში ადმინისტრაციული პროცესის განმარტებისას ზოგჯერ ვაწყდებით ორ უკიდურესობას: ადმინისტრაციული პროცესი ან მეტისმეტად ფართოდაა წარმოდგენილი და იგი გაიგივებულია სახელმწიფოს აღმასრულებელ-განმკარგულებელ საქმიანობასთან, ან კიდევ მეტისმეტად შეზღუდულია ეს ცნება და იგი დაყვანილია მხოლოდ ზოგიერთი კატეგორიის ინდივიდუალურ საქმეთა, კერძოდ, ადმინისტრაციული გადაცდომისა და ადმინისტრაციული დავის განხილვამდე მმართველობის ორგანოებში.²

ადმინისტრაციული პროცესის არც გაფართოებული და არც შეზღუდული ცნება, ჩვენი აზრით, არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს. აზრთა სხვადასხვაობა ამ საკითხში ობიექტურად ხელს უშლის ადმინისტრაციულ-პროცესუალური კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის ამოცანებს.

ადმინისტრაციული პროცესის თეორიის დამუშავება უნდა წარმოებდეს ადმინისტრაციული პრაქტიკის მოთხოვნილებათა საფუძველზე, სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა ადმინისტრაციულ-პროცესუალური საქმიანობის პრაქტიკა კი მოწმობს, რომ ადმინისტრაციული პროცესი დაკავშირებული უნდა იყოს მმართველობის სფეროში წამოჭრილ ყველა ინდივიდუალურ საქმეთა გადაწყვეტასთან. ამიტომ ადმინისტრაციულ პროცესში ჩვენ ვგულისხმობთ სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებში, საწარმოებსა და სასამართლოებში იმ ინდივიდუალურ-კონკრეტულ საქმეთა განხილვასა და გადაწყვეტას, რომლებიც მმართველობის სფეროში წამოიჭრება და გადაწყდება ადმინისტრაციული სამართლისა და სამართლის სხვა დარგების ნორმების შეფარდების გზით.)

¹ Ж. Ведель. Административное право Франции. М., 1973, стр. 57, Г Брэбан, Французское административное право, М., 1988, стр. 439.

² იხ. დაწერილებით ლორია В А Административный процесс и его кодификация, изд. ТГУ, Тбилиси, 1986 стр. 6-74.

ადმინისტრაციული პროცესის სპეციფიკურობა მდგომარეობს მმართველობის სფეროში წამოჭრილ ინდივიდუალურ საქმეთა განხილვაში. ადმინისტრაციული პროცესი, როგორც აღნიშნული იყო, აღმასრულებელ-განმკარგულებელი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს, მისი შემადგენელი ნაწილია. ადმინისტრაციული პროცესის მეშვეობით უზრუნველყოფილია მმართველობის ორგანოთა ფუნქციების განხორციელება. მმართველობის კონკრეტული საკითხების ოპერატიული გადაწყვეტა, მოქალაქეთა და ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა და განმტკიცება.

სახელმწიფო მმართველობა საქმიანობის მრავალ ფორმასა და მეტოდს მოიცავს. ამ მრავალფეროვან აღმასრულებელ-განმკარგულებელ საქმიანობაში ყოველდღიურად წამოიჭრება სხვადასხვა ხასიათის მრავალრიცხოვანი ინდივიდუალურ-კონკრეტული საქმე, რომელიც ადმინისტრაციულ-პროცესუალურ გადაწყვეტას საჭიროებს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო მმართველობა მთლიანად დაიყვანება კონკრეტულ-ინდივიდუალურ საქმეთა გადაწყვეტამდე, ორგანიზაციული ხელმძღვანელობა, აღმასრულებელ-განმკარგულებელი საქმიანობა მოიცავს მმართველობის ამოცანების ურთიერთშეთანხმებისა და აღსრულების ორგანიზაციას. ამ ორგანიზაციული საქმიანობის დროს ხშირად წამოიჭრება ისეთი კონკრეტულ-ინდივიდუალური საკითხები, რომლებიც ზოგადი მატერიალური ნორმების შეფარდების გზით განხილვასა და გადაწყვეტას მოითხოვს. სწორედ ინდივიდუალურ საქმეთა ეს განხილვა და გადაწყვეტა წარმოადგენს ადმინისტრაციულ პროცესს.

ინდივიდუალურ საქმეთა გადაწყვეტის, ანუ ადმინისტრაციული პროცესის გარეშე მმართველობის ორგანოთა საქმიანობა ცალმხრივ ხასიათს ატარებს. იგი მოკლებულია მმართველობის ორგანოზე დაკისრებული ამოცანების ფაქტობრივი განხორციელების შინაარსს. ამიტომ ადმინისტრაციულ პროცესს სახელმწიფო მმართველობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს და მისი სრულყოფა და განვითარება სახელმწიფოს ყოველდღიური ზრუნვის საგანია.

როგორც ყოველგვარი პროცესუალური ფორმა, ადმინისტრაციული პროცესიც ინდივიდუალურ საქმეთა გადაწყვეტის პროცესია. განსახილველი საქმის ინდივიდუალობა განისაზღვრება მისი კონკრეტული შინაარსით, საქმის განხილვის მონაწილეთა კონკრეტული უფლებებითა და მოვალეობებით. ადმინისტრაციულ პროცესში განსახილველ საქმეთა

კონკრეტულობა, ამავე დროს, განხილვაში მონაწილე სუბიექტების კონკრეტულობასაც ნიშნავს. სახელმწიფო მმართველობის ესა თუ ის ორგანო ადმინისტრაციულ-პროცესუალური საქმიანობის განხორციელებისას განსაზღვრავს სუბიექტების კონკრეტულ უფლებებსა და მოვალეობებს, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს საქმის ინდივიდუალურ შინაარსს განაპირობებს, რომელსაც განსაზღვრული ადმინისტრაციულ-პროცესუალური ფორმა გააჩნია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ შეიძლება გავარკვიოთ ადმინისტრაციულ-პროცესუალური სამართლის რეგულირების საგანი.

ადმინისტრაციულ-პროცესუალური საქმიანობა მოწესრიგებულია ადმინისტრაციულ-პროცესუალური სამართლის მეშვეობით. მაგრამ ამ უკანასკნელს არ შეუძლია მოაწესრიგოს ადმინისტრაციული პროცესის განმახორციელებელი ორგანოს მთელი საქმიანობა. ადმინისტრაციულ-პროცესუალური საქმიანობის განხორციელებისას წარმოიშობა არა მხოლოდ ადმინისტრაციულ-პროცესუალური ურთიერთობები, არამედ შესრულდება ისეთი მოქმედებებიც, რომელთაც პროცესუალური თვალსაზრისით მნიშვნელობა არა აქვს (მაგალითად, ტექნიკური ოპერაციები). მაგრამ პროცესუალური მოქმედებები სამართლებრივი მოწესრიგების გარეშე არ არსებობს; სახელმწიფო თვითონ ადგენს მატერიალური ნორმების რეალიზაციის პროცესუალურ წესს¹. ამიტომ, რომ ადმინისტრაციულ-პროცესუალური საქმიანობა ყოველთვის ადმინისტრაციულ-პროცესუალური სამართლითაა მოწესრიგებული. ადმინისტრაციულ-პროცესუალური საქმიანობის დამოუკიდებელი ბუნების გამო სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა სისტემაში სავსებით შესაძლებელი და აუცილებელია გაიმიჯნოს ადმინისტრაციულ-პროცესუალური სამართლის რეგულირების საგანი. ეს საგანია ადმინისტრაციულ-პროცესუალური ურთიერთობები, რომელთა თავისებურება განისაზღვრება საზოგადოებრივი ცხოვრების იმ სფეროთი, რომელშიც ეს ურთიერთობები წარმოიშობა. ეს სფერო კი არის სახელმწიფო მმართველობა, რის გამოც ადმინისტრაციულ-პროცესუალური ურთიერთობა არის მმართველობითი, ორგანიზაციული ხასიათის. წარმოიშობა რა მმართველობის სფ-

¹ იხ. Строгович М.С. Курс советского уголовного процесса, М., 1958, стр. 43; Элькин П.С. Сущность советского уголовно-процессуального права, изд. ЛГУ, 1963, с.8 и др.

ეროში, ადმინისტრაციულ-პროცესუალური ურთიერთობები მიმართულია მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვისაკენ, მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ, სამართალდამრღვევთა გამოსწორებისაკენ და სხვა. ყოველივე ეს კი შეიძლება მივიჩნიოთ ადმინისტრაციული პროცესუალური ურთიერთობების ობიექტებად.

ადმინისტრაციულ-პროცესუალური სამართალი არეგულირებს მმართველობის სფეროში წამოჭრილ პროცესუალურ ურთიერთობებს, მაგრამ მისი რეგულირების საგანი არაა ამ სფეროში არსებული მატერიალური სამართლებრივი ურთიერთობები, რომლებიც მოწესრიგებულია მატერიალური სამართლის ნორმებით, ხოლო დაცულია ადმინისტრაციულ-პროცესუალური სამართლით. ამიტომ არასწორია შეხედულება, რომ თითქოს ადმინისტრაციულ-პროცესუალური სამართლის რეგულირების საგანია ფაქტობრივად არსებული მატერიალური სამართლებრივი ურთიერთობები, რომლებიც თითქოს ადმინისტრაციულ-პროცესუალური ურთიერთობების მატერიალურ შინაარსს შეადგენენ¹ ადმინისტრაციულ-პროცესუალური სამართლებრივი ურთიერთობების მატერიალურ შინაარსს წარმოადგენს სწორედ ის საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც პროცესუალური ნორმებით მოწესრიგების შემდეგ ადმინისტრაციულ-პროცესუალურ ურთიერთობებად იქცევა, ხოლო ამ უკანასკნელის იურიდიულ შინაარსს შეადგენს ურთიერთობის მონაწილეთა პროცესუალური უფლებები და მოვალეობები. ამასთან ერთად, ადმინისტრაციულ-პროცესუალური ურთიერთობების სუბიექტების მატერიალური უფლებები და მოვალეობები არ შეიძლება იყოს ადმინისტრაციულ-პროცესუალური ურთიერთობის შინაარსი, ვინაიდან ადმინისტრაციული პროცესი სუბიექტების მატერიალური უფლებებისა და მოვალეობების ცხოვრებაში რეალიზაციის ფორმაა, რაც გამოიხატება ინდივიდუალურ საქმეთა განხილვასა და გადაწყვეტაში სუბიექტების პროცესუალური უფლებებისა და მოვალეობების საფუძველზე, განუსაზღვრელად მათი მატერიალური უფლებებისა და მოვალეობებისა კონკრეტულად განსახილველ ინდივიდუალურ საქმეში.

სწორედ ამ გაგებით აღვნიშნავდით ჩვენ, რომ ინდივიდუალურ საქმეთა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ფორმები არ არის დამოკიდებული

¹ იხ. Сорокин В. Д. Административно-процессуальное право, М., 1972, с. 62; Краснов Н. И. Иконнищкая И. А. Процессуальные вопросы советского земельного права, М., 1975, с. 22.

ამ საქმეთა კონკრეტულ მატერიალურ შინაარსზე, რომ ადმინისტრაციული საჩივარი შეიძლება იყოს საფინანსო-სამართლებრივი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, მიწის-სამართლებრივი და სხვა შინაარსის, მაგრამ ყველა შემთხვევაში ამ შინაარსის გამოვლინების ფორმა არის ერთი – ადმინისტრაციული საჩივარი. ამ დებულებას ჩვენ გვიკრიტიკებენ იმ გაგებით, რომ ადმინისტრაციულ-პროცესუალური ნორმები მჭიდრო კავშირშია შესაბამის მატერიალურ ნორმებთან, რომ „ყველა ისინი გამოიცემა ერთ ნორმატიულ აქტში და ყოველთვის არაა შესაძლებელი მათი ერთმანეთისაგან გამოცალკევება“¹. მატერიალური და პროცესუალური ნორმები რომ ერთ ნორმატიულ აქტში გვხვდება, ეს კანონმდებლის დაბალი იურიდიული კულტურის შედეგია, ხოლო ეს ფაქტი სრულებითაც არ მეტყველებს ადმინისტრაციულ-პროცესუალური ურთიერთობების მატერიალურ შინაარსად სუბიექტების მატერიალური უფლებებისა და მოვალეობების მიჩნევას. მიუხედავად იმისა, რომ ერთ ნორმატიულ აქტში ხშირად გვხვდება ადმინისტრაციული მატერიალური და ადმინისტრაციულ-პროცესუალური ნორმები, ამ ნორმებისაგან ურთიერთობები ცალ-ცალკეა მოწესრიგებული (ცალკე მატერიალური და ცალკე პროცესუალური). ერთ ნორმატიულ აქტში ნორმების აღრევა სამართლებრივი მოწესრიგების აღრევას როდი იწვევს. მატერიალური ნორმა არ შეიძლება აწესრიგებდეს პროცესუალურ ურთიერთობებს და, პირიქით, პროცესუალური ნორმა – მატერიალურ ურთიერთობებს. ამიტომაც ადმინისტრაციულ-პროცესუალური ურთიერთობების იურიდიული შინაარსი არის სუბიექტების არა მატერიალური უფლებები და მოვალეობები, არამედ მათი პროცესუალური უფლებები და მოვალეობები. სხვაგვარად საკითხის ახსნა თეორიულ შეცდომამდე მიგვიყვანს.

ადმინისტრაციული პროცესის გაგებაში არათანმიმდევრულობა გამოწვეულია იმით, რომ მეცნიერები ხშირად ურევენ ერთმანეთში პროცესსა და პროცედურას, ავიგებენ რა მათ, და ამით შეცდომას უშვებენ. ბ.მ. ლაზარევი, კერძოდ, აღნიშნავს, რომ სამართლებრივი ნორმებით პროცედურების განმტკიცებისა და დადგენის შედეგად ისინი იურიდიულ მოვლენას წარმოადგენენ და მართლწესრიგის პროცესუალურ ელემენტებად იქცევიან, რომ „სამართლებრივი ნორმები, რომლებიც განამტკიცებენ და ადგენენ პროცედურებს და, მაშასადამე, შეიცავენ

¹ იხ. Управленческие процедуры, под ред. Б.М. Лазарева, М., 1988, с. 26.

პროცესის იდეალურ მოდელებს, წარმოადგენენ პროცედურულ და, ამავე დროს, პროცესუალურ ნორმებს¹. ი.ა. ტიხომიროვი ადმინისტრაციულ-პროცესუალურ-პროცედურული ნორმების კლასიფიკაციასაც კი ახდენს. იგი თვლის, რომ ადმინისტრაციულ-პროცესუალური ნორმების კლასიფიკაცია ფორმის მიხედვით, რომელიც ამ ნორმათა მიზნობრივ და ფუნქციონალურ დანიშნულებას გამოხატავს, შეიძლება დაეუკავშიროთ, „ჯერ ერთი, საერთო პროცედურებს (რეგლამენტები, წესები) აღმასრულებელი ორგანოებისა და სხვა ორგანიზაციების მუშაობაში, მეორეც, სპეციალურ პროცედურებს, ამა თუ იმ საქმეთა (მიწის, საბინაო და სხვ.) გადაწყვეტის წესს, მესამეც, კოლიზიურ პროცედურებს, რომლებიც ეძღვნება კოლიზიურ, კონფლიქტურ სიტუაციასა და დაევების განხილვას“², როგორც ჩანს, თავის სქელტანიან წიგნში იური ტიხომიროვი თავს უყრის ყოველგვარ პროცედურულ საქმიანობას, რომელიც კი შეიძლება არსებობდეს სახელმწიფო მმართველობის სისტემაში და მას მიიჩნევს ადმინისტრაციულ-პროცესუალურ საქმიანობად, რამდენადაც ადმინისტრაციულ-პროცესუალური ნორმებით არის, მისი აზრით, მოწესრიგებული. ადმინისტრაციული პროცესისა და მისი მომწესრიგებელი ნორმების ამგვარი გაგება აზრს მოკლებულია შემდეგი გარემოებების გამო, კერძოდ:

ნებისმიერი იურიდიული პროცესი არის ინდივიდუალური საქმის განხილვისა და გადაწყვეტის პროცესი. იქ, სადაც არ არის ინდივიდუალური საქმე, ანუ ინდივიდუალური სუბიექტების კონკრეტული უფლებები და მოვალეობები, კონკრეტული მათი მოთხოვნები თუ ვალდებულებები, იურიდიულ პროცესზე ლაპარაკი ზედმეტია. ინდივიდუალური საქმის გარეშე ადმინისტრაციული ორგანო, როგორც აღვნიშნეთ, ახორციელებს ორგანიზაციული ხასიათის მოქმედებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული კონკრეტული პირის კონკრეტული საკითხის გადაწყვეტასთან, არამედ წარმოადგენს ზოგადი ხასიათის მმართველობითი ფუნქციებისა და ფორმების გამოყენებას კონკრეტული სუბიექტების უფლება-მოვალეობების გარეშე. მაგალითად, ადმინისტრაციული ორგანო ღებულობს ღებულებას საფინანსო კონტროლის ჩატარების ორგანიზაციის შესახებ. ეს ღებულება არ შეეხება რომელიმე კონკრეტ-

¹ Управленческие процедуры, под ред. Б.М. Лазарева, М., 1988, стр. 5.

² Тихомиров Ю.А. Курс административного права и процесса, изд. господина Тихомирова М. Ю., Москва, 1998г. стр. 738.

ულ პირს, არამედ წარმოადგენს ზოგად აქტს, რომლითაც უნდა ნაწიგებლობდეს მოცემული ორგანოს ყველა თანამდებობის პირი საფინანსო კონტროლის ჩატარებისას. ასეთი აქტის მიღებისა და რეალიზაციის დროს განხორციელებული ორგანიზაციული მოქმედებები წარმოადგენენ არა პროცესუალურს, არამედ სხვა ხასიათის ფუნქციონალურ მოქმედებებს (საკონტროლო მოქმედებებს), რომელთაც შეიძლება უკავშირდებოდეს ფუნქციის განხორციელების თანმიმდევრობა, პროცედურული მოქმედებები. პროცედურა, მოქმედების თანმიმდევრობა ყოველგვარ ადამიანურ საქმიანობას ახასიათებს, მაგრამ ამიტომ ადამიანები მხოლოდ იურიდიულ-პროცესუალურ ურთიერთობებში როდი იმყოფებიან სხვა სუბიექტებთან. ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრების პროცედურა მთელი რიგი თანმიმდევრული მოქმედებებისაგან შედგება, მაგრამ ამას არაერთარი კავშირი არა აქვს იურიდიულ პროცესთან.

ი.ა. ტიხომიროვის მიერ ჩამოთვლილი პროცედურები, საერთო პროცედურის გარდა, წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების სახეებს, კერძოდ, „სპეციალური პროცედურა“ მიწის, საბინაო და სხვა საქმეთა გადაწყვეტის შესახებ არის მოქალაქეთა განცხადებების საქმეთა წარმოებებში, „კოლიზიური პროცედურა“ არის ადმინისტრაციული გადაცდომისა და ადმინისტრაციული დავების საქმეთა წარმოება და სხვა. ადმინისტრაციული წარმოების ეს სახეები, რა თქმა უნდა, ადმინისტრაციულ პროცესს განეკუთვნება, მაგრამ ისინი არაა მხოლოდ პროცედურები, საქმის გადაწყვეტის მხოლოდ ტექნიკური ოპერაციები; ასეთი შეხედულება ადმინისტრაციულ პროცესზე, მისი დაყვანა ტექნიკურ პროცედურებამდე აღარიბებს იურიდიულ პროცესს, იგი სამართლებრივი მოვლენის ჩარჩოებიდან გამოჰყავს, ვინაიდან პროცედურა, საქმის თანმიმდევრობის დაცვა, მისი ტექნიკური აღსრულების უზრუნველყოფა ხშირად სამართლებრივი ნორმებით არაა მოწესრიგებული. პროცედურა წმინდა იურიდიული ინსტიტუტი არაა, იგი მეტწილად არასამართლებრივია, თუმცა შეიძლება არსებობდეს ტექნიკური სამართლებრივი ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ არა პროცესუალურ მოქმედებებს, არამედ ტექნიკურ თანმიმდევრობას. მაგალითად, სასამართლოში შემოღებულია საკანცელარიო საქმისწარმოების, სხდომის ოქმის გაფორმებისა და შენახვის და სხვა წესები, მაგრამ ეს წესები არც ერთ საპროცესო კოდექსში არაა გათვალისწინებული. ამიტომ პროცედურული მოქმედებები პროცესუალური მოქმედებები არ შეიძლება იყოს და ადმინის-

ტრაციულ საქმისწარმოებათა სახეებს არ შეიძლება ეწოდოს პროცედურის სახეები. იურიდიულ ცნებათა და ტერმინთა აღრევა იწვევს სამართლებრივ ნიჰილიზმსა და არასწორ დასკვნებს, რასაც ჩვენ ხშირად ვამჩნევთ ზემოთ აღნიშნულ ავტორთა შრომებში. მაგალითად, ი. ტიხომიროვი პროცესისა და პროცედურის ცნებების აღრევის გამო მიდის შერეული იურიდიული პროცესის არსებობამდე სასამართლო მართლმსაჯულების განხორციელების დროს, რაც არასწორია და ნიჰილისტური თეორიაა, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული.

ამრიგად, ადმინისტრაციული პროცესი არის მხოლოდ მმართველობის სფეროში წამოჭრილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ფორმების მქონე ინდივიდუალური საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის პროცესი, რასაც ახორციელებენ როგორც ადმინისტრაციული ორგანოები, ისე სასამართლოებიც. ადმინისტრაციულ პროცესს, მისი მრავალი წარმოების სახეთა გამო, მრავალი სამართლებრივი წყარო გააჩნია. ერთიანი ადმინისტრაციულ-პროცესუალური აქტი, რომელიც მოაწესრიგებდა ადმინისტრაციული წარმოების ყველა სახეს, ჩვენ არა გვაქვს. საფრანგეთში ეს საკითხი გადაწყვეტილია სხვაგვარად. კერძოდ, აქ მოქმედებს 1973 წლის 13 ივლისის დეკრეტით დამტკიცებული კოდექსი ადმინისტრაციული ტრიბუნალებისა და საჩივრების ადმინისტრაციული წარმოების შესახებ¹, რომელსაც, თავის მხრივ, თან ერთვის ცალკეული დეკრეტი, აგრეთვე 1889 წლის 22 ივლისი! კანონი სახელმწიფო საბჭოს შესახებ², რომელიც ადმინისტრაციული ტრიბუნალების უმაღლესი ორგანოა. მამასადამე, ადმინისტრაციული წარმოების სახეები საფრანგეთში ცალკე კანონმდებლობით არაა მოწესრიგებული, არამედ ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოების საქმიანობის მომწესრიგებელ აქტებშია გათვალისწინებული ადმინისტრაციულ საქმეთა წარმოებები, როგორც ეს ადმინისტრაციული ტრიბუნალების შესახებ კოდექსშია ან კიდევ 1998 წლის 25 სექტემბრის კანონშია მოცემული რეგიონული საანგარიშო პალატების შესახებ.

საქართველოში ადმინისტრაციული წარმოების ცალკეული სახეები მოწესრიგებულია ცალკეული კანონებით. კერძოდ, განცხადებების საქმეთა წარმოება მოწესრიგებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, რომელიც ასევე აწესრიგებს ადმინისტრაციული საჩივრების საქმისწარ-

¹ იხ. Codes Dalloz, Code Administratif, 22-me ed. 1992, p. 481-529.

² იქვე, გვ. 530-564.

მოებას; სამსახურებრივი დაკომპლექტებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საქმეთა წარმოების საკითხები გათვალისწინებულია 1997 წლის 31 ოქტომბრის კანონში „საჯარო სამსახურის შესახებ“; ადმინისტრაციული დაევების საქმეთა წარმოებას არეგულირებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი; წახალისების საქმეთა წარმოება გათვალისწინებულია საკანონმდებლო აქტებში სახელმწიფო ჯილდოების შესახებ, აგრეთვე ცალკეულ საუწყებო ნორმატიულ აქტებში; ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საქმეთა წარმოება მოწესრიგებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, ხოლო ადმინისტრაციული აღმკვეთი და ადმინისტრაციული გამაფრთხილებელი ღონისძიებათა გამოყენების საქმეებისა, – როგორც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, ისე ცალკეული კანონებით პოლიციის შესახებ, იარაღის შესახებ და სხვა ნორმატიული აქტებით. რაც შეეხება მატერიალური ზიანის ანაზღაურების საქმეთა წარმოებას, იგი მოწესრიგებულია უწყებრივი ნორმატიული აქტებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმათა გათვალისწინებით. სერტიფიკატების გაცემისა და თანამდებობის პირთა იმპიჩმენტის საქმეთა წარმოება გათვალისწინებულია შესაბამის კანონებში სერტიფიკატებისა და იმპიჩმენტის შესახებ. ერთდერთია წინადადებებისა და მიმართვების საქმეთა წარმოება, რომელიც სპეციალური აქტებით არაა მოწესრიგებული და მისი ცალკეული საკითხები გათვალისწინებულია დებულებებსა თუ ინსტრუქციებში ადმინისტრაციული ორგანოების შესახებ, აგრეთვე კანონებში სიტყვის, პრესის, პოლიტიკურ გაერთიანებათა შესახებ და სხვ.

§ 2. ადმინისტრაციული პროცესის პრინციპები

ეს პრინციპები მოცემულია მოქმედ კანონმდებლობაში, განსაკუთრებით კი კანონმდებლობაში ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ. კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-300 მუხლი აწესებს კანონისა და საქმის განმხილველი ორგანოს წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის პრინციპს, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ღია განხილვას, საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას, აგრეთვე კანონებით ხელმძღვანელობას, 317-ე მუხლი – მშობლიურ ენაზე გამოსვლის უფლებას, იგივე მუხლი და 323-ე მუხლი ასევე აწესებენ ადვოკატის მონაწილეობას ადმინისტრაციულ პროცესში,

ასევე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი აწესებს კანონის წინაშე თანასწორობის (მუხლი მე-4), უფლებამოსილების (მუხლები მე-5 და მე-6), საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტის (მუხლი მე-8), საქვეყნოობის (მუხლი მე-10), კონფიდენციალობას (მუხ. 11) და სხვ. პრინციპებს, ხოლო ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსი – შეჯიბრებითობის (მუხლი მე-4), დისპოზიტიურობის (მუხლი მე-3), დაჩქარებული საქმისწარმოების (მუხლი 28-ე) და სხვა პრინციპებს.

აქ ჩამოთვლილი პრინციპები სრულყოფილი არაა, ადმინისტრაციულ პროცესში არსებობს სხვა პრინციპებიც, რომლებიც განაპირობებენ ამ პროცესის დემოკრატიულ ბუნებას. ფრანგი ადმინისტრაცივისტი გუი ბრეპანი ასახელებს ადმინისტრაციული პროცესის ისეთ პრინციპებს, როგორცაა: სასამართლო წარმოების ინკვიზიციური პრინციპი, რაც ნიშნავს სასამართლოს დომინირებას პროცესში, რომ სასამართლო ხელმძღვანელობს საქმის განხილვას და უფლება აქვს მოიძიოს და გამოიკვლიოს მტკიცებულებანი. შემდეგ პრინციპად ავტორი ასახელებს საქმისწარმოების საიდუმლოებას, რომლითაც თავიდან აცილებულია მოქალაქის ინტიმური საიდუმლოების გამჟღავნება. განხილულია აგრეთვე წერილობითი საქმისწარმოების პრინციპი, რომელშიც იგულისხმება საქმის განხილვა მხოლოდ განცხადებასა თუ სარჩელში ჩაწერილი გარემოებების გამო, მხოლოდ იმ დოკუმენტებითა და იმ მოთხოვნების გარშემო, რომლებიც საქმეშია წერილობით წარმოდგენილი, ე.ი. სასამართლოს, ამ პრინციპის თანახმად, არ შეუძლია დამატებითი გამოძიება ჩაატაროს და გადაწყვიტოს მმართველობის საკითხები ან საქმის სხვა მხარეები, რომლებიც წარმოდგენილი დოკუმენტიდან არ გამომდინარეობს¹.

ჩვენი აზრით, ადმინისტრაციულ პროცესში დაცულ უნდა იქნეს პირველყოლისა შემდეგი პრინციპები:

კანონიერების პრინციპი. ეს პრინციპი გულისხმობს ყველა პროცესულური მოქმედების შესრულებას კანონის შესაბამისად, კანონის მოთხოვნათა ზუსტ და განუხრელ დაცვას პროცესის ყველა მონაწილის მიერ, დაუშვებელია ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების ისეთი მოქმედების შესრულება, რომელიც კანონში გათვალისწინებული არ არის. ადმინისტრაციული პროცესი მმართველობის იურიდიული ფორმაა და ყველა პროცესულური მოქმედება სამართლითაა რეგლა-

¹ Брэбан Г. Французское административное право, М., 1988, стр. 447-451; Ascencio P. La reforme du droit de la nationalité, Problèmes d'Amérique Latine, № 4110-4111, 1974, 15 sept.

მენტირებული. ამიტომ კანონიერების პრინციპის დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადმინისტრაციულ წარმოებაში, რომელიც გულისხმობს არა მარტო კანონიერი გადაწყვეტილების გამოტანას, არამედ კანონიერად გამოტანასაც.

საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის პრინციპი. აღნიშნული პრინციპი შეესაბამება სისხლის სამართალსა და სამოქალაქო პროცესში აღიარებულ ანალოგიურ პრინციპს. იგი გულისხმობს, რომ ადმინისტრაციული საქმე უნდა გადაწყდეს მისი მხოლოდ ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის შემდეგ, როცა ყველა მონაცემი მოპოვებულია, შესწავლილია და ობიექტურადაა გადაჭრილი.

ადმინისტრაციულ პროცესში მონაწილე სუბიექტების თანასწორობა კანონის წინაშე და მხარეების უთანასწორობა ერთმანეთის მიმართ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია ადმინისტრაციული გადაცდომის საქმის წარმოებისას. ადმინისტრაციულ პროცესში საერთოდ, კერძოდ კი ადმინისტრაციული გადაცდომის წარმოებისას მხარეებად ითვლებიან მმართველობის ორგანო (თანამდებობის პირი) და მოქალაქე. საქმის განმხილველ ორგანოს უფლება აქვს და მის მოვალეობასაც შეადგენს განიხილოს კონკრეტული დარღვევის საქმე, უზრუნველყოს დარღვეული უფლების აღდგენა, მართლწესრიგის დამყარება. აქ მმართველობის ორგანო გამოდის როგორც სპეციალურად დაინტერესებული მხარე, რათა უზრუნველყოს თავისი კომპეტენცია და წესრიგის დამყარება. ხოლო, მეორე მხარე, მოქალაქე დამოკიდებულია მმართველობის ორგანოზე, რომელიც განსაზღვრავს მოქალაქის პასუხისგებაში მიცემასა თუ შესაბამისი უფლების დაცვას. იურიდიულ სხვა პროცესში სასამართლო მხარე არაა, აქ მხარეებად გამოდიან მოდავე სუბიექტები ან სახელმწიფო ბრალმძებელი და სამართალდამრღვევი. სასამართლო კი წყვეტს საკითხს კანონიერების შესაბამისად და განახორციელებს მართლმსაჯულებას, მხარეების დავის სამართლიან გადაწყვეტას, ასეთ დროს მხარეები თანასწორია.

ადმინისტრაციულ პროცესში კი საქმის განმხილველი ორგანო თვითონაა მხარე, ვინაიდან წამოჭრილი საკითხი (კონკრეტული სამართალდარღვევის გადაწყვეტა) მის კომპეტენციაში შედის. იგი დაინტერესებულია სახელმწიფოს ინტერესებით. ამიტომ მოქალაქე ასეთ პროცესში ექვემდებარება მმართველობის ორგანოს და პროცესიც ურთიერთდაქვემდებარებულ სუბიექტებს შორის მიმდინარეობს. ეს ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთი მეთოდის გამოვლინებაა.

მხარეთა ურთიერთდაქვემდებარება, როგორც პრინციპი სრულებითაც არ ნიშნავს მმართველობის ორგანოს თვითნებობას. პროცესის მონაწილე ყველა სუბიექტი (თვით საქმის განმხილველი ორგანო) ვალდებულია დაემორჩილოს კანონს, ზუსტად შეასრულოს მისი მოთხოვნები. მაგრამ ამ მოთხოვნების შესრულებისას მოქალაქე ვალდებულია დაემორჩილოს მმართველობის ორგანოს, ხოლო თუ კანონიერების დარღვევას შეამჩნევს, გაასაჩივროს მმართველობის ორგანოს მოქმედება.

ადმინისტრაციული პროცესის დასახელებულ პრინციპს კიდევ უფრო სრულყოფს პროცესის მონაწილეებისათვის უფლებებისა და ინტერესების განხორციელების გარანტიების პრინციპი. იგი გულისხმობს, რომ პროცესის ყველა მონაწილეს უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი მასალები, მათი შემოწმება, ახალი მოწმეების დაკითხვა, გაასაჩივროს არასწორი პროცესუალური მოქმედება და სხვა. მაგრამ პროცესის მონაწილეს უფლება არა აქვს აცილება მისცეს იმ ორგანოს, რომელიც განიხილავს საქმეს. თუ სასამართლოში მხარეს შეუძლია აცილება მისცეს სასამართლოს, ადმინისტრაციულ პროცესში ეს დაუშვებელია, ვინაიდან კონკრეტული საქმის განხილვა განმხილველი ორგანოსა და შესაბამისი თანამდებობის პირის კომპეტენციაში შედის და მის მოვალეობას შეადგენს. ამიტომ მმართველობის ორგანოსა თუ თანამდებობის პირს უფლება არა აქვს აიცილოს საქმე, თავისი მოვალეობა დააკისროს სხვას. მაგრამ, თუ ადმინისტრაციული საქმის განმხილველი თანამდებობის პირი ნათესაურ კავშირშია დამრღვევთან თუ დაზარალებულთან, ან წარმოადგენს მოწმეს საქმეზე, ან სხვაგვარადაა დაინტერესებული საქმით, ასეთ შემთხვევაში მან თვითააცილება უნდა მისცეს თავის თავს, ან ზემდგომმა ორგანომ უნდა ჩამოაშოროს იგი საქმის განხილვას და იგი დააკისროს სხვა თანამდებობის პირს.

საჯაროობის პრინციპი. საჯაროობა მეტწილად ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია. ყველა გადაცდომის საქმე ჩვენში განიხილება ღიად, საჯაროდ, ეს განსაკუთრებით ითქმის კოლევიალურ ორგანოებში საქმის განხილვაზე, ხოლო თანამდებობის პირებთან საქმეთა განხილვისას ეს პრინციპი შედარებით შეზღუდულია, თუმცა აქაც საჭიროა საქმე ყველას თვალწინ იხილებოდეს.

სახელმწიფო ენის პრინციპი ნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საქმე განიხილება მოცემული სახელმწიფოს ენაზე, ქართულ თუ ავტონომი-

ური რესპუბლიკის ეროვნულ ენაზე. ეს პრინციპი განხორციელებულ უნდა იქნეს საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლის შესაბამისად, რომელიც სახელმწიფო ენად აღიარებს ქართულს, ხოლო აფხაზეთში აგრეთვე აფხაზურს.

პროცესის ეფექტურობა, ეკონომიკურობა და სისწრაფე ადმინისტრაციული საქმისწარმოების ერთ-ერთი აუცილებელი პრინციპია. ადმინისტრაციული საქმე მარტივია, რომლის განხილვის გაჭიანურება იწვევს საქმის არსებითი მხარეების მივიწყებას, დამამტკიცებელი საბუთების გაქრობას, მომხდარი ფაქტის შესახებ მოწმეთა არასწორ ჩვენებას და სხვ. ადმინისტრაციული პროცესი ყოველდღიური ცხოვრებისეული საქმეების განხილვის პროცესია, ამიტომ იგი უნდა მიმდინარეობდეს ყოველგვარი ზედმეტობის გარეშე.

ადმინისტრაციულ-პროცესუალური წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის პრინციპიც ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია ადმინისტრაციული საქმისწარმოების დროს. მოქმედი კანონმდებლობა სპეციალურად ითვალისწინებს ადმინისტრაციულ-პროცესუალური წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობას (ცრუ ჩვენებისათვის, არასწორი დასკვნის წარდგენისათვის და სხვა). ამასთან, საჭიროა, მოწმე თუ ექსპერტი გაფრთხილებულ იქნეს, რომ ცრუ ჩვენებისათვის მას დაეკისრება ჯარიმა (რასაც კანონმდებლობა დღეს ითვალისწინებს კიდევ სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლში). მაგრამ თუ თანამდებობის პირი ბიუროკრატიულად ეკიდება ადმინისტრაციული საქმის განხილვას, აჭიანურებს მას, არაობიექტურია საქმისადმი და სხვ. კანონი მის მიმართ მკაცრია და შეიძლება დადგეს დისციპლინური და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხიც.

დაბოლოს, ადმინისტრაციული პროცესის, კერძოდ ადმინისტრაციული გადაცდომის საქმისწარმოების ერთ-ერთი პრინციპია მისი უსასყიდლობა. ყველა ადმინისტრაციულ-პროცესუალური მოქმედება სახელმწიფოს ხარჯზე ხორციელდება. ეს პრინციპი უნდა შეეხოს ადმინისტრაციული წარმოების მეტწილ სახეებს, ადმინისტრაციული დავის საქმისწარმოების გარდა, სადაც მმართველობის ორგანომ ზედმეტი დრო უნდა დახარჯოს სუბიექტის უფლების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად, რაც თავისთავად უნდა ხორციელდებოდეს დაბრკოლების გარეშე. ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში 2001 წლის 2 მარტს განხორციელებული ცვლილებების თანახმად, საჩივრის დაკმაყოფილებისას ად-

ვოკატისა და სხვა წარმომადგენლისათვის გაწეულ ხარჯებს ადმინისტრაციული ორგანო დააკმაყოფილებს თუ მხარე გადახდისუნარიანია (მუხლი 204-ე)¹.

§ 3. ადმინისტრაციული პროცესის სტადიები

ადმინისტრაციულ-პროცესუალური სამართლებრივი ნორმები განეულება სხვადასხვა ხასიათის მოქმედ ნორმატიულ აქტებში, რომლებიც, მატერიალურ ნორმებთან ერთად, შეიცავენ სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა მუშაობაში ინდივიდუალურ საქმეთა გადაწყვეტის წესს. ჩვენში ჯერჯერობით არ არსებობს ყოვლისმომცველი ადმინისტრაციულ-პროცესუალური კანონმდებლობა, სამართლის სხვა დარგებში ამ მხრივ გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა. საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსი აწესრიგებს მხოლოდ სასამართლოში მხოლოდ ადმინისტრაციული დაეების განხილვას.

საზღვარგარეთის ქვეყნებში ადმინისტრაციულ-პროცესუალური კანონმდებლობა დიდი ხანია კოდიფიცირებულია. საფრანგეთში, მაგალითად, მოქმედებს კოდექსი ადმინისტრაციული ტრიბუნალებისა და სააპელაციო წარმოების შესახებ, პოლონეთში კი 1961 წლის ადმინისტრაციულ-პროცესუალური კოდექსი და სხვა.

ადმინისტრაციული პროცესის სტადიების შესახებ მოცემულია სხვადასხვა ნორმატიულ აქტში, რომლებიც უმეტესწილად წინააღმდეგობრივია.

ეს განსაკუთრებით შეეხება ადმინისტრაციული საქმის აღძვრას. მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ მოქმედი კანონმდებლობით ადმინისტრაციული საქმე შეიძლება აღიძვრას მოქალაქის სიტყვიერი განცხადების საფუძველზე ხელმძღვანელ პირთან მიღების დროს, ხოლო ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენებისას კანონმდებლობით ყოველი ადმინისტრაციული გადაცდომის საქმე აღიძვრება დარღვევის შესახებ ოქმის (აქტის) შედგენით, ისეთი შემთხვევების გარდა, როდესაც ჯარიმა პირს დაედება დარღვევის ადგილზე.

ამრიგად, ერთ შემთხვევაში ადმინისტრაციული საქმე აღიძვრება

¹ იხ. ვ.ა. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2001 წლის 23 მარტი.

მხოლოდ სიტყვიერი განცხადების საფუძველზე, ხოლო მეორე შემთხვევაში აუცილებელია შედგეს ადმინისტრაციული საქმის აღძვრის დამადასტურებელი დოკუმენტი, ვინაიდან ადმინისტრაციული სამართალდარღვევა დაკავშირებულია ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობასთან. ამ კატეგორიის საქმეთა ადმინისტრაციულ-პროცესუალური განხილვა მოითხოვს ყველა მოქმედების დოკუმენტურ გაფორმებას ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, აუცილებელია წერილობით გაფორმდეს ის სიტყვიერი განცხადება, წინადადება თუ საჩივარი, რომელსაც მოქალაქე შეიტანს თანამდებობის პირთან მიღების დროს. სიტყვიერი განცხადებისა თუ საჩივრის ფიქსირება ასეთ შემთხვევაში უნდა მოხდეს საჩივრებისა და განცხადებების სპეციალურ წიგნში.

საჭიროა ერთმანეთისაგან მკაფიოდ ვასხვავებდეთ ხელმძღვანელ პირებთან მოქალაქის მიღებასა და საჩივრებისა და განცხადებების მიღებას. უკანასკნელი გულისხმობს ადმინისტრაციულ-პროცესუალური მოქმედებების შესრულებასა და ადმინისტრაციული აქტის მიღებასთან დაკავშირებულ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების გამოყენებას. სხვა შემთხვევაში, როდესაც მოქალაქეთა მიღება კონკრეტული საკითხის გადაწყვეტასთან არ არის დაკავშირებული, აუცილებელი არაა ასეთი აქტის შედგენა. ამიტომ ყოველგვარი საჩივარი თუ განცხადება, თუნდაც სიტყვიერი (მაგალითად, ტელეფონით გადაცემული), საჭიროებს შესაბამის წიგნში შეტანასა და მასზე წერილობითი პასუხის გაცემას. სწორედ ასე წყდება ეს საკითხი პოლონეთის ადმინისტრაციულ-პროცესუალური კოდექსით (მუხლი მე-11, §2), რომლის თანახმადაც საქმები შეიძლება გადაწყვეტილ იქნეს ზეპირად, თუ ამას მოითხოვს მხარის ინტერესები და იგი კანონის მოთხოვნებს არ ეწინააღმდეგება. ასეთი გადაწყვეტილების შინაარსი და არსებითი მოტივები ფიქსირებულ უნდა იქნეს საქმეში ოქმის ან მხარის მიერ ხელმოწერილი ახსნა-განმარტებითი ბარათის ფორმით¹.

განცხადებების, წინადადებებისა და საჩივრების რეგისტრაცია თვითმიზანი როდია, იგი აუცილებელია საქმის წარმოების სწორი ორგანიზაციისა და ადმინისტრაციულ პროცესში კანონიერების უზრუნველყოფისათვის. ასეთი რეგისტრაცია უნდა წარმოებდეს ადმინისტრაციული საქმის აღძვრის შემდეგ. იგი აუცილებელი ტექნიკური ოპერაციაა.

¹ Административно-процессуальный кодекс ПНР. Варшава, 1961.

ეს ტექნიკური ოპერაცია სრულდება არა თანამდებობის პირის მიერ, რომელსაც ადმინისტრაციული საქმის აღძვრის უფლება აქვს, არამედ ტექნიკური მუშაკის მიერ, ამავე დროს, ადმინისტრაციული საქმის წარმოების აღძვრა ხდება ყოველგვარ საჩივარზე, რომელიც შემოსული კორესპონდენციების წიგნშია რეგისტრირებული. ამისათვის საჭიროა შესაბამისი თანამდებობის პირის განკარგულება. საჩივრის წარმოებაში მიღება (შესაბამის პირზე შესამოწმებლად დაწერა, გარკვეული ვადის დანიშვნა და სხვ.) და მისი სპეციალურად შემოღებულ წიგნში რეგისტრირება.

ადმინისტრაციული საქმისწარმოების აღძვრის უფლება გააჩნიათ კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. მაგალითად, საქართველოს მიწის კანონმდებლობის თანახმად, მიწათმოწყობის საქმეს აღძრავენ შესაბამისი დანტერესებული სამინისტროები, უწყებები და მიწათმოსარგებლენი, ან სახელმწიფო მიწათმოწყობი ორგანოები მიწათსარგებლობის ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და მიწათმოწყობის რაციონალური ორგანიზაციის უზრუნველყოფის მიზნით.

ადმინისტრაციული საქმის აღძვრის საბაბი შეიძლება იყოს შეტყობინება, განცხადება, მიმართვა, საჩივარი და სხვ. ადმინისტრაციული საქმისწარმოების აღძვრა შეუძლია შესაბამის თანამდებობის პირს, ამასთან, პირს, რომელიც აღძრავს ადმინისტრაციულ საქმეს, ხშირად არა აქვს ამ საქმის განხილვის უფლება. მაგალითად, პოლიციის ორგანოები აღძრავენ საქმეებს საპასპორტო რეჟიმის დარღვევის შესახებ, მაგრამ ამ საქმეებს განიხილავენ ადმინისტრაციული მოსამართლეები.

კანონი მკაცრად ზღუდავს იმ პირთა წრეს, რომელთაც შეუძლიათ აღძრან საქმეები ადმინისტრაციული გადაცდომის შესახებ. საქართველოს კანონმდებლობით ადმინისტრაციული გადაცდომის საქმის აღძვრა შეუძლიათ კანონით დადგენილ თანამდებობის პირებსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს, ხოლო ბელორუსიის, ლატვიის, სომხეთისა და ზოგიერთი სხვა რესპუბლიკების კანონმდებლობით აღნიშნულ პირთა წრე რამდენადმე გაფართოებულია.

ადმინისტრაციული საქმისწარმოების აღძვრა უშუალოდ არის დაკავშირებული ადმინისტრაციული საქმის გამოკვლევასთან. ზოგჯერ ადმინისტრაციულ საქმეზე წინასწარი გამოკვლევის ჩატარება და საქმის აღძვრა ერთმანეთს ემთხვევა. მაგალითად, ადმინისტრაციული გადაც-

დომინიკის კომპეტენტური პირი შეადგენს ოქმს (აქტს) დარღვევის შესახებ, რომელიც ერთდროულად ძირითადი დამამტკიცებელი საბუთიც არის და ადმინისტრაციული საქმისწარმოების აღძვრასაც გამოხატავს.

ადმინისტრაციულ პროცესში მრავალ საქმეზე აუცილებელია წინასწარი გამოკვლევის ჩატარება, მასალის მომზადება, შესწავლა და ფაქტობრივ გარემოებათა დადგენა. აქ ჩვენ მხედველობაში გვაქვს მოქალაქეთა განცხადებები, ადმინისტრაციული დავები, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიმართულები და სხვ. ასეთი წინასწარი გამოკვლევა შეიძლება მხოლოდ ადმინისტრაციული წარმოების აღძვრის შემდეგ.

კანონმდებლობა ზოგჯერ სპეციალურად განსაზღვრავს ადმინისტრაციულ საქმეზე წინასწარი გამოკვლევის ჩატარების წესს, ხანდაზმულობის ვადებსა და სხვ. ხშირ შემთხვევაში კანონმდებლობა ერთმანეთისაგან მიჯნავს ადმინისტრაციული საქმის აღძვრისა და წინასწარი გამოკვლევის ხანდაზმულობას. მაგალითად, ადმინისტრაციული დარღვევის საქმე აღძრულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 2 თვისა დარღვევის ჩადენიდან, ხოლო საქმეზე წინასწარი გამოკვლევის ჩატარებისათვის დაწესებულია 10-დღიანი ხანდაზმულობის ვადა. იგივე შეიძლება ითქვას საჩივრების, დისციპლინური გადაცდომის, ადმინისტრაციული დავებისა და სხვა საქმეთა აღძვრისა და წინასწარი გამოკვლევის შესახებ.

ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ადმინისტრაციულ პროცესში არსებობს წინასწარი გამოკვლევის, აუცილებელი სტადია. მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციული პროცესი დაკავშირებულია უმნიშვნელო ინდივიდუალური საქმის განხილვასთან, რომელიც სპეციალურ გამოკვლევებს არ საჭიროებს და შემთხვევის ადგილზევე გადაწყდება, საქმის აღძვრის, წინასწარი გამოკვლევისა და განხილვის სტადიები ერთმანეთს ერწყმიან. მათი ცალკე გამოყოფა შეუძლებელია (იხ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მუხლი 96-ე).

სწორედ ასე წყვეტს ამ საკითხს საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის ადმინისტრაციულ-პროცესუალური კანონმდებლობაც. მაგალითად, უნგრეთის რესპუბლიკის ადმინისტრაციული პროცესის საერთო საწყისები (§ 17, პუნქტი მე-3) განსაზღვრავს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს, საქმის ფაქტობრივ გარემოებათა გამოკვლევის მიზნით, შეუძლია გამოსცეს ბრძანება გამოკვლევის ჩატარების შესახებ, შეუძლია წინადადება მისცეს მხარეს, რათა მან აცნობოს სატყვეობად ან წერილობით საქმესთან

დაკავშირებული მონაცემები, მოიყვანოს მტკიცებულებები, რომლებიც საქმეს შეეხება, შეუძლია მხარეს მოუსმინოს და მისცეს დავალებები სხვა სახელმწიფო ორგანოებს¹. ამავე კანონით განსაზღვრულია, რომ თუ საქმეში არსებული მონაცემები და მტკიცებულებები საქმარის საფუძველს იძლევა გადაწყვეტილების მისაღებად, სავალდებულო არაა მხარის მოსმენა და შემდგომი გამოძიება (პუნქტი მე-2). დაახლოებით ამდაგვარი წესებია გათვალისწინებული საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-16, 83-ე, 118-ე და სხვა მუხლებით.

დიდ ინტერესს იწვევს ქვემდებარეობის საკითხის გადაწყვეტა ადმინისტრაციულ-პროცესუალურ კანონმდებლობაში. წინადადებები და განცხადებები შეიტანება იმ სახელმწიფო ორგანოში, საწარმოში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციაში, ან იმ თანამდებობის პირთან, რომლის უშუალო გამგებლობას განეკუთვნება მოცემული საკითხის გადაწყვეტა, საჩივრები კი შეიტანება იმ ორგანოში ან იმ თანამდებობის პირთან, რომელმაც გადაწყვიტა საქმე ან, რომელსაც უშუალოდ ემორჩილება ის პირი, რომლის მოქმედებაც გასაჩივრებულია. ამრიგად, აქ წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის ქვემდებარეობა განისაზღვრება ორგანოებისა და ორგანიზაციების მიხედვით და არა მოქალაქეთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საპენსიო კანონმდებლობა, პირიქით, განხილულ საქმეთა დაქვემდებარებას განსაზღვრავს მოქალაქეთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მაგრამ საერთო სასამართლოების შესახებ კანონმდებლობა – თანხის ოდენობისა და ხელშეკრულების დადების ადგილის მიხედვით, ხოლო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ კანონმდებლობა – დარღვევის ადგილის ან დამრღვევის საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მიხედვით.

მმართველობის ორგანოსადმი ინდივიდუალურ საქმეთა დაქვემდებარების ასეთი განსხვავებული წესი ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფო მმართველობაში კანონიერების ზუსტად დაცვას.

კანონიერების დაცვის პრინციპიდან გამომდინარე, აუცილებელია ქვემდებარეობის წესის განმსაზღვრელი ადმინისტრაციულ-პროცესუალური აქტების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა. დასაძალი არ არის, რომ ხშირად საქმე პენსიის დანიშვნის შესახებ

¹ Magyar Közlöny, 1957, №64. იხ. აგრეთვე, საფრანგეთის ადმინისტრაციულ ტრიბუნალში საქმისწარმოების წესის შესახებ წიგნში: Cudes Dalloz. Code Administratif, vingt-deuxième édition, Dalloz, 1992, p. 482.

განიხილება მოქალაქის თავდაპირველი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო საჩივარი პენსიის არასწორი დანიშვნის შესახებ მოქალაქის მიერ საცხოვრებელი ადგილის გამოცვლისას, შეიტანება მისი ახალი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ეს კი შეუძლებელს ხდის საქმის ყველა გარემოების გარკვევასა და მის სწორად გადაწყვეტას. სინამდვილეში საჩივარი უნდა განიხილოს იმ რაიონის სოცუზრუნველყოფის ორგანომ, რომელმაც თავდაპირველად განიხილა საქმე პენსიის დანიშვნის შესახებ.

ჩვენ მართებულად მიგვაჩნია პოლონეთის ადმინისტრაციულ-პროცესუალური კოდექსით განსაზღვრული ქვემდებარეობის წესი, რომლის თანახმადაც ადმინისტრაციულ საქმეთა ქვემდებარეობა განისაზღვრება უძრავი ქონების ან საწარმოს ადგილსამყოფელის მიხედვით, როდესაც ინდივიდუალური საქმე მათ შეეხება; სხვა შემთხვევაში ქვემდებარეობა განისაზღვრება პროცესში მონაწილე მხარის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, თუ საქმის ტერიტორიული ქვემდებარეობა დავას იწვევს, იგი გადაწყდება იმ კომპეტენტური ორგანოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მოხდა ის ხდომილება, რომელიც საფუძველად დაედო ადმინისტრაციული საქმის აღძვრას; თუ ხდომილების ადგილის დადგენაც შეუძლებელია, დავა ქვემდებარეობის შესახებ გადაწყდება ქვარშავის კომპეტენტური ორგანოს მიერ (მუხლი მე-17).

საქმის წამოჭრის ადგილის მიხედვით მმართველობის ორგანობის საღმი ქვემდებარეობა ადმინისტრაციულ-პროცესუალური კანონმდებლობის უნივერსალური პრინციპი უნდა გახდეს.

აღნიშნული პრინციპი უნდა შეეხოს მმართველობის სფეროში საჩივრების განხილვის წესსაც, საჩივრის საგნის მიხედვით უნდა განისაზღვროს მისი ქვემდებარეობის საკითხი. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო ხელმძღვანელი თანამდებობის პირის აქტის გასაჩივრება ხდება ზემდგომ ორგანოში.

მეტად საინტერესოდ წყდება ჩვენს ლიტერატურაში ადმინისტრაციული საქმის განმხილველი ორგანოს თანამდებობის პირის მიმართ აცილების საკითხი. ჩვენი აზრით, მხარეს ან პროცესის სხვა მონაწილეს, როგორც აღვნიშნეთ, არ უნდა ჰქონდეს უფლება აცილება მისცეს იმ ორგანოს ან თანამდებობის პირს, რომელიც იხილავს საქმეს, ვინაიდან

უკანასკნელი მხარეა ადმინისტრაციულ პროცესში და მის გარეშე საქმისწარმოება შეუძლებელია.

აცილების უფლება ადმინისტრაციულ პროცესში უნდა მიეცეს არა მეორე მხარეს, არამედ საქმის განმხილველ თანამდებობის პირს, რაც თვითაცილებაში უნდა გამოიხატოს. იმ თანამდებობის პირის მიერ თვითაცილება, რომელიც ადმინისტრაციულ საქმეს განიხილავს, ზუსტად უნდა იყოს რეგლამენტირებული კანონმდებლობით. ამ მხრივ, მეტად საყურადღებოა პოლონეთის ადმინისტრაციულ-პროცესუალური კოდექსის 21-ე მუხლი, რომლის თანახმადაც თვითაცილება ვრცელდება სახელმწიფო მმართველობის ორგანოს იმ თანამდებობის პირზე, რომელიც: 1) მოცემულ საქმისწარმოებაში გამოდის მხარედ ან როდესაც იგი ერთ-ერთ მხარესთან ისეთ იურიდიულ ურთიერთობაში იმყოფება, რაც გავლენას მოახდენს მის უფლებებსა და მოვალეობებზე; 2) როდესაც საქმეში მონაწილეობენ მისი მეუღლე ან ნათესავი; 3) როდესაც საქმეში გამოდის ისეთი პირი, რომელიც მასთან შვილად აყვანის, მეურვეობისა და მზრუნველობის სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფება; 4) როდესაც იგი საქმეში გამოდიოდა მოწმედ, ექსპერტად ან ერთ-ერთი მხარის წარმომადგენლად; 5) თუ იგი ქვემდგომ ინსტანციაში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანაში მონაწილეობდა; 6) თუ მის მიმართ წარმოებს სამსახურებრივი გამოძიება, ან აღძრულია დისციპლინური თუ სისხლისსამართლებრივი წარმოება; დაბოლოს, 7) თუ ერთ-ერთი მხარე მასთან სამსახურებრივ დამოკიდებულებაში იმყოფება. დაახლოებით ასეთივე თვითაცილების წესია გათვალისწინებული საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლში და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 319-ე მუხლშიაც. ზემდგომ თანამდებობის პირს არ უნდა მიეცეს აცილება მასზე დამოკიდებული მოსამსახურის ინდივიდუალური საქმის განხილვისას. პირიქით, ცნობილია მრავალი ინდივიდუალური საქმე, რომლის განხილვის დროსაც ზემდგომი თანამდებობის პირის მონაწილეობა აუცილებელია (მაგალითად, წახალისების, დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სხვა საქმეთა განხილვისას), არასამსახურებრივი ხასიათის საქმის განხილვის დროსაც კი უფროსს ყოველთვის მეტი შესაძლებლობა აქვს გადაწყვიტოს ინდივიდუალური საქმე თავისი ქვემდებარე მოსამსახურე პირის მიმართ, რომელსაც იგი უკეთ იცნობს, ვიდრე საქმის განმხილველი სხვა პირი.

თვითაცილებას ექვემდებარება მხოლოდ თანამდებობის პირი და არა

მმართველობის მთელი ორგანო. თანამდებობის პირი, რომელიც თავის თავს აცილებას აძლევს, უნდა შეიცვალოს ორგანოს სხვა თანამდებობის პირით. სასურველია, მოცემული საკითხი გადაწყვიტოს ზემდგომმა მმართველობის ორგანომ.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლში 2001 წლის 2 მარტს მომხდარი ცვლილებების თანახმად, მთელი კოლექტიური ორგანოს ან მის წევრთა იმ რაოდენობის აცილების ან თვითაცილებისას, რაც არაუფლებამოსილს ხდის ამ ორგანოს, აგრეთვე იმ პირის თვითაცილებისას, რომელსაც არა ჰყავს ზემდგომი ორგანო, ადმინისტრაციულ აქტს გამოსცემს ამ საკითხის გადასაწყვეტად დანიშნული, მისი მოვალეობის შემსრულებელი ან დამოუკიდებელი ორგანო. ეს კი ეწინააღმდეგება ადმინისტრაციული ორგანოს დამოუკიდებლობის პრინციპს.

პოლონეთის ადმინისტრაციულ-პროცესუალური კოდექსის 22-ე მუხლით, როგორც გამონაკლისი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოს აცილება დასაშვებია მხოლოდ ისეთი საქმის განხილვისას, რომელიც შეეხება ორგანოს ხელმძღვანელის ან მისი ნათესავების, აგრეთვე ზემდგომი ორგანოს თანამდებობის პირის ან მისი ნათესავების ქონებრივ ინტერესებს, კოდექსის მიხედვით აღნიშნული საქმეების ქვემდებარეობის საკითხი უნდა გადაწყვიტოს ზემდგომმა მმართველობის ორგანომ (მუხლი 23-ე, §2).

საკითხის ასეთი გადაწყვეტა, ვფიქრობთ, არასწორია. ყოველი მმართველობის ორგანო ყოველთვის იმყოფება ზემდგომი ორგანოს ქვემდებარებაში; იგი ამა თუ იმ ხელმძღვანელის სუბიექტურ ნებაზე როდია დამოკიდებული. სუბიექტივიზმი ორგანოთა ურთიერთდაქვემდებარებაში დაუშვებელია. ამიტომ მმართველობის ორგანო ისეთივე მიუკერძოებელი უნდა იყოს თავისი ხელმძღვანელის, თუ ზემდგომი თანამდებობის პირის ინდივიდუალური საქმის მიმართ, როგორც სხვა დანარჩენ პირთა ინდივიდუალური საქმის თაობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა, მაგალითად, რაიონის სოცუსზრუნველყოფის განყოფილების მიერ შესაბამისი ან ზემდგომი ორგანოს თანამდებობის პირის პენსიის დანიშვნის საქმის განხილვა, რომელიც მის მატერიალურ ინტერესებთანაა დაკავშირებული.

პირიქით, ზემდგომი თანამდებობის პირი, რომლის ინდივიდუალურ საქმესაც მისი ქვემდგომი თანამდებობის პირი განიხილავს, დარწმუნებული უნდა იყოს საქმის გადაწყვეტის მიუკერძოებლობაში. მეორე მხრივ, პირი, რომელიც განიხილავს უფროსის ინდივიდუალურ საქმეს, გან-

საკუთრებული გულისხმებებით უნდა მოეციდოს მას, რათა მის ობიექტურობაში ეჭვი არავის შეეპაროს და საკითხი სწორად გადაწყვიტოს. უპასუხისმგებლობა და მიმკერძობელობა ყოველთვის გამჟღავნდება.

ამრიგად, თანამდებობრივი დამოკიდებულება პირისა, რომელიც სხვა თანამდებობის პირის ინდივიდუალურ საქმეს იხილავს, არ უნდა გახდეს საფუძველი მისი აცილებისათვის, ეს მით უფრო დაუსუვებელია მთელი ორგანოს მიმართ, რომლის აცილებაც საერთოდ მისი უფლებების შეზღუდვას, მისი კომპეტენციის გაუქმებას გამოიწვევდა. მოცემული საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტა შეუძლებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია უპასუხისმგებლობა დაკისრებული ამოცანების შესრულებაში, ინდივიდუალურ საქმეთა განხილვის საპასუხისმგებლო მოვალეობის გადაკისრება სხვა თანამდებობის პირებისათვის, ბიუროკრატიზმი და საქმის გაჭიანურება სახელმწიფო მმართველობაში.

ადმინისტრაციული პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტადიაა საქმის განხილვა. იგი შეიძლება ჩატარდეს როგორც კოლეგიურად, ისე ერთპიროვნულად, იმისდა მიხედვით, თუ რომელი ორგანოს ქვემდებარეა ინდივიდუალური საქმე. მაგალითად, ადმინისტრაციულ ინსპექციებში საქმეები განიხილება კოლეგიურად, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში – ერთპიროვნულად. აღსანიშნავია, რომ საქმის განხილვის კოლეგიურ წესს დიდი უპირატესობა აქვს ერთპიროვნულად საქმის განხილვასთან შედარებით, ვინაიდან კოლეგიურად საკითხის გადაწყვეტისას მეტი შესაძლებლობა იქმნება საქმის ობიექტურად განხილვისათვის, მოკალაქეთა და თანამდებობის პირთა უფლებების დაცვის გარანტირებისათვის.

აქედან გამომდინარე, მოქმედი კანონმდებლობა ყოველმხრივ უნდა უწყობდეს ხელს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიური განხილვის ფორმების განვითარებას, მისი უპირატესობის განმტკიცებას, კერძოდ, ადრინდელი კანონმდებლობით ადმინისტრაციულ ორგანოებს, რომლებიც ერთპიროვნულად იხილავდნენ ადმინისტრაციული გადაცდომის საქმეებს, უფლება ჰქონდათ გადაეცათ ასეთი საქმეები განსახილველად სასამართლოებისათვის, რომლებიც აღმზრდელითი ზემოქმედების უფრო მეტ და ეფექტურ საშუალებებს გამოიყენებდნენ დამრღვევების მიმართ, რაც დღეს, სამწუხაროდ, გაუქმებულია. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოთა სისტემაში ფართოდ გამოიყენებოდა საქმეთა განხილვის კოლეგიური ფორმები, როდესაც გადაცდომის ჩამდენ პირთა საქმეებს

განიხილავდნენ საეციალურად შექმნილი კოლეგიური კომისიების სხდომაზე. მაგალითად, მოძრაობის წესების დარღვევის საქმეთა განხილვა ხდებოდა სახელმწიფო ავტონისპექციასთან შექმნილ საეციალურ კომისიებში, რომლებიც კოლეგიური ზემოქმედების ფეიქტურ საშუალებებს იყენებდნენ მოძრაობის წესების დამრღვევ მძღოლთა მიმართ.

ყოველი ადმინისტრაციული საქმის განხილვა მიზნად უნდა ისახა აედეს საქმის ყველა გარემოების ობიექტურ შესწავლას და კანონის მოთხოვნის შესაბამისად მის გადაწყვეტას. ამ მიზნით ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია შეისწავლოს საქმეზე არსებული ყველა მასალა, მოითხოვოს დამატებითი მასალები, მისცეს შესაძლებლობა პროცესის მეორე მხარეს, მოიყვანოს საქმეზე ყველა დამამტკიცებელი საბუთი, დანიშნოს საჭიროებისამებრ ექსპერტიზა, მოახდინოს შემოწმება და ა.შ.

ადმინისტრაციული საქმის განხილვაზე ბევრადაა დამოკიდებული მოქალაქეთა უფლებების დაცვა, კანონიერების უზრუნველყოფა სახელმწიფო მმართველობაში.

ადმინისტრაციული პროცესის ერთ-ერთი მეტად საპასუხისმგებლო სტადიაა საქმეზე დადგენილების გამოტანა. დადგენილებაში ზუსტად უნდა აღინიშნოს ის ნორმატიული აქტი, რომლის შეფარდების შედეგადაც გადაწყდა მოცემული კონკრეტული საქმე.

ამვე დროს დადგენილებაში, რომელიც კონკრეტულ საქმეზე გამოაქვს ადმინისტრაციულ ორგანოს, გარკვევით უნდა აღინიშნოს ის სამართლებრივი შედეგები, რაც საქმის გადაწყვეტას მოჰყვება, ე.ი. უნდა აღინიშნოს პირის კონკრეტული უფლებები და მოვალეობები. ყოვლად დაუშვებელია კონკრეტულ საქმეზე ზოგადი, ორაზროვანი დადგენილების გამოტანა.

გამოტანილი დადგენილების მიზანია მისი აღსრულება, რომელიც ცალკე სტადიას წარმოადგენს. დადგენილება ადმინისტრაციულ საქმეზე უნდა აღსრულდეს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. კერძოდ, თუ დადგენილება მოქალაქისათვის უფლების მინიჭებას შეეხება, იგი გამოტანისთანავე უნდა აღსრულდეს; თუ ადმინისტრაციულ დასჯას შეეხება, მაშინ მისი აღსრულებისა და ძალაში შესვლისათვის საჭიროა გასაჩივრების ვადის გასვლა. მაგალითად, დადგენილება მოქალაქისათვის პენსიის დანიშვნის შესახებ ძალაში შედის და უნდა აღსრულდეს გამოტანის დღიდანვე, ზოლო დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ უნდა აღსრულდეს 15 დღის შემდეგ, როდესაც დადგენილების გასაჩივრების ვადა ამოიწურება, დადგენილება უნდა აღასრულოს შესაბამისმა ადმინ-

ისტრაციულმა ორგანომ, ან დადგენილების გამომტანმა ორგანომ. დადგენილების აღსრულებაზე პირველ რიგში უნდა იზრუნოს იმ ორგანომ, რომელმაც ადმინისტრაციული აქტი (დადგენილება) გამოიტანა.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-12 თავი შეეხება ადმინისტრაციული აქტის აღსრულებას. მასში აღნიშნულია, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია ადმინისტრაციული აქტის აღსრულების უფლებამოსილების როგორც ერთჯერადი, ისე განსაზღვრული ვადით დელეგირება. პირი უფლებამოსილია უარი განაცხადოს აღსრულებასთან დაკავშირებული მოთხოვნის შესრულებაზე, თუ ეს ეწინააღმდეგება მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებას ან გამოიწვევს სახელმწიფო, კომერციული ან პირადი საიდუმლოების გამჟღავნებას, რომლის დაცვის ვალდებულებაც მას აკისრია (მუხლი 164-ე). ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ. დაუშვებელია აღსრულების უზრუნველყოფის ერთზე მეტი საშუალების გათვალისწინება, ხოლო თუ რომელიმე საშუალების გამოყენება შეუძლებელი გახდა, უნდა გამოიცეს ახალი ადმინისტრაციული აქტი აღსრულების სხვა საშუალების გამოყენების შესახებ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად, აღსრულების უზრუნველყოფის საშუალებებია: სხვა პირისათვის ადმინისტრაციული აქტის აღსრულების დეაღება, ჯარიმა, უშუალო იძულება. ჯარიმა გამოიყენება როგორც აღსრულების სამოქალაქო-სამართლებრივი საშუალება. მისი ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს ფიზიკური პირისათვის და 5000 ლარს იურიდიული პირისათვის. ჯარიმის თანხა ადმინისტრაციული აქტის დარღვევის ყოველი დღისათვის ან მისი დარღვევით ჩადენილი ყოველი ქმედებისათვის არ უნდა აღემატებოდეს 50 ლარს ფიზიკური პირისათვის და 200 ლარს იურიდიული პირისათვის. ჯარიმის მინიმუმია 5 ლარი¹.

¹ იხ. დაწერილებით: ხ. ლორია, ადმინისტრაციული აქტის აღსრულების იძულების საშუალებები, ჟურნალი „სამართალი“, 2001, №6.

**ადმინისტრაციულ პროცესში საქმისწარმოების
სასაქმის ზოგადი მიმოსილვა**

იურიდიული პროცესი განმარტებულია სამართალშეფარდებასთან დაკავშირებული პროცესის სახით. სამართალშეფარდება კი, როგორც ცნობილია, მხოლოდ სასამართლო ორგანოების მიერ როდი ხდება. სამართალშეფარდებითი საქმიანობა ყოველდღიური და სისტემატური მუშაობის ფორმაა მმართველობის ორგანოებისათვის.

აქედან გამომდინარე, სასამართლო პროცესუალური ფორმების გარდა, არსებობს აგრეთვე არასასამართლო პროცესუალური ფორმები — მმართველობის ორგანოების მიერ განხორციელებული პროცესი, რომელიც სხვა არაფერია თუ არა სამართალშეფარდების მიზნით განხორციელებული პროცესი და მასთან დაკავშირებული საგამოკვლევო-საგამოძიებო პროცესუალური მოქმედებანი სამართალშეფარდების სწორად განხორციელების უზრუნველსაყოფად.

მაგრამ თორია იმის შესახებ, რომ მატერიალური სამართლის რამდენი დარგიცაა, იმდენი იურიდიული პროცესი უნდა არსებობდეს (ვმ. გორშენიოვი, ვ.დ. სოროკინი)¹, ვფიქრობთ, არასწორია.

ამას მოწმობს სამოქალაქო პროცესი, რომელიც ემსახურება სამართლის მრავალ დარგს (სამოქალაქო სამართალს, შრომის სამართალს, მიწისა და აგრარულ სამართალს, საფინანსო სამართალსა და სხვ.). სამოქალაქო პროცესში, სამართლის სხვადასხვა დარგის ნორმების შეფარდება არ ცვლის არსს. იგი სამოქალაქო სამართლის პროცესია, რომელიც სამართლის სხვა დარგს ემსახურება.

მაშასადამე, ერთი იურიდიული პროცესი შეიძლება ემსახუროდეს სამართლის მრავალ დარგს, აქედან გამომდინარე კი, არასწორია დებულება — ყოველი მატერიალური სამართლისათვის შესაბამისი იურიდიული პროცესის არსებობის შესახებ.

ამა თუ იმ სამართლებრივი პროცესის იურიდიული ბუნების განმსაზღვრელი, როგორც აღვნიშნეთ, არის ინდივიდუალური საქმის იურიდიული ფორმა, საქმის შინაარსის გამოხატულების გარეგნული სახე, მისი გამოვლინების ფორმა.

¹ იხ. Юридическая процессуальная форма. М., 1976, стр. 40.

იმაზე, თუ რა სახეს მიიღებს გადასაწყვეტი საქმე, რაში გამოვლინდება იგი, მთლიანად დამოკიდებულია ამა თუ იმ იურიდიული პროცესის ფორმაც, რომლითაც უნდა გადაწყდეს ეს საქმე.

სწორედ იმის გამო, რომ შრომის დავის საქმე სასამართლოში სასარჩელო განცხადების ფორმას ღებულობს, მისი გადაწყვეტა სამოქალაქო პროცესის ფორმით ხდება. იგივე ითქმის მიწის ნაკვეთით სარგებლობის დავასა თუ საალიმენტო საქმეზე.

აღსანიშნავია, რომ სასამართლოში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი საქმეები სამოქალაქო პროცესის ფორმებში როდი განიხილება. როცა მოსამართლე ერთპიროვნულად განიხილავს წერილობანი ხულიგნობის საქმეს, უკანასკნელი არ იცვლის ადმინისტრაციულ-პროცესუალური გამოვლინების ფორმას და საქმის განხილვაც სასამართლოში ადმინისტრაციულ-პროცესუალურ ფორმებში ხდება.

იურიდიული პროცესის დამოკიდებულება განსახილველი საქმის ფორმაზე არ არის შემთხვევითი. როგორც ცნობილია, იურიდიული პროცესი განისაზღვრება როგორც შინაარსის გამოვლინების ფორმა. იგი არის კანონის სიცოცხლის ფორმა, მაშასადამე, მისი შინაგანი ცხოვრების გამოვლინება. მატერიალური სამართლით განმტკიცებული იურიდიული უფლებები და მოვალეობანი ~~რომ~~ გამოვლინდეს, განხორციელდეს, აუცილებელია პროცესუალური ფორმები, რომლებიც მათ სიცოცხლის ფორმას ანიჭებს, ხოლო რომელი პროცესუალური ფორმა გამოიყენება ამა თუ იმ მატერიალური უფლება-მოვალეობების განსახორციელებლად, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ფორმას მიიღებს კონკრეტული საქმე, რომელშიაც ეს მატერიალური უფლება-მოვალეობანი გამოვლინდება.

მმართველობის სფეროში წარმოშობილი ინდივიდუალური საქმეების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ფორმა დამოკიდებულია შემდეგ გარემოებებზე:

უპირველეს ყოვლისა, მმართველობის სფეროში ინდივიდუალურ საქმეთა გამოვლინების ფორმები დამოკიდებულია მმართველობის ფუნქციებსა და მეთოდებზე, რომლებიც წარმოშობს შესაბამის სამართლებრივ ფორმებს და რომლებშიც გამოვლინდება ინდივიდუალური საქმეები. ერთ შემთხვევაში ამ საქმეებს გააჩნიათ სამართალდაცვითი ხასიათის ფორმები, მეორე შემთხვევაში, უფლებამძიწებელი ხასიათის. საჩივრე-

ბი, ადმინისტრაციული დაგეები, ადმინისტრაციული გადაცდომები, დის-
ციპლინური გადაცდომები და სხვა სამართალდაცვითი ხასიათის ინდი-
ვიდუალური საქმეების ფორმებია, ხოლო განცხადებები, მიმართვები,
წინადადებები – უფლებამომინჭებელი ხასიათის საქმეთა ფორმებს
მიეკუთვნება.

მეორეც, მმართველობის სფეროში წარმოშობილი ინდივიდუალური
საქმის სამართლებრივი ფორმა დამოკიდებულია არა იმდენად იმ მატე-
რიალურ ნორმაზე, რომელიც განსაზღვრავს საქმის შინაარსს, არამედ
სამართლ კრივი სისტემის განვითარებაზე მთლიანად, მის დემოკრატი-
ულობაზე, ამა თუ იმ პროცესუალური ფორმის სრულყოფასა და ამის
საფუძველზე კანონმდებლის შეხედულებებზე. ამიტომ შემთხვევითი როდია,
რომ ზოგიერთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობანი ჩვენს
ქვეყანაში დაცულია როგორც სამოქალაქო, ისე ადმინისტრაციულ-პრო-
ცესუალური წესით.

ინდივიდუალურ საქმეთა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ფორმები
არაა დამოკიდებული იმ საქმეთა კონკრეტულ-მატერიალურ შინაარსზე,
რომელიც შეიძლება იყოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, მიწის-
სამართლებრივი, საფინანსო-სამართლებრივი და სხვა ხასიათის.
მმართველობის სფეროში სხვადასხვა შინაარსის მქონე ინდივიდუალური
საქმე შეიძლება იყოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, მიწის-სამართ-
ლებრივი, შრომის-სამართლებრივი, საფინანსო-სამართლებრივი და სხვა
ხასიათის. მმართველობის სფეროში სხვადასხვა შინაარსის მქონე ინდი-
ვიდუალური საქმე შეიძლება იყოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი
ფორმის მატარებელი, რის გამოც მათი გადაწყვეტა ადმინისტრაციულ-
პროცესუალურ ფორმებში უნდა განხორციელდეს. მაგალითად, მოქალაქის
საჩივარი, რომელიც მმართველობის ორგანოში შეიტანება, შეიძლება
შეეხებოდეს სულ სხვადასხვა საკითხს სამართლის სხვადასხვა დარ-
გიდან, მაგრამ, ვინაიდან საჩივარი ადმინისტრაციულ-სამართლებრივ
ფორმას ატარებს, მისი გადაწყვეტა ყოველთვის ადმინისტრაციულ-
პროცესუალური ფორმებით ხდება.

მაშასადამე, ადმინისტრაციული პროცესი არის მატერიალურ-ადმინ-
ისტრაციული და სხვა დარგების „სიცოცხლის ფორმა“, რომელიც
გამოიხატება მმართველობის ორგანოების, საწარმოთა, დაწესებულება-
თა, ორგანიზაციათა ადმინისტრაციისა და სასამართლოების მიერ
მმართველობის სფეროში წარმოშობილი ადმინისტრაციულ-სამართ-

ლებრივი ფორმების მქონე ინდივიდუალური საქმეების განხილვასა და გადაწყვეტაში მატერიალური სამართლის სხვადასხვა დარგის ნორმათა შეფარდების განხორციელების გზით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მმართველობის ზოგიერთი ფორმა (ნორმატიული აქტის მიღება, ოპერაციულ-ორგანიზაციული თუ მატერიალურ-ტექნიკური მუშაობა, იურისდიქციული საქმიანობა) ადმინისტრაციულ პროცესთან უმუალო კავშირში არაა და ამიტომ ეს შეხედულებები სწორად ვერ ხსნიან მოვლენის არსს.

ადმინისტრაციული პროცესი შეიძლება იყოს მხოლოდ საქმის განხილვის პროცესი, ამასთან, ისეთი საქმისა, რომელსაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ფორმა აქვს და კონკრეტული, ინდივიდუალური ხასიათისაა. ადმინისტრაციული პროცესი სახელმწიფო მმართველობის ნაწილია, მმართველობის ერთ-ერთი ფორმაა და არაა მთელი მმართველობა თავისი ორგანიზაციული ფორმებით, მეთოდებითა და ფუნქციებით.

მმართველობის სფეროში ინდივიდუალურ საქმეთა ფორმების შესაბამისად ადმინისტრაციული პროცესი შედგება ადმინისტრაციული წარმოების სახეებისაგან. ჩვენი აზრით, ეს სახეებია:

1. მოქალაქეთა განცხადებებისა და წინადადებების საქმეთა წარმოება;

2. ორგანოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების, საწარმოთა და მათი თანამდებობის პირთა მიმართვებისა და წერილების საქმეთა წარმოება;

3. სამსახურებრივი დაკომპლექტებისა და სამუშაოზე მიღების საქმეთა წარმოება;

4. წახალისების საქმეთა წარმოება;

5. მმართველობის სფეროში წამოჭრილი საჩივრების საქმეთა წარმოება (ადმინისტრაციული საჩივრების წარმოება);

6. მმართველობის სფეროში წამოჭრილი დაევების საქმეთა წარმოება (ადმინისტრაციული დაევების წარმოება);

7. ადმინისტრაციული გადაცდომების საქმეთა წარმოება;

8. დისციპლინური გადაცდომების საქმეთა წარმოება;

9. მატერიალური პასუხისგების დაკისრების საქმეთა წარმოება (მატერიალური დელიქტის საქმისწარმოება);

10. ადმინისტრაციული აღკვეთისა და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის საქმეთა წარმოება.

! საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 72-ე მუხლში ჩაწერილია, რომ ადმინისტრაციული წარმოების სახეებია: მარტივი (ზეპირი) წარმოება, ფორმალური (დახურული) და საჯარო წარმოებები. აქ ადმინისტრაციული წარმოება გაგებულია პროცედურის (ტექნიკური გადაწყვეტის) ფორმის მიხედვით და არა ინდივიდუალურ საქმეთა კატეგორიების მიხედვით. მართლაც, აქ ლაპარაკია ადმინისტრაციული განცხადების განხილვის წესზე და არა საქმეთა კატეგორიებზე. ✓

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია სხვა მოსაზრებები ადმინისტრაციული წარმოების სახეების შესახებ, რომლებიც ინდივიდუალურ საქმეთა ფორმებიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ სხვადასხვა კრიტერიუმიდან, როგორცაა: მმართველობის ფორმები, მეთოდები, კანონიერების დაცვა მმართველობის სფეროში; შერეული ხასიათის კრიტერიუმიდან, როგორცაა: აპარატის შიგნითა და აპარატის გარეთ წარმოშობილი საქმეები, სამართლის სხვადასხვა დარგის ნორმების შეფარდება, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმების შეფარდება და სხვ.

ვფიქრობთ, ადმინისტრაციული წარმოების ზემოდასახელებული კლასიფიკაცია ყველაზე მართებულია, ვინაიდან იგი ეყრდნობა ერთ კრიტერიუმს — მმართველობის სფეროში წარმოშობილი ინდივიდუალური საქმეების ფორმებს.

დასახელებული საქმისწარმოებების სახეებიდან პირველი ოთხი წარმოება (განცხადებებისა და წინადადებების, მიმართვების, სამსახურებრივი დაკომპლექტების, წახალისების) არაა დაკავშირებული დავეთან თუ სამართალდარღვევებთან, ხოლო დანარჩენი ოთხი სახის წარმოება (საჩივრების, დავეების, ადმინისტრაციული გადაცდომის, დისციპლინური გადაცდომის, მატერიალური დელიქტის, ადმინისტრაციული აღკვეთისა და უზრუნველყოფის) დაკავშირებულია უფლების დარღვევასთან ან სამართალდარღვევებთან და მათ შედეგებთან. ადმინისტრაციული საქმისწარმოების თითოეულ სახეს გარკვეული თავისებურებები ახასიათებს.

მოქალაქეთა განცხადებებისა და წინადადებების საქმისწარმოება არსებითად შედგება ორი ქვეწარმოებისაგან: განცხადებების და წინადადებების საქმეთა წარმოებებისაგან, მოქალაქეთა განცხადებები იწერება რაიმე უფლების მოსაპოვებლად ან განსახორციელებლად. იგი გამოწვეულია მოქალაქეთა სხვადასხვა უფლების რეალიზაციით, რომელიც მმართველობის ორგანოს მეშვეობით ხდება. დღევანდელ პირობებში

მოქალაქეთა მრავალი უფლება შეიძლება ცხოვრებაში რეალიზებულ იქნეს მხოლოდ შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს ნებართვით ან მათ მიერ ადმინისტრაციული აქტის გამოცემით. მომავალში, როცა მოქალაქეთა დამოუკიდებლობის ფარგლები, მათი საკუთრების უფლებები გაფართოვდება, წარმოების ეს სახეც შეიკვეცება. რაც შეეხება მოქალაქეთა წინადადებების განხილვას, ისინი მეტწილად დაკავშირებულია მმართველობის სრულყოფასთან, მოქმედი აქტების შეცვლასა თუ გაუქმებასთან, მმართველობის ახალი აქტების გამოცემის საჭიროებასთან და სხვ. მოქალაქეთა ასეთი წინადადებები უნდა იქნეს განხილული სათანადო ორგანოების მიერ და გატარდეს კიდეც შესაბამისი ღონისძიება. ამიტომ ეს საქმისწარმოება ადმინისტრაციული პროცესია და არა ტექნიკური ოპერაცია. წარმოების ეს სახე დეტალურადაა მოწესრიგებული საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 თავში (საჯარო ადმინისტრაციული წარმოება), რასაც ჩვენ ცალკე განვიხილავთ.

მიმართების საქმეთა წარმოებას წარმოადგენს მმართველობის აპარატში ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ ურთიერთმიმართების გამო საკითხების განხილვა და გადაწყვეტა. ასეთი მიმართებები ზოგჯერ მეტად სერიოზულ საქმეებს ეხება და ამიტომ მათი გადაწყვეტა უნდა იყოს მოწესრიგებული ადმინისტრაციულ-პროცესუალური ნორმებით (რაც ნაწილობრივ მოწესრიგებულია კიდეც მმართველობის სფეროში საქმისწარმოების შესახებ მოქმედი კანონმდებლობით).

სამსახურებრივი დაკომპლექტებისა და სამუშაოზე მიღების საქმეთა წარმოება, საკუთრივ სამუშაოზე მიღების საქმეთა ქვეწარმოების გარდა, შედგება კიდეც შემდეგი სახის ქვეწარმოებებისაგან: თანამდებობაზე დანიშვნის, თანამდებობაზე არჩევის საქმეთა ქვეწარმოებისაგან, კონკურსის, ატესტაციის, სამუშაოზე განაწილების, თანამდებობაზე დაწინაურების საქმეთა ქვეწარმოებისაგან. წარმოების ეს სახე მეტად მნიშვნელოვანი ფორმაა მმართველობის ნორმალური ფუნქციონირებისთვის. იგი ნაწილობრივ მოწესრიგებულია კანონით საჯარო სამსახურის შესახებ. მას ჩვენ ცალკე თავში განვიხილავთ.

წახალისების საქმეთა წარმოება დაკავშირებულია მმართველობის სფეროში ისეთი ძირითადი მეთოდის გამოყენებასთან, როგორცაა წახალისება. ეს არ ნიშნავს, რომ მმართველობის მეთოდების მიხედვით ხდება ადმინისტრაციული პროცესის წარმოების სახეების დაჯგუფება.

მაგრამ მეთოდი, ადმინისტრაციული იძულების მეთოდთან ერთად, უმუ-
ალოდაა დაკავშირებული ინდივიდუალური საქმის წარმოშობასთან
მმართველობის სფეროში, რაც იწვევს დამოუკიდებელი საქმისწარმოე-
ბის წარმოშობასაც. წახალისების საქმეთა წარმოება შედგება მორ-
ალური, მატერიალური წახალისების, საპატიო წოდებების მინიჭებისა
და სხვა ქვეწარმოებებისაგან. მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ სახელმ-
წიფო მმართველობაში წარმატებების მოსაპოვებლად. მატერიალური
და მორალური წახალისება რეგულირდება შრომის კანონმდებლი ბით,
საპატიო წოდებების მინიჭება და ორდენებითა და მედლებით დაჯილ-
დობა ხდება ცალკე დებულებებით.

საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებულ საქმეთა წარმოება ახალია
სხვა ადმინისტრაციულ წარმოებათა შორის, რაც დაკავშირებულია ჩვენში
ახალი ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებასთან. ამ ახალმა
ურთიერთობებმა გამოიწვიეს ახალი ადმინისტრაციული წარმოების
შემოღება საჯარო შესყიდვების საქმეთა წარმოების სახით. იგი ცალკე
კანონითაა მოწესრიგებული.

საჩივრების საქმეთა წარმოება მოიცავს არა მარტო მმართველობის
ორგანოების მიერ საჩივრების განხილვას, არამედ ადმინისტრაციული
ყოველგვარი საჩივრის გამო წარმოებას ხელისუფლების, მმართველო-
ბის, მართლმსაჯულებისა და პროკურატურის ორგანოებში. ყველა სახ-
ელმწიფო ორგანო ვალდებულია გადაწყვიტოს მოქალაქის საჩივარი,
რომელიც მმართველობის სფეროშია წარმოშობილი ადმინისტრაციულ-
პროცესუალური ფორმების მეშვეობით. სასამართლოში ადმინისტრაცი-
ული საჩივრის გადასაწყვეტად სამოქალაქო პროცესის მოშველიება
ხელოვნურია და არსებითად იგი არც გამოიყენება, ვინაიდან სამო-
ქალაქო პროცესუალურ კანონმდებლობაში გათვალისწინებული გამონაკ-
ლისები ამ კატეგორიის საქმეთა განხილვასთან დაკავშირებით არსები-
თად ადმინისტრაციულ-პროცესუალური ფორმების გამოყენებას ნიშნავ-
და მართლმსაჯულების გასატარებლად. წარმოების ამ სახეს უდიდესი
მნიშვნელობა აქვს მოქალაქეთა და საერთოდ ადამიანთა უფლებებისა და
კანონიერი ინტერესების დასაცავად. იგი მოწესრიგებულია ზოგადი
ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 თავით, რასაც ჩვენ სხვა თავში
განვიხილავთ.

ადმინისტრაციული დავების საქმეთა წარმოება დაკავშირებულია არა
დარღვეული უფლების აღდგენასთან, არამედ მოსალოდნელი დარღვე-

ვის აღკვეთასთან, ე.ი. ეს არის დავა მინიჭებული უფლებებისა და ინტერესების განხორციელების შესაძლებლობების შეფერხების გამო. აღნიშნული საქმისწარმოება დაკავშირებულია როგორც ყოველი მმართველობის ორგანოს მუშაობაში წამოჭრილ დავებთან, ისე ორგანიზაციათა დავებთან. მიუხედავად იმისა, რომ ეს დავები ქონებრივ-ორგანიზაციული ხასიათისაა, აქ დავების გამო საქმისწარმოება მაინც ადმინისტრაციულ-პროცესუალური ნორმების საფუძველზე ხდება, ვინაიდან სადავო საქმის ფორმა ადმინისტრაციულ-სამეურნეო დავის სახეს ატარებს. როგორც ცნობილია, არასახელმწიფო ორგანიზაციებს შორის დავა წყდება სასამართლოების მიერ სამოქალაქო-პროცესუალური ნორმების საფუძველზე.

ადმინისტრაციული დავების საქმისწარმოება ჩვენს სასამართლოებში მოწესრიგებულია საქართველოს ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსით, რომელიც მიღებულ იქნა 1999 წლის 21 ივლისს. ეს საკითხიც ცალკეა განხილული ამ წიგნის სპეციალურ თავში.

ადმინისტრაციული გადაცდომების საქმეთა წარმოებაც ცალკე შეისწავლება, როგორც ადმინისტრაციული წარმოების მნიშვნელოვანი სახე. ადმინისტრაციული გადაცდომების საქმეთა წარმოება დაკავშირებულია ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობასთან, რაც ცალკე კოდექსითაა მოწესრიგებული (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი).

დისციპლინური გადაცდომების საქმეთა წარმოება დაკავშირებულია მუშა-მოსამსახურეთა მიერ დისციპლინური გადაცდომების ჩადენასთან. მათგან მოსამსახურეთა დისციპლინურ პასუხისმგებლობას ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ, ხოლო მუშათა დისციპლინური პასუხისმგებლობა შრომის სამართლის რეგულირების საგანია, მაგრამ ამ პასუხისმგებლობის გამოყენება, ე.ი. მუშებისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრება და მათი გასაჩივრება ადმინისტრაციულ-პროცესუალური ნორმების საფუძველზე ხორციელდება.

მატერიალური დელიქტის გამო საქმისწარმოება დაკავშირებულია მმართველობის სფეროში უმნიშვნელო მატერიალური ზარალის მიყენებასთან, რომელიც ადმინისტრაციის მიერ განიხილება ადმინისტრაციულ-პროცესუალური ნორმების მეშვეობით. ეს წარმოება ძალიან უახლოვდება დავების საქმეთა წარმოებას, მაგრამ განსხვავდება მისგან იმით, რომ აქ სახეზეა სამართალდარღვევა, ხოლო დავების დროს ეს დარღვევა მხოლოდ მოსალოდნელია. თუ მატერიალური ზარალი მეტად

სერიოზულია და იგი გამოწვეულია მოქალაქეების ან მოსამსახურეების მიერ, საქმე სულ სხვა ფორმას იღებს, კერძოდ, სამოქალაქო-პროცესუალურ ფორმას და დაეაც წყდება სამოქალაქო-პროცესუალური ნორმების მეშვეობით სასამართლოში.

ადმინისტრაციული აღკვეთისა და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის საქმეთა წარმოება ხშირად დაკავშირებულია ადმინისტრაციული გადაცდომის საქმისწარმოებასთან, მაგრამ მისგან განსხვავებით გამაფრთხილებელი, პროფილაქტიკური ხასიათის ღონისძიებების გამოყენებას ისახავს მიზნად და წარმოადგენს საქმის გამარტივებულ გადაწყვეტას უშუალოდ საზოგადოებრივ ადგილებში. ადმინისტრაციული აღკვეთის (იარაღის გამოყენება, დაკავება და ა.შ.), ისევე, როგორც ადმინისტრაციული უზრუნველყოფის ღონისძიებების (მაგალითად, კარანტინის გამოცხადება) გატარება დაკავშირებულია მოქალაქეთა მიმართ ამ ღონისძიებების გამოყენებასთან, რაც ცალკეული საკანონმდებლო აქტებითა და დებულებებითაა გათვალისწინებული.

როგორც აღვნიშნეთ, ადმინისტრაციულ-პროცესუალური ურთიერთობების განვითარების შედეგად ჩვენში წარმოიშობა ადმინისტრაციული წარმოების ახალი სახეები, რომელთა შორისაც აღსანიშნავია ლიცენზიებისა და სერტიფიკატების გაცემის საქმისწარმოება, საჯარო ინფორმაციის საქმისწარმოება, იმპინჩმენტის წარმოება. ✓

ლიცენზიებისა და სერტიფიკატების გაცემის საქმეთა წარმოება დარეგულირებულია ცალკეული აქტებით. სერტიფიკაციის საკითხები მოწესრიგებულია 1996 წლის 6 სექტემბრის კანონით „პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“¹, ხოლო ლიცენზირების საკითხები მოცემულია ცალკეულ საკანონმდებლო აქტებში, მაგალითად, სამეწარმეო ლიცენზირება ადება 1999 წლის 14 მაისის კანონით „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“², სამედიცინო საქმიანობა – საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 4 იანვრის ბრძანებულებით „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“³ და სხვ.

პროდუქციის სერტიფიკაცია გულისხმობს დადგენილ მოთხოვნებთან პროდუქციის შესაბამისობის დადასტურებას. მას ახდენს საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმ-

¹ იხ. ვაზუთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1996 წლის 21 სექტემბერი.

² იხ. ვაზუთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1999 წლის 5 ივნისი.

³ იხ. ვაზუთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1997 წლის 16 იანვარი.

წიფო დეპარტამენტი, რომელიც სახელმწიფო რეგისტრაციაში ატარებს საქართველოში მოქმედ სერტიფიკაციის სისტემებსა და შესაბამისობის ნიშნებს. სავალდებულო სერტიფიკაციის ორგანიზება და სამუშაოთა ჩატარება ეკისრება საქსტანდარტს, ხოლო პროდუქციის ცალკეულ სახეობათა მიმართ სავალდებულო სერტიფიკაცია შეიძლება დაეკისროთ აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო ორგანოებსა და იურიდიულ პირებს მათი საკუთრების ფორმის განურჩევლად. სერტიფიკაციის სისტემას აქვს პროცედურებისა და მართვის თავისი სპეციალური წესები სერტიფიკაციის ჩასატარებლად. სერტიფიკაციის სისტემაში შეიძლება შედიოდეს ერთგვაროვანი პროდუქციის რამდენიმე ორგანო და საგამოცდო ლაბორატორია. დადგენილ მოთხოვნებთან სერტიფიცირებული პროდუქციის შესაბამისობას ადასტურებს შესაბამისობის სერტიფიკატი, რომელიც არის დოკუმენტი, რაც გაიცემა სერტიფიკაციის სისტემის წესებით. დადგენილ მოთხოვნებთან ნიშნდებული პროდუქციის შესაბამისობას ადასტურებს შესაბამისობის ნიშანი, რომლის გამოყენებისა და სახელმწიფო რეგისტრაციის წესებს ადგენს საქსტანდარტი. სერტიფიკაციის ორგანო ახდენს პროდუქციის სერტიფიკაციას, გასცემს სერტიფიკატებსა და ლიცენზიებს შესაბამისობის ნიშნის გამოსაყენებლად, შეაჩერებს ან აუქმებს თავისი გაცემული სერტიფიკაციის მოქმედებას და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს საქსტანდარტსა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო ორგანოებს, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობით ვეალებათ სავალდებულო სერტიფიკაციის სამუშაოთა ორგანიზება. საგამოცდო ლაბორატორიასა და სერტიფიკაციის ორგანოში სავალდებულო სერტიფიკაციის წესების დაცვას სახელმწიფო კონტროლსა და ზედამხედველობას უწევენ საქსტანდარტი და აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალურად უფლებამოსილი სხვა სახელმწიფო ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. აკრედიტებული სერტიფიკაციის ორგანოები აკონტროლებენ და ზედამხედველობას უწევენ თავიანთ სერტიფიცირებულ პროდუქციას. პროდუქციის სერტიფიკატთან შეუსაბამობისას სანქციას უფარდებს საქსტანდარტი და სპეციალურად უფლებამოსილი სხვა სახელმწიფო ორგანო: პროდუქციის სერტიფიკატთან შეუსაბამობისას სერტიფიკაციის შესაბამის ორგანოს შეუძლია შეაჩეროს ან გააუქმოს სერტიფიკატი და შესაბამისო-

ბის ნიშნის მოქმედება. თუ პროდუქცია საშიშროებას უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, საქსტანდარტს უფლება აქვს სერტიფიკაციის შესაბამის ორგანოებთან ერთად მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები.

ლიცენზირების საქმის წარმოება ყველაზე კარგადაა მოცემული ზემოთ დასახელებულ კანონში „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“. ლიცენზია არის სახელმწიფო ორგანოს სპეციალური ნებართვა, რომელიც ლიცენზიის მფლობელს აძლევს უფლებას განსაზღვრული პირობების დაცვით განახორციელოს გარკვეული სახის საქმიანობა. სახელმწიფო და უწყებრივ ორგანიზაციებში იქმნება სალიცენზიო რეესტრი, რომელიც მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტია ლიცენზიის გაცემის, შეჩერების ან გაუქმების მონაცემთა ერთობლიობის შესახებ. ლიცენზიის ფორმა განისაზღვრება ლიცენზიის გამცემი ორგანოს ნორმატიული აქტით, რომელიც ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, როგორც სახელმწიფო სალიცენზიო რეესტრის შემადგენელ ორგანოს, მიაწოდოს ინფორმაცია ყოველი ლიცენზიის გაცემის, შეჩერებისა და გაუქმების შესახებ, ხოლო ყოველწლიურად, არა უგვიანეს 20 იანვრისა, მიაწოდოს მას სრული ინფორმაცია ლიცენზიებთან დაკავშირებით. სახელმწიფო სალიცენზიო რეესტრის ფორმას, ინფორმაციის მოწოდების ფორმებსა და წესს განსაზღვრავს იუსტიციის სამინისტრო.

ლიცენზია გაცემა განუსაზღვრელი ვადით. ლიცენზიის გაცემა სხვა პირისათვის აკრძალულია. ლიცენზიის მისაღებად აუცილებელია მისი მაძიებლის წერილობითი განცხადება, რომელსაც უნდა დაერთოს სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. ლიცენზიის მფლობელი მისი საფირმო სახელწოდების, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის, ადგილსამყოფელის შეცვლის ან რეორგანიზაციის შემთხვევაში ვალდებულია კანონით დადგენილი წესით ლიცენზიის გამცემ ორგანოს წერილობით აცნობოს ამის შესახებ. ლიცენზიის მიღების შესახებ განცხადება განიხილება მისი წარდგენიდან 30 დღის განმავლობაში. ლიცენზიის გამცემი ორგანო საჭიროების შემთხვევაში ქმნის მუდმივ მოქმედ კომისიას ლიცენზირების პროცესში ჩართულ სამთავრობო დაწესებულებათა მონაწილეობით. კომისია უფლებამოსილია შეამოწმოს და განსაზღვროს, თუ რამდენად აკმაყოფილებს ლიცენზიის მაძიებელი ლიცენზიით ნებადართული საქმიანობის პირობებს. ლიცენზიის გამცემი

ორგანო განხილვის შედეგების გათვალისწინებით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: ა) ლიცენზიის გაცემის შესახებ, ბ) ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც წერილობით უნდა იყოს დასაბუთებული, და შეიცავდეს უარის თქმის საფუძველს. უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. თუ ლიცენზიის გაცემის შესახებ განცხადება არ იქნა განხილული 30 დღის განმავლობაში, ლიცენზიის მაძიებელს უფლება აქვს ამ ვადის გასვლისთანავე შეუდგეს ლიცენზიის მიღების შესახებ განცხადებაში აღნიშნულ საქმიანობას. დაუშვებელია ლიცენზიაზე უარის თქმა ლიცენზირების გაცემის რაოდენობის შეზღუდვის მოტივით.

ლიცენზიის გამცემს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ლიცენზიის მოქმედების შეჩერების შესახებ, თუ მისი მფლობელი არღვევს ლიცენზიის პირობებს, ან ლიცენზიით ნებადართულ საქმიანობას. გადაწყვეტილება ლიცენზიის მოქმედების შეჩერების შესახებ დაუყოვნებლივ წერილობით ეცნობება მის მფლობელს ლიცენზიის შეჩერების მოტივისა და საფუძველის მითითებით. ეს ფაქტი აღინიშნება სახელმწიფო სალიცენზიო რეესტრში და გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში გამოქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“. შეჩერების ვადა კანონში არაა დადგენილი, მაგრამ იგი უნდა შეჩერდეს გონივრული ვადით, ყოველ შემთხვევაში ეს ვადა გრძელდება დარღვევის ლიკვიდაციამდე, მაგრამ გადაწყვეტილების გამოტანიდან არა უმეტეს 3 თვისა. შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება ხდება სასამართლოში. ლიცენზიის მოქმედების შეჩერებასთან დაკავშირებული პირობებისა და მოთხოვნების შესრულების შემდეგ ლიცენზიის მოქმედება განახლდება მისი გამცემი ორგანოს გადაწყვეტილებით ლიცენზიის მფლობელის განცხადების საფუძველზე.

ლიცენზიის გაუქმების საფუძველია ლიცენზიის მფლობელის მოთხოვნა ამის შესახებ, ლიცენზიის მფლობელის გარდაცვალება (საწარმოს ლიკვიდაცია), ლიცენზიის შეჩერების ვადის გასვლა, ლიცენზიის მფლობელის მიერ ლიცენზიით ნებადართული საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესის სისტემატური დარღვევა, აგრეთვე სპეციალური კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველები. აღნიშნული საფუძველით ლიცენზიის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას მისი გამცემი ორგანოს განცხადების საფუძველზე იღებს შესაბამისი სასამართლო განსჯადობის მიხედვით. ლიცენზიის გამცემი ორგანო

გადაწყვეტილებას ლიცენზიის გაუქმების შესახებ იღებს 5 დღის ვადაში იმ დღიდან, რაც მისთვის ცნობილი გახდება ლიცენზიის გაუქმების საფუძველი. ლიცენზიის გამცემი ორგანო ლიცენზიის გაუქმების შესახებ წერილობით აცნობებს ლიცენზიის მფლობელს, მასვე შეაქვს ცნობები უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში და აღნიშნულის შესახებ აცნობებს სახელმწიფო სალიცენზიო რეესტრის მწარმოებელ ორგანოს. გადაწყვეტილებას ლიცენზიის გაუქმების შესახებ, მისი მიღებიდან 10 დღის ვადაში აქვეყნებს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“.

სალიცენზიო წარმოება ხდება ორ რეესტრში: უწყებრივ და სახელმწიფო სალიცენზიო რეესტრში. ლიცენზიის გამცემი ორგანო ვალდებულია ლიცენზიის თაობაზე უწყებრივ რეესტრში შეტანილი მონაცემები 10 დღის ვადაში (შეტანიდან) აცნობოს სახელმწიფო სალიცენზიო რეესტრის მწარმოებელ ორგანოს. მონაცემები ლიცენზიის გაცემის, შეჩერების, განახლებისა ან გაუქმების შესახებ ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“. ნებისმიერ პირს უფლება აქვს გაეცნოს და წერილობით მოითხოვოს უწყებრივი რეესტრისა და სახელმწიფო სალიცენზიო რეესტრის მონაცემები.

✓ ადმინისტრაციულ პროცესში საქმისწარმოების სხვა სახეებიდან აღსანიშნავია ინფორმაციის მიღების, დამუშავების, შენახვისა და გაცნობის საქმეთა წარმოება და თანამდებობის პირთა იმპიჩმენტის საქმეთა წარმოება. პირველი საქმისწარმოება მოწესრიგებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით, ხოლო იმპიჩმენტის საკითხები – სპეციალური კანონით „იმპიჩმენტის შესახებ“, რომელიც მიღებულია 1997 წლის 11 ნოემბერს¹. ✓

საქართველოს კონსტიტუციის 63-ე და 64-ე მუხლების თანახმად, მხოლოდ პარლამენტარებს აქვთ უფლება პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნით აღძრან საკითხი საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მთავრობის წევრების, კონტროლის პალატის თავმჯდომარის, გენერალური პროკურორის ან ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების გადაყენების შესახებ. გადაყენების საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ კონსტიტუციის დარღვევა ან სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა სახელმწიფოს ღალატის ან სხვათა სახით მართალია, ეს

¹ იხ. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1997წ. 28 ნოემბერი.

საკითხი პარლამენტის მსჯელობის საგანია და პარლამენტის საქმიანობის გამოხატველია, მაგრამ რამდენადც იმპიჩმენტი შეეხება მმართველობის სფეროს საჯარო მოსამსახურეებს (პრეზიდენტს, სახელმწიფო მინისტრს, მინისტრებს, კონტროლის პალატის თავმჯდომარეს, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრებს), ამდენად, საქმე ადმინისტრაციულ-პროცესუალურ ხასიათს იძენს და ადმინისტრაციული წარმოების ფორმაში გამოვლინდება, სახელმწიფო-სამართლებრივი პროცესუალური ფორმები კი არ არსებობს.

იმპიჩმენტის წესით თანამდებობის პირის თანამდებობიდან გადაყენების საკითხი აღძრულად ჩაითვლება, თუ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს წარედგინება თანამდებობის პირის გადაყენების წერილობითი მოთხოვნა პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის ხელმოწერით, წარდგენის ვადა კი 30 დღეა ხელმოწერის დამთავრებიდან. პარლამენტის თავმჯდომარე ვალდებულია იმპიჩმენტის წესით თანამდებობის პირის გადაყენების საკითხი დასკვნისათვის 3 დღის ვადაში გადასცეს შესაბამისად უზენაეს ან საკონსტიტუციო სასამართლოს, ხოლო თუ თანამდებობის პირის ქმედებაში შეიმჩნევა როგორც კონსტიტუციის დარღვევა, ისე სისხლის სამართლის დანაშაული, მაშინ პარლამენტის თავმჯდომარე დასკვნისათვის საკითხს გადასცემს ერთდროულად როგორც საკონსტიტუციო, ისე უზენაეს სასამართლოს. დასკვნა ამ ორგანოებიდან მიღებულ უნდა იქნეს საკითხის შეტანიდან 30 დღის ვადაში. საქართველოს უზენაესი სასამართლო თავისი პლენუმის დადგენილებების სახით იძლევა დასკვნას თანამდებობის პირის ქმედებაში ამა თუ იმ დანაშაულის ნიშნების არსებობის შესახებ. ბუნებრივია, უზენაესი სასამართლო თავმჯდომარე არ მონაწილეობს პლენუმის მუშაობაში, როცა მისი იმპიჩმენტის საკითხი იხილება. პლენუმზე შეიძლება მიწვეულ იქნეს იმპიჩმენტის ინიციატორ პარლამენტის წევრთა უფლებამოსილი წარმომადგენელი და ის პირი (ან მისი წარმომადგენელი), ვისი გადაყენების საკითხიცაა აღძრული. სხდომაზე ასევე შეიძლება მოწვეულ იქნენ საქართველოს გენერალური პროკურორი, ექსპერტები, სპეციალისტები, მოწმეები და სხვა პირები. პლენუმს არ გამოაქვს განაჩენი და არ უსჯის პირს კონკრეტულ სასჯელს, თუმცა ამისთვისაა შექმნილი სასამართლო საერთოდ. მხოლოდ იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების შემთხვევაში მიეცემა შესაბამისი თანამდებობის პირი პასუხისგებაში, ხოლო თუ გადაყენება არ

მოხდა, პასუხისმგებლობის საკითხიც მოიხსნება, რაც გულისხმობს იმუნიტეტის გავრცელებას დამნაშავე თანამდებობის პირის მიმართ და რაც კანონიერების თვალსაზრისით გაუმართლებელია. თუ თანამდებობის პირი, ვისი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხიც არის აღძრული, გადადგა ან გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან, მაშინ ამ პირის მიმართ წყდება იმპიჩმენტის პროცედურა, თუმცა პასუხისმგებლობის საკითხი არ მოიხსნება. იმპიჩმენტის პროცედურა წყდება აგრეთვე თუ უზენაესმა სასამართლომ არ დაადასტურა პირის ქმედებაში დანაშაულის ნიშნები ან საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიჩნია პირის ქმედება კონსტიტუციის დარღვევად.

თუკი პარლამენტი მიიღებს დასტურს თანამდებობის პირის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის ან მის მიერ კონსტიტუციის დარღვევის შესახებ, მაშინ დასკვნის მიღებიდან 10 დღის ვადაში საქართველოს პარლამენტი იწყებს დასკვნის განხილვას. განხილვა წარმოებს უახლესი (მორიგი ან რიგგარეშე) სესიის პირველსავე სხდომაზე. საქართველოს პრეზიდენტის ქმედებაზე დასკვნის განხილვის დაწყებიდან 30 დღის ვადაში საქართველოს პარლამენტი იღებს გადაწყვეტილებას იმპიჩმენტის წესით პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის კენჭისყრაზე დასმის შესახებ, რასაც მხარი უნდა დაუჭიროს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობამ. მხოლოდ ამის შემდეგ მოხდება პრეზიდენტის გადაყენებისათვის კენჭისყრა და თუ პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორმა მესამედმა ფარული კენჭისყრით დაუჭირა მხარი მის გადაყენებას, პრეზიდენტი გადაყენებულად ითვლება. სხვა თანამდებობის პირთა გადაყენებისათვის ასეთი გართულებული წესი არაა გათვალისწინებული. ამ შემთხვევაში პარლამენტში დასკვნის განხილვის დაწყებიდან 30 დღის ვადაში კენჭისყრაზე დაისმება აღნიშნულ თანამდებობის პირთა იმპიჩმენტის წესით გადაყენების საკითხი, რომლის დადებითად გადასაწყვეტად საჭიროა პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა ფარული კენჭისყრით. თუ იმპიჩმენტის საკითხი პარლამენტმა ვერ გადაწყვიტა დასკვნის განხილვის დაწყებიდან 30 დღის ვადაში ან პირის გადაყენებას მხარი არ დაუჭირა დეკლუტატთა საჭირო რაოდენობამ, საკითხი მოხსნილად ითვლება და მომდევნო ერთი წლის განმავლობაში დაუშვებელია ამ თანამდებობის პირის მიმართ იმავე ბრალდების წარდგენა. პარლამენტში გადაყენების საკითხს შეიძლება

ესწრებოდა ის თანამდებობის პირი ან მისი წარმომადგენელი, ვისი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხიცაა აღძრული. კანონმდებლობა არ მიუთითებს შეუძლია თუ არა ამ პირს წარმოთქვას თავისი სიტყვა პარლამენტში ან ხდება თუ არა მისი დაკითხვა კენჭისყრის წინ. მაგრამ საქმისწარმოების დემოკრატიული საფუძველები, რომლებიც განმტკიცებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და სხვა კანონმდებლობით ამის შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს. დაუშვებელია საქართველოს პრეზიდენტისათვის წარდგენილი ბრალდების საქართველოს პარლამენტში განხილვა და გადაწყვეტილების მიღება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის ან ომის დროს. სხვა თანამდებობის პირების მიმართ ეს წესი არ ვრცელდება. ასეთ დროს პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი განახლდება აღნიშნული მდგომარეობის დამთავრების შემდეგ პარლამენტის უახლესი სესიის პირველსავე სხდომაზე.

ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საგანცხადებო საქმისწარმოება, როგორც აღვნიშნეთ, მოცემულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავში. ამ კოდექსით ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა ან წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული ასლი. საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირი წარადგენს წერილობით განცხადებას, რომელშიც აუცილებელი არ არის მიეთითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი. სხვისი პერსონალური მონაცემების ან კომერციული საიდუმლოების მოთხოვნის შემთხვევაში განმცხადებელი, კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, ვალდებულია წარადგინოს შესაბამისი პირის სანოტარო წესით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამოწმებული თანხმობა (კოდექსის მუხლი 37-ე). საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობა, დაუშვებელია დაწესდეს რაიმე სახის საფასური საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის, ასლის გადაღებისათვის აუცილებელი თანხის ანაზღაურების გარდა. პირს არ შეიძლება უარი ეთქვას იმ საჯარო ინფორმაციის

გაცემაზე, რომელიც მისი იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა, რაც სხვა პირებისათვის ხელმისაწვდომი არ უნდა იყოს. პირს უფლება აქვს გაეცნოს მის შესახებ საჯარო დაწესებულებაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები. საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა. პირს უფლება აქვს პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობაზე უარის თქმის შესახებ საჯარო დაწესებულების გადაწყვეტილება გაასაჩივროს ერთი თვის ვადაში. სასამართლო კი უფლ. სამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება პერსონალური მონაცემების გამაჩხელის შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია სხვა მტკიცებულებებით საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა ან თუ ამოიწურა სხვა წყაროდან ამ ინფორმაციის მიღების ყველა სხვა შესაძლებლობა. პერსონალური მონაცემები შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს სამეცნიერო კვლევების ჩასატარებლად მხოლოდ პირის იდენტიფიკაციის გამომრიცხავი ფორმით. სასამართლოს უფლება აქვს გამოითხოვოს და განიხილოს გასაიდუმლოებული საჯარო ინფორმაცია მისი მთლიანი ან ნაწილობრივი გასაიდუმლოების კანონიერების შესწავლის მიზნით. სასამართლოს მხარის შუამდგომლობით უფლება აქვს ეს განხილვა აწარმოოს დახურულ სხდომაზე. კოდექსის 28-ე მუხლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია საიდუმლოა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციული და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია. არ შეიძლება გასაიდუმლოებულ იქნეს ინფორმაცია: გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ საშიშროების შესახებ, რომელიც ემუქრება ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ინფორმაცია საჯარო დაწესებულების საქმიანობის ძირითადი პრინციპებისა და მიმართულებების შესახებ, არ შეიძლება საიდუმლო იყოს საჯარო დაწესებულების სტრუქტურის აღწერა, მოსამსახურეების ფუნქციების განსაზღვრის, განაწილებისა და გადაწყვეტილებათა მიღების წესი, იმ საჯარო მოსამსახურეების ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი, რომელთაც უკავიათ თანამდებობა ან ევალუატი საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოება ან საზოგადოებასთან ურთიერთობა და მოქალაქეთათვის

ინფორმაციის მიწოდება; არ შეიძლება გასაიდუმლოებულ იქნეს ინფორმაცია კოლეგიურ საჯარო დაწესებულებაში გადაწყვეტილების მისაღებად გამართული ღია კენჭისყრის შედეგების შესახებ, არჩევით თანამდებობაზე პირის არჩევასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია; ყველას აქვს უფლება იცოდეს: საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ აუდიტორული დასკვნებისა და რევიზიების შედეგები, აგრეთვე სასამართლოს მასალები იმ საქმეებზე, რომელშიც საჯარო დაწესებულება მხარეს წარმოადგენს; საჯარო დაწესებულებაში არსებული საჯარო მონაცემთა ბაზისათვის პასუხისმგებელი პირის ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი. საჯარო დაწესებულების მიერ მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების მიზნები, გამოყენების სფეროები და სამართლებრივი საფუძველი, საჯარო მონაცემთა ბაზაში პერსონალური მონაცემების არსებობა ან არარსებობა, აგრეთვე მათი გაცემის წესი, იმ პირთა კატეგორია, რომელთაც კანონით უფლება აქვთ გაეცნონ საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს, საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ მონაცემთა შემადგენლობა, წყაროები და იმ პირთა კატეგორია, რომელთა შესახებ გროვდება, მუშავდება და ინახება ინფორმაცია, აგრეთვე ყველა სხვა ინფორმაცია, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით არ არის მიჩნეული სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებად (კოდექსის მუხლი 42-ე).

საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს სხვა დასახლებულ პუნქტში მისი სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას, მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას, ან კიდევ თუ ეს მოითხოვს სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას. თუ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭიროა 10-დღიანი ვადა, საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოთხოვნისთანავე აცნობოს ამის შესახებ განმცხადებელს. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე საჯარო დაწესებულების უარი განმცხადებელს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ. ამ შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში

პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელსაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას.

პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს, კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, წყვეტს პირი, რომლის შესახებაც არსებობს ეს ინფორმაცია. ინფორმაციის წარდგენისას პირი ვალდებულია მიუთითოს, რომ ინფორმაცია მისი კომერციული საიდუმლოებაა. საჯარო დაწესებულება ვალდებულია 10 დღის ვადაში მიიჩნიოს კომერციულ საიდუმლოებად მიღებული ინფორმაცია იმ შემთხვევის გარდა, როცა ინფორმაციის ღიაობის ვალდებულება დადგენილია კანონით. თუ საჯარო დაწესებულება არ ცნობს ინფორმაციას კომერციულ საიდუმლოებად, იგი იღებს გადაწყვეტილებას მისი ღიაობის შესახებ, რასაც დაუყოვნებლივ აცნობებს შესაბამის პირს. გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის შემდეგ ინფორმაცია ხდება ღია თუ პირმა, რომლის საკუთრებასაც წარმოადგენს ეს ინფორმაცია, ამ ვადის გასვლამდე ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ან სასამართლოში არ გაასაჩივრა ინფორმაციის ღიაობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, რაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საჯარო დაწესებულებას. თანამდებობის პირის მიერ გადაწყვეტილებათა მომზადების პროცესში მონაწილე სხვა საჯარო მოსამსახურეთა (სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების გარდა) ვინაობა დაცულია გამხელისაგან აღმასრულებელი პრივილეგიით, რაც გულისხმობს საჯარო დაწესებულებებისა და საჯარო მოსამსახურეების გათავისუფლებას კანონით გათვალისწინებული მოვალეობებისაგან, საჯარო დაწესებულება ვალდებულია შეიტანოს ამ დაწესებულებაში არსებული საჯარო ინფორმაცია საჯარო რეესტრში, რომელშიც უნდა იქნეს საჯარო ინფორმაციაზე მითითება მისი მიღებიდან, შექმნიდან, დამუშავებიდან ან გაცემიდან 2 დღის ვადაში. რეესტრში აღინიშნება საჯარო ინფორმაციის დასახელება, მიღების, შექმნის, დამუშავების ან გამოცემის თარიღი, ის ფიზიკური ან იურიდიული პირი, საჯარო მოსამსახურე, რომლისგანაც შემოვიდა ან გაიგზავნა ეს ინფორმაცია. ყოველი წლის 10 დეკემბერს საჯარო დაწესებულება ვალდებულია წარუდგინოს ანგარიში საქართველოს პარლამენტსა და პრეზიდენტს საჯარო ინფორმაციის ყველა მონაცემის შესახებ.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების
წარმოება

§ 1. ადმინისტრაციული ინდივიდუალური აქტის მიღება

ადმინისტრაციული აქტის მიღება ადმინისტრაციული პროცესის ერთ-ერთი სტადიაა. იგი ცალკე საქმისწარმოების სახეს არ ქმნის, არამედ დაკავშირებულია ადმინისტრაციული პროცესის საქმისწარმოების სახეებთან. რამდენადაც ადმინისტრაციული საქმისწარმოების ყოველი სახე ითვალისწინებს ადმინისტრაციული აქტის მიღებას, ამდენად, ამ საკითხს ადმინისტრაციულ პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს. მართალია, ზოგჯერ ადმინისტრაციული საქმის განხილვა არაა დაკავშირებული ადმინისტრაციული აქტის მიღებასთან, როცა საქმე წარმოებით შეწყდება სამართალდარღვევის ნიშნების არარსებობის ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში პირის გადაცემის შემთხვევაში. მაგრამ ადმინისტრაციულ პროცესში ეს იშვიათი შემთხვევაა და მეტწილად პროცესი ადმინისტრაციული აქტის გამოცემით მთავრდება. ამიტომ ადმინისტრაციული აქტის მიღების პროცედურული საკითხები განცალკევებით შეისწავლება, რითაც ყურადღება გამახვილებულია იურიდიული პროცესის ამ მხარის სამართლებრივ შედეგებზე.

მაშასადამე, ადმინისტრაციული აქტის მიღება ადმინისტრაციული პროცესის შემადგენელი ნაწილია, იგი საქმისწარმოების დამოუკიდებელ სახეს არ ქმნის, მაგრამ ადმინისტრაციული აქტის მიღების პროცედურის დეტალიზებას იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ადმინისტრაციულ პროცესში, რომ იგი ცალკე განხილვის საგანი ხდება.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ორი სახისაა: ადმინისტრაციულ-ნორმატიული და ადმინისტრაციულ-ინდივიდუალური აქტები. აქედან, ინდივიდუალურ აქტს ადმინისტრაციული აქტი ეწოდება. ზოგად-ადმინისტრაციულ კოდექსში ადმინისტრაციული აქტი განმარტებულია როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ადმინისტრაციულ

აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებაში შემავალი საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კი არის უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს. როგორც ადმინისტრაციული, ისე ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიღების წესებს ჩვენ ცალ-ცალკე განვიხილავთ.

მმართველობის აქტებიდან ადმინისტრაციული აქტების მიღებისა და ძალაში შესვლის საკითხები დეტალურადაა მოწესრიგებული საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 თავით. ადმინისტრაციული აქტი ამ კოდექსის მიერ განმარტებულია როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ამდენად, ადმინისტრაციული აქტების გამოცემის სამართლებრივ რეგლამენტაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

ადმინისტრაციული აქტი უნდა გამოიცეს წერილობით, მაგრამ გადაუდებელ შემთხვევებში, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან პირის კანონით დაცულ ინტერესებს, ადმინისტრაციული აქტი შეიძლება გამოიცეს ზეპირადაც, რომელიც 3 დღის ვადაში მაინც უნდა გაფორმდეს წერილობით, როცა იგი ზღუდავს პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს, აგრეთვე, როცა ამას დაინტერესებული მხარე მოითხოვს ან როცა ეს კანონითაა პირდაპირ გათვალისწინებული. ადმინისტრაციული აქტი უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს: მის სახეს, გამომცემ ორგანოს, სათაურს, უფლებამოსილი თანამდებობის პირის გვარს, სახელსა და ხელმოწერას, აქტის გამოცემის დროსა და ადგილს, გამომცემი ორგანოს მიერ მინიჭებულ სარეგისტრაციო ნომერს. ადმინისტრაციულ აქტში უსათუოდ უნდა იყოს მითითებული მისი გასაჩივრების წესი და ვადა, ასევე მასზე გამოსახული უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო გერბი, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოს აქტზე – ამ ორგანოს გერბი მისი არსებობის შემთხვევაში (იხ. კოდექსის 52-

ე მუხლი). მართალია, ამ რეკვიზიტების დაუკველობა ადმინისტრაციული აქტის ბათილობას არ იწვევს კოდექსის მე-60 მუხლის თანახმად, მაგრამ თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ ეს აქტი აღნიშნული რეკვიზიტების დარღვევით გამოსცა, იგი შეიძლება სადავოდ იქცეს.

ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას კანონმდებლობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მის დასაბუთებულობას. თუ ადრინდელი კანონმდებლობით ადმინისტრაციული აქტი შეიძლებოდა გამოცემულიყო ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, დღეს ყველა ადმინისტრაციული აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას (კოდექსის მუხლი 53-ის პუნქტი 1-ლი). ეს დასაბუთება წინ უნდა უძღოდეს აქტის სარეზოლუციო ნაწილს. მასში უნდა მიეთითოს ის საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ან მისი შესაბამისი ნორმა, რომლის შესაბამისადაც გამოიცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ადმინისტრაციულ აქტს განსაკუთრებული დასაბუთება ესაჭიროება, როცა იგი მიღებულია თანამდებობის პირის დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, ანუ როცა საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან თანამდებობის პირი შეარჩევს ყველაზე მისაღებ გადაწყვეტილებას. ადმინისტრაციული ორგანო არაა უფლებამოსილი თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებაზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი. ზოგჯერ ადმინისტრაციული აქტის გამოსაცემად გათვალისწინებულია საექსპერტო დასკვნის შედგენა, რომელიც მითითებული უნდა იქნეს წერილობით დასაბუთებაში. კანონი მოითხოვს, რომ წერილობითი დასაბუთება უნდა გამოქვეყნდეს ან გადაეცეს ოფიციალური გაცნობისათვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებთან ერთად. გადაუდებელ შემთხვევაში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შეიძლება გამოიცეს ან გამოქვეყნდეს წერილობითი დასაბუთების გარეშეც, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც წერილობითი დასაბუთება მაინც უნდა გამოქვეყნდეს ან გადაეცეს ოფიციალური გაცნობისათვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან ან ოფიციალური გაცნობიდან ერთი კვირის ვადაში. ეს წესები შეეხება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, ე.ი. როგორც ნორმატიულ-ადმინისტრაციულ, ისე ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ აქტსაც, ვინაიდან კოდექსში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განმარტებულია, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმ-

დებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი. ამასთან, ნორმატიულ-ადმინისტრაციული აქტი უნდა იქნეს რეგისტრირებული იუსტიციის სამინისტროში, ხოლო ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტი კი არა.

მართალია, დღეს ასეთი პუნქტუალობით ადმინისტრაციულ აქტებს ჩვენი ადმინისტრაციული ორგანოები არ გამოცემენ, მაგრამ მოქალაქეებმა უნდა მოსთხოვონ მათ აღნიშნული წესების დაცვა, რათა მათი უფლებების განხორციელებას რეალური საფუძველი გააჩნდეს.

ადმინისტრაციული აქტი ძალაში შედის ჩვეულებრივ გამოქვეყნების დღეს ან გაცნობისთანავე, მაგრამ თუ დაყოვნებამ შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს სახელმწიფოს ან საზოგადოებრივ ინტერესებს, დანაშაულის აღკვეთას ან გახსნას, აგრეთვე პირის უფლებებს ან კანონიერ ინტერესებს, მაშინ ადმინისტრაციული აქტი შეიძლება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე, ე.ი. გამოქვეყნებამდე ან ოფიციალურ გაცნობამდე.

ადმინისტრაციული აქტი გამოქვეყნდება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ჩვეულებრივ კი იგი გაეცნობა და გადაეცემა მხარეს, რომლის ასლის უფასოდ მიღების უფლება მას გააჩნია. თუ ადმინისტრაციული აქტი ეხება 50-ზე მეტ პირს, მისი ოფიციალური გაცნობა შეიძლება შეიცვალოს გამოქვეყნებით. ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციული აქტი გასაცნობად გადაეცემა მხოლოდ განმცხადებელს, ხოლო თუ განცხადებას ხელს აწერს რამდენიმე პირი, იმ პირს, რომლის ხელმოწერაც განცხადებაში პირველია. თუ ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნია ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო ადმინისტრაციული აქტის გამოსაქვეყნებლად, მაშინ იგი უნდა გამოქვეყნდეს იმ ბეჭდვით ორგანოში, რომელიც ვრცელდება ადმინისტრაციული ორგანოს მთელ სამოქმედო ტერიტორიაზე და გამოიცემა კვირაში ერთხელ მაინც, ხოლო თუ ასეთი შესაძლებლობაც არ არსებობს, ადმინისტრაციული აქტი ცხადდება საჯაროდ, რაც გულისხმობს ადმინისტრაციულ ორგანოში აქტის ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად მოთავსებას.

ადმინისტრაციული აქტის შესწორება დაუშვებელია, შეიძლება მხოლოდ ტექნიკური ან გამოთვლითი ხასიათის შეცდომების გასწორება, ხოლო აქტის არსებითი შესწორების შემთხვევაში ეს ნიშნავს, რომ ახალი აქტი გამოიცა, შეცდომების გასწორება უნდა გამოქვეყნდეს ან გადაეცეს ოფიციალური გაცნობისათვის იმავე წესით, რომელიც დადგენილია ადმინისტრაციული აქტის გამოქვეყნების ან გაცნობისათვის.

ადმინისტრაციული აქტი შეიძლება გამოიყენოს მხოლოდ დაინტერესებულ მხარის განცხადების შეტანის შემთხვევაში ან, როცა ადმინისტრაციულ ორგანოს კანონმდებლობით ეკისრება ვალდებულება გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი (მუხლი 76-ე), მაშასადამე, ადმინისტრაციული ორგანო, როცა მას მოესურვება ადმინისტრაციულ აქტს ვერ გამოსცემს. ამ საქმეში იგი მთლიანად დამოკიდებულია მოქალაქეზე ან კანონზე. თავისუფალი გათვალისწინების უფლება ამ მხრივ გამორიცხულია.

კოდექსი განსაზღვრავს ადმინისტრაციული აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადების წესს. მე-60 მუხლში მოცემულია ადმინისტრაციული აქტის ბათილად გამოცხადების შემთხვევები, კერძოდ, როცა იგი გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან პირის მიერ, როცა მისი შესრულება გამოიწვევს დანაშაულს ან შესრულება შეუძლებელია ფაქტობრივი მიზეზების გამო, როცა იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ეს უკანასკნელი გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როცა მიღებულია ერთი აქტი და უნდა ყოფილიყო მიღებული სხვაგვარი აქტი, ან როცა იგი კანონის დარღვევითაა მიღებული. აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტი შეიძლება ბათილად არ გამოცხადდეს, თუ დაინტერესებულ მხარეს აქვს კანონიერი ნდობის უფლება ამ აქტის მიმართ (გარდა შემთხვევებისა, როცა აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს), ვინაიდან ასეთ შემთხვევაში მას შეიძლება ზიანი მიაღგეს აქტის ბათილად გამოცხადების გამო, როცა მან უკვე განახორციელა აქტის საფუძველზე იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად აცხადებს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო მისი გასაჩივრების შემთხვევაში ზემდგომი ორგანო ან სასამართლო. ასეთ დროს პირს უფლება აქვს ორგანოსათვის გადაცემული თანხა ან ქონება უკან დაიბრუნოს ან მოითხოვოს სრული ანაზღაურება, ხოლო თუ ბათილი აქტით პირმა რაიმე სიკეთე მოიპოვა, იგი ვალდებულია დააბრუნოს ეს სიკეთე უსაფუძველო გამდიდრების გამო.

კოდექსი ადმინისტრაციული აქტის ბათილობასთან ერთად ცალკე აწესრიგებს მის ძალადაკარგულად გამოცხადების წესს. ბათილობა ნიშნავს, რომ გაუქმებულია სამართლებრივი შედეგები აქტის ძალაში

შესვლისთანავე, ხოლო ძალადაკარგულად გამოცხადება გულისხმობს აქტის მოქმედების შეწყვეტას მისი ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან. ადმინისტრაციული ორგანო კოდექსის 61-ე მუხლის თანახმად, ვალდებულია ძალადაკარგულად გამოაცხადოს კანონის შესაბამისად გამოცემული აღმკვეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, როცა ეს პირდაპირაა მითითებული კანონში, მის საფუძველზე გამოცემულ შემდგომი ორგანოს კანონქვემდებარე აქტში, ანდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში, როცა დაინტერესებულმა მხარემ არ შეასრულა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვალდებულება, რაც საფუძველს იძლევა აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებისათვის, როცა გაუქმდა ან შეიცვალა ნორმატიული აქტი, რომელიც უფლებას აძლევდა ადმინისტრაციულ ორგანოს აქტის გამოცემაზე და როშლის გამოცემაზე შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს, როცა არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოება ან შესაბამისი სამეცნიერო-ტექნიკური აღმოჩენა ან გამოგონება, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება არ იწვევს ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სხვა ნაწილების ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადებას. ადმინისტრაციული აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადების შემდეგ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია მოსთხოვოს პირს ამ ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე გაცემული რაიმე უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის დაბრუნება.

რაც შეეხება ადმინისტრაციული აქტის გამოცემასთან დაკავშირებულ წარმოებას, იგი მოწესრიგებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავით, რაც სპეციალურ განხილვას საჭიროებს.

ადმინისტრაციული აქტის მიღების პროცედურული საკითხები ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში გადაწყვეტილია მარტივი, ფორმალური და საჯარო. ადმინისტრაციული საქმისწარმოებების სახით. მათ შორის განსხვავება არსებითად იმაშია, რომ მარტივი წარმოებისას საქმისწარმოება შემოკლებულ ვადებში მიმდინარეობს, ფორმალური წარმოებისას ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე, რომელსაც შეიძლება არც დაესწროს დაინტერესებული მხარე, ხოლო საჯარო-ადმინისტრაციული წარმოებ-

ის დროს ადმინისტრაციული აქტი შეიძლება გამოიციეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის პროექტს წინასწარ გამოაქვეყნებენ საჯაროდ გაცნობისათვის, ხოლო საქმის განსახილველად უნდა გაიმართოს ზეპირი მოსმენა.

ადმინისტრაციული აქტის აღსრულების წესი მოცემულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-12 თავში. კოდექსის მიხედვით ადმინისტრაციულ აქტს აღსრულებს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, რომლის დავალებით ადმინისტრაციული აქტის აღსრულება შეიძლება განახორციელოს ქვემდგომმა ან სხვა ადმინისტრაციულმა ორგანომაც ურთიერთდახმარების წესის შესაბამისად. ნებადართულია ადმინისტრაციული აქტის აღსრულების უფლებამოსილების როგორც ერთჯერადი, ისე განსაზღვრული ვადით დელეგირება. ყველა ვალდებულება შეასრულოს ადმინისტრაციული აქტის აღსრულებასთან დაკავშირებით უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) კანონიერი მოთხოვნა. კოდექსი აწესებს დემოკრატიულ წესს, რომლის მიხედვითაც პირი უფლებამოსილია უარი განაცხადოს აღსრულებასთან დაკავშირებული მოთხოვნის შესრულებაზე, თუ ეს ეწინააღმდეგება მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებას ან გამოიწვევს სახელმწიფო, კომერციული, პროფესიული ან პირადი საიდუმლოების გამჟღავნებას, რომლის დაცვის ვალდებულებაც მას კანონით აკისრია (მუხლი 164-ე). ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია გამოსცეს ცალკე წერილობითი გადაწყვეტილება აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ, რომელიც ადმინისტრაციულ აქტს წარმოადგენს. თუ პირმა შეიტანა განცხადება აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ ადმინისტრაციული ორგანო ამ საკითხს წყვეტს 10 დღის ვადაში, აღსრულების საერთო ვადა კი 30 დღეა. აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებაში შეიძლება მითითებული იყოს აღსრულების უზრუნველყოფის მხოლოდ ერთი საშუალება, ხოლო მისი გამოყენების შეუძლებლობის შემთხვევაში, უნდა გამოიციეს ახალი ადმინისტრაციული აქტი აღსრულების სხვა საშუალების გამოყენების შესახებ.

კოდექსის 169-ე მუხლში მოცემულია აღსრულების უზრუნველყოფის 3 საშუალება, კერძოდ, სხვა პირისათვის ადმინისტრაციული აქტის აღსრულების დავალება, ჯარიმა, უშუალო იძულება. პირს, რომელსაც კანონის საფუძველზე დაევალება ადმინისტრაციული აქტის აღ-

სრულება, ამასთან დაკავშირებულ ხარჯებს თვითონვე გაიღებს. ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული აქტის აღსრულებასთან დაკავშირებულ ხარჯებს დააკისრებს შესაბამის ვალდებულ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს (მუხლი 170-ე).

ჯარიმა აღსრულების სამოქალაქო-სამართლებრივი საშუალებაა. იგი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ აქტის აღსრულება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი პირის ნების გამოვლენით. ჯარიმა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მაშინაც, როცა არსებობს სხვა პირისათვის ადმინისტრაციული აქტის აღსრულებასთან დაკავშირებული მოქმედების დავალების შესაძლებლობა. ჯარიმის თანხა განისაზღვრება გადაწყვეტილებით აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ. მისი ოდენობა შეიძლება განისაზღვროს ერთიანი თანხით ან თანხით ადმინისტრაციული აქტის დარღვევის ყოველი დღისათვის ან ადმინისტრაციული აქტის დარღვევით ჩადენილი ყოველი ქმედებისათვის. ჯარიმის საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ათას ლარს ფიზიკური პირისათვის და ხუთი ათას ლარს იურიდიული პირისათვის. ჯარიმის თანხა ადმინისტრაციული დარღვევის ყოველი დღისათვის ან ადმინისტრაციული აქტის დარღვევით ჩადენილი ყოველი ქმედებისათვის არ უნდა აღემატებოდეს 50 ლარს ფიზიკური პირისათვის და 200 ლარს იურიდიული პირისათვის. ჯარიმის თანხის მინიმალური ოდენობა 5 ლარია (მუხლი 171-ე).

რაც შეეხება აღსრულებას უშუალო იძულების სახით, იგი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც აღსრულების წინა ორი საშუალების გამოყენების მიუხედავად, ადმინისტრაციული აქტი არ აღსრულდა. ამასთან, გამოიყენება იძულების მხოლოდ ისეთი საშუალება, რომელიც გათვალისწინებულია კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით. ესაა: ხელფასიდან დაკავება, პირადი ქონებიდან ამოღება, ტექნიკის გამოყენება უკანონო მინაშენის ასაღებად და სხვა.

პირს, რომლის მიმართ ხორციელდება აღსრულების უზრუნველყოფის საშუალება, უნდა მიეცეს ვადა ადმინისტრაციული აქტის ნებაყოფლობით შესრულებისათვის. ამასთან, ზუსტად უნდა განისაზღვროს, თუ რა ქმედების განხორციელება ევალება პირს ადმინისტრაციული აქტის აღსასრულებლად. პირი უფლებამოსილია შეასრულოს აღსრულება მისთვის ყველაზე ხელსაყრელი საშუალებით იმ პირის მიმართ, რომელიც განსაზღვრულ ვადაში ნებაყოფლობით შეასრულებს აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებაში მითითებულ ვალდებულებებს,

აღსრულების უზრუნველყოფის ზომა არ გამოიყენება (მუხლი 167-ე). თუ პირი დადგენილ ვადაში არ აღასრულებს ადმინისტრაციულ აქტს ნებაყოფლობით, მას დაეკისრება ადმინისტრაციული აქტის აღსრულებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურება, მაგრამ თუ პირს ისეთი გადაუდებელი შემთხვევების გამო, როგორცაა: სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უშიშროების, მოსახლეობის ჯანმრთელობის ან ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნა, არ განესაზღვრება აღსრულების ვადა, მაშინ აღსრულებასთან დაკავშირებულ მთელ ხარჯებს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო გაიღებს, იმ შემთხვევის გარდა, როცა გადაუდებელი აუცილებლობა გამოწვეული იყო იმ პირის ქმედებით, რომელსაც ადმინისტრაციული აქტი უნდა აღესრულებინა (მუხლი 168-ე).

§2. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და აღსრულების წესი

ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და აღსრულების წესები მოცემულია საქართველოს 1996 წლის 29 ოქტომბრის კანონში „ნორმატიული აქტების შესახებ“¹ და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-15 თავში. როგორც აღვნიშნეთ, ნორმატიული აქტის მიღებას ახასიათებს პროცედურა, რომელიც არ შეიძლება იყოს იურიდიული პროცესის შემადგენელი ნაწილი, ვინაიდან არც ერთ ნორმატიულ აქტს მხედველობაში არა აქვს რომელიმე კონკრეტული ინდივიდუალური საქმე. ნორმატიული აქტი გათვალისწინებულია ინდივიდუალური კონკრეტული შემთხვევებისათვის და ამიტომ ადმინისტრაციული აქტის მიღების საფუძველს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ნორმატიული აქტის არც გამოცემისა და არც აღსრულების პროცედურა იურიდიულ პროცესს არ განეკუთვნება. მაგრამ ჩვენ გვანტიერესებს აღნიშნული პროცედურა იმდენად, რამდენადაც იგი განაპირობებს ადმინისტრაციული აქტის მიღების შესაძლებლობას. ამიტომ განვიხილავთ ნორმატიული აქტის გამოცემისა და აღსრულების პროცედურას.

როგორც ნორმატიული აქტების შესახებ კანონის მე-18 მუხლშია აღნიშნული, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღება (გამოცემა) შეიძლება მხოლოდ საკანონმდებლო აქტის შესასრულებლად და იმ

¹ იხ. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1996 წლის 28 ნოემბერი.

შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული საკანონმდებლო აქტით. მასში მითითებული უნდა იქნეს თუ რომელი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე და რომელი საკანონმდებლო აქტის შესასრულებლად იქნა იგი გამოცემული. მაგრამ ამავე მუხლში მითითებულია, რომ საქართველოს პრეზიდენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებულებას იმ შემთხვევაშიაც, თუ საკანონმდებლო აქტით შესაბამისი საკითხი არ არის მოწესრიგებული, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტს, სადაც ხაზგასმულია, რომ საქართველოს პრეზიდენტი „კონსტიტუციისა და კანონის საფუძველზე გამოსცემს ბრძანებულებებს და განკარგულებებს“. ამიტომ პრეზიდენტის ყველა არაკანონიერი ბრძანებულება და განკარგულება ექვემდებარება ბათილად გამოცხადებას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მათი გასაჩივრების შემთხვევაში, ხოლო თუ ასეთ გასაჩივრებას ადგილი არ ექნა დაინტერესებული სუბიექტის მხრიდან, პრეზიდენტის უკანონო აქტები განაგრძობს მოქმედებას, რაც კანონიერების დარღვევას წარმოადგენს.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 211-ე მუხლის თანახმად ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ასეთი წარმოების დაწყების გამო, რომელიც წერილობითა და წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს. ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციული გასაჩივრების წესით. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტს ამზადებს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც უფლებამოსილია გამოსცეს იგი. ამასთან, მას შეუძლია აქტის მომზადება დაავალოს ქვემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში სხვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ხელშეკრულების საფუძველზე. ნორმატიული აქტის შესახებ კანონის 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, საქართველოს მინისტრისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის ნორმატიული აქტის პროექტი გადაეცემა იუსტიციის სამინისტროს, რომელიც ორი კვირის ვადაში იძლევა დასკვნას მასში საკანონმდებლო აქტებთან და პრეზიდენტის ბრძანებულებებთან შესაბამისობის შესახებ. იუსტიციის სამინისტროს სათანადოდ დასაბუთებული უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში ნორმატიული აქტის პროექტი უნდა მოვიდეს შესაბამისობაში საქართველოს მოქმედ საკანონმდებლო აქტებთან და საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულებებთან, რის შემდეგაც იგი საჭიროებს იუსტიციის სამინისტროს სათანადო ხელახალ დასკვნას ნორმატიული აქტის პროექტის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ.

ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი უნდა გამოქვეყნდეს ადმინისტრაციული ორგანოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში, ხოლო თუ ასეთი არ არსებობს, იგი უნდა გამოქვეყნდეს ისეთ ბეჭდვით ორგანოში, რომელიც ვრცელდება ადმინისტრაციული ორგანოს მთელ სამოქმედო ტერიტორიაზე და გამოიცემა კვირაში ერთხელ მაინც ან იგი ცხადდება საჯაროდ. ნორმატიული აქტის პროექტთან ერთად აუცილებლად უნდა გამოქვეყნდეს ცნობა ადმინისტრაციულ-პროცედურული წარმოების შესახებ, რომელშიც აღინიშნება: ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომელშიც ეს აქტი მიიღება, აქტის გამოცემის ვადა, იმ ადმინისტრაციული ორგანოს მისამართი, რომელშიც შესაძლებელია მოსაზრებების წარდგენა, მათი წარდგენის ვადა. თუ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი დიდი მოცულობისაა, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოაქვეყნოს მხოლოდ ცნობა აქტის გამოცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ-პროცედურული წარმოების შესახებ. ცნობაში აღინიშნება ნორმატიული აქტის დასახელება და მისი მოკლე შინაარსი. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი ეგზავნება იმ ადმინისტრაციულ ორგანოებს, რომელთაც ევალებათ აქტში გათვალისწინებული ურთიერთობების მოწესრიგება. იგი შეიძლება გაეგზავნოს ექსპერტს, თუ კანონი ითვალისწინებს მის მიერ დასკვნის წარმოდგენის სავალდებულობას. სხვა ორგანოს ან ექსპერტის დასკვნის განსაზღვრულ ვადაში წარუდგენლობამ არ შეიძლება დააბრკოლოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 216-ე მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება წარადგინოს საკუთარი მოსაზრება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან დაკავშირებით. ყოველი პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრება წარადგინოს ანონიმურად, ანუ არ მიუთითოს თავისი ვინაობა. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ყოველი მოსაზრება განიხილოს, ხოლო მათზე პასუხის გაცემა სავალდებულო არ არის. კერძო პირების მოსაზრებებს იგი რეგისტრაციიდან I დღის განმავლობაში უგზავნის სხვა ადმინისტრაციულ

ორგანოსა და საზოგადოებრივ ექსპერტს. ყოველ ნორმატიულ აქტს უნდა ჰქონდეს შემდეგი რეკვიზიტები: ნორმატიული აქტის სახე, სათაური, მისი მიღების (გამოცემის) თარიღი და ადგილი (თუ მასში შეტანილია ცვლილება ან დამატება, მათი შეტანის თარიღიც), აქტის ძალაში შესვლის თარიღი და მოქმედების ვადა (თუ ვადიანია), უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერა, აქტის მიმღები ორგანოს მიერ მინიჭებული სარეგისტრაციო ნომერი, ხოლო სახელმწიფო რეესტრში შეტანის შემდეგ – სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი. აქტზე უნდა იყოს გამოსახული სახელმწიფო გერბი, როცა იგი უმაღლესი სახელმწიფო ორგანოს თანამდებობის პირის აქტია.

ნორმატიული აქტის მიმღები (გამომცემი) ყველა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო (თანამდებობის პირი) ვალდებულია ნორმატიული აქტის ოფიციალური გამოქვეყნებიდან 10 დღის ვადაში აცნობოს იუსტიციის სამინისტროს ნორმატიული აქტის გამოქვეყნების თარიღი და გადაუგზავნოს მას გამოქვეყნებული ნორმატიული აქტი. ნორმატიული აქტი უნდა გამოქვეყნდეს 7 დღეში რეესტრში მისი შეტანიდან, სარეგისტრაციოდ უნდა გადაეცეს 10 დღეში მისი ხელმოწერიდან, ხოლო ძალაში შედის სახელმწიფო რეესტრში შეტანიდან მე-10 დღეს, თუ იმავე ნორმატიული აქტით სხვა ვადა არ იქნა დადგენილი. ნორმატიული აქტების შესახებ კანონის 51-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ნორმატიული აქტი მიღებულია საკითხზე, რომელიც საქართველოს კონსტიტუციისა და ორგანული კანონის თანახმად სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა ორგანოს უფლებამოსილებაშია ან მიღებულია კანონის მოთხოვნათა დარღვევით ან დარღვეულია შესაბამისი ნორმატიული აქტის მიღებისა და ამოქმედებისათვის დადგენილი პროცედურა, მაშინ ასეთ ნორმატიულ აქტს იურიდიული ძალა არა აქვს და ბათილია. ნორმატიული აქტების შესახებ სახელმწიფო რეესტრში შედის შემდეგი მონაცემები, კერძოდ: აქტის სახე, მისი მიმღები ორგანოს თანამდებობის პირის ვინაობა, აქტის სათაური, მისი სრული ტექსტი (გარდა, „საიდუმლოს“ გრიფის მქონე ნაწილისა), მიღების თარიღი და ადგილი, ძალაში შესვლის თარიღი და მოქმედების ვადა, მიმღები ორგანოს სარეგისტრაციო ნომერი, დამატებებისა და ცვლილებების შეტანის თარიღი, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი. ყველას აქვს უფლება გაეცნოს სახელმწიფო რეესტრში შეტანილ მონაცემებს.

ადმინისტრაციული განცხადებებისა და
მიმართულების საქმისწარმოება

§ 1. ადმინისტრაციული განცხადებების საქმისწარმოება

ადმინისტრაციული განცხადებებისა და მიმართულების საქმისწარმოება შედგება ორი სახის წარმოებისაგან: განცხადებებისა და მიმართულების საქმეთა წარმოებისაგან. ისინი ცალ-ცალკე უნდა იქნეს შესწავლილი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი განცხადებას განმარტავს როგორც უფლების მოპოვებაზე ადმინისტრაციული აქტის გამოცემით დაინტერესებული მხარის მიერ საკანონმდებლო წესით შეტანილი წერილობითი მოთხოვნა. მაშასადამე, განცხადება არის მოქალაქის მიერ უფლების მოსაპოვებლად შეტანილი წერილობითი მოთხოვნა, რომელიც შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის გზით. თუ პირის მოთხოვნა ადმინისტრაციული აქტის გამოცემას არ საჭიროებს, მაშინ იგი განცხადება კი არ იქნება, არამედ წინადადება, სურვილი, რომელიც მოქალაქის ინტერესებში შედის, მაგრამ მის კონკრეტულ უფლებას არ შეადგენს. მაგალითად, მოქალაქე მოითხოვს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ მიღების საათები დააწესოს არა 15-დან 18 საათამდე, არამედ 10-დან 13 საათამდე, როდესაც ადმინისტრაციული აქტის აღსრულება საჭიროებს მისი მიმღები ორგანოს მხრივ გარკვეულ მოქმედებათა განხორციელებას, რომლებიც აუცილებელია ადმინისტრაციული აქტის აღსრულების უზრუნველსაყოფად. 13 საათის შემდეგ მოსახერხებელი იქნება მიღებული ადმინისტრაციული აქტის აღსრულებაც, რაც მოქალაქეთა საერთო ინტერესებში შედის. მაგრამ მიღების საათების შეცვლა დამოკიდებულია ადმინისტრაციული ორგანოს სურვილზე და ამ შემთხვევაში მოქალაქის მოთხოვნა კატეგორიულ ხასიათს არ შეიძლება ატარებდეს. გარდა ამისა, მოთხოვნა, რომელიც ადმინისტრაციული აქტის გამოცემას არ საჭიროებს, შეიძლება იყოს დაუყოვნებლივი აღსრულების საგანი და იგი სპეციალურ განხილვას არ საჭიროებს. მაგალითად, მოთხოვნა, ყველამ თავი შეიკავოს მესაკუთრის ქონების ხელყოფაზე, დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს. ასეთი მოთხოვნები განცხადებები არაა და ისინი სპეციალურ ადმინისტრაციულ წარმოებას არ ქმნიან.

ადმინისტრაციული განცხადების მარტივი, ფორმალური და საჯარო წარმოება მოცემულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6, მე-8 და მე-9 თავებში. რამდენადაც ჩვენ ამჟამად გვინტერესებს ადმინისტრაციული განცხადების წარმოების ზოგადი თავისებურებები, ჩვენ განვიხილავთ ამ წარმოებას მარტივი საქმისწარმოების წესით, ხოლო სპეციალურად მარტივი, ფორმალური და საჯარო საქმისწარმოების თავისებურებებს მომდევნო თავში შევხებით.

ადმინისტრაციული განცხადების საქმისწარმოებაში მონაწილეობას იღებენ: განმცხადებელი, ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხზე, პირი, რომელსაც კანონმდებლობით ენიჭება ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უფლება, დაინტერესებული მხარე, კანონმდებლობის გათვალისწინებით: ავტომატურად სხვა ადმინისტრაციული ორგანოც. განმცხადებელი ადმინისტრაციული წარმოების ძირითადი მხარეა, რომლის გარეშეც ადმინისტრაციული წარმოება არ წარმოიშობა. სწორედ განმცხადებელია ის მხარე, რომელიც ამჟღავნებს ინიციატივას ადმინისტრაციულ წარმოებაში, ვინაიდან ადმინისტრაციულ ორგანოს დამოუკიდებლად არ შეუძლია აღძრას წარმოება და გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი. ამიტომ განმცხადებლის მოქმედებას, რომელიც განცხადების შეტანაში გამოიხატება, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. მეორე მხარე ამ წარმოებაში ადმინისტრაციული ორგანოა, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება. ეს მხარე, მართალია, ინიციატორი არაა ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისა, მაგრამ იგი გადაწყვეტ როლს ასრულებს საქმის გადაჭრაში. როგორც აღვნიშნეთ, ადმინისტრაციული პროცესი იმპერატიულ ხასიათს ატარებს, ამიტომ ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედებაზე დამოკიდებული საქმის განხილვა და საკითხის გადაწყვეტა (ადმინისტრაციული აქტის მიღება). საქართველოს ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად, მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხე მხარეს. რამდენადაც ადმინისტრაციული განცხადების წარმოებისას მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოა, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება განცხადებაზე, ამდენად, მტკიცების ტვირთიც მოცემულ შემთხვევაში სწორედ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება. განმცხადებელს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად, ევალება განცხადებაში მიუთითოს იმ ორგანოს დასახელება, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი,

განმცხადებლის ვინაობა და მისამართი, მოთხოვნა, რასაც ეყრდნობა განცხადება, განცხადების წარდგენის თარიღი და განმცხადებლის ხელმოწერა, აგრეთვე განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხა. განმცხადებელს არ ევალება დაასაბუთოს თავისი მოთხოვნა, მას არც ის ევალება, რომ მიუთითოს, თუ რომელი კანონის ან სხვა აქტის საფუძველზე ამყარებს იგი თავის მოთხოვნებს. ამდენად, მტკიცების ტვირთი განმცხადებელს არ ეკისრება, იგი მხოლოდ აყენებს მოთხოვნებს, რომლებიც მისი აზრით უნდა დაკმაყოფილდეს.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას დაინტერესებული მხარე მისი მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში ვალდებულიცაა უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში. ადმინისტრაციული განცხადების განხილვის შედეგად გამოტანილი ადმინისტრაციული აქტით შეიძლება გაუარესდეს დაინტერესებული მხარის სამართლებრივი მდგომარეობა, მაშინ განცხადების განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აცნობოს დაინტერესებულ მხარეს ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ. ეს აუცილებელია იმისათვის, რათა დაცულ იქნეს დაინტერესებული მხარის ინტერესები მოქალაქის განცხადების განხილვისას, ხოლო თუ იგი შეატყობს თავისი უფლებების შეზღუდვას ან შელახვას, იგი დამოუკიდებლად წარადგენს ადმინისტრაციულ საჩივარს ან ადმინისტრაციულ სარჩელს. ამდენად, დაინტერესებული მხარე, რომელიც არ აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას, ჯერ კიდევ მესამე პირი არ არის, ხოლო როდესაც მას დამოუკიდებელი მოთხოვნა გაუჩნდება დავის საგანზე ან მის ნაწილზე, იგი იქცევა მესამე პირად, რომელსაც შეუძლია აღძრას სარჩელი ორივე ან ერთ-ერთი მხარის მიმართ. მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით სარგებლობენ მოსარჩელის ყველა უფლებით და ეკისრებათ მისი ყველა მოვალეობა. თუ დაინტერესებული პირი არ აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას განცხადების საგანზე ან მის ნაწილზე, იგი უფლებამოსილია მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს, რათა დაუშვას იგი საქმეში დაინტერესებულ მხარედ განმცხადებლის ან ადმინისტრაციული ორგანოს მხარეზე, რადგანაც ადმინისტრაციულმა აქტმა, რომელიც გამოიტანება ადმინისტრაციულ განცხადებაზე, შეიძლება შემდგომში გაელენა მოახდინოს მის უფლებებსა და მოვალეობებზე. საქართვე-

ლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 90-ე მუხლის თანახმად, დაინტერესებული პირი ანუ მესამე პირი, რომელსაც არ გააჩნია დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა, შეიძლება ჩაბმულ იქნეს საქმეში ერთ-ერთი მხარის ინიციატივითაც, რისთვისაც იგი მიმართავს სასამართლოს მოტივირებული განცხადებით, რაზედაც სასამართლოს გამოაქვს განჩინება ასეთი პირის საქმეში მონაწილეობისათვის ჩაბმის ან ასეთ ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ. ასეთ პირებს გააჩნიათ მხარეთა საპროცესო უფლებები და გააჩნიათ მათი საპროცესო მოვალეობები, გარდა უფლებებისა – გაადიდონ ან შეამცირონ სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, შეცვალონ სარჩელის საფუძველი ან საგანი, ცნონ სარჩელი, უარი თქვან სარჩელზე ან მორიგდნენ, აღძრან შეგებებული სარჩელი, მოითხოვონ სასამართლოს გადაწყვეტილების იძულებით აღსრულება (მუხლი 91-ე). ასეთი წესი შეიძლებოდა გამოყენებულიყო ადმინისტრაციულ პროცესში, ვინაიდან დაინტერესებული მხარე, რომელსაც დამოუკიდებელი მოთხოვნა არა აქვს დავის საგანზე, საჭიროებს დაცვას, რათა თავიდან იქნეს აცილებული მისი უფლებების მოსალოდნელი შელახვა და ამით გამოწვეული ადმინისტრაციული საჩივარი თუ ადმინისტრაციული სარჩელი.

ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ პირებს, რომელთაც კანონმდებლობით ენიჭებათ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უფლება, ასეთები არიან: მხარის წარმომადგენელი, კანონიერი წარმომადგენელი, დამცველი, ადვოკატი. რაც შეეხება კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობას ადმინისტრაციულ წარმოებაში, ასეთები არიან ის ადმინისტრაციული ორგანოები და საზოგადოებრივი ექსპერტები, რომელთაც კანონმდებლობით მინიჭებული აქვთ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უფლება, რომლებიც 2 კვირის ვადაში წარადგენენ თავიანთ დასკვნებს საქმის განმხილველ ადმინისტრაციულ ორგანოში, თუმცა მათი წარუდგენლობა არ დააბრკოლებს განცხადების განხილვას და მასში დასმული საკითხების გადაწყვეტას (მუხლი 84-ე).

ყველა იურიდიულ პროცესში, მათ შორის ადმინისტრაციულ პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება წარმომადგენლობის ინსტიტუტს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 86-ე მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება აწარმოოს ურთიერთობა ადმინისტრაციულ ორგანოსთან წარმომადგენლის მეშვეობით, აგრეთვე ისარგებლოს დამ-

ყველის დახმარებით. კოდექსი ითვალისწინებს წარმომადგენლის დანიშვნის სავალდებულობას. კერძოდ, 88-ე მუხლში აღნიშნულია, რომ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებული მხარე, რომელსაც არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოში ან რეგისტრირებულია მისამართის მითითების გარეშე, ვალდებულია ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნიდან 3 დღის ვადაში დანიშნოს წარმომადგენლად საქართველოში განსაზღვრულ მისამართზე რეგისტრირებული ქმედუნარიანი პირი, რომელსაც გაეგზავნება მისთვის განკუთვნილი ყველა საბუთი. ასევე თუ განცხადება წარადგინა 25-ზე მეტმა პირმა, განცხადებაზე ხელმომწერი პირები ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში ნიშნავენ ერთ წარმომადგენელს, რომელიც უფლებამოსილია აწარმოოს ურთიერთობა ადმინისტრაციულ ორგანოსთან. თუ ასეთი წარმომადგენელი უარს იტყვის თავისი უფლებამოსილების განხორციელებაზე, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებლებს აძლევს ვადას ახალი წარმომადგენლის დასანიშნად (მუხლი 89-ე). მაგრამ თუ ამ ვადაში განმცხადებლები მაინც არ დანიშნავენ თავიანთ წარმომადგენელს, მათ წარმომადგენლად ჩაითვლება განცხადებაზე პირველი ხელმომწერი პირი. ასევე თუ წარმომადგენლის მონაწილეობა პროცესში სავალდებულოა ზემოაღნიშნული შემთხვევის გამო, მაგრამ დაინტერესებულმა მხარემ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში იგი არ დანიშნა, მაშინ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მიმართოს სასამართლოს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებული მხარისათვის წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ. აქ დაინტერესებული მხარის ცნებაში იგულისხმება არა მხოლოდ პროცესის მხარე, არამედ შესაძლო პირებიც. საერთოდ, ადმინისტრაციული პროცესი პროცესუალური საქმიანობის მარტივი ფორმაა და ამიტომ დაინტერესებული მხარის ცნებაში გაერთიანებულია პროცესის რამდენიმე მონაწილე.

საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსი იცნობს კანონიერი წარმომადგენლის ცნებას, კერძოდ, ქმედუნარო მოქალაქის, აგრეთვე შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე მოქალაქის უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი მშობლები, მშვილებლები, მეურვეები და მზრუნველები, ხოლო უგზო-უკვლოდ დაკარგულის წარმომადგენლად ითვლება ის პირი, რომელსაც გადაეცა სასამართლოდ უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ქონება (მუხლი 101-ე). ეს წესი უნდა გავრცელდეს ადმინისტრაციულ პროცესშიაც.

ადმინისტრაციულ პროცესში მონაწილეობს დამცველი (ადვოკატი). ადმინისტრაციულ პროცესში მხარეს უფლება აქვს ჰყავდეს ადვოკატი, რომელიც ოფიციალურად არის აღიარებული ადვოკატად და მისი უფლებამოსილება უნდა დასტურდებოდეს ადვოკატის შესახებ კანონით დადგენილი წესით. ადვოკატის, ისევე, როგორც სხვა წარმომადგენლის უფლებამოსილება უნდა ჩამოყალიბდეს კანონის შესაბამისად გაცემულ და გაფორმებულ მინდობილობაში, რომელიც უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით ან იმ ორგანიზაციის მიერ, სადაც მუშაობს ან სწავლობს მარწმუნებელი, ან სამკურნალო სტაციონარული დაწესებულების ადმინისტრაციის ან კიდევ სამხედრო ნაწილის მიერ, სადაც მარწმუნებელი იმყოფება. ადვოკატის გარდა, რომელიც ოფიციალური პირია, მხარეს შეუძლია ჰყავდეს სხვა წარმომადგენელიც. ასეთ დროს შეიძლება უარის თქმა იმ პირის პროცესში წარმომადგენლად დაშვებაზე, რომელიც არ არის ადვოკატი, თუ მიიჩნევენ, რომ მას არ გააჩნია საკმარისი მონაცემები იმისათვის, რომ წარმოადგინოს მხარე და დაიცვას მისი უფლებები. საქმის წარმოება ადვოკატის თუ სხვა დამცველის მეშვეობით მხარეს უფლებას არ ართმევს თვითონაც პირადად მიიღოს მონაწილეობა საქმეში. მხარის წარმომადგენელს უფლება აქვს შეასრულოს მარწმუნებლის სახელით ყველა საპროცესო მოქმედება, მაგრამ არ შეუძლია გადასცეს საქმე კერძო არბიტრაჟს, უარი თქვას მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ, შეცვალოს განცხადების საგანი, საკითხი გადაწყვიტოს მორიგებით, გაასაჩივროს გადაწყვეტილება, მიიღოს მიკუთვნებული ქონება ან ფული. ყველა ასეთი მოქმედების შესრულებისათვის, თუ ეს აუცილებელია, სპეციალურად უნდა იქნეს აღნიშნული მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში (იხ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლი 98-ე). მარწმუნებელს უფლება აქვს საქმის წარმოების ყველა სტადიაზე გააუქმოს მის მიერ გაცემული მინდობილობა და შეწყვიტოს წარმომადგენლის უფლებამოსილება, რომლის მიერ კანონის შესაბამისად შესრულებული ყველა საპროცესო მოქმედება ინარჩუნებს მნიშვნელობას.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი აღიარებს საზოგადოებრივი ექსპერტის მონაწილეობას ადმინისტრაციულ პროცესში (მუხლი 84-ე). საზოგადოებრივ ექსპერტად ჩაითვლება ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნილი სამეცნიერო-საკონსულტაციო (საექსპერტო) ორ-

განობები, ექსპერტად ჩაითვლება აგრეთვე საზოგადოებრივი საექსპერტო დაწესებულების წევრი. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მიმართოს საექსპერტო დაწესებულებას ან საზოგადოებრივ ექსპერტს საექსპერტო დასკვნისათვის. საზოგადოებრივი ექსპერტის მიერ 2-კვირიანი ვადის გაშვებამ არ შეიძლება დააბრკოლოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. ასევე უარყოფითი დასკვნის წარდგენა არ დააბრკოლებს განცხადების განხილვასა და მასში დასმული საკითხის გადაწყვეტას (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მუხლი 84-ის პუნქტი მე-3). ექსპერტის დანიშვნის შესახებ მხარეს ეცნობება მხოლოდ სასამართლოში მისი საქმის განხილვისას, მხარე კი უფლებამოსილია შეტყობინების მიღებიდან 3 დღის განმავლობაში წარადგინოს თავისი მოსაზრება ექსპერტიზის საგნისა და მოცულობის შესახებ (ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსის მუხლი 18-ის პუნქტი მე-2). ექსპერტის დასკვნა უნდა გაეგზავნოს მხარეს, რომელსაც უფლება აქვს წარადგინოს თავისი მოსაზრება.

ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს მოსთხოვოს განმცხადებელს წარადგინოს სხვა რაიმე დამატებითი საბუთი ან ინფორმაცია კანონით გათვალისწინებულის გარდა. ამ საფუძველით ადმინისტრაციული საქმისწარმოების შეჩერება ან განცხადების განხილვაზე უარის თქმა დაუშვებელია (მუხლი 81-ე). ეს წესი თავიდან გვაცოცხლებს იმ მრავალრიცხოვან ბიუროკრატიულ მოთხოვნებს, რომელიც დამატებითაა შემოღებული ზოგიერთ ადმინისტრაციულ ორგანოში და რომელიც ხშირად საქმის გაჭიანურების ან განცხადების დაუკმაყოფილებლობის საფუძველი ხდება. ესაა ათასგვარი ცნობების წარდგენის მოთხოვნა, შუამდგომლობების, დახასიათებების, ავტობიოგრაფიებისა და სხვა დოკუმენტების მოთხოვნა, რომლებიც ბიუროკრატიულ მოთხოვნებს წარმოადგენენ და კანონით გათვალისწინებული არაა. კონფიდენციალურად კი მიჩნეულია ისეთი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას, რომლის დაცვაც ადმინისტრაციული ორგანოს მოვალეობაა.

კოდექსში გათვალისწინებულია განცხადების განუხილველად დატოვების ერთი მეტად საინტერესო საკითხი. ეს ის შემთხვევაა, როცა განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ

რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის. ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს მათი წარმოდგენის ვადას არანაკლებ 5 დღისა, რაც შეიძლება გაგრძელდეს განმცხადებლის მოთხოვნით არა უმეტეს 15 დღისა. თუ ამ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ, ხოლო საქმისწარმოება განახლდება მათი წარდგენისთანავე. სამოქალაქო პროცესსა და ადმინისტრაციული დავების სასამართლოში განხილვისას ეს საკითხი სხვადასხვაგვარად წყდება. კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის თანახმად (პუნქტი მე-2), თუ მხარეებმა ამა თუ იმ მიზეზით ვერ შეძლეს მტკიცებულებების უშუალოდ მიღება და სასამართლოში წარდგენა, მხარეთა შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულება. ვისთანაც უნდა იყოს ისინი. ასევე ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები. საქმის უმოძრაოდ დატოვება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად, შეიძლება მოხდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მხარე არ შეავსებს სასარჩელო განცხადებაში შესატან რეკვიზიტებს ან არ გადაიხდის ბაჟს. რაც შეეხება აუცილებელი დოკუმენტის წარუდგენლობას, ამ საფუძველით საქმის განუხილველად დატოვებას სასამართლოში, ეს არსად კანონმდებლობაში არ არის მითითებული, ვინაიდან სასამართლოს უფლება არა აქვს ამ საფუძველით უარი თქვას სარჩელის მიღებაზე (იხ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლი 186-ე).

მაშასადამე, სასამართლომ სარჩელი მაინც უნდა განიხილოს სავალდებულო დოკუმენტების გარეშეც და ამის შესაბამისად ან დააკმაყოფილოს მთლიანად თუ ნაწილობრივ მოსარჩელე ან უარი უთხრას დაკმაყოფილებაზე, აქედან, ბუნებრივია, რომ თუ სასამართლოს ევალება იზრუნოს საბუთების შეგროვებაზე, ადმინისტრაციულ ორგანოს ეს მით უფრო უნდა ევალებოდეს, ვინაიდან მოქალაქის განცხადების გადაწყვეტა მისი ვალდებულებაა, მის კომპეტენციაში შემავალი გადასაწყვეტი საკითხია. მოქალაქე კი არ უნდა ზრუნავდეს დაეხმაროს ადმინისტრაციულ ორგა-

ნოს, არამედ პირიქით – ადმინისტრაციული ორგანო უნდა ზრუნავდეს მოქალაქისათვის. ამიტომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის ნაცვლად ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა იხელმძღვანელოს ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსის მე-3 და მე-19 მუხლებით, აგრეთვე საქართველოს 1997 წლის 15 აპრილის კანონის „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ“ მე-9 მუხლით, რომელიც ავალებს სამთავრობო დაწესებულებებს თავიანთი კომპეტენციის განხორციელებას და უკრძალავს მათ გადასცენ თავიანთი უფლებები და მოვალეობები, რომლებიც მათ კომპეტენციას განეკუთვნება, სხვა დაწესებულებებს.

ადმინისტრაციული ორგანოს მოვალეობა – ხელი შეუწყოს განმცხადებელს საქმის გამოკვლევაში, მოცემულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის სხვა მუხლებში. კერძოდ, 97-ე მუხლი მიუთითებს, რომ საქმის გარემოებიდან გამომდინარე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოითხოვოს დოკუმენტები, შეაგროვოს ცნობები, მოუსმინოს დაინტერესებულ მხარეებს, დაათვალიეროს მოვლენის ან შემთხვევის ადგილი, დანიშნოს ექსპერტიზა, გამოიყენოს აუცილებელი დოკუმენტები და აქტები, მტკიცებულებათა შეგროვების, გამოკვლევისა და შეფასების მიზნით მიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ზომებს. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განუმარტოს დაინტერესებულ მხარეს მისი უფლებები და მოვალეობები, გააცნოს განმცხადებლის განხილვის წესი, საქმისწარმოების სახე და ვადა, აგრეთვე ის მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს განცხადება ან საჩივარი, მიუთითოს განცხადებაში დაშვებული შეცდომების შესახებ (მუხლი 85-ე). საქმის განმხილველი ორგანო ვალდებულია გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება (მუხლი 56-ე).

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი აწესრიგებს თანამდებობის პირის აცილების საკითხსაც მოქალაქის განცხადების განხილვისას. კერძოდ, კოდექსის 92-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობდეს ადმინისტრაციული ორგანოს ის თანამდებობის პირი, რომელიც თვითონ არის დაინტერესებული მხარე საქმეში, ან დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია, ან თვითონაა წარმომადგენელი, აგრეთვე, თუ იგი იყო ექსპერტი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ან რომელიც შრომით ურთიერთობაშია საქმეში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან, თვითონ ან მისი ოჯახის

წევრები ფლობენ აქციებს ან საწესდებო კაპიტალის წილს იმ საწარმოში, რომელიც ეკუთვნის დაინტერესებულ მხარეს, ან კიდევ თუ საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ოჯახის წევრია. ასეთ დროს თანამდებობის პირი ვალდებულია აცნობოს ზემდგომ თანამდებობის პირს აღნიშნული გარემოებების შესახებ და თვითაცილებს მისცეს თავის თავს. აღნიშნული გარემოებების შესახებ შეიძლება აცნობოს საქმის განმხილველ თანამდებობის პირს დაინტერესებულმა მხარემაც. აცილების შესახებ განცხადებას იხილავს და აცილების ან თვითაცილების საკითხს წყვეტს იმ თანამდებობის პირის ხელმძღვანელი თანამდებობის პირი, რომლის მიმართაც განცხადებულია აცილება, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში — ზემდგომი ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირი (მუხლი 93-ის პუნქტი მე-3), მთელი კოლექტიური ორგანოს ან კოლექტიური ორგანოს წევრთა იმ რაოდენობის აცილების ან თვითაცილებისას, რაც გადაწყვეტილების მისაღებად არაუფლებამოსილს ხდის ამ ორგანოს, აგრეთვე იმ თანამდებობის პირის აცილების ან თვითაცილების შემთხვევაში, რომელსაც არა ჰყავს ზემდგომი ორგანო, ადმინისტრაციულ აქტს გამოსცემს კანონმდებლობის შესაბამისად ამ საკითხის გადასაწყვეტად დანიშნული, მისი მოვალეობის შემსრულებელი ან დამოუკიდებელი ორგანო. თვითაცილების ეს წესი ზუსტად უნდა იქნეს დაცული, ვინაიდან განცხადების განხილვა შესაბამისი თანამდებობის პირის სამსახურებრივი მოვალეობაა, რომელიც მან არ შეიძლება უკანონოდ გადააკისროს სხვა თანამდებობის პირს.

ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია საქმისწარმოებაში ჩააბას ყველა დაინტერესებული მხარე მისი მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში ვალდებულია უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ საქმისწარმოებაში. თუ ადმინისტრაციულ საქმისწარმოებაში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა რაოდენობა 50-ს აღემატება, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია თითოეულის ინფორმირების ნაცვლად, ოფიციალურად გამოაქვეყნოს ცნობა ადმინისტრაციული საქმისწარმოების შესახებ (მუხლი 95-ე).

კოდექსი აწესებს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ერთ თვეს, ხოლო თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია უფრო მეტი ვადა, ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციუ-

ლი საქმისწარმოების დაწყებისას გამოაქვს გადაწყვეტილება ამ ვადის გაზრდის შესახებ 3 თვემდე. თუ ადმინისტრაციული აქტი არ ეხება მესამე პირის ინტერესებს, იგი უნდა გამოიცეს განცხადების წარდგენიდან 15 დღის ვადაში, ე.ი. ამ შემთხვევაში კიდევ უფრო შემცირებულია საქმის განხილვის ერთთვიანი ვადა (იხ. მე-100 მუხლი).

კოდექსი ავალებს ადმინისტრაციულ ორგანოს უარყოფითი აქტის გამოცემამდე განმცხადებელს მისცეს შესაძლებლობა განცხადების უარყოფელ გარემოებათა შესახებ საკუთარი აზრი წარადგინოს, თუ ეს უარი ეფუძნება ინფორმაციას განმცხადებლის შესახებ, ან როცა განცხადების უარყოფელი ინფორმაცია განსხვავდება განმცხადებლის მიერ წარდგენილი ინფორმაციისაგან (მუხლი 101-ე). უარის თქმის შემთხვევაში განმეორებითი განცხადება ან საჩივარი შეიძლება წარდგენილ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად დაედო ადმინისტრაციული აქტის გამოცემას, შეიცვალა დაინტერესებული პირის სასარგებლოდ, ან თუ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი (მტკიცებულებები), რომლებიც განაპირობებენ განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი ადმინისტრაციული აქტის გამოცემას. განცხადება ადმინისტრაციული წარმოების განახლების შესახებ მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული საქმისწარმოების დროს აღნიშნული გარემოება ან ფაქტების წარუდგენლობა განმცხადებლის ბრალით არ მომხდარა (მუხლი 102-ე).

§2. ადმინისტრაციული მიმართვების საქმისწარმოება

ადმინისტრაციული მიმართვები ადმინისტრაციულ პროცესში წარმოდგენილია ორგანიზაციებს, ორგანოებსა და დაწესებულებებს შორის მიმართვების სახით. მოქალაქენი თუ მიმართვენ ორგანოებს, ისინი წინადადებებს აყენებენ მუშაობის გაუნჯობების მიზნით. რამდენადაც წინადადება სავალდებულო არაა ადმინისტრაციული და სხვა სახელმწიფო ორგანოებისათვის, ამდენად, მოქალაქეთა მიმართვა-წინადადებებს, როგორც წესი, ადმინისტრაციული წარმოება არ მოჰყვება. ხოლო როცა ეს მიმართვები მასობრივ ხასიათს მიიღებს, იგი კოლექტიურ განცხადებაში გადაიზრდება, რაც ადმინისტრაციულ-პროცესუალურ გადაჭრას საჭიროებს. ამდენად, მიმართვების საქმეთა წარმოება ეს არის ორგა-

ნოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის მიმართების გამო წარმოშობილი წარმოება, რასაც კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება მოჰყვება.

მოქმედ ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში სპეციალურად არაა გათვალისწინებული მიმართების საქმეთა წარმოება. მხოლოდ ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში მოწესრიგებულია ადმინისტრაციულ ორგანოთა ურთიერთდახმარების განხორციელების წესი, აგრეთვე ადმინისტრაციული გარიგების დადების წესი, რომელთაც ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-12 მუხლში მითითებულია, რომ ნებისმიერ პირს აქვს უფლება მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ უკანასკნელის უფლებამოსილებას მიკუთვნებული იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც უშუალოდ და პირდაპირ ეხება პირის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. ასეთ დროს ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განიხილოს მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხზე შეტანილი განცხადება და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. ეს დებულება გამოხატავს რა ადმინისტრაციულ ორგანოთა მუშაობის დემოკრატიულ წესს (მშრომელთა მონაწილეობას სახელმწიფო მმართველობაში), ამავე დროს მოქალაქეებს ანიჭებს უფლებას განცხადებით მიმართოს ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოს თავის უფლებათა და კანონიერი ინტერესების დასაკმაყოფილებლად. განცხადების შეტანის სახით ამ უფლების განხორციელებაზე ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, ხოლო საჩივრის მეშვეობით მოქალაქეთა უფლებების დაცვას ჩვენ მომდევნო თავებში შევეხებით. ამჟამად კი განვიხილავთ ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანოსა და მისი თანამდებობის პირის მიმართვის წესს ურთიერთდახმარების პრინციპის განსახორციელებლად და ადმინისტრაციული გარიგების დასადებად.

სახელმწიფო მმართველობის პროცესში წამოიჭრება უამრავი კონკრეტული საკითხი, რომელიც აუცილებელ გადაწყვეტას საჭიროებს და შრომის გაიოლების, დავის თუ განცხადების სწრაფად გადაჭრის მიზნით ადმინისტრაციული ორგანოები ერთმანეთს მიმართავენ ურთიერთდახმარებისათვის. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-16 მუხლში მითითებულია, რომ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია თავისი კომპეტენციის ფარგლებში და მის ხელთ არსებული საშუალებებით აღმოუჩინოს აუცილებელი სამართლებრივი დახმარება სხვა ადმინის-

ტრაციულ ორგანოს შესაბამისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე. კოდექსი სამართლებრივ დახმარებად არ მიიჩნევს ისეთ სიტუაციას, როცა ზემდგომი ორგანო მიმართავს ქვემდგომს თხოვნით რაიმე მოქმედების შესრულების შესახებ და, პირიქით, როცა ქვემდგომი თხოვნს ზემდგომ ორგანოს მოქმედების შესრულებას. ბუნებრივია, სამართლებრივ დახმარებად არ ჩაითვლება ნებისმიერი ისეთი მოქმედება, რომლის შესრულების ვალდებულება ადმინისტრაციულ ორგანოს კანონმდებლობით აქვს დაკისრებული და რომლითაც სარგებლობს სხვა ადმინისტრაციული ორგანო.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი განსაზღვრავს, თუ როდის შეიძლება მიმართოს ადმინისტრაციულმა ორგანომ სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს სამართლებრივი დახმარებისათვის. კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად, ასეთი უფლება ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნია, თუ: არ შეუძლია თვითონ განახორციელოს მოქმედება სამართლებრივი ან ფაქტობრივი მიზეზების გამო, ე.ი. როცა ადმინისტრაციული ორგანო თვითონ განიცდის რეორგანიზაციას ან თანამშრომელთა დიდი ნაწილი შევსებაში ან მივლინებაშია და ა.შ. ასევე შეუძლია გამოიყენოს ადმინისტრაციულმა ორგანომ სამართლებრივი დახმარების მოთხოვნა, თუ მას არ გააჩნია მოქმედების შესასრულებლად აუცილებელი ფაქტების საკმარისი ცოდნა, ხოლო ამ ცოდნას ფლობს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო, თუ დოკუმენტები ან სხვა მტკიცებულებები, რომლებიც აუცილებელია საკითხის გადასაწყვეტად, იმყოფება შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოში, აგრეთვე თუ მოქმედების საკუთარი საშუალებით შესრულებისათვის აუცილებელი ხარჯები არსებითად აღემატება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამართლებრივი დახმარების აღმოჩენისათვის გასაწევ ხარჯებს. თავის მხრივ, სხვა ადმინისტრაციული ორგანოც უფლებამოსილია უარი განუცხადოს ადმინისტრაციულ ორგანოს სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაზე, თუ ეს სცილდება მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს, აგრეთვე თუ სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა ზიანს აყენებს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ინტერესებს, ანდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონით დაკისრებულ ვალდებულებათა განხორციელებას. აღნიშნული უარი სამართლებრივ დახმარებაზე უნდა იყოს დასაბუთებული და წერილობით უნდა ეცნობოს 3 დღის ვადაში იმ ორგანოს, რომელმაც თხოვნით მიმართა მას.

თუ წარმოიშობა დაეა აღმინისტრაციულ ორგანოებს შორის სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის საკითხში, მას გადაწყვეტს საერთო ზემდგომი აღმინისტრაციული ორგანო, ხოლო ასეთის არარსებობისას – სასამართლო. სარჩელი სასამართლოს წარედგინება მხოლოდ მაშინ, როდესაც აღმინისტრაციული ორგანოს ზემდგომი ორგანოც უარს განაცხადებს წერილობით თავისი ქვემდგომი აღმინისტრაციული ორგანოს მიერ სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაზე. დავის გადაწყვეტის ეს წესი გათვალისწინებულია კანონმდებლობით იმიტომ, რომ ზოგადი აღმინისტრაციული კოდექსი, როგორც აღენიშნეთ, ავალდებულებს აღმინისტრაციულ ორგანოს სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაზე კანონის ფარგლებში.

სამართლებრივი დახმარების შესახებ წერილობითი თხოვნა განიხილება აღმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ, რომელიც შეისწავლის საკითხის გადაწყვეტის შესაძლებლობებს და ფარგლებს და ამის შემდეგ აღმოუჩენს სამართლებრივ დახმარებას აღმინისტრაციულ ორგანოს, რისთვისაც იგი გამოსცემს აღმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. საკითხის დადებითად თუ უარყოფითად გადაწყვეტა უნდა მოხდეს სწრაფად, როგორც კოდექსი მოითხოვს 3 დღის ვადაში, ხოლო დაეალების აღსრულება უნდა განხორციელდეს იმ საქმის კატეგორიის წარმოების მიხედვით, რომელიც გადაეგზავნა აღმინისტრაციულ ორგანოს გადასაწყვეტად. ზოგადი აღმინისტრაციული კოდექსის მე-19 მუხლი მოითხოვს, რომ სამართლებრივი დახმარება უნდა ანაზღაურდეს, თუ სავალდებულო ხარჯები აღემატება 50 ლარს. ხარჯებს, ბუნებრივია, ანაზღაურებს ის ორგანო, რომელიც სამართლებრივ დახმარებას ითხოვს. ამასთან, ამ უკანასკნელმა წინასწარ უნდა აცნობოს აღმინისტრაციულ ორგანოს 50 ლარზე მეტი ხარჯების ოდენობის შესახებ.

რაც შეეხება აღმინისტრაციული გარიგების დადების შესახებ მიმართვის განხილვას, ეს საკითხი მოწესრიგებულია ზოგადი აღმინისტრაციული კოდექსის 65-ე და 71-ე მუხლებში.

აღმინისტრაციული გარიგების დადებისას გამოიყენება როგორც სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები (გარიგების საგნის მიხედვით), ისე აღმინისტრაციული კანონმდებლობა. კოდექსი მოითხოვს, რომ აღმინისტრაციული გარიგების დადებისას აღმინისტრაციული ორგანო მოქმედებდეს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში,

აღნიშნული გარიგება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციასა და სხვა კანონმდებლობას, დაუშვებელია, რომ გარიგებით დაირღვეს ადამიანის კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები.

ადმინისტრაციული გარიგება შეიძლება დაიდოს როგორც სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან, ისე ფიზიკურ პირთანაც. მაგრამ ყველა შემთხვევაში ადმინისტრაციული გარიგება კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებს აწესრიგებს. ადმინისტრაციული გარიგების თავისებურება ისაა, რომ მისი დადების ინიციატორია ადმინისტრაციული ორგანო. ამასთან, ადმინისტრაციული გარიგება ბათილია იმ შემთხვევაშიც, როცა ბათილად ცხადდება ადმინისტრაციული ფაქტი, რომლის საფუძველზედაც დაიდო გარიგება. ადმინისტრაციული გარიგება, რომელიც დაიდო ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ნაცვლად, ძალაში შედის ადმინისტრაციული ორგანოს იმ წერილობითი თანხმობის შემდეგ, რომელიც აუცილებელია სათანადო ადმინისტრაციული აქტის გამოსაცემად. ადმინისტრაციული გარიგება იდება მხოლოდ წერილობითი ფორმით.

ადმინისტრაციული გარიგება თუ ზღუდავს მესამე პირის ინტერესებს ან აკისრებს მას რაიმე ვალდებულებას, ძალაში შეიძლება შევიდეს მხოლოდ ამ მესამე პირის მიერ წერილობითი თანხმობის წარდგენის შემდეგ. ასეთი რამ მესამე პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული გარიგების დადებამდე. აღნიშნულ პირს, აგრეთვე დაინტერესებულ მხარეს, რომელსაც კავშირი აქვს ადმინისტრაციული გარიგების საგანთან, უფლება აქვთ ადმინისტრაციული გარიგების დადებამდე წარადგინონ საკუთარი მოსაზრება. გარემოებათა არსებითად შეცვლისას, რაც ზიანს აყენებს მხარეს ან საზოგადოებრივ ინტერესს, მხარე უფლებამოსილია მოსთხოვოს მეორე მხარეს ადმინისტრაციული გარიგების შეცვლა, ხოლო თუ ცვლილება გარიგებაში არსებითად ეწინააღმდეგება გარიგების შინაარსს, მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს გარიგების გაუქმება.

§3. მტკიცების ტვირთი და მტკიცებულება ადმინისტრაციულ პროცესში

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნულია, რომ დაინტერესებული მხარე ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით ითანამშრომლოს ადმინისტრაციულ ორგანოსთან ადმინისტრაციული წარმოებისას, ამავე კოდექსის 202-ე მუხ-

ლის მე-4 პუნქტით, ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია შეამოწმოს, აკმაყოფილებს თუ არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონის იმ მოთხოვნას, რომელიც ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს ანიჭებს რაიმე უფლებას ან უპირატესობას, ხოლო 193-ე მუხლით ადმინისტრაციულ საჩივარს იხილავს ადმინისტრაციული ორგანო მასში აღნიშნული მოთხოვნის ფარგლებში, საქართველოს ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსი კი მე-17 მუხლის მე-2 პუნქტში პირდაპირ მიუთითებს, რომ თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის გაუქმების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს.

დასახელებული შემთხვევები შეეხება სხვადასხვა კატეგორიის ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვისას მტკიცების ტვირთის დადგენას. მტკიცების ტვირთი ნიშნავს იმის განსაზღვრას, თუ ვინ უნდა დაამტკიცოს წამოყენებული საკითხის ჭეშმარიტება, ვინ უნდა დაამტკიცოს მოცემულ საქმეში სუბიექტის უფლებებისა და მოვალეობების არსებობა-არარსებობა. რამდენადაც ყველა ადმინისტრაციული საქმე დაკავშირებულია შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციის განხორციელებასთან, მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების რეალიზაციასთან, ბუნებრივია, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მტკიცების ტვირთი სწორედ ადმინისტრაციულ ორგანოს აკისრია. ადმინისტრაციული დავა წამოიჭრება სწორედ ადმინისტრაციულ ორგანოსთან და არავითარ შემთხვევაში მოქალაქეებსა თუ მათ გაერთიანებებს შორის. ამ დავის გარკვევა ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციაა, რომელიც წინასწარ არ შეიძლება განსაზღვროს დაინტერესებულმა პირმა. მაშინ ადმინისტრაციული პროცესი საჭირო არ იქნება და მოქალაქეები თვითონ განსაზღვრავდნენ სახელმწიფო საკითხებს (მოითხოვდნენ მიწის ნაკვეთებს, მიითვისებდნენ სახელმწიფო ქონებას, ერთმანეთს დასჯიდნენ ადმინისტრაციული გადაცდომისათვის და ა.შ.), მაგრამ სუვერენულ სახელმწიფოში ეს ასე არ ხდება. ამიტომ ადმინისტრაციულ პროცესში გადამწყვეტი როლი სწორედ ადმინისტრაციულ ორგანოს ან ადმინისტრაციულ სასამართლოს ენიჭება. ბუნებრივია, სწორედ მათ ეკისრებათ მტკიცების ტვირთი. შემთხვევით როდი ჩაიწერა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მე-4 პუნქტში, რომ დაინტერესებული მხარე ვალდებულია ითანამშრომლოს ადმინისტრაცი-

ულ ორგანოსთან ადმინისტრაციული წარმოებისას, ე.ი. მტკიცების ტვირთი მას არ აკისრია, იგი ადმინისტრაციული ორგანოს პრეროგატივაა. აკი განმცხადებელს არ ეკისრება ვალდებულება დაამტკიცოს თავისი მოთხოვნა (იხ. მუხლი 78-ე); განმცხადებლის მოთხოვნის სამართლიანობა უნდა დაამტკიცოს ადმინისტრაციულმა ორგანომ, ე.ი. მტკიცების ტვირთი მას აკისრია. რამდენად პარადოქსულიც არ უნდა გვეჩვენოს ადმინისტრაციული ორგანოს მოწადინება, სწორედ მან უნდა გაარკვიოს ჭეშმარიტება ადმინისტრაციულ საქმეზე, ეს მართლაც ასეა, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანო შექმნილია ადამიანის უფლებების დასაცავად, მათი რეალიზაციის უზრუნველსაყოფად. სწორედ არადემოკრატიულ სახელმწიფოშია ადმინისტრაციული ორგანო შექმნილი მხოლოდ ადმინისტრაციის, მხოლოდ სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად, რომლის დროსაც ადამიანს თავისი უფლებები შეუძლია განახორციელოს მხოლოდ თანამდებობის პირისადმი ნათესაობის ან კიდევ მექრთამეობის მეშვეობით. არადემოკრატიულ სახელმწიფოში ყველა მიილტვის თანამდებობისაკენ, ხელისუფლებისაკენ, რათა დაცულ იქნენ მმართველობით ელიტაში თავიანთი თანამდებობების მეშვეობით, ხოლო ვისაც თანამდებობა არა აქვს, იგი განწირულია ან გზას იკვლევს ქრთამის, კორუფციის მეშვეობით.

ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის დროსაც სწორედ ადმინისტრაციული ორგანოა ვალდებული დაადგინოს, აკმაყოფილებს თუ არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონის იმ მოთხოვნას, რომელიც მომჩივანს ანიჭებს რაიმე უფლებას ან უპირატესობას. ამასთან, თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ, რომელსაც უჩივის მომჩივანი, ცნო საჩივარი, საჩივრის განმზილველი ორგანო გააგრძელებს ადმინისტრაციულ წარმოებას, მიუხედავად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანოს მიერ ადმინისტრაციული საჩივრის ცნობისა (მუხლი 192-ე), ხოლო ადმინისტრაციულ საჩივარზე მომჩივანის უარის თქმა არ აჩერებს მის განხილვას, თუ საჩივრის განუხილველობას შეიძლება მოჰყვეს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების შელახვა ან მნიშვნელოვანი ზიანი (მუხლი 191-ე, პუნქტი მე-3), ყოველივე ეს მიუთითებს ადმინისტრაციული ორგანოს დაინტერესებაზე საქმის გადაწყვეტის შედეგებით, რაკი ეს მისი კომპეტენციის შედეგებია, სადაც მტკიცების ტვირთი მასვე აკისრია.

რაც შეეხება ადმინისტრაციული დავის სასამართლოში განხილვას,

აქაც სწორედ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელსაც ედავებიან, ევალება დაამტკიცოს სიმართლე. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლი მოითხოვს, რომ მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები, ხოლო მოპასუხე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი შესაგებელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები, მაშასადამე, მტკიცების ტვირთი აკისრია მოპასუხეს. ამ მუხლის მეორე პუნქტის დებულება, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის გაუქმების შესახებ სარჩელის წარდგენისას მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს – შეეხება ყველა ადმინისტრაციულ სარჩელს. აქ ყურადღება გამახვილებულია აქტის გაუქმების სარჩელზე მოპასუხის მიერ მტკიცების ტვირთის თავის თავზე აღების შესახებ იმიტომ, რომ ზოგჯერ კანონმდებლობით აქტის გაუქმების სარჩელზე მტკიცების ტვირთი აკისრია არა მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს, არამედ პროცესის სხვა მონაწილე – ადმინისტრაციულ ორგანოს.

როგორც აღვნიშნეთ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 193-ე მუხლში მოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჩივრის განხილვის ფარგლები, რომ ეს ფარგლები არ შეიძლება აცდეს საჩივარში აღნიშნულ მოთხოვნას, და მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეუძლია ადმინისტრაციულ ორგანოს გასცდეს მას. ამ მუხლის მეორე პუნქტში განცხადების გადაცემის ეფექტის ეს მოთხოვნა კიდევ უფრო დაკონკრეტებულია და მითითებულია, რომ თუ შეუძლებელია გადაწყვეტილების მიღება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მხოლოდ გასაჩივრებული ნაწილის მიმართ, ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ორგანო ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენი პირის წერილობითი თანხმობით იღებს გადაწყვეტილებას მთლიანად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ, ხოლო ამ პირის უარის შემთხვევაში გამოაქვს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ. თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონს. საკითხის ასეთ გადაწყვეტას ჩვენ ვერ დავეთანხმებით.

სასარჩელო განცხადების გადაცემის ეფექტი შემოღებულია სამოქალაქო პროცესში, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილება მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოთხოვდა. სასარჩელო განცხადების

ფარგლებში მოქმედების ეს წესი შეეხება ქონებრივ დავებს, სადაც მესაკუთრის სურვილის საწინააღმდეგოდ მოქმედება დაუშვებელია, თუნდაც რომ განცხადების ფარგლების გადაცილება მისი სასარგებლო იყოს. ქონებრივი ურთიერთობის სფეროში მესაკუთრის უფლებები ხელშეუვა-ლია. ამიტომ გასაგებია, რომ სასამართლოს უფლება არა აქვს გასცდეს მოსარჩელის სასარჩელო განცხადებას. მაგრამ რაც შეეხება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ სფეროს, მასში დომინირებს ადმინისტრაციული ორგანო, რომლის ინტერესებიც ემთხვევა სახელმწიფოს ინტერესებს. ამიტომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მმართველობის სფეროში წამოჭრილი ნებისმიერი დავა თუ გადასაჭრელი სხვა საკითხი სახელმწიფოს ინტერესს იწვევს, დაკავშირებულია ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციის განხორციელებასთან. ბუნებრივია, მოქალაქის განცხადება თუ საჩივარი, რომელიც მმართველობის სფეროს შეეხება, არის იმავდროულად ადმინისტრაციული ორგანოს ინტერესის საგანი, მისი კომპეტენციის სფერო. ამის გამო ადმინისტრაციული ორგანო არა თუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულიცაა გასცდეს ადმინისტრაციული საჩივრისა თუ განცხადების ფარგლებს და ბოლომდე გაარკვიოს მისი დამოკიდებულება მოქალაქესთან თუ იურიდიულ პირთან. ამიტომ-
მაა, რომ ადმინისტრაციულ საქმეზე მტკიცებულებების შეგროვება ხდება არა მხოლოდ დაინტერესებული მხარის მიერ, არამედ საქმის განმხილველი ორგანოს მიერაც. ამიტომ, რომ ადმინისტრაციულ პროცესში დაეის გადაჭრა მორიგების წესით დაუშვებელია (გარდა იმ შემთხვევისა, როცა მორიგების საგანი და შედეგები სახელმწიფოს ინტერესებში არ შედის).

ფრანგი ადმინისტრაციისტი გუი ბრეზანი არ არის მართალი, როცა მოითხოვს, რომ ადმინისტრაციული დავის გადაწყვეტისას მოსამართლე „არ უნდა გავიდეს მომჩივნის არგუმენტაციის ფარგლებს გარეთ“, ეს წესი შეიძლება შეეხებოდეს მხოლოდ ქონებრივ დავას, ადმინისტრაციული დავის დროს კი ადმინისტრაციული ორგანო დაინტერესებულია სადაო საკითხის ყველა მხრით, მისი საფუძვლიანი ახსნითა და საბოლოოდ გადაწყვეტით. გარდა ამისა მოქალაქე შეიძლება ვერც კი ერკვეოდეს თავისი უფლებების ფარგლებში მმართველობის სფეროში, ადმინისტრაციული ორგანო კი ვალდებულია დაეხმაროს მას და გადაწყვიტოს წამოჭრილი საკითხის ყველა მხარე. ეს შედის არა მხოლოდ

¹ იხ. Брэдан Г. Французское административное право, М., 1988 (перевод), стр. 440.

ადმინისტრაციული ორგანოს ინტერესში, არამედ დაინტერესებული მხარის ინტერესშიაც, რომ საკითხის ნაწილობრივმა გადაწყვეტამ კიდევ არ გამოიწვიოს დავა და ახალი გასაჩივრება. საგანცხადებო გადაცემის ეფექტი ადმინისტრაციულ პროცესში გამოიხატება იმაში, რომ აღმან-ისტრაციული საქმის განმხილველი ორგანო თავისი ინიციატივით ვერ აღძრავს ადმინისტრაციულ საქმისწარმოებას, რომ ამ საქმეში ინიცია-ტივა განეკუთვნება დაინტერესებულ მხარეს (მოქალაქესა თუ სხვა პირს). ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვიდრე განცხადება არ შეიტანება, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არაა გამოასწოროს ნაკ-ლოვანება თავის მუშაობაში და არ იზრუნოს ადამიანზე, მოქალაქეზე. ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნია ორგანიზაციული მუშაობის მრავალ-ფეროვანი ფუნქციები და ფორმები, რომელთა მეშვეობითაც იგი აღწევს თავისი კომპეტენციის განხორციელებას, რომლის დროსაც უზრუნვე-ლყოფს ადამიანთა ინტერესების დაცვასაც. მაგრამ თუ თავის ამ აღმას-რულებელ საქმიანობაში გამორჩება რომელიმე კონკრეტული მოქალა-ქის კონკრეტული უფლებების დაცვა, სწორედ ამისათვისაა შემოღებუ-ლი ადმინისტრაციულ პროცესში განცხადების, საჩივრისა თუ სხვა სახის საქმისწარმოების განხორციელება, რაც ადამიანის უფლებების რეალიზაციის უდიდესი გარანტიაა.

მტკიცებულებათა გამოყენებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსი შემდეგნაირად განსაზღვრავს მტკიცებულებათა ფარგლებს (მუხლი 97-ე), კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანო გამოითხოვს დოკუმენტებს, შეაგროვებს ცნობებს, მოუსმენს დაინტერესე-ბულ მხარეებს, დაათვალიერებს მოვლენის ან შემთხვევის ადგილებს, დანიშნავს ექსპერტიზას, გამოიყენებს აუცილებელ დოკუმენტებსა და აქტებს, მიმართავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ზომებს. ყველა აქ ჩამოთვლილი მოქმედება მტკიცებულებებთანაა დაკავშირებუ-ლი, რომელთაგანაც ჩვენ მხოლოდ ზოგიერთს განვიხილავთ.

სამოქალაქო-საპროცესო კოდექსი მტკიცებულებათა ფარგლებს ასე განსაზღვრავს: გარემოებათა დამტკიცება, რომელთაც ეყრდნობა მოთხ-ოვნა თუ შესაგებელი, შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცე-ბულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით (მუხლი 102-ე). აქ არაა გათვალ-ისწინებული ადმინისტრაციულ პროცესში გამოყენებული ისეთი მტკი-ცებულებები, როგორცაა: შემთხვევის ადგილის ან მოვლენის დათვა-

ლიერება, აუცილებელი დოკუმენტები და აქტები, კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ზომები. ადმინისტრაციულ პროცესში მტკიცებულებათა ასეთი სიუხვე გამოწვეულია ამ პროცესის მრავალფეროვნებით, რომ იგი მოიცავს არა მხოლოდ დავებისა თუ განცხადებების განხილვას, არამედ ადმინისტრაციული წახალისებისა და იძულების, ადმინისტრაციული აპარატის დაკომპლექტებისა და სხვა კატეგორიის საქმეთა წარმოებასაც. ამიტომ, ბუნებრივია, ადმინისტრაციულ პროცესში სათანადო ადგილი უჭირავს არა მხოლოდ მომწივნის, დაზარალებულისა თუ მოწმის ჩვენებებს, არამედ შემთხვევის ადგილის დათვალიერების მონაცემებსაც, ამოღებულ თუ ჩამორთმეულ ნივთებსა და დოკუმენტებს, მმართველობის აქტებსა თუ დოკუმენტებს, კანონმდებლობით ნებადართულ სხვა მტკიცებულებებს (საქმის აღძვრისა და გამოძიების მასალებს, ექსპერიმენტებს, ამოცნობას და სხვ.). შევეხოთ დასახელებულ მტკიცებულებათაგან ზოგიერთს, რამდენადაც ცალკეული კატეგორიის საქმეთა წარმოების შესწავლისას საჭირო გახდება ცალკეული ამ მტკიცებულებების დეტალური განხილვა.

მოწმის ჩვენება ერთ-ერთი მტკიცებულებაა ადმინისტრაციულ პროცესში. მოწმე არის ის პირი, რომლისთვისაც ცნობილია რაიმე გარემოება საქმის შესახებ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 97-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოწმე ან ექსპერტი ვალდებულია მისცეს ახსნა-განმარტება ადმინისტრაციული ორგანოს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. ეს ისეთი შემთხვევებია, როცა მოქმედებები მოწმეთა თვალწინ ხდება, თუმცა ისინი მოქმედების მონაწილენი არ არიან. ეს არის შემთხვევები, როცა მოწმე სამართალდარღვევის ან კონკრეტული ფაქტის მომსწრეა და ა.შ. ადმინისტრაციული წარმოების მეტწილი სახეებისათვის მოწმე მნიშვნელოვანი სუბიექტია, რომელსაც საქმის მრავალი ვითარების გამომწეურება-დამოწმება შეუძლია. მოწმედ დაბარებული პირი ვალდებულია გამოცხადდეს და მისცეს სწორი ჩვენება. თუ მოწმე არ ცხადდება, მოსამართლეს შეუძლია დაადგინოს მისი იძულებით მოყვანა. ჩვენების მიცემაზე უარის თქმისა და განზრახ არასწორი ჩვენების მიცემისათვის მოწმეს შეიძლება დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. ჩვენების მიცემაზე უარის თქმა დასაშვებია, თუ ჩვენების მიცემა გამოიწვევს მოწმის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ან მიაყენებს მათ ქონებრივ ზიანს, თუმცა, მიუხედავად ამისა,

მოქმედ უნდა მისცეს ჩვენება, თუ საჭიროა დადასტურდეს გარიგება, რომლის დადებისას იგი მოწვეული იყო მოწმედ, თუ გასარკვევია ოჯახის წევრის დაბადების, დაქორწინების ან გარდაცვალების საკითხები, ან თუ ამა თუ იმ სამართლებრივი ურთიერთობის დამყარებისას იგი მოქმედებდა, როგორც ერთ-ერთი მხარის წარმომადგენელი (სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის მუხლი 143-ე). მოწმე, რომელიც უარს აცხადებს ჩვენების მიცემაზე, ვალდებულია დაასაბუთოს ეს უარი. საკითხი იმის შესახებ, აქვს თუ არა მოწმეს უფლება უარი ეთქვას ჩვენების მიცემაზე, გადაწყდება საქმის განმხილველი ორგანოს მიერ. მოწმეს გააჩნია გარკვეული უფლებები, კერძოდ. მას შეუძლია მოითხოვოს გამოძახებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება, მოითხოვოს თავის ადგილსამყოფელზე დაკითხვა, თუ აეადმყოფობის, მოხუცებულობის, ინვალიდობის ან სხვა საპატრიო მიზეზის გამო არ შეუძლია გამოცხადდეს სასამართლოში, აგრეთვე, როცა საქმის გარემოებათა მიხედვით მისი ადგილზე დაკითხვა უფრო მიზანშეწონილია, ასევე, როცა ერთ ადგილას ცხოვრობს რამდენიმე მოწმე და მათი ორგანოში გამოძახება და დაკითხვა დაკავშირებული იქნებოდა დიდ ხარჯებთან. მოწმე ჩვენებას აძლევს ზეპირად, მაგრამ მას შეუძლია ისარგებლოს ჩანაწერებით, თუ მისი ჩვენება დაკავშირებულია რაიმე ციფრობრივ ან სხვა ძველ ცნობებთან. ასეთი ჩანაწერები შეიძლება დაერთოს საქმეს. ყოველი მოწმე ცალკე უნდა დაკითხოს, დაკითხული მოწმეები ესწრებიან სხვის ჩვენებებს. მოწმე თავისუფალი თხრობით იძლევა ჩვენებებს, ამის შემდეგ მას ეკითხებიან. პირველად შეკითხვას აძლევს ის მხარე, რომლის ინიციატივითაც დაიბარეს იგი, შემდეგ — მოწინააღმდეგე მხარე ან მისი წარმომადგენელი. საქმის განმხილველ ორგანოს შეუძლია შეკითხვა მისცეს მოწმეს დაკითხვის ყველა მომენტში. დასაშვებია მოწმის ხელმეორედ დაკითხვა, აგრეთვე მოწმეთა დაპირისპირება მათ ჩვენებაში წინააღმდეგობათა გასარკვევად. 14 წლამდე ასაკის მოწმის, აგრეთვე საქმის განმხილველი ორგანოს მიზანშეწონილობით 14-დან 18 წლამდე მოწმის დაკითხვისას შეიძლება მოწვეულ იქნეს პედაგოგი, აუცილებლობის შემთხვევაში აგრეთვე მშობლები, მშვილებლები, მეურვეები ან მზრუნველები. აუცილებლობის შემთხვევაში არასრულწლოვანის დაკითხვისას შეიძლება რომელიმე მხარის დარბაზიდან გაყვანა, რომელსაც ეცნობება დაბრუნების შემდეგ არასრულწლოვანის ჩვენება, რომელსაც შეიძლება მან დაუსვას კითხვები. მოწმე ხელს აწერს სწორი ჩვენების

მიცემაზე, ხოლო ფიცს დებს მაშინ, თუ მის ჩვენებას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქმის გადასაწყვეტად და თუ საქმის განმხილველი ორგანო ამას მიზანშეწონილად ჩათვლის. ფიცის დადება ხდება დაკითხვის შემდეგ, ფიცს არ დებს 16 წელს მიულწეველი პირი. საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მოწმის მიერ რელიგიური ფიცის დადებასაც (მუხლი 153-ის პუნქტი მე-5), რომლითაც მან უნდა შეპფიცოს ღმერთის წინაშე, რომ იტყვის სიმართლეს და არაფერს დამალავს. ასეთი წესი, ვფიქრობთ, რელიგიური რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების კონსტიტუციური უფლების ხელყოფაა, ვინაიდან პირს არ შეიძლება დაკავალთ რელიგიური ფიცი დალოს. ადმინისტრაციულმა ორგანომ ან სასამართლომ სამართლებრივად უნდა ცნოს რელიგიური ფიცი, თუ ამას მოწმე ნებაყოფლობით აკეთებს. რასაკვირველია, ყველა მოწმეს უფლება აქვს უარი თქვას ფიცის მიცემაზე, მაშინ მან ჩვენება უნდა მისცეს ფიცის შემცველი გამაფრთხილებელი დადასტურებით. იგი ადასტურებს პასუხისმგებლობის მთელი შეგნებით, რომ თქვა მხოლოდ სიმართლე და არაფერი დაუმალავს.

ექსპერტის დასკვნა. ცალკეულ შემთხვევებში, როცა საჭიროა სპეციალისტის აზრის გათვალისწინება ამა თუ იმ საკითხის გადასაწყვეტად, შეიძლება დაინიშნოს საზოგადოებრივი ექსპერტი დასკვნის მისაღებად. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში კი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მიმართოს საქსპერტო დაწესებულებას ან საზოგადოებრივ ექსპერტს დასკვნისათვის. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია წარუდგინოს ექსპერტს საექსპერტო დასკვნისათვის აუცილებელი ინფორმაცია, ხოლო ექსპერტი ვალდებულია თავისი დასკვნა წარადგინოს კანონის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომლის გაშვებამ არ შეიძლება დააბრკოლოს ადმინისტრაციული აქტის გამოცემა. აქტში აღინიშნება ექსპერტის ვინაობა მისი დასაბუთების ნაწილში. ექსპერტი ვალდებულია მიუკერძოებლად და კეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა, რომლის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის იგი პასუხს აგებს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ექსპერტი ვალდებულია არ გაამჟღავნოს საიდუმლო ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა მოვალეობის შესრულებისას, ასეთი ვალდებულება მას ეკისრება მოვალეობის შესრულების შეწყვეტის შემდეგაც. საზოგადოებრივი ექსპერტის დასკვნა, როგორც აღვნიშნეთ, სავალდებულო არ

არის ადმინისტრაციული ორგანოსათვის, თუ ამას კანონი არ მოითხოვს. უარი ექსპერტის დასკვნის გათვალისწინებაზე უნდა დასაბუთდეს. საზოგადოებრივი ექსპერტის მოვალეობის შესრულებისაგან ვადაძლე გათავისუფლება შეიძლება იმ ორგანოს მიერ, რომელმაც იგი დანიშნა, თუ ექსპერტი უხეშად არღვევს დაკისრებულ მოვალეობას, არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რომლებიც წაყენებულია ამ თანამდებობის დასაკავებლად, ან როცა ექსპერტი პირადი გაცხადებით უარს ამბობს დასკვნის მიღებაზე. ექსპერტის შრომა უნდა ანაზღაურდეს.

წერილობითი მტკიცებულებანი. ასეთებია: აქტები, საბუთები, წერილები, მიმართვები, მმართველობის აქტები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც შეიცავენ ცნობებს საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების შესახებ. წერილობითი მტკიცებულებები, როგორც წესი, დედნის სახით უნდა იქნეს წარდგენილი, მაგრამ ასლიც შეიძლება მიღებულ იქნეს, თუკი იგი ეჭვს არ ბადებს და შეიძლება მიღებულ იქნეს საქმის განმხილველი ორგანოს მიერ მტკიცებულებად. ასევე თუ შეუძლებელია დედნის წარდგენა გარკვეული მიზეზების გამო, მაშინაც ორგანო იძულებულია დაეყრდნოს ასლს. როგორც აღვნიშნეთ, თუ მტკიცებულებების გამოთხოვა პირს არ შეუძლია, მაშინ საქმის განმხილველი ორგანო გამოითხოვს მას. საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით, შეუტყობინებლობის, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა სასამართლოს მოთხოვნა წერილობითი მტკიცებულების წარდგენის შესახებ არ არის შესრულებული არასაპატიო მიზეზით, სასამართლო მოქალაქეს ან საწარმოს, დაწესებულებისა თუ ორგანიზაციის თანამდებობის პირს შესაბამისად აჯარიმებს 10 ლარით, ხოლო განმეორებით წარუდგენლობის შემთხვევაში პირველი ჯარიმა ხუთმაჯად იზრდება. ასეთი წესი ადმინისტრაციულ პროცესში მიუღებელია. წერილობითი მტკიცებულება თუ პირის სასარგებლოდაა, იგი ყველანაირად შეეცდება მის წარმოდგენას, ხოლო თუ მის საწინააღმდეგოდაა, რასაკვირველია, იგი ამ მტკიცებულებას არ წარადგენს. მეორე მხარეს უნდა მიეცეს ყველა შესაძლებლობა მოიპოვოს მისგან დამალული ნებისმიერი მტკიცებულება. ხოლო თუკი ამას იგი ვერ მოახერხებს, მაშინ საკითხი უნდა გადაწყდეს ისე, როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის მე-5 პუნქტშია მოცემული. კერძოდ, თუ წერილობითი მტკიცებულების წარდგენაზე უარს ამბობს ერთ-ერთი მხარე, რომელიც არ უარყოფს, რომ მტკიცებულება მის ხელთაა, ან თუ წერილობითი მტკიცებულების წარდ-

გენაზე უარის თქმას სასამართლო არასაპატიოდ მიიჩნევს, სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის აღმძვრელი პირი იმ ფაქტის მტკიცების ტვირთისაგან, რომელიც ამ მტკიცებულებით უნდა დაედასტურებინა, და ასეთი ტვირთი გადააკისროს იმ მხარეს, რომელიც უარს ამბობს წერილობითი მტკიცებულების წარდგენაზე. ასეთი წესის გამოყენება ზედმეტს ხდის აღნიშნული ჯარიმების გამოყენებას, რომელიც მოქალაქის პირადი შეუხებლობის ხელყოფას წარმოადგენს. თუ წამოიჭრება დავა წარმოდგენილი საბუთის სიყალბის შესახებ, საქმის განმხილველ ორგანოს შეუძლია შეამოწმოს საბუთის ნამდვილობა, რისთვისაც დანიშნავს ექსპერტიზას ან გამოითხოვს სხვა მტკიცებულებებს. თუ დადასტურდება დოკუმენტის სიყალბე, საქმე უნდა გადაეცეს საგამომიებო ორგანოებს დამნაშავეის დასასჯელად. საქმის განხილვის დამთავრების შემდეგ საბუთების დედნები წარმდგენის თხოვნით უბრუნდება მკატრონეს, მაგრამ საქმეში უნდა დარჩეს სათანადოდ შემოწმებული ასლები.

§4. საპროცესო ვადები. შეტყობინება და დაბარება

ადმინისტრაციულ პროცესში შემოღებულია შესაბამისი ვადები განცხადებისა თუ საჩივრის შესატანად, მათ განსაზღვრულად, ადმინისტრაციული აქტის აღსასრულებლად და სხვ. ამ ვადებს ადგენს როგორც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, ისე ადმინისტრაციული საპროცესო და სამოქალაქო-საპროცესო კოდექსები. ადმინისტრაციული განცხადება შეიტანება ნებისმიერ დროს, როცა პირს გააჩნია შესაბამისი უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა. ადმინისტრაციული აქტი უნდა იქნეს მიღებული განცხადების წარდგენიდან 1 თვეში, ხოლო თუ აუცილებელია მეტი ვადა, იგი არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს (მუხლი მე-200). ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის ან გასაჩივრებულ ქმედებათა შესრულების დღიდან 1 თვის ვადაში (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მუხლი 180-ე). ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე აღძრულ და განხილულ უნდა იქნეს მისი ჩადენიდან 2 თვის ვადაში, ხოლო ადმინისტრაციული სახდელი შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს მისი გამოტანიდან და დამრღვევისათვის გაცნობიდან 10 დღის ვადაში. ადმინისტრაციული დავის

საქმეზე ადმინისტრაციული სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს სასამართლოში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაცნობიდან 6 თვის ვადაში, ხოლო ნორმატიული აქტის შემთხვევაში – უშუალო ზიანის მიყენებიდან 3 თვის ვადაში (ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსის მუხლი 22-ის პუნქტი მე-3). თუ მხარეს სასამართლოში არ ეცნობა გასაჩივრების უფლების შესახებ ან ეცნობა კანონის მოთხოვნის დარღვევით, მაშინ გასაჩივრება შეიძლება სასამართლოს აქტის გამოტანიდან 1 წლის განმავლობაში (ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსის მუხლი მე-12). თუ დაინტერესებულმა მხარემ კანონით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილი ვადა გაუშვა დაუძღველი ძალის, ავადმყოფობის ან სხვა არაბრალეული მიზეზით, გაშვებული ვადის აღდგენის შესახებ განცხადებით მიმართვა შეუძლია აღნიშნულ გარემოებათა აღმოფხვრიდან არა უგვიანეს 15 დღისა (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მუხლი 94-ის პუნქტი მე-4).

ადმინისტრაციული განცხადება ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა განიხილოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის ვადების დაცვით, ე.ი. არა უგვიანეს 2 თვისა განცხადების მიღების დღიდან გარდა ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე მოთხოვნის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განიხილება არა უგვიანეს 20 დღისა. (სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის მუხლი 59-ის პუნქტი მე-3). ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას გამოიტანს ადმინისტრაციული ორგანო 1 თვის ვადაში, ხოლო თუ მის გადასაწყვეტად აუცილებელია მეტი ვადა, იგი შეიძლება გაგრძელდეს კიდევ 1 თვით, რის შესახებაც უნდა ეცნობოს მომჩივანს საჩივრის შეტანიდან 7 დღის ვადაში (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მუხლი 183-ე). განცხადება საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ შეიტანება ამ ვადის გასვლამდე, ხოლო ვადის გასვლის შემდეგ განცხადებას მიიღებს საქმის განმხილველი ორგანო, თუ ცნობს, რომ ვადის გასვლამდე განცხადების შეუტანლობა მოხდა საპატიო მიზეზით.

დაინტერესებული მხარე ადმინისტრაციული წარმოების მასალებს გაეცნობა იმ ადმინისტრაციულ ორგანოში, რომელიც ახორციელებს ადმინისტრაციულ წარმოებას, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში ამ მასალებს იგი შეიძლება გაეცნოს სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში, აგრეთვე საზღვარგარეთ საქართველოს საკონსულო დაწესებულებაში.

ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს მაშინ, თუ ადმინისტრაციული აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას მასში მონაწილეობის უფლების მქონე პირი ამ უკანასკნელის წერილობითი თხოვნით. თუ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უფლების მქონეთა რაოდენობა 50-ს აღემატება, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია თითოეული მათგანის ინფორმირების ნაცვლად ოფიციალურად გამოაქვეყნოს ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ. გადაუდებელ შემთხვევაში, როდესაც საქმეზე ადმინისტრაციული აქტის დაყოვნებამ შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს საჯარო ან კერძო ინტერესებს, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია დაინტერესებული მხარის წარმოებაში ჩაბმის გარეშე ან შეტყობინების გარეშე მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტის გამოცემის შესახებ (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მუხლი 95-ე). დაინტერესებული მხარე ვალდებულია გამოცხადდეს ადმინისტრაციულ ორგანოში და მისცეს ახსნა-განმარტება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში (მუხლი 96-ის პუნქტი მე-5).

სასამართლოში ადმინისტრაციული დავის განხილვისას მხარეებისათვის ან საქმეში მონაწილე სხვა პირისათვის გაგზავნილ ყველა უწყებაზე, დოკუმენტსა თუ წერილზე უნდა აღინიშნოს გაგზავნის თარიღი. სასამართლოს ყველა გადაწყვეტილების, განჩინებისა თუ დადგენილების ასლები უნდა გადაეცეს მხარეს. თუ მხარე საქმეს აწარმოებს წარმომადგენლის მეშვეობით, ყველა დოკუმენტი ეგზავნება ამ უკანასკნელს. თუ გასაგზავნი დოკუმენტი დიდი მოცულობისაა, მაშინ მხარეს ეგზავნება ამ დოკუმენტის მხოლოდ დასახელება და ეცნობება, რომ მას აქვს უფლება გაეცნოს დოკუმენტს კანცელარიაში. მხარეს უფლება აქვს მიიღოს დოკუმენტების ასლები საკუთარი ხარჯით ან გააკეთოს ამონაწერი სასამართლოს კანცელარიაში (ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსის მუხლი მე-13). სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის მე-8 თავი ითვალისწინებს სასამართლო შეტყობინებისა და დაბარების წესებს, რომლებიც დაცულ უნდა იქნეს სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეებზედაც. კერძოდ, მხარეებსა და მათ წარმომადგენ-

ლებს სასამართლო უწყებით ეცნობებათ სასამართლოს სხდომის ან ცალკეულ საპროცესო მოქმედებათა შესრულების დრო და ადგილი. სასამართლო უწყებით სასამართლოში იბარებენ აგრეთვე მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებსა და თარჯიმნებს. აღნიშნულ პირებს უწყებები უნდა ჩაბარდეთ იმ ვარაუდით, რომ საკმაო დრო ჰქონდეთ სასამართლოში დროულად გამოსაცხადებლად და საქმისათვის მოსამზადებლად. აუცილებლობის შემთხვევაში მათი დაბარება შეიძლება ტელეფონოგრაფით, ლექსით, ან ფაქსით. უწყებასთან ერთად მოპასუხეს ეგზავნება სასარჩელო განცხადებისა და თანდართული საბუთების ასლები, ხოლო მოსარჩელეს – მოპასუხის წერილობითი განცხადების ასლი, თუ ეს უკანასკნელი შემოვიდა სასამართლოში უწყების გაგზავნის დროისათვის. უწყება იგზავნება ფოსტით ან დამტარებლის მეშვეობით. პირი, რომელსაც დაევალა უწყების მოტანა, ვალდებულია სასამართლოში დააბრუნოს მისი მეორე ცალი უწყების მიღებაზე ადრესატის ხელმოწერით. მოქალაქეს უწყება უნდა ჩაბარდეს პირადად, ხოლო ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება – სათანადო თანამდებობის პირს, რომელიც ასევე ხელს აწერს უწყების მეორე ეგზემპლარს. თუ გამოძახებული პირი პირადად ვერ იქნა დადგენილი საცხოვრებელ ან სამუშაო ადგილზე, უწყება უნდა ჩაბარდეს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან პირს ან თანამშრომელს, ხოლო თუ ესეც არ იმყოფება ადგილზე, მაშინ სახლის მფლობელს, დაქირავებულს, რომლებიც თანახმა იქნებიან გადასცენ უწყება ადრესატს ან სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას. თუ ადრესატი დროებით წასულია, უწყების მეორე ეგზემპლარზე აღინიშნება სად არის წასული ადრესატი და როდის მოელიან მის დაბრუნებას, ეს ცნობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამუშაოს ადმინისტრაციის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოს მიერ. თუ ადრესატმა უარი განაცხადა უწყების მიღებაზე, მისი მიმტანი პირი სათანადო აღნიშვნას აკეთებს უწყებაზე, რომელიც ჩაბარებულად ითვლება და სასამართლოს შეუძლია განიხილოს საქმე (იხ. 70-78-ე მუხლები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსისა).

§ 5. საპროცესო ხარჯები

ადმინისტრაციული პროცესი, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ფორმა, უსასყიდლო უნდა იყოს მოქალაქისათვის. სამწუხაროდ, საქართველოში ასე არაა და მოქალაქის ყოველგვარი კანონიერი უფლების დაკმაყოფილება ანაზღაურებას მოითხოვს. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 91-ე მუხლის თანახმად, ყოველი მხარე თვითონ ანაზღაურებს ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებულ მის მიერ მისივე ინიციატივით ან მის სასარგებლოდ გაწეულ ხარჯებს. საპროცესო ხარჯებს შეადგენს საქმის განხილვის ხარჯები და მის გარეთ, მაგრამ საქმესთან დაკავშირებული ხარჯები. საქმის განხილვის ხარჯებია სახელმწიფო ბაუი და სხვა ხარჯები, რაც საქმის განხილვას ახლავს. საქმის განხილვის გარეთა ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის (დამცველისათვის) გაწეული ხარჯები, დაკარგული ხელფასის (განაცდური) ანაზღაურება, მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები, აგრეთვე მხარეთა აუცილებელი სხვა ხარჯები. სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯის გადახდისაგან თავისუფლდებიან: მოსარჩელები – ალიმენტის გადახდვინების სარჩელებზე, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სარჩელებზე, დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების სარჩელებზე, ასევე მხარეები თავისუფლდებიან ხარჯებისაგან უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრების ან გამასწორებელი სამუშაოების უკანონოდ გამოყენების შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ სარჩელებზე. დანარჩენ შემთხვევებში კი ისინი ხარჯებს იხდიან მთლიანად. ადმინისტრაციულ პროცესში ამ წესის სრულად გამოყენება დაუშვებელია. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 168-ე მუხლით ადმინისტრაციული აქტის აღსრულებასთან დაკავშირებით ხარჯებს გაიღებს პირი, რომელსაც ევალება ადმინისტრაციული აქტის აღსრულება. თუ პირს არ განესაზღვრა გადაუდებელ შემთხვევაში გამოტანილი ადმინისტრაციული აქტის ნებაყოფლობით აღსრულების ვადა, აღსრულებასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს შესაბამისად სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანო, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გადაუდებელი აუცილებლობა გამოწვეული იყო იმ პირის

ქმედებით, რომელსაც ადმინისტრაციული აქტი უნდა აღესრულებინა. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 204-ე მუხლით, არ შეიძლება დაწესდეს სახელმწიფო ბაჟი ან რაიმე გადასახადი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისათვის. ყოველი მხარე თვითონ აანაზღაურებს მის მიერ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით გაწეულ ხარჯებს. საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე მხარის მიერ ადვოკატის ან წარმომადგენლისათვის გაწეულ ხარჯებს ანაზღაურებს მხოლოდ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე მხარის გადახდის-უნარობის შემთხვევაში. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 თავი ეძღვნება პროცესის ხარჯებს. ამ თავის თანახმად, სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდება სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხებთან დაკავშირებით აღძრულ სარჩელზე. საქმის შეწყვეტის შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა განახევრდება. ფიზიკური პირი ვალდებულია პირველი ინსტანციის სასამართლოში გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა ან თუ მისთვის ცნობილი იყო გარემოებანი, რომლებიც აშკარად მიუთითებენ მისი სარჩელის უსაფუძვლობაზე. ეს უკანასკნელი წესი ადგენს პრეიდუციული გასაჩივრების უპირატესობას, როცა პირმა ჯერ უნდა მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს და ამის შემდეგ სასამართლოს თუკი უნდა არ გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი. ეს კი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლს, რომელიც აწესებს ადამიანის უფლებათა სასამართლოში დაცვის სრულ თავისუფლებას ყოველგვარი პირობის გარეშე.

თუ ადმინისტრაციული აქტი გამოცემული იყო საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აანაზღაუროს პროცესის ხარჯები მის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაშიც (მუხლი 10-ის პუნქტი მე-2). თუ მხარე რამდენიმე ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან შედგება, სასამართლო ხარჯებს ისინი თანაბრად გაიყოფენ. თუ სასამართლო წარმოება დასრულდა მხარეთა მორიგებით, მაგრამ მხარეები ვერ შეთანხმდნენ ხარჯების განაწილებაზე, ამასთან, მხარეები არ არიან გათავისუფლებული ხარჯების ანაზღაურებისაგან, მაშინ სასამართლო ხარჯები მათ შორის ნაწილდება თანაბრად, ხოლო სასამართლოს გარეშე ხარჯებს თითოეული მათგანი აანაზღაურებს დამოუკიდებლად (მუხლი მე-11).

**ადმინისტრაციული განცხადების მარტივი,
ფორმალური, საჯარო საქმისწარმოება**

§1. მარტივი ადმინისტრაციული საქმისწარმოება

როგორც აღვნიშნეთ, ადმინისტრაციულ-პროცესუალური წარმოების სახეები და ადმინისტრაციული საქმისწარმოების სახეები სხვადასხვა ცნებებითაა ერთად აღმინისტრაციულ-პროცესუალური წარმოების სახეები გამოხატავს სხვადასხვა კატეგორიის ადმინისტრაციულ საქმეთა წარმოებას (განცხადების, საჩივრის, დავის, გადაცდომის და ა.შ. წარმოებას), ადმინისტრაციული საქმისწარმოების სახეები გულისხმობს ერთი და იმავე კატეგორიის საქმის, კერძოდ, განცხადების საქმის წარმოების სხვადასხვა მოცულობას, სხვადასხვა ფორმას, სხვადასხვა სისწრაფეს და ა.შ. რამდენადაც განცხადების საქმის წარმოებას დიდი ადგილი უჭირავს ადმინისტრაციულ პროცესში, ამდენად, აუცილებელია მისი საერთო კანონზომიერებასთან ერთად განვიხილოთ განცხადების განხილვისა და გადაწყვეტის სხვადასხვა ფორმები მარტივი, ფორმალური და საჯარო წარმოების სახით. წინა თავში ჩვენ შევეხეთ განცხადების საქმეთა წარმოების ძირითად საკითხებს, რომლებიც საერთოა მარტივი, ფორმალური და საჯარო წარმოებების დროს, აქ კი განვიხილავთ იმ სპეციფიკურ თავისებურებებს, რომლებიც საქმისწარმოების ამ ცალკეულ სახეებს ახასიათებთ.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 72-ე მუხლი ადგენს, რომ თუ კანონი არ ითვალისწინებს სხვა სახის ადმინისტრაციული წარმოების გამოყენებას, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ აქტს ამზადებს მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით, მაშასადამე, კანონში ამა თუ იმ ხასიათის განცხადების განხილვის შესახებ მითითებული უნდა იყოს, თუ რომელი სახის საქმისწარმოებით უნდა გადაწყდეს მიცემული განცხადება. ფორმალური და საჯარო საქმისწარმოების გამოყენების შესახებ ძირითადად მითითებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამის თავებში (მე-8 და მე-9 თავები), ხოლო სხვა საკანონმდებლო აქტებში ამჟამად ასეთი მითითებები არ არის მოქმედი

ქართული კანონმდებლობის, რომელიც მოქალაქეთა სხვადასხვა ზასიათის განცხადებათა დაკმაყოფილებას შეეხება, არასრულყოფილების გამო.

მარტივი ადმინისტრაციული წარმოება იწყება განცხადების რეგისტრაციის მომენტიდან, რომელიც უნდა იქნეს შეტანილი იმ ადმინისტრაციულ ორგანოში, რომელიც უფლებამოსილია გადაწყვიტოს განცხადებაში დასმული საკითხი და გამოსცეს შესაბამისი ადმინისტრაციული აქტი. განცხადებისა და მასზე დართული დოკუმენტებისა თუ სხვა ინფორმაციის წარდგენის წესი განისაზღვრება შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს დებულებით, თუ სხვა კანონმდებლობით არ არის ეს დადგენილი.

განცხადება ყოველთვის უნდა იყოს წერილობითი ფორმით და შეიცავდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებულ რეკვიზიტებს (ორგანოს ვინაობა, ვისაც მიმართავენ, განმცხადებლის ვინაობა და მისამართი, მოთხოვნის შინაარსი, განცხადების წარდგენის თარიღი და ხელმოწერა, თანდართული საბუთების ნუსხა, თუ ასეთი არსებობს). ამდენად, ზეპირი განცხადება და ნათქვამიდან სპეციალურ ჟურნალში მისი რეგისტრაცია კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის, ვინაიდან ყოველ განცხადებას უნდა მოჰყვეს ადმინისტრაციული აქტის მიღება, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს წერილობით დოკუმენტს – დაწერილ განცხადებას. საბჭოთა ხელისუფლების დროს დაშვებული იყო ზეპირი განცხადებისა თუ საჩივრის რეგისტრაცია განცხადებებისა და საჩივრების სპეციალურ ჟურნალში, რომელშიაც აღინიშნებოდა, თუ რა შედეგი მოჰყვა ზეპირი განცხადების განხილვას. განცხადების ასეთი გადაწყვეტა შედეგს არ იწვევდა, ვინაიდან მას ყოველთვის არ მოსდევდა ადმინისტრაციული აქტის მიღება და, ამდენად, მოქალაქე ხშირად დაუკმაყოფილებელი რჩებოდა. დღეს ასეთი წესი აკრძალულია.

ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია გაატაროს განცხადება მისი მიღების დღესვე და დასვას მასზე რეგისტრაციის თარიღი და ნომერი, ხოლო განმცხადებელს მოთხოვნისთანავე დაუყოვნებლივ გაუგზავნოს განცხადების რეგისტრაციაში გატარების დადასტურება. თუ განცხადებით მოთხოვნილი საკითხის გადაწყვეტა მიეკუთვნება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას, განცხადება ამ უკანასკნელს უნდა გადაეგზავნოს არა უგვიანეს 5 დღისა, რომლის დროსაც დაუშვებელია რაიმე მოსაზრების წარდგენა განცხადებაში დასმუ-

ლი საკითხის გადაწყვეტის შესახებ (მუხლი მე-80). ასეთ შემთხვევაში განცხადების გადაგზავნის შესახებ განმცხადებელს ეცნობება წერილობით 2 დღის განმავლობაში. ადმინისტრაციულ ორგანოს არ შეუძლია მოსთხოვოს განმცხადებელს წარადგინოს სხვა რაიმე დამატებითი საბუთი ან ინფორმაცია კანონით გათვალისწინებული გარდა და ამ საფუძვლით დაუშვებელია ადმინისტრაციული წარმოების შეჩერება ან განცხადების განხილვაზე უარის თქმა. როგორც აღვნიშნეთ, ეს წესი შემოღებულია ბიუროკრატიზმთან ბრძოლის მიზნით. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 84-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია 3 დღის ვადაში გაუგზავნოს განცხადების და მასზე დართული დოკუმენტების ასლები იმ ადმინისტრაციულ ორგანოსა და საზოგადოებრივ ექსპერტს, რომელთაც კანონმდებლობით მინიჭებული აქვთ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უფლება. ეს უკანასკნელები ვალდებულნი არიან დასკვნები წარადგინონ 2 კვირის ვადაში. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განუმარტოს დაინტერესებულ მხარეს მისი უფლებები და მოვალეობები, გააცნოს განცხადების განხილვის წესი, წარმოების სახე და ვადა, აგრეთვე ის მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს განცხადება, მიუთითოს განცხადებაში დაშვებული შეცდომების შესახებ.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი პუნქტით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე პირის ქმედუნარიანობის მიმართ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12-16 მუხლები, რაც ყოველთვის გამართლებული ვერ იქნება.

სამოქალაქო ქმედუნარიანობის ცნებით სრული ქმედუნარიანობა იწყება 18 წლის ასაკიდან ან დაქორწინებიდან, ხოლო შეზღუდული ქმედუნარიანობა განისაზღვრება 7-დან 18 წლამდე. ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერების ბოროტად გამოყენებლებს, რომლებიც ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებენ, სასამართლოს მიერ შეიძლება დაუწესდეთ მზრუნველობა. ეს წესი ადმინისტრაციულ სამართალში ყოველთვის ვერ იქნება დაცული. კერძოდ, 6 წლის მოწაფე უფლებამოსილია მიმართოს სკოლის ადმინისტრაციას თხოვნით ან საჩივრით, ხოლო — პრაქტიკაში ცნობილია შემთხვევა, როცა 6 წლის ბავშვმა პოლიციაში უჩივლა მამას, რომელიც ყოველ საღამოს მთვრალი მიდიოდა და დედას სცემდა. რაც შეეხება დაქორწინებისას სრული ქმედუნარიანობის მოპოვებას, იგი შეეხება მხოლოდ ქონებრივი ურთ-

ეერთობის სფეროს, ვინაიდან 16 წლის ასაკში პირს სამსახურებრივი და ზოგიერთი ადმინისტრაციული უფლებები არ გააჩნია, მაშასადამე, არც სრული ქმედუნარიანობა აქვს, ხოლო ალკოჰოლიკებისათვის ადმინისტრაციული მზრუნველობის დაწესება დაუშვებელია.

დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს წარადგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, რომელსაც ადმინისტრაციული ორგანო 2 დღეში აკმაყოფილებს ან უარს ეუბნება. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლით თუ დოკუმენტის გაცნობის ინტერესი აღემატება საიდუმლოების დაცვის ინტერესს, მაშინ სასამართლოს გადაწყვეტილებით და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში დაინტერესებულ მხარეს გასაცნობად წარედგინება საქმის ის მასალებიც, რომლებიც შეიცავენ სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას. განსაკუთრებულ შემთხვევებში დაინტერესებული მხარე წერილობითი თხოვნის საფუძველზე ადმინისტრაციული წარმოების მასალებს შეიძლება გაეცნოს სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში, აგრეთვე სხვა სახელმწიფოში არსებულ საქართველოს საკონსულო დაწესებულებაში. არ შეიძლება დაწესდეს რაიმე გადასახადი ან შეიქმნას სხვა დაბრკოლება დოკუმენტის ან სხვა მასალის ასლის მისაღებად, ასლის გადაღებისათვის, აგრეთვე ფოსტის მეშვეობით გაგზავნისათვის, საჭირო თანხის ანაზღაურების გარდა. ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული მხარე ვალდებულია გამოცხადდეს ადმინისტრაციულ ორგანოში და მისცეს ახსნა-განმარტება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში, ე.ი. მარტივი ადმინისტრაციული წარმოების დროს სავალდებულო არაა მხარის დასწრება საქმის განხილვაზე (მუხლი 96-ე). განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ადმინისტრაციული აქტის გამოცემამდე ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მისცეს განმცხადებელს განცხადების უარყოფელი გარემოებების შესახებ საკუთარი აზრის წარდგენის შესაძლებლობა, როცა უარი ეფუძნება ინფორმაციას განმცხადებლის შესახებ, ან როცა ინფორმაცია, რომელსაც ეფუძნება უარი, განსხვავდება განმცხადებლის მიერ წარდგენილი ინფორმაციისაგან. ასეთი მოსაზრება მან უნდა წარადგინოს 5 დღის ვადაში. ასეთი მოთხოვნა შეიძლება არ იქნეს მიღებული მხედველობაში, როდესაც გადაუდებელ შემთხვევაში ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დაყოვნებამ შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს საჯარო ინტერესს. ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაცი-

ული ორგანო ვალდებულია, მიუთითოს, თუ რა გადაუდებელი გარემოება არსებობს (მუხლი 101-ე).

განმეორებითი განცხადების შეტანა, როცა არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს ადმინისტრაციული აქტი განცხადების, აგრეთვე საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად დაედო ადმინისტრაციული აქტის გამოცემას, შეიცვალა დაინტერესებული პირის სასარგებლოდ ან თუ არსებობს ახლად აღმოჩენილი გარემოებანი (მტკიცებულებები), რომლებიც განაპირობებს განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი ადმინისტრაციული აქტის გამოცემას. განცხადება ადმინისტრაციული წარმოების განახლების შესახებ მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული წარმოების დროს ამ გარემოებათა ან ფაქტების წარუდგენლობა განმცხადებლის ბრალით არ მომხდარა.

§2. ადმინისტრაციული საქმის წარმოება კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოში

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი სპეციალურად გამოყოფს კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოში ადმინისტრაციული განცხადების საქმისწარმოებას, რამდენადაც იგი ხასიათდება ზოგიერთი თავისებურებით. როგორც აღინიშნა, ადმინისტრაციული განცხადება მეტწილად ერთპიროვნულად განიხილება ადმინისტრაციულ ორგანოში, მაგრამ ზოგჯერ კანონი მიუთითებს ადმინისტრაციულ საქმისწარმოებას სწორედ კოლეგიურ ორგანოში. მაგალითად, ეროვნულ ბანკში შეტანილი განცხადება განიხილება ამ ბანკის გამგეობის სხდომაზე კოლეგიალურად. როგორც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე მუხლი ადგენს, კოლეგიურ ორგანოში შეტანილ განცხადებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დასმული საკითხის გადაწყვეტა კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას არ განეკუთვნება, მაშინ ამ ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირი ერთპიროვნულად გადაუგზავნის განცხადებას უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს ან დაუბრუნებს განმცხადებელს.

კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს სხდომას გახსნის და

დახურავს ამ ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირი, ხოლო მისი არყოფნისას შესაბამისად – დანიშნული ან არჩეული სხდომის თავმჯდომარე. სხდომაზე უნდა იყვნენ კოლეგიური ორგანოს წევრთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა. კოლეგიური ორგანოს გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი, კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა. სხდომაზე ღებება სხდომის ოქმი, რომელშიც უნდა იყოს მითითებული: კოლეგიური ორგანოს დასახელება, სხდომის დრო და ადგილი, თავმჯდომარისა და წევრების ვინაობა, განხილვის საგანი, მიღებული გადაწყვეტილება. ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი, როცა ისინი მონაწილეობდნენ ოქმის შედგენაში. ოქმის შედგენის პარალელურად უნდა იქნეს მიღებული ადმინისტრაციული აქტიც, რომელსაც ხელს აწერენ სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი, ხოლო რომელიმე წევრის განსხვავებული აზრი თან დაერთვის ადმინისტრაციულ აქტს. კოლეგიური ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრება შეიძლება ისევე, როგორც ერთპიროვნული ადმინისტრაციული აქტისა.

§3. ფორმალური ადმინისტრაციული საქმისწარმოება

ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების დროს ადმინისტრაციული ორგანო აცნობებს ყველა დაინტერესებულ მხარეს წარმოების დაწყების შესახებ და უზრუნველყოფს მათ მონაწილეობას ადმინისტრაციულ წარმოებაში. ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების თავისებურება ისაა, რომ ამ დროს გადაწყვეტილების მიღება ხდება მხოლოდ ზეპირი მოსმენის საფუძველზე, რის შესახებაც მხარეებს ეცნობებათ მოსმენის გამართვამდე 7 დღით ადრე. დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს უარი განაცხადოს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მიღებაზე, რაც არ აჩერებს ფორმალურ ადმინისტრაციულ წარმოებას. ასევე მხარეს შეუძლია მონაწილეობა არ მიიღოს ზეპირ მოსმენაშიც. მოსაწვევეში მიეთითება ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილება, საქმე განიხილოს და გადაწყვიტოს დაინტერესებული მხარის მონაწილეობის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა. როცა დაინტერესებულ მხარეთა რიცხვი 50-ს აღემატება ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია მხარეები მოიწვიოს ოფი-

ციალურ ბეჭდვით ორგანოში ცნობის გამოქვეყნების მეშვეობით. ასეთ დროს ზეპირ მოსმენას შეიძლება დაესწროს ნებისმიერი დაინტერესებული პირი, ამიტომ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებულ ცნობაში მითითებული უნდა იყოს საკითხი, რომელიც განიხილება სხდომაზე, კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომელიც აწყობს მოსმენას, ადმინისტრაციული საქმისწარმოების დაწყების საფუძველი, ზეპირი მოსმენის დრო და ადგილი. ზეპირი მოსმენა არ უნდა გაგრძელდეს ერთ სამუშაო დღეზე მეტ ხანს, იშვიათ შემთხვევაში – მეტ ხანსაც. ზეპირი მოსმენა იმართება საჯაროდ. სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია სხდომა დახურულად გამოაცხადოს სახელმწიფო, კომერციული ან მხარის პირადი საიდუმლოების დაცვის უზრუნველსაყოფად. ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილ თანამდებობის პირს, ზემდგომი ორგანოს წარმომადგენელს, დაინტერესებულ მხარეს, მოწვეულ ექსპერტს, მოწმეს. სხდომის თავმჯდომარე, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირია, ვალდებულია უზრუნველყოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა ზეპირ მოსმენაზე, ხოლო დაინტერესებულ მხარეებს უნდა მისცეს უფლება გამოთქვან საკუთარი აზრი განსახილველ საქმესთან დაკავშირებით. სხდომაზე წესრიგს იცავს თავმჯდომარე, რომელიც უფლებამოსილია გააძევეს დარბაზიდან წესრიგის დამრღვევი პირი.

ზეპირი მოსმენის დროს იწერება ოქმი, რომელშიაც აღინიშნება: ადმინისტრაციული საქმისწარმოების სახის დასახელება, რომლის თაობაზეც ეწყობა მოსმენა; სხდომის ჩამტარებელი ორგანოს დასახელება, განხილვის დრო და ადგილი, სხდომის თავმჯდომარის, მხარეების ექსპერტის, მოწმის ვინაობა, ზეპირი მოსმენის საგანი, წარდგენილი განცხადების მოკლე მიმოხილვა, მოწმეთა და ექსპერტთა ჩვენებების მოკლე ჩანაწერები, შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგების აღწერა, თუ ასეთი ჩატარდა. ოქმს ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი. მხარეს უფლება აქვს გაეცნოს ოქმს და 3 დღის ვადაში წარადგინოს თავისი შენიშვნები, მიუთითოს მასში არასწორი ან არასრული ინფორმაციის შესახებ. თუ ადმინისტრაციული ორგანო არ ეთანხმება შენიშვნებს, იგი გამოსცემს ადმინისტრაციულ აქტს შენიშვნის უარყოფის შესახებ. ზეპირი მოსმენის დამთავრებიდან 5 დღის ვადაში გამოიცემა ადმინისტრაციული აქტი, რომელიც გადაეცემა დაინტერესებულ მხარეებს.

ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება შეიძლება გაიმართოს კოლევიალურ ორგანოშიც, სადაც კოლევიის ყველა წევრს უფლება აქვს დასვას შეკითხვა საქმის გარემოებებთან დაკავშირებით. ადმინისტრაციული აქტის მიღებისას კოლევიალურ ორგანოში კენჭისყრაში მონაწილეობენ კოლევიის მხოლოდ ის წევრები, რომლებიც მონაწილეობდნენ ზეპირ მოსმენაში. საქმის განხილვის სხვა წესები კოლევიალურ ორგანოში ისეთივეა, როგორც მარტივი ადმინისტრაციული წარმოებისას.

§4. საჯარო ადმინისტრაციული საქმისწარმოება

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით განსახილველი საქმეები ჩამოთვლილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-ე მუხლის მე-2 პუნქტში. აქ აღნიშნულია, რომ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული საქმეები, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო ან მუნიციპალური საკუთრების განკარგვასთან, ლიცენზირებასთან, გარემოსდაცვითი და მშენებლობის ნებართვების გაცემასთან, სტანდარტიზაციასა და სატელეკომუნიკაციო სიხშირის განაწილებასთან. გარდა ამ საქმეებისა, კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს კიდევ სხვა ადმინისტრაციული საქმეების განხილვა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. ასევე გამოიყენება საჯარო ადმინისტრაციული წარმოება იმ შემთხვევაშიაც, თუ საკითხი ეხება პირთა ფართო წრის ინტერესებს, რომლის დროსაც გადაწყვეტილებას იღებს ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებელი პირი ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) თანხმობით, ან მის გარეშე.¹

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ერთერთი თავისებურება ისაა, რომ ამ დროს ადმინისტრაციული ორგანო სავალდებულო წესით აქვეყნებს ცნობას საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ. ამ ცნობაში იწერება იმ ორგანოს შესახებ, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება, ხოლო თუ მასალების გაცნობა შესაძლებელია, სხვა ორგანოშიც – ამ ორგანოს დასახელება და მისამართი. ცნობაში აღინიშნება განცხადებისა და ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მოკლე შინაარსი, ად-

¹ იხ. Мальков В.В. Советское законодательство о жалобах и заявлениях, М., 1967, стр.14-15.

მინისტრაციული აქტის გამოცემის ვადა, საკუთარი მოსაზრების წარდგენის ვადა, საჯარო გაცნობისათვის წარდგენილ უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტები: განცხადება და მასზე ღართული დოკუმენტები, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ; დასკვნა ან მოსაზრება, რომელიც წარდგენილ იქნა ადმინისტრაციულ ორგანოში განცხადებასთან დაკავშირებით, იმ დოკუმენტების ნუსხა, რომლებიც არ არის საჯარო გაცნობისათვის წარდგენილი.

საჯარო გაცნობისათვის გამოქვეყნებულ დოკუმენტებს შეუძლიათ გაეცნონ ნებისმიერი პირები. გაცნობა უნდა მოხდეს იმ ორგანოში, სადაც მიმდინარეობს საჯარო წარმოება. ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო გაცნობისათვის წარდგენილი დოკუმენტების ასლები. ნებისმიერ პირს შეუძლია წარადგინოს თავისი მოსაზრება 20 დღის განმავლობაში ადმინისტრაციული აქტის გამოცემის შესახებ განცხადების გამოქვეყნებიდან ან ადმინისტრაციული აქტის პროექტის საჯარო გაცნობისათვის წარდგენის დღიდან. ადმინისტრაციული ორგანო კერძო პირების მიერ წარდგენილ მოსაზრებებს რეგისტრაციიდან 1 დღის განმავლობაში უგზავნის სხვა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოსა და საზოგადოებრივ ექსპერტს. ყველა დოკუმენტზე უნდა აღინიშნოს რეგისტრაციის თარიღი. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარდგენისას არ მიუთითოს თავისი ვინაობა, ამ უფლების შესახებ უნდა იყოს მითითებული ცნობაში საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ.

ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განცხადების რეგისტრაციიდან 1 თვის განმავლობაში მოამზადოს ადმინისტრაციული აქტის პროექტი, რომელიც უნდა გამოქვეყნდეს საჯარო გაცნობისათვის. ეს თავისებურება სწორედ იმაშია, რომ უნდა ყველამ იცოდეს, თუ როგორ აპირებს ადმინისტრაციული ორგანო საკითხის გადაწყვეტას.

საჯარო-ადმინისტრაციული წარმოების დროს აუცილებელია გაიმართოს ზეპირი მოსმენა იმ წესით, რაც გათვალისწინებულია ფორმალური ადმინისტრაციული წარმოებისათვის. ადმინისტრაციული აქტი გამოიცემა მხოლოდ ზეპირი მოსმენის გამართვის შემდეგ ათი დღის ვადაში. ადმინისტრაციული აქტი აუცილებლად უნდა გამოქვეყნდეს საჯარო-ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე. ზოგჯერ კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული აქტის გამოცემის

ვადის გადაღების შესაძლებლობა, მაშინ ადმინისტრაციული ორგანო წინასწარ აცხადებს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის გადაღების შესახებ.

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ადმინისტრაციული საქმის განხილვასა და გადაწყვეტას საჯარო განხილვის საფუძველზე დამოუკიდებელი ორგანოს მიერ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 158-ე მუხლის თანახმად, მხოლოდ დამოუკიდებელმა ორგანომ უნდა განიხილოს და გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი შემდეგ შემთხვევებში, რასაც სავალდებულო მანდატირება ეწოდება: 1. კონცესიის გაცემისას, თუ კონცესიის ფასი აღემატება 250 000 ლარს; 2. სახელმწიფო (მუნიციპალური) ქონების (საწარმოს) პრივატიზაციის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას, თუ საპრივატიზაციო ობიექტის ფასი აღემატება 100 000 ლარს; 3. სატელეკომუნიკაციო სიხშირის განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. გარდა აღნიშნულისა, კანონით შეიძლება დადგინდეს დამოუკიდებელი ორგანოს მიერ სხვა ადმინისტრაციული საქმის გადაწყვეტაც და ადმინისტრაციული აქტის გამოცემაც.

დამოუკიდებელი ორგანო შეიძლება შედგებოდეს ერთი ან რამდენიმე ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია და რომელთაც შეიძლება ვენდოთ საკითხის მიუკერძოებლად გადაწყვეტაში. დამოუკიდებელი ორგანო ინიშნება ღია ტენდერის საფუძველზე იმ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, რომლის კომპეტენციასაც განეკუთვნება შესაბამისი საკითხის გადაწყვეტა. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია ადმინისტრაციული საჩივრის გადასაწყვეტად დანიშნოს დამოუკიდებელი ორგანო, ხოლო სხვა საქმეთა გადასაწყვეტად ასეთი ორგანო ინიშნება დარგობრივი უწყებების მიერ. დამოუკიდებელი ორგანოს შექმნას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. იგი უნდა იყოს უაღრესად კეთილსინდისიერი და დიდი ავტორიტეტის მქონე, ვინაიდან როგორც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 161-ე მუხლშია აღნიშნული, დამოუკიდებელი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტის მიმართ დაუშვებელია ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენა ზემდგომ ინსტანციაში. ასეთი აქტი შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სასამართლოში.

ადმინისტრაციული საწინააღმდეგავი საქმისწარმოება

საჩივრის უფლება მოქალაქეთა საყოველთაო უფლებაა, რომლითაც ისინი უზრუნველყოფენ საკუთარი ინტერესების დაცვას.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლში ადმინისტრაციული საჩივარი განმარტებულია, როგორც დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ადმინისტრაციული აქტის გამოცემას. საჩივარი განსხვავდება წინადადებებისა და განცხადებებისაგან იმით, რომ იგი დაკავშირებულია მოქალაქეთა გარკვეული უფლებებისა და ინტერესების დარღვევასთან, მაშინ, როდესაც წინადადებების შეტანის მიზანია ორგანოს, ორგანიზაციის ან თანამდებობის პირის მუშაობის გაუმჯობესება, ხოლო განცხადებისა — მოქალაქის მიერ გარკვეული უფლების ზოპოვება ან კანონიერი ინტერესების დაკმაყოფილება. ამასთან, თუ საჩივარი იწერება მხოლოდ მოქალაქის მიერ, წინადადება შეიძლება შეტანილ იქნეს ორგანოს, ორგანიზაციის ან თანამდებობის პირის მიერაც. ადმინისტრაციული საჩივარი, ჩვეულებრივ, ეხება ერთი პიროვნების უფლებებსა და ინტერესებს, კოლექტიურ საჩივარში წამოჭრილი საკითხი დარღვევის შესახებ შეეხება მრავალი პირის ინტერესებს და ასახავს გარკვეულ სიტუაციას, რომელიც ექსტრენული ზომების გატარებას საჭიროებს მოქალაქეთა უფლებების აღსადგენად. თუ მოქალაქის წერილში აღნიშნულია სხვა მოქალაქეთა ან ორგანიზაციათა უფლებების დარღვევის შესახებ, ეს იქნება არა საჩივარი, არამედ წინადადება-მიმართვა. საჩივარი არ შეიძლება დაიწეროს, ან ზეპირად იქნეს შეტანილი მესამე პირის სახელით, ე.ი. მესამე პირს, ორგანოს, ორგანიზაციას, თანამდებობის პირს არა აქვთ უფლება გაასაჩივრონ პირის პირადი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის ფაქტი, თუ ეს ფაქტი უშუალოდ დაკავშირებული არაა

საზოგადოებრივ ან სახელმწიფო ინტერესებთან. ამიტომ არასწორია მოსაზრება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანოს, ორგანიზაციის ან თანამდებობის პირის მიერ მოქალაქის პირადი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის ფაქტის გასაჩივრების შესაძლებლობის შესახებ¹. ეს იქნებოდა მოქალაქის პირად ცხოვრებაში ჩარევა, მისი უფლებებისა და ღირსების ხელყოფა. ამიტომ მესამე პირის სახელით საჩივარი არ იწერება. ეს მოქალაქის უფლებაა და არა ორგანოს, ორგანიზაციის ან თანამდებობის პირისა.

საჩივარი სხვადასხვა სახისაა. არსებობს საკასაციო საჩივარი, რომელიც შეიძლება დაიწეროს ადმინისტრაციულ, სამოქალაქო ან სისხლის სამართლის საქმის სასამართლო გადაწყვეტის შემდეგ. საკასაციო გასაჩივრების უფლება სასამართლო საქმისწარმოების მნიშვნელოვანი დემოკრატიული პრინციპია. არსებობს აგრეთვე სააპელაციო საჩივარი, რომელიც იწერება ქვემდგომი თანამდებობის პირის მიერ ზემდგომი თანამდებობის პირის მიმართ, ან რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საოლქო-სააპელაციო სასამართლოში. საჩივრის ამ ფორმებისაგან განსხვავდება ადმინისტრაციული საჩივარი, რომელიც იწერება მოქალაქის მიერ თანამდებობის პირის ან კოლექტიური ორგანოს მიმართ.

ადმინისტრაციული საჩივარი მოქალაქის მნიშვნელოვანი უფლებაა მისი ინტერესების დასაცავად, მოქალაქის საჩივრის დიადი უფლება ჩაწერილია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლში. ამ მუხლის თანახმად საქართველოში ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ გაასაჩივრონ თანამდებობის პირთა, სახელმწიფო ორგანოების, მოქალაქეთა პოლიტიკური და საზოგადოებრივი გაერთიანებების მოქმედება. კანონმდებლობა აწესებს, რომ თანამდებობის პირთა მოქმედება, რომელიც არღვევს კანონს, ამეტებს უფლებამოსილებას, ბლალავს მოქალაქეთა უფლებებს, შეიძლება კანონით დადგენილი წესით გასაჩივრდეს სასამართლოში, მოქალაქეებს ასევე უფლება აქვთ აინაზღაურონ ზარალი, რომელიც უკანონო მოქმედებით მიაყენეს მათ სახელმწიფო ან თვითმმართველობის ორგანოებმა, აგრეთვე თანამდებობის პირებმა სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისას.

ცხადია, მოქმედ კანონმდებლობაში აღიარებულია გასაჩივრების ორი

¹ Мальков В. В. Советское законодательство о жалобах и заявлениях, М., 1967 стр. 14-15.

წესი: გასაჩივრება ზემდგომ ინსტანციაში და გასაჩივრება სასამართლო-
ში. გასაჩივრების ორივე წესი წარმოდგენილია კანონმდებლობით, რომელიც
ერთგვარად ხასიათდება ნაკლოვანებებით, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება
საუბარი.

ადმინისტრაციული საჩივარი შეიძლება შეეხებოდეს როგორც ად-
მინისტრაციული, ისე შრომის, მიწის, საფინანსო, სამოქალაქო, საბი-
ნაო სამართლის საკითხებს, ე.ი. ადმინისტრაციულ საჩივარს სხვადასხ-
ვა სამართლებრივი შინაარსი აქვს, მაგრამ მისი ფორმა და გადაწყვეტის
პროცესუალური წესი ადმინისტრაციულ-სამართლებრივია, ვინაიდან
დაკავშირებულია სახელმწიფო მმართველობის განხორციელებასთან.

ადმინისტრაციულ საჩივარს არა აქვს მკაცრად განსაზღვრული ფორმა,
არ არის დადგენილი მისი აუცილებელი რეკვიზიტები, მაგრამ უნდა
შეიცავდეს მოთხოვნას დარღვეული უფლების აღდგენის შესახებ და
იყოს წერილობითი ფორმით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული
კოდექსის 181-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ საჩივარში უნდა
იყოს აღნიშნული: ორგანო, სადაც საჩივარი შეიტანება, მომჩივნის ვი-
ნაობა, გასაჩივრებული აქტი ან მოქმედება და იმ ორგანოს დასახელება,
ვინც ეს აქტი გამოისცა ან მოქმედება შეასრულა, მოთხოვნა, გარემოე-
ბანი, რომლებსაც ეფუძნება მოთხოვნა, თანდართული დოკუმენტები.
ამასთან, საჩივარი იწერება როგორც თანამდებობის პირის, ისე მთელი
ორგანოსა თუ ორგანიზაციის მოქმედებაზე, რამაც ხელყო მოქალაქის
უფლებები და კანონიერი ინტერესები. ზემდგომ ინსტანციაში გასა-
ჩივრების შესახებ დღეს მოქმედებს საქართველოს ზოგადი ადმინის-
ტრაციული კოდექსი, რომელიც მიღებულია 1999 წლის 25 ივნისს¹. ამ
კანონმდებლობით მოქალაქეებს საჩივრები შეაქვთ იმ ორგანოებში ან იმ
თანამდებობის პირებთან, რომლებმაც უშუალოდ განიხილეს საქმე და
გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი. ადმინისტრაციული ორგანოს ხე-
ლმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაცი-
ულ-სამართლებრივი აქტი გასაჩივრდება ზემდგომ ადმინისტრაციულ
ორგანოში (მუხლი 178-ე), ხოლო მოქალაქეთა წინადადებები და განცხ-
ადებები შეაქვთ იმ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, საწარ-
მოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში ან იმ თანამდებობის პირებთან,
რომელთა უშუალო გამგებლობაშია მოცემული საკითხის გადაჭრა. თუ

¹ იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1999, №32.

წინადადებაში, განცხადებაში ან საჩივარში დასმული საკითხის გადაჭრა არ შედის შესაბამისი ორგანოს, ორგანიზაციისა თუ თანამდებობის პირის კომპეტენციაში, ეს უკანასკნელები ვალდებული არიან ხუთი დღის ვადაში გადააგზავნონ საჩივარი თუ განცხადება კუთვნილებისამებრ, რის შესახებაც 2 დღის ვადაში აცნობებენ მოქალაქეს ან პირადად მიღებისას განუმარტავენ, თუ ვის უნდა მიმართოს. თუ განცხადებაში ან საჩივარში აღნიშნული საკითხი სასამართლოს განსჯადია ან შეუძლებელია უფლებამოსილი ორგანოს დადგენა, ადმინისტრაციული ორგანო განცხადებას ან საჩივარს შესაბამისი დასაბუთებით დაუბრუნებს განმცხადებელს სამი დღის ვადაში. კანონმდებლობით ნებადართულია მოქალაქეთა საჩივრების გაგზავნა გადასაჭრელად იმ ორგანოებისა თუ თანამდებობის პირთათვის, რომელთა მოქმედებასაც ასაჩივრებენ. პირადი პასუხისმგებლობა მოქალაქეთა საჩივრების მიღებისა და განხილვის მოწყობისათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ეკისრებათ მათ ხელმძღვანელებს. საჩივრების გამო გადაწყვეტილებები გამოტანილ უნდა იქნეს ერთ თვეში, ხოლო თუ ისინი არ საჭიროებენ დამატებით შესწავლასა და შემოწმებას და არ ეხება მესამე პირის ინტერესებს – დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 15 დღისა. იმ შემთხვევაში, როცა საჩივარზე გადაწყვეტილების გამოსატანად საჭიროა სპეციალური შემოწმება, დამატებითი გადაწყვეტის ვადა შეიძლება გაგრძელდეს ერთ თვემდე, რაც უნდა ეცნობოს მომჩივანს (მუხლი 183-ე). მოქალაქეს, რომელიც არ ეთანხმება მისი საჩივრის გამო მიღებულ გადაწყვეტილებას, უფლება აქვს გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება ზემდგომ ინსტანციაში.

საჩივრის გადაწყვეტის ინსტანციური წესი იწვევს იმას, რომ ზემდგომი ინსტანცია დააწერს საჩივარს განსახილველად თავის ქვემდგომს, ეს უკანასკნელი – თავისსავე ქვემდგომ ინსტანციას და ბოლოს და ბოლოს საჩივარი მიუვა იმ თანამდებობის პირს, ვისაც უჩივიან. ამის უამრავი მაგალითია ჩვენს პრაქტიკულ ცხოვრებაში. ასეთი მანკიერი პრაქტიკის აღსაკვეთად ჩვენ ვაყენებდით წინადადებას დაწესებულებო საჩივრის მოძრაობა ქვემოდან ზემოთ, ე.ი. მოქალაქე შეიტანდა საჩივარს იმ თანამდებობის პირთან, ვისაც უჩიოდა, რომელიც თავის პასუხსა და ახსნაგანმარტებას გაუგზავნიდა ზემდგომ ინსტანციას, ხოლო ეს უკანასკნელი, მომჩივნის სურვილისამებრ, გადააგზავნიდა საჩივარს და მოკვლეულ მასალებს კიდევ უფრო ზემდგომ ინსტანციაში, საიდანაც საჩი-

ვარი უკან ვერ დაბრუნდებოდა¹. ეს წინადადება საბჭოთა კანონმდებლობაში გაზიარებულ არ იქნა, ხოლო ლიტერატურაში უსუსური კრიტიკის „ქარცეცხლში“ მოექცა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოძეგში ადმინისტრაციული ორგანო, თუ იქ არსებობს ამ აქტის გამოძეგში თანამდებობის პირის ან სტრუქტურული ქვედანაყოფის ზემდგომი თანამდებობის პირი, ხოლო ხელმძღვანელი თანამდებობის პირის აქტს – ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო. გასაჩივრებული აქტის გამოძეგან ორგანოში საჩივარს შეტანისას ეს უკანასკნელი აკმაყოფილებს საჩივარს ან დასაბუთებული უარით საჩივარს აგზავნის ზემდგომ ინსტანციაში, რომელსაც საჩივრის განხილვის უფლება აქვს.

საზღვარგარეთის (ვეროპის) მრავალ ქვეყანაში დაწესებულია საჩივრის გადაწყვეტის ტერიტორიული წესი, ე.ი. საჩივარი უნდა გადაწყდეს იქ, სადაც დავის საგანია წარმოშობილი, ამასთან, შემოღებულია გასაჩივრება სასამართლოში ან სპეციალურად შექმნილ ადმინისტრაციულ იუსტიციის ორგანოში². იტალიის კონსტიტუციის 24-ე მუხლში ჩაწერილია, რომ ყველას შეუძლია სასამართლოს წესით იმოქმედოს თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. საფრანგეთის კონსტიტუციის 68-ე მუხლი აღიარებს, რომ არავის არ შეიძლება წაერთვას თავისუფლება. პირადი თავისუფლების დამცველი სასამართლო ხელისუფლება უზრუნველყოფს ამ პრინციპების პატივისცემას კანონით გათვალისწინებულ პირობებში. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-17 მუხლი უფლებას აძლევს მოქალაქეებს, როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთობლივად წერილობითი საჩივრით მიმართონ კომპეტენტურ დაწესებულებებს ან სახალხო წარმომადგენლობას და სხვ. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერ-

¹ Лорня В.А. Роль административных жалоб в охране прав граждан, журнал „Правоведение“, 1984, 5, стр. 67. Обзорная информация о законодательстве зарубежных стран 2(75) – „Рассмотрение жалоб граждан на действия органов управления и должностных лиц по законодательству зарубежных стран“ – ВНИИСЗ Минюст СССР, М., 1972.

² იხ. აგრეთვე გეროს მიერ 1948 წ. 10 დეკემბერს დამტკიცებული „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“, მუხ. 8 (იხ. ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წ., 10 დეკემბერი).

თაშორისო პაქტის მე-16 მუხლით აღიარებულია, რომ თითოეულ ადამიანს, სადაც არ უნდა იყოს იგი, აქვს უფლება, რომ ცნონ მისი უფლებასუბიექტურობა, ხოლო 26-ე მუხლით ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე აქვს კანონით თანასწორი დაცვის უფლება. ადამიანურ განზომილებათა კონფერენციის კოპენჰაგენის თათბირის დოკუმენტში (1990 წლის ივნისი) მითითებულია, რომ მისი ხელმძღვერი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ სამართლიანობის ისეთი ელემენტარული უფლების დაცვას, როგორცაა ყოველი ადამიანის შესაძლებლობა, გააჩნდეს ადმინისტრაციის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებები, რათა გარანტირებული იყოს მისი ძირითადი უფლებებისადმი პატივისცემა (პუნქტები მე-5 და მე-10)!.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დებულება მიმართულია იქითკენ, რათა არ დაიჩაგროს ადამიანი, მისი უფლებები და კანონიერი ინტერესები, რისთვისაც უნდა იქნეს შემოღებული გასაჩივრების ინსტიტუტი. გასაჩივრების უფლება, როგორც საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობით და საერთაშორისო დოკუმენტებითაა აღიარებული, პირველ ყოვლისა, სასამართლოში გასაჩივრებას გულისხმობს.

საქართველოში კანონმდებლობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აღიარებს მოქალაქეთა უფლებას, გაასაჩივრონ სასამართლოში თანამდებობის პირთა მოქმედება, რომელიც არღვევს კანონს, ამეტებს უფლებამოსილებას, ბღალავს მოქალაქეთა უფლებებს. კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს აქტის შესაბამისობა კანონმდებლობასთან, ადმინისტრაციული გარიგების დადება ან შესრულება, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე. 1989 წლამდე ასეთი წესის არარსებობა დიდად უშლიდა ხელს მოქალაქეს, გაესაჩივრებინა სასამართლოში ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებანი, რომლებიც შეეხებოდა მოქალაქის ბინის, მიწათსარგებლობის, ვაჭრობის, კომუნალური მომსახურებისა და სხვა უფლებებს. დღეს ეს უფლებები მოქალაქეს მონიჭებული აქვს.

სასამართლოში გასაჩივრების უპირატესობა იმაში გამოიხატება, რომ

¹ აღნიშნული აქტები გამოკვეყნდა ჟურნალ „სახელმწიფო და სამართალი“ (1990 წ. №5).

სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს კვალიფიციურ ორგანოს. რომელსაც ყველაზე მეტად შესწევს უნარი სწორად გამოიყენოს კანონმდებლობა და იბრძოლოს მოქალაქის უფლებებისა და კანონიერების დასაცავად. მეორეც, სასამართლო ნეიტრალური ორგანოა და მიკერძოების გარეშე შეუძლია გადაწყვიტოს სადავო საკითხი, რის გამოც უფრო მეტ ნდობას იმსახურებს მოქალაქეების მხრიდან, ვიდრე მმართველობის ორგანო. მესამეც, ადმინისტრაციულ საჩივარზე სასამართლოს მიერ მიიღება გადაწყვეტილება მთელი სახელმწიფოს სახელით და ამიტომ მეტი ავტორიტეტულობით ხასიათდება, იგი სავალდებულოა ყველა ორგანოს, ორგანიზაციისა და თანამდებობის პირისათვის, რომელთაც იგი ეხება.

1989 წლის 2 ნოემბერს მიღებულ იქნა საკავშირო კანონი „სახელმწიფო მართვის ორგანოებისა და თანამდებობის პირების მოქალაქეთა უფლებების შემბლაღავი არამართლზომიერი მოქმედების სასამართლოში გასაჩივრების წესის შესახებ“, რომლის შესაბამისადაც შეტანილ იქნა ცვლილებები საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 23-ე თავში. დღეს ეს ცვლილებები ასახულია საქართველოს ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსში. ამ კანონმდებლობით განსაზღვრულია, რომ სახელმწიფო მართვის ორგანოებისა და თანამდებობის პირების მოქმედებას, რომელიც სასამართლო გასაჩივრებას ექვემდებარება, განეკუთვნება კოლევიალური ან ერთპიროვნული მოქმედება, რომლის შედეგად მოქალაქე უკანონოდ არის მოკლებული შესაძლებლობას მთლიანად ან ნაწილობრივ განახორციელოს მისთვის კანონით ან სხვა ნორმატიული აქტით მინიჭებული უფლება, ან როცა მოქალაქეს უკანონოდ დაეკისრა რაიმე მოვალეობა. აქ არ იგულისხმება ისეთი მოქმედებანი, რომელთა მიმართ სისხლის სამართლის საპროცესო, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, შრომითი დაეების განხილვის წესით, აღმოჩენების, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების, ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ კანონმდებლობითა და სხვა კანონმდებლობით გათვალისწინებულია გასაჩივრების სხვაგვარი წესი.

საქართველოს ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს შესაბამისად ადმინისტრაციული აქტის ან საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაცნობიდან 6 თვის ვადაში, ხოლო ნორმატი-

ული აქტის შემთხვევაში – უშუალო ზიანის მიყენებიდან 3 თვის ვადაში. ადრე არსებობდა გასაჩივრების პრეიუდიციული წესი, ე.ი. საჩივარი სასამართლოში შეიძლებოდა შეტანილიყო მას შემდეგ, როცა მოხდებოდა მისი განხილვა და გადაწყვეტა ზემდგომ ინსტანციებში, ან ეროი თვის შემდეგ საჩივრის განუხილველად დატოვების შემთხვევაში. ასეთი წესი ფაქტობრივად აუქმებს საჩივრის შეტანას სასამართლოში, ვინაიდან ზემდგომი ბიუროკრატიული ინსტანცია არ განიხილავს მას, ხოლო 1 თვის ხანდაზმულობის გასვლის შემდეგ საჩივარს აზრი ეკარგება, ვინაიდან მასში აღძრული საქმე უკვე გადაწყვეტილი იქნება მმართველობის შესაბამისი ზემდგომი ინსტანციის მიერ. სამწუხაროდ, პრეიუდიციული გასაჩივრებისაკენ მიუთითებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის დებულება, რომლითაც ფიზიკური პირი ვალდებულია პირველი ინსტანციის სასამართლოში გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა. ეკონომიური სიდუხჭირე პირს აიძულებს ჯერ მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს და შემდეგ სასამართლოს, ხოლო თუ ბაჟის ფული არა აქვს, იგი უშუალოდ სასამართლოს ვერ მიმართავს.

საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს სასამართლოში იმ სახელმწიფო ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით ან თანამდებობის პირის სამუშაო ადგილის მიხედვით, რომელთა მოქმედებაც საჩივრდება. ამასთან, მომჩივანმა საჩივრის შესატანად უნდა გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი (სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხებთან დაკავშირებით აღძრული საჩივრების გარდა), რაც კიდევ უფრო ამძიმებს მომჩივანის მდგომარეობას, როგორც ცნობილია, ადმინისტრაციული საჩივრის შეტანა ამა თუ იმ ორგანოში ხდება ყოველგვარი ბაჟის გადახდის გარეშე, ასევე უნდა იყოს სასამართლოში გასაჩივრების დროსაც, აღსანიშნავია, რომ შრომის დავათა განხილვისას სასამართლო არ აკისრებს ბაჟს არც ერთ მხარეს.

საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, საჩივარს სასამართლო განიხილავს 2 თვის ვადაში მომჩივანი მოქალაქისა და სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელის ან სხვა თანამდებობის პირის, ან მათი წარმომადგენლების მონაწილეობით მათი არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს სარჩელის განხილვას, თუმცა სასამართლოს შეუძლია მათი გამოცხადება სავალდე-

ბულოდ ცნოს. ასეთი წესი არ შეესაბამება სამოქალაქო საქმისწარმოების წესს, რომლითაც სასამართლო პროცესზე ერთ-ერთი მხარე უნდა გამოცხადდეს, რათა საქმე განხილულ იქნეს. ადმინისტრაციული საჩივარი დაკავშირებულია სახელმწიფო მმართველობასთან და ამიტომ სასამართლო იძენს უფლებას ოპერატიულად გადაწყვიტოს იგი (საქართველოს ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსის მუხლი 27-ე).

თუ სასამართლო გასაჩივრებულ აქტს არამართლზომიერად, მოქალაქის უფლებათა შემზღვევლად ცნობს, მას გამოაქვს გადაწყვეტილება საჩივრის საფუძვლიანობისა და სახელმწიფო მმართველობის შესაბამისი ორგანოს ან თანამდებობის პირის აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობის შესახებ (მუხლი 32-ე), ხოლო თუ სასამართლო დაადგენს, რომ გასაჩივრებული აქტი თუ მოქმედება იყო კანონის შესაბამისი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ან თანამდებობის პირის უფლებამოსილების ფარგლებში, მას გამოაქვს გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. საჩივრის გამო სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულების შესახებ უნდა ეცნობოს სასამართლოსა და განმცხადებელს არა უგვიანეს ერთი თვის ვადისა სასამართლო გადაწყვეტილების მიღების დღიდან. გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში ბრალულ თანამდებობის პირს გადახდება ჯარიმა, ხოლო გადაწყვეტილება იძულებით მოიყვანება სისრულეში. საჩივრის გამო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს და გაპროტესტდეს სამოქალაქო წარმოების წესით.

თუ საჩივრის განხილვისას სასამართლო გამოიტანს დასკვნას, რომ დაირღვა მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესი, რომ ადგილი ჰქონდა საქმის გაჭიანურებას, კრიტიკის ჩახშობას, აგრეთვე კანონიერების სხვა დარღვევებს, სასამართლოს გამოაქვს კერძო განჩინება და უგზავნის მას დაქვემდებარების მიხედვით ზემდგომ თანამდებობის პირს ან ორგანოს, რომლებიც ვალდებული არიან 1 თვის ვადაში აცნობონ სასამართლოს იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც კერძო განჩინების გამო განახორციელეს.

საჩივრის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები სასამართლომ შეიძლება დააკისროს მოქალაქეს, თუ სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ, ხოლო ეს ხარჯები შეიძლება დაეკისროს მმართველობის ორგანოს ან თანამდებო-

ბის პირს, თუ დადგინდება, რომ ამ ორგანოს ან თანამდებობის პირის მოქმედება უკანონოა.

ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის წესი ადმინისტრაციულ ორგანოებში მოცემულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 თავში. კოდექსი მიუთითებს, რომ საჩივრის უფლება გააგებულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის და ადმინისტრაციული ორგანოს ისეთი ქმედების გასაჩივრების სახით, რომელიც არ არის დაკავშირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან. ადმინისტრაციულ გასაჩივრებას არ ექვემდებარება ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული, ან როცა წარმოებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება დამოუკიდებლად არღვევს პირის უფლებას ან კანონიერ ინტერესს. ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, ე.ი. ნორმატიული ან ინდივიდუალური აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება უნდა გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში იმ დღიდან, როდესაც შესაბამისი დანტერესებული მხარისათვის ცნობილი გახდა ამ მოქმედებათა განხორციელების ან განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ. თუ დარღვეულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადა, მაშინ გასაჩივრების ვადა არ შეიძლება დადგინდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. კოდექსი მიუთითებს, რომ გასაჩივრებისათვის აღნიშნული ვადის გაშვებისას იგი შეიძლება აღდნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გაშვება მოხდა დაუძლეველი ძალის ან სხვა საპატიო მიზეზით (მუხლი 180-ე). კოდექსი ადგენს იმ შემთხვევებს, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო უარს ეუბნება პირს საჩივრის მიღებაზე ან განხილვაზე, კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ იმავე დავის საგანზე არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის ან მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან კიდევ მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ. ეს წესი ეწინააღმდეგება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 191-ე მუხლის მესამე ნაწილს, სადაც აღნიშნულია, რომ ადმინისტრაციულ საჩივარზე უარის თქმა არ აჩერებს მის განხილვას, თუ საჩივრის განუხილველობას შეიძლება მოჰყვეს სახელმწიფო ან სა-

ზოგადოებრივი ინტერესების შელახვა ან მნიშვნელოვანი ზიანი. ადმინისტრაციულ საჩივარზე უარის თქმა ადმინისტრაციულ ორგანოში თუ სასამართლოში ერთსა და იმავე შედეგებს უნდა იწვევდეს და ამიტომ აღნიშნული მიზეზით ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმა არ უნდა იყოს საფუძველი მისი განუხილველად დატოვებისათვის. იგივე შეიძლება ითქვას მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან მხარეთა მორიგების შემთხვევებზე, ვინაიდან ადმინისტრაციული საჩივარი შეეხება არა მხოლოდ მოქალაქის ინტერესებს, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს უფლებებსა და მოვალეობებსაც. ადმინისტრაციულ საჩივარზე უარის თქმის სხვა საფუძველებს შორის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლში ჩამოთვლილია სხვა საფუძველებიც, კერძოდ, როცა სასამართლოს წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძველებით, როცა არსებობს ამ ორგანოს ან ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება იმავე საკითხზე, როცა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება იმავე ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით, აგრეთვე, როცა საჩივარი შეიტანა ქმედუნარო პირმა ან არაუფლებამოსილმა პირმა, ასევე თუ გასულია ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი ვადა და უარია ნათქვამი მის აღდგენაზე. უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მისცეს ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს ამ საკითხზე საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული საჩივრის მიღების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ხუთი დღის ვადაში.

ადმინისტრაციული საჩივრის შეტანისას გასაჩივრებული აქტის მოქმედება შეჩერდება საჩივრის რეგისტრაციის მომენტიდან, რის შესახებაც ადმინისტრაციული ორგანო გამოსცემს ცალკე ადმინისტრაციულ აქტს. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია შემთხვევები, როცა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება არ შეჩერდება. ეს ის შემთხვევებია, როცა აქტის შეჩერება გამოიწვევს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების ხარჯების გაზრდას, როცა აქტი მიღებულია პოლიციის ორგანოების მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით, როცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საგანგებო ან საომარი მდგომარეობის

პირობებში შესაბამისი კანონის საფუძველზე, როდესაც აქტის აღსრულების გადადება გამოიწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს ან მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს ან უშიშროებას. გადაწყვეტილებას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების გაგრძელების შესახებ იღებს მისი გამოცემა ან ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო და არა საჩივრის განმხილველი ორგანო, თუმცა უფრო სწორი იქნებოდა თუ ეს უკანასკნელი მიიღებდა ასეთ გადაწყვეტილებას, ვინაიდან საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო გამოსცემს აქტს გასაჩივრებული აქტის შეჩერების შესახებ და საერთოდ წყვეტს საჩივრის ბედს. თუ დაინტერესებული მხარე უკმაყოფილოა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეჩერებით, მას შეუძლია სასამართლოს წესით მოითხოვოს აქტის მოქმედების გაგრძელება, რაც, ჩვენი აზრით, სასამართლო ხელისუფლების ჩარევას წარმოადგენს აღმასრულებელ ხელისუფლებაში. სავსებით გამართლებულად მიგვაჩნია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 187-ე მუხლის დებულება იმის შესახებ, რომ დაუშვებელია ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტაში მონაწილეობა მიიღოს პირმა, რომელიც მონაწილეობდა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებასა და გამოცემაში. საჩივრის არსი სწორედ იმაშია, რომ მომჩივანი ედავება თანამდებობის პირს, რომელმაც გამოსცა (თუ მოამზადა) გასაჩივრებული აქტი, ამიტომ, ბუნებრივია, კვლავ ეს თანამდებობის პირი არ უნდა წყვეტდეს მომჩივანის ბედს¹.

გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ორგანოს, ბუნებრივია, უფლება აქვს შეცვალოს, ძალადაკარგულად გამოაცხადოს ან ბათილად ცნოს მის მიერ გამოცემული გასაჩივრებული აქტი, რის შესახებაც მან უნდა აცნობოს ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველ ორგანოს 5 დღის განმავლობაში, ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციული წარმოება საჩივარზე შეწყდება ან გაგრძელდება, თუ მომჩივანის უფლებები ან კანონიერი ინტერესები კვლავ შელახული აღმოჩნდა. ასევე თუ საჩივარი შეეხება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისაგან თავის შეკავებას, ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელსაც უჩივიან შეუძლია გამოსცეს ასეთი აქტი. აქტის გამოცემა ამ დროს შეწყვეტს ადმინისტრაციულ წარმოებას ადმინისტრაციულ საჩი-

¹ ადმინისტრაციული გასაჩივრების არსის შესახებ იხ. ი. ზარმალაძე, ადმინისტრაციული გასაჩივრების ინსტიტუტი თანამედროვე კონსტიტუციური იურიდიული „სამართალი“, 2000 წლის №4-5.

ვარზე. თუ გასაჩივრებული აქტის გამოძევაში ორგანო შეცვლის ან ძალადაკარგულად გამოაცხადებს თავის აქტს, მაშინ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა უნდა გაგრძელდეს, თუკი დაინტერესებული მხარე მოითხოვს აქტის ბათილად გამოცხადებას (მუხლი 190-ე). თავის მხრივ, ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენს უფლება აქვს გადაწყვეტილების გამოტანამდე წერილობით განაცხადოს უარი ადმინისტრაციულ საჩივარზე, ხოლო თუ საჩივარზე ზეპირი მოსმენა დაწყებული, მაშინ ზეპირადაც შეიძლება მან ასეთი უარი განაცხადოს. უარის თქმა, როგორც აღვნიშნეთ, არ აჩერებს საჩივრის განხილვას, თუკი საჩივრის განუხილველობას შეიძლება მოჰყვეს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების შელახვა ან მნიშვნელოვანი ზიანი. ასევე ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველ ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს გააგრძელოს ადმინისტრაციული წარმოება მიუხედავად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოძევაში ორგანოს მიერ ადმინისტრაციული საჩივრის ცნობისა.

ადმინისტრაციული საჩივარი ადმინისტრაციულ ორგანოში განიხილება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით ფორმალური წარმოების ზოგიერთი დებულების გამოყენებით (ზეპირი მოსმენის ჩატარება, მოწმის ჩვენების ან საექსპერტო დასკვნის მიცემაზე უარის მართლზომიერების საკითხის გადაწყვეტა სასამართლოს მეშვეობით და სხვ.). ადმინისტრაციული წარმოების მოცულობა განისაზღვრება საჩივარში აღნიშნული მოთხოვნის ფარგლებში, ხოლო თუ შეუძლებელია გადაწყვეტილების მიღება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მხოლოდ გასაჩივრებული ნაწილის მიმართ, მომჩივანის წერილობითი თანხმობით საჩივრის განმხილველი ორგანო გადაწყვეტილებას იღებს მთლიანად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ, ხოლო ამ პირის უარის შემთხვევაში საჩივარს განუხილველად დატოვებენ, რაც, როგორც აღვნიშნეთ, არასწორია ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულების გამო, რომ ჩასწვდეს ადმინისტრაციული საჩივრის ყველა მხარეს, რამდენადაც იგი შეეხება ორგანოს კომპეტენციას, მის უფლებებსა და მოვალეობებს.

ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის თაობაზე მისი განმხილველი ორგანო წერილობით აცნობებს ყველა იმ პირს, რომელიც მონაწილეობდა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებულ წარმოებაში. თუ დაინტერესებული მხარე

არ დაესწრება ზეპირ განხილვას, არ წარადგენს საკუთარ მოსაზრებას ან დამატებით ინფორმაციას ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივარზე მინც არ შეჩერდება. გასაჩივრებული აქტის გამოშტანი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია წარუდგინოს საჩივრის განმხილველ ორგანოს განსახილველ აქტთან დაკავშირებული ყველა მასალა და საკუთარი წერილობითი დასკვნა ადმინისტრაციული საჩივრის შესახებ, რომლის ასლიც და თანდართული დოკუმენტების ასლებიც უნდა გაეგზავნოს 5 დღის ვადაში საჩივრის რეგისტრაციიდან, ხოლო აღნიშნული წერილობითი დასკვნა მან უნდა წარმოადგინოს ასევე 5 დღის ვადაში ასლების მიღებიდან. აქტის გამომცემი ორგანო ადმინისტრაციულ წარმოებაში სარგებლობს დაინტერესებული მხარის ყველა უფლებით. ეს ორგანო წარმოდგენილი უნდა იყოს აქტის გამომცემი თანამდებობის პირის ან სხვა უფლებამოსილი პირის სახით, ხოლო კოლეგიალური ორგანო – მისი ხელმძღვანელი პირის სახით. ეს ორგანოები შეიძლება წარმოდგენილი იყოს აგრეთვე სხვა თანამშრომლის სახით მხოლოდ საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობით.

საჩივრის განხილვაში მონაწილე დაინტერესებული მხარე საკუთარ მოსაზრებას ან დამატებით დოკუმენტებს წარადგენს ზეპირი მოსმენის სხდომის გამართვამდე 5 დღით ადრე, რომლის გამართვის შესახებაც წერილობით ეცნობება წარმოების ყველა მონაწილეს 5 დღით ადრე. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე მხარეებს შეიძლება მოუსმინონ ერთმანეთის დაუსწრებლად თუ ეს აუცილებელია სახელმწიფო, კომერციული ან პირადი საიდუმლოების გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად და თუ სხვაგვარად შეუძლებელია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენა (მუხლი 198-ე). გადაწყვეტილება ამის შესახებ საჩივრის განმხილველ ორგანოს გამოაქვს მხარის მოთხოვნის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. ზეპირი მოსმენა ღიაა, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, ხოლო თუ საჩივარი წარდგენილია საჯარო-ადმინისტრაციული წარმოებით გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის წინააღმდეგ, ზეპირი მოსმენა ყოველთვის ღიაა. ზეპირი მოსმენის გარეშე ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა დასაშვებია, თუ არსებობს მის განხილვაზე უარის თქმის საფუძველი, ან თუ წარმოებაში მონაწილე ყველა დაინტერესებული მხარე თანახმაა განიხილონ საჩივარი ზეპირი

მოსმენის გაუმართავად. ასეთ დროს საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მიუთითოს თავის აქტში ზეპირი მოსმენის გამართვაზე უარის თქმის საფუძველი. თუ ზეპირი მოსმენის შემდეგ ცნობილი გახდა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის ახალი გარემოების შესახებ, მაშინ ამის თაობაზე უნდა ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და მიეცეთ მათ შესაძლებლობა წარადგინონ საკუთარი მოსაზრებანი ამის თაობაზე, რაც შეიძლება გაიზიაროს საჩივრის განმხილველმა ორგანომ. თუ საქმეზე დამატებითი მასალების მოძიება აუცილებელია, ადმინისტრაციულ ორგანოს გამოაქვს გადაწყვეტილება საქმის განხილვის გადადების შესახებ, რაც ეცნობება მხარეებს.

ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად გამოიტანს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების, მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ბათილად ან ძალადაკარგულად გამოაცხადოს, აგრეთვე შეცვალოს გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი. ძალადაკარგულად ან ბათილად გამოცხადებული აქტის ნაცვლად საჩივრის განმხილველი ორგანო თვითონ გამოსცემს ახალ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, თუკი ამას მოითხოვს საჩივრის წარმდგენი პირი ან თუ ამას ითვალისწინებს კანონი. ამასთან, საჩივრის განმხილველმა ორგანომ არ უნდა დაარღვიოს უფლებამოსილების პრინციპი და თუ საჩივარში აღძრული საკითხი მხოლოდ იმ ორგანოს კომპეტენციაა, რომელმაც გასაჩივრებული აქტი გამოსცა, საჩივრის განმხილველმა ორგანომ არ უნდა შეცვალოს აქტის გამომცემი ორგანო. თუ აუცილებელია დამატებითი ინფორმაციის შეგროვება ან მტკიცებულებების დამატებითი გამოკვლევა, ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია დაავალოს ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ორგანოს გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ზემდგომი ორგანოს მითითებები ამ დროს სავალდებულოა შესასრულებლად ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოსათვის. არ შეიძლება ახალი ადმინისტრაციული აქტი გამოსცეს საჩივრის განმხილველმა ორგანომ არა მხოლოდ მაშინ, როცა კანონით მისი გამოცემის უფლება აქტის მხოლოდ გასაჩივრებული აქტის გამომცემ ორგანოს, არამედ მაშინაც, როცა აუცილებელია მისი გამოცემის განსაკუთრებული საფუძველი, მათ შორის კონკურსი. ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსის 203-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, კოლეგიური ან სათათბირო ორგანოს გადაწყვეტილების ან საზოგადოებრივი ექსპერტის დასკვნის საფუძველზე გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს საჩივრის განმხილველი ორგანო ამოწმებს მხოლოდ კანონიერების თვალსაზრისით და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში ავალებს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც საჩივარს იხილავს, უფლებამოსილია არ გამოაცხადოს ბათილად ან ძალადაკარგულად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ მისი მომზადების ან გამოცემის დროს დაშვებული კანონის დარღვევა არსებითი ხასიათის არაა. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არა მხოლოდ კანონიერებას, არამედ მიზანშეწონილობასაც ამოწმებს ადმინისტრაციული ორგანო. ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია შეამოწმოს აკმაყოფილებს თუ არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონის იმ მოთხოვნას, რომელიც ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს ანიჭებს რაიმე უფლებას ან უპირატესობას.

მმართველობის აპარატის დაკომპლექტების
საქმისწარმოება

მმართველობის აპარატის დაკომპლექტების საქმისწარმოება მოწესრიგებულია საქართველოს 1997 წლის 31 ოქტომბრის კანონით „საჯარო სამსახურის შესახებ“¹. ეს წარმოება გულისხმობს მუშაკის სამუშაოზე მიღებას დანიშნვის, არჩევის და კონკურსის წესით, აგრეთვე მის ატესტაციას მუშაობისას. რამდენადაც სამსახურებრივი კარიერის გავლის ეს სახეები დაკავშირებულია მოსამსახურეთა კატეგორიებზე, ამდენად, სამსახურის გავლის – მუშაკის სამუშაოზე მიღებისა და მისი დაწინაურება-ჩამოქვეითების საკითხები დაკავშირებულია იმაზე, თუ რა თანამდებობა უკავია პირს სახელმწიფო აპარატში². მოსამსახურეთა კლასიფიკაცია მოცემულია დასახელებულ კანონში, რომელიც განმარტავს, რომ საჯარო სამსახური საქართველოში იყოფა სახელმწიფო სამსახურად და სამსახურად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში. ორივე სამსახურში მომუშავეებს საჯარო მოსამსახურეები ეწოდებათ.

თანამდებობაზე დანიშვნა სახელმწიფო აპარატის დაკომპლექტების გაერცხლებული ფორმაა. თანამდებობაზე პირის დანიშვნის უფლება აქვს შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელს ან მის მიერ ამისათვის უფლებამოსილ მოხელეს, ხოლო თანამდებობები, რომლებზედაც ხდება პირის დანიშვნა, განისაზღვრება კანონმდებლობით.

მოხელე სამსახურში მიიღება ვაკანტურ (თავისუფალ) ადგილზე განუსაზღვრელი ვადით, ხოლო განსაზღვრული ვადით მიიღება თანამდებობაზე დროებით არმყოფი მოხელის შემცვლელი (მის სამსახურში გამოსვლამდე ან თანამდებობიდან გათავისუფლებამდე), თანამდებობაზე კონკურსის წესით დასანიშნი მოხელის მოვალეობის შემსრულებელი (კონკურსის შედეგების მიხედვით მოხელის თანამდებობაზე დანიშვნამდე), პრეზიდენტის თანაშემწე და მრჩეველი (არა უმეტეს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადით), პარლამენტის თავმჯდომარის, მოადგილის,

¹ იხ. „საქართველოს პარლამენტის უწყებანი“, 21.11.1997 წ. №453. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1997 წლის 27 ნოემბერი.

² ამის შესახებ იხ. ვ. ლორია, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი, გამოც. „კოტნე“, თბილისი, 2000 წ., გვ. 203-247.

კომიტეტის თავმჯდომარის მრჩეველები და თანაშემწეები, აგრეთვე პარლამენტის წევრთა თანაშემწეები (შესაბამისი უფლებამოსილების ვადით), შტატგარეშე მოსამსახურე (დაეალების შესრულების ვადით), მინისტრის მოადგილე, თანაშემწე, მრჩეველი და საპარლამენტო მდივანი (მინისტრის უფლებამოსილების ვადით), კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოსამსახურეები. საქართველოს 1997 წლის 31 ოქტომბრის კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ განსაზღვრავს სახელმწიფო სამსახურის თავისებურებას ჩვენს ქვეყანაში. ამ კანონის პირველსავე მუხლში განმარტებულია, რომ საჯარო სამსახური არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, რომელთაც კანონი საჯარო ხელისუფლების ორგანოებს უწოდებს. სახელმწიფო თანამდებობა კანონში გაგებულია როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს პირველადი სტრუქტურული ერთეული, რომელიც განსაზღვრავს მოქალაქის ადგილსა და სოციალურ-შრომით როლს საჯარო სამსახურის სისტემაში, მის უფლებებსა და მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. კანონში გამოყოფილია სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობა, რომელიც გულისხმობს საქართველოსა და ავტონომიური ერთეულების კონსტიტუციებით გათვალისწინებულ არჩევით ან დანიშვნით თანამდებობებს. სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობის პირებს წარმოადგენენ საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, მთავრობის წევრი, ავტონომიური ერთეულების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები, ამ ერთეულების სამთავრობო დაწესებულებების ხელმძღვანელები, ალბათ, საქართველოს სამთავრობო დაწესებულებების ხელმძღვანელებიც, თუმცა ამ უკანასკნელებზე კანონში მითითებული არაა. სახელმწიფო თანამდებობაზე საქმიანობად ითვლება შრომითი ურთიერთობა არჩევით ან დანიშვნით თანამდებობაზე იმ დაწესებულებაში, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას, აგრეთვე სახელმწიფო ზედამხედველობასა და კონტროლს, სახელმწიფო თავდაცვას, რომლებიც, თავის მხრივ, აღმასრულებელი ხელისუფლების სფეროს განეკუთვნება. კანონის მე-4 მუხლის თანახმად საჯარო მოსამსახურე არის საქართველოს მოქალაქე, რომელიც კანონით დადგენილი წესითა და დაკავებული თანამდებობის შესაბამისად ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესე-

ბულებამი. ამდენად, საჯარო მოსამსახურე ჩვენს ქვეყანაში დაყოფილია სახელმწიფო მოსამსახურედ და ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურედ, რომელსაც კანონი სახელმწიფო მოსამსახურედ არ მიიჩნევს. კანონის მე-5 მუხლის თანახმად, საჯარო მოსამსახურეების სახეობა: სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, მოხელე, დამხმარე მოსამსახურე, შტატგარეშე მოსამსახურე. მოხელე არის პირი, რომელიც ინიშნება ან აირჩევა სახაზინო დაწესებულების საშტატო (შტატით გათვალისწინებულ) თანამდებობაზე. დამხმარე მოსამსახურე არის ტექნიკური მუშაკი, რომელიც შრომითი ხელშეკრულებით მიიღება დაწესებულების შტატით გათვალისწინებულ დამხმარე მოსამსახურის თანამდებობაზე. შტატგარეშე მოსამსახურე კი ის პირია, რომელიც დანიშნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. ეს კლასიფიკაცია მიზნად ისახავს მოსამსახურეთა დაყოფას საშტატო ერთეულების მიხედვით, განსხვავებით არასაშტატო მოსამსახურეებისაგან. მაგრამ მეცნიერებაში არსებობს მოსამსახურეთა სხვაგვარი კლასიფიკაცია მათი მოქმედების იურიდიული ბუნების თვალსაზრისით. საჯარო სამსახურში არ მიიღებიან პირები, რომლებიც ნასამართლევი არიან განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის და მოხსნილი არა აქვთ ნასამართლობა, რომლებიც იმყოფებიან წინასწარი გამოძიების ქვეშ ან პატიმრობაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილი არიან ქმედუნაროდ ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ, რომელთაც სასამართლოს მიერ ჩამორთმეული აქვთ შესაბამისი თანამდებობის დაკავების უფლება ან როცა სამედიცინო დასკვნის თანახმად მისი ჯანმრთელობა არ აკმაყოფილებს მოცემული თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ მოთხოვნებს, აგრეთვე პირები, რომლებიც თანამდებობის დაკავების შედეგად უშუალო სამსახურებრივი ზედამხედველობით უკავშირდებიან მშობლებს, მეუღლეს, დებს, ძმებს, შვილებს, ან მეუღლის დას, ძმას, მშობელს ან არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეობის პრეტენდენტები, კანონით ან საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამონაკლისის გარდა (კანონის მუხლი მე-17).

სახელმწიფო სამსახურში მიიღება პირი 21 წლის ასაკიდან, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელედ შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელმაც მიაღწია 18 წლის ასაკს, აქვს საშუალო განათლება მაინც და ფლობს საქართველოს

სახელმწიფო ენას. საჯარო სამსახურში მიღებისას მსურველმა უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები: წერილობითი განცხადება, ავტობიოგრაფია, ხელწერილი კანონით დადგენილ მოთხოვნებთან პირის შესაბამისობის შესახებ, განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობა, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, შრომის წიგნაკი (თუ გააჩნია), ქონებრივი დეკლარაციის შეტანის ცნობა საგადასახადო სამსახურიდან, სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა, სამედიცინო დასკვნა ჯანმრთელობის შესახებ, კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები; კანონში მითითებულია, რომ ჩამოთვლილი დოკუმენტების წარუდგენლობა შეიძლება გახდეს პირის სამსახურში მიღებაზე უარის საფუძველი (მუხლი 25-ე), რაც არ ნიშნავს საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლით აღიარებული უფლების ხელყოფას, რომლითაც საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, სწორედ კანონმდებლობის ერთ-ერთი მოთხოვნაა ზემოთ დასახელებული დოკუმენტების წარდგენა.

სამსახურში შესვლისას, აგრეთვე შემდგომ ყოველწლიურად მოსამსახურე წარუდგენს საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო სამსახურს ცნობა-დეკლარაციას, რომელშიაც უნდა იყოს ასახული თავისი და ოჯახის წევრების შემოსავლისა და ქონებრივი მდგომარეობის მონაცემები. ქონებრივ მდგომარეობაში იგულისხმება შენატანი ბანკში, ფასიანი ქაღალდები, საწარმოს ღირებულებები, მოძრავი და უძრავი ქონება, რომელიც წარმოადგენს მოსამსახურის საკუთრებას ან თანასაკუთრებას. სამსახურში მიღებასთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები დგინდება კანონით ან მის საფუძველზე. დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეიძლება შემოიღოს დაწესებულების ხელმძღვანელმა ან ზემდგომმა ორგანომ, როცა პირი სამუშაოზე მიიღება დანიშნით და არა არჩევით ან კონკურსით, რომელიც ისედაც ითვალისწინებს გარკვეული მოთხოვნების დაკმაყოფილებას. პირი, რომელიც პირველად იქნა მიღებული სამსახურში, დამნიშნულ მოხელეს წარუდგენს ფიცს, რომელშიაც სამსახურის პრეტენდენტი უნდა აცხადებდეს ვალდებულებას ერთგულად ემსახუროს საქართველოს სახელმწიფოსა და ხალხს, დაიცვას კონსტიტუცია და სხვა კანონები, პატივი სცეს სახელმწიფოსა და მოქალაქეთა ინტერესებს, უფლებებსა და თავისუფლებებს, კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობანი (მუხლი 28-ე). თანამ-

დებობაზე დანიშნა უნდა გაფორმდეს ბრძანებით, განკარგულებით ან დადგენილებით, რომელშიაც უნდა აისახოს თანამდებობაზე დასანიშნი პირის ვინაობა, იმ დაწესებულების დასახელება, სადაც პირი თანამდებობაზე ინიშნება, თანამდებობის დასახელება, თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი და დანამატები, დანიშვნის თარიღი, აგრეთვე გამოსაცდელი და სამსახურის ვადა, თუ ასეთი გათვალისწინებულია მოცემულ თანამდებობაზე. სახელმწიფო მოსამსახურეს უფლება არა აქვს ეკავოს თანამდებობა ან ასრულებდეს სხვა ანაზღაურებად სამუშაოს შეთავსებით სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო დაწესებულებაში, იყოს ნებისმიერი დონის წარმომადგენლობითი ან საკანონმდებლო ორგანოს წევრი. მოხელეს არა აქვს სამეწარმეო საქმიანობის უფლება, მას შეუძლია ფლობდეს მხოლოდ აქციებსა და წილს. მოსამსახურე არ უნდა იყოს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი, საკონტროლო, სამეთვალყურეო და სარევიზიო ორგანოს წევრი. სახელმწიფო მოსამსახურე არ უნდა იღებდეს შემოსავალს იმ ორგანიზაციებიდან, რომლებსაც მოვალეობების შესრულების წესით უწევს ზედამხედველობას. არ შეიძლება მოხელეს დაეკისროს სამსახურებრივი ზედამხედველობა იმ ორგანიზაციებისადმი, რომელთა ხელმძღვანელ ორგანოებში საქმიანობენ მისი ოჯახის წევრები. სახელმწიფო მოსამსახურეს არა აქვს უფლება თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა გამოიყენოს პარტიული საქმიანობისათვის. მოსამსახურეს ეკრძალება: მისთვის მინდობილი დაწესებულების ქონების შეძენა, ქონებრივი გარიგების დადება იმ დაწესებულებასთან, სადაც საქმიანობს (კანონმდებლობით დაშვებული გამონაკლისების გარდა), როგორც საჯარო მოსამსახურემ დადოს გარიგება თავის სამეწარმეო სუბიექტთან, პარტიასთან ან სხვა დაწესებულებასთან, ასევე არ შეუძლია დადოს ქონებრივი გარიგება საკუთარ მეუღლესთან, საკუთარ ან მეუღლის ბებიასთან, ბაბუასთან, მშობლებთან, ძმასთან, დასთან, შვილთან ან შვილიშვილთან. საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის თანახმად, სამხედრო ძალების, პოლიციისა და უშიშროების სამსახურის შემადგენლობაში მყოფ პირებს ეკრძალებათ აგრეთვე შეკრებებსა და მანიფესტაციებში მონაწილეობა. დაბოლოს, გათავისუფლებული სახელმწიფო მოსამსახურე გათავისუფლების დღიდან 3 წლის მანძილზე არ შეიძლება სამსახურში შევიდეს იმ დაწესებულებაში ან ეწეოდეს საქმიანობას იმ საწარმოში, რომელსაც იგი უკანასკნელი 3 წლის მანძილზე სისტემატურად ზედამხედველობდა სამსახურებრივად, ამ ხნის მანძილზე

მას არა აქვს უფლება ასეთი დაწესებულებიდან ან საწარმოდან მიიღოს შემოსავალი. ყველა ზემოთ დასახელებული შეზღუდვა მოცემულია საქართველოს 1997 წლის 31 ოქტომბრის კანონში „საჯარო სამსახურის შესახებ“ (იხ. კანონის 60-66-ე მუხლები).

სახელმწიფო პოლიტიკას სამსახურის სფეროში განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტი. ამ სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების, შესაბამისი საქმიანობის კოორდინაციისა და ძირითადი მიმართულების განხორციელების მიზნით სახელმწიფო კანცელარიაში იქმნება სამსახურის ბიურო. იგი არის სახელმწიფო კანცელარიის სტრუქტურული ერთეული, რომლის დებულებასა და სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც ასევე ნიშნავს თანამდებობაზე და თანამდებობიდან ათავისუფლებს სახელმწიფო სამსახურის ბიუროს უფროსს. აღნიშნული ბიურო შეისწავლის და აანალიზებს სახელმწიფო სამსახურის სფეროში არსებულ მდგომარეობას და საქართველოს პრეზიდენტს წარუდგენს დასკვნებს, ასევე მოხსენებებს ამ სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების შესრულების შესახებ, კოორდინაციას უწევს საკადრო მუშაობას, მოსამსახურეთა მომზადებას, გადამზადებას, კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს. მოსამსახურის, როგორც მოქალაქის, უფლებები მოცემულია კონსტიტუციაში, ხოლო სამსახურებრივი უფლება-მოვალეობები გათვალისწინებულია სპეციალურ აქტებში, რომლებიც შეეხება ამა თუ იმ ორგანოს, ორგანიზაციის, დაწესებულების, ადმინისტრაციის სამართლებრივ მდგომარეობას.

სახელმწიფო მოსამსახურეთა სამართლებრივი სტატუსი ხასიათდება იმით, რომ მათი თანამდებობა მყარია და გათვალისწინებულია საშტატო განრიგით. მთელი ქვეყნის მასშტაბით კი იქმნება საბიუჯეტო საშტატო განრიგი, რომლის დაფინანსება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მოსამსახურის მუშაობა ამა თუ იმ თანამდებობაზე ნიშნავს მის ჩარიცხვას სახელმწიფო მოხელეთა კორპუსში და ისევე, როგორც თანამდებობა, მოსამსახურის მუშაობაც ამა თუ იმ თანამდებობაზე მყარი და სტაბილურია. ამიტომ სახელმწიფო მოსამსახურის დათხოვნა, მისი უფლებებისა და მოვალეობების შეწყვეტა დაკავშირებულია საგანგებო მდგომარეობასთან, როცა ხდება რეორგანიზაცია, შეერთება ან სხვა გარდაქმნები სახელმწიფო აპარატში. რასაკვირველია, აქ მხედველობაში არა გვაქვს დისციპლინური დარღვევები და მუშაკის შესაბამისი პასუხისმგებლობა. კერძო ორგანიზაციაში დაქირავებული მოსამსახურე

ნებისმიერ დროს შეიძლება დაითხოვოს მესაკუთრე-ფაბრიკანტმა თუ მესაკუთრე ორგანიზაციის მფლობელმა. ეს უკანასკნელი ამ მხრივ შეზღუდული არაა. მაგრამ სახელმწიფო მოსამსახურის მიმართ ასეთი თვითნებობის გამოვლენა დაუშვებელია. სახელმწიფო ჩინოვნიკის სამართლებრივი სტატუსი მყარია და იგი დაცულია შესაბამისი გარანტიებით. ამრიგად, სახელმწიფო მოსამსახურის დამახასიათებელი ნიშანია მის მიერ დაკავებული თანამდებობის მუდმივი და მყარი ხასიათი, მოსამსახურის სტაბილური მდგომარეობა და ადმინისტრაციის თვითნებობისაგან სრული დაცვის გარანტირება.

მოსამსახურის ასეთი უფლებები გარანტიას იძლევა, რომ იგი მთელი მისი შრომისუნარიანი სიცოცხლის მანძილზე ეკუთვნოდეს ჩინოვნიკთა ბიუროკრატიას და იყოს მმართველობის აპარატის სპეციალისტი. სიტყვა „ბიუროკრატია“ აქ ცუდი გაგებით როდი იხმარება, იგი ნიშნავს სახელმწიფო მოსამსახურეთა კორპუსს, ხოლო ჩინოვნიკი არის მოხელე, რომელსაც გარკვეული თანამდებობა უჭირავს თავისი მმართველობითი სპეციალობის მიხედვით.

ყველა ჩინოვნიკის სამსახურის გავლა კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების ჩარჩოებში წარმოებს, რის გამოც მოსამსახურეს სრული დამოუკიდებლობის სტატუსი როდი გააჩნია. ამიტომ მისი სამართლებრივი სტატუსი მოცემულ თანამდებობაზე შეიძლება შეიცვალოს შესაბამისი ზემდგომი ორგანოს მიერ, ხოლო გარკვეული შემთხვევების დროს მოსამსახურე შეიძლება დათხოვნილ იქნეს თანამდებობიდან. ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია არაკვალიფიციურობა და ასაკობრივი ხანდაზმულობა. პირველ შემთხვევაში საკითხი წყდება მოსამსახურეთა საკონკურსო შერჩევის წესით, ხოლო მეორე შემთხვევაში – სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო სისტემით, რაც სახელმწიფო პენსიის დანიშვნაში გამოიხატება. ორივე შემთხვევაში გამორიცხულია სააპელაციო გასაჩივრების უფლება.

სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურის გავლა დაკავშირებულია საქმიანობის ისეთ პრინციპებთან, როგორიცაა: სახელმწიფო დისციპლინა და კანონიერების დაცვა, სამსახურებრივი მოვალეობისადმი კვალიფიციური და კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, მოქალაქეებთან დამოკიდებულებაში მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისა და ხელისუფლების გადაბეჭების დაუშვებლობა, მინიჭებული უფლებების სრულყოფილად გამოყენება და საქმის გაჭიანურების აღკვეთა და სხვ.

ერთიანი ნორმატიული აქტები, რომლებიც განსაზღვრავენ სამსახურის გავლას და მოსამსახურეთა სამართლებრივ მდგომარეობას, ჩვენში არის შემდეგი: 1997 წლის 31 ოქტომბრის კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ და 1997 წლის 17 ოქტომბრის კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“¹. ეს საკითხები ასევე მოწესრიგებულია კონსტიტუციითა და ცალკეული ნორმატიული აქტებით სამთავრობო დაწესებულების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ, ცალკეულ მუშაკთა ატესტაციის ჩატარების წესის, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სხვათა შესახებ. სახელმწიფო მოსამსახურეთა შრომითი ანაზღაურების, დისციპლინური პასუხისმგებლობისა და ზოგიერთი სხვა საკითხი მოწესრიგებულია შრომის კანონთა კოდექსით, დებულებით შრომითი დაეების განხილვის წესის შესახებ, დისციპლინური წესდებებითა და სხვა აქტებით.

თანამდებობაზე დანიშვნა ფორმდება ბრძანებულებით, ბრძანებით, განკარგულებით ან დადგენილებით. თანამდებობაზე დანიშვნა პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ ხორციელდება, დამნიშნელი თანამდებობის პირი უნდა გრძნობდეს მის მიერ დანიშნული თანამდებობის პირის კეთილსინდისიერებას, მის უნარს – სწორად წარმართოს მასზე დაკისრებული საქმე. თუ დანიშნულმა მოსამსახურემ არ გაამართლა, რასაკვირველია, მისი შეცვლა ყოველთვის შეუძლია დამნიშნელს. მაგრამ მუშაობაში აღმოჩენილი უარყოფითი შედეგების აღმოფხვრა ასეთი წესით ერთგვარ შეღავათს ქმნის „საქმის წამსდენი“ მუშაკის მიმართ და მთელი სიმძიმე კეთილსინდისიერ, კვალიფიციურ მუშაკს აწევბა. ასეთი გაუმართლებელი მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად საჭიროა შემოღებულ იქნეს წესი, რომლის თანახმადაც გათავისუფლებული თანამდებობის პირი ვალდებული იქნება მის მიერ დაშვებული შეცდომები მანვე გამოასწოროს, ხოლო თუ იგი თავს ბრალეულად არ თვლის, მან უნდა მიაღწიოს თავისი სიმართლის აღიარებას ადმინისტრაციული იუსტიციის მეშვეობით.

თანამდებობაზე შეიძლება უკონკურსოდ დაინიშნოს საქართველოს პრეზიდენტის ან პარლამენტის მიერ თანამდებობაზე დასანიშნი ან ასარჩევი მოხელეები, მინისტრის მოადგილეები, თანამემწეები და მრჩეველები,

¹ იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1997 წლის 27 ნოემბერი, 1997 წლის 12 ნოემბერი.

თანამდებობაზე დროებით შემცვლელები, დროებით მოვალეობის შემსრულებლები, სამსახურებრივად დაწინაურებული პირები, რეზერვში ჩარიცხულები (კანონის მუხლი 30-ე). პრეზიდენტი არჩევითი პირია და იგი დანიშვნის წესით არ იკავებს თანამდებობას.

თანამდებობაზე არჩევა სამსახურის გავლის უფრო დემოკრატიული წესია, ვიდრე დანიშვნის. იგი ხდება კოლეგიური ორგანოს მიერ ფარული ან ღია კენჭისყრის გზით. ჩვეულებრივ, ასარჩევად საკმარისია მხარდამჭერი ხმების ნახევარზე მეტი, მაგრამ ზოგჯერ კანონმდებლობა მოითხოვს კვალიფიციური უმრავლესობის მხარდაჭერას. მაგალითად, საკრებულოს თავმჯდომარე აირჩევა საკრებულოს მიერ დამსწრე დეპუტატთა ხმების უბრალო უმრავლესობით, ხოლო უმაღლესი სასწავლებლების პროფესორები და დოცენტები აირჩევიან სამეცნიერო საბჭოების მიერ ხმების კვალიფიციური უმრავლესობით (არანაკლებ 2/3-ისა).

პირის თანამდებობაზე ასარჩევად კენჭისყრის შემდეგ უნდა დაიწეროს ბრძანება ან სხვა აქტი (მაგალითად, ბრძანებულება, საკრებულოს გადაწყვეტილება) ამა თუ იმ პირის თანამდებობაზე არჩეულად ცნობის შესახებ. შესაბამის თანამდებობის პირს ან ორგანოს უფლება არა აქვთ არჩევნების დადებითი შედეგების შემთხვევაში არ გამოსცენ შესაბამისი აქტი ამა თუ იმ პირის არჩეულად ცნობისა და ხელფასის დანიშვნის შესახებ. ეს უკანასკნელი არსებითი მომენტია სამსახურებრივი ურთიერთობის წარმოშობისათვის. თუ იგი არ შესრულდა, ე.ი. არ დაიწერა შესაბამისი აქტი პირის არჩეულად ცნობის შესახებ, პირი არ ითვლება სამსახურებრივ ურთიერთობებში მყოფად, რისთვისაც პასუხი უნდა აგოს იმ თანამდებობის პირმა, ვინც ასეთი აქტი არ გამოსცა. აღნიშნული უმოქმედობის შემთხვევაში აქტს გამოსცემს უფრო ზემდგომი ორგანო, რომელსაც არჩეული თანამდებობის პირი თანამდებობრივად ემორჩილება. არჩეული თანამდებობის პირის გათავისუფლებაც იმავე წესით ხდება, როგორც არჩევა, ე.ი. კოლეგიურად, რასაც მოჰყვება აქტის გამოცემა ახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ. პირის არჩევა თანამდებობაზე ხდება გარკვეული ვადით. მაგალითად, საკრებულოს თავმჯდომარე აირჩევა საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, უზენაესი სასამართლოს წევრი აირჩევა პარლამენტის მიერ 10 წლის ვადით და ა.შ.

კონკურსის წესით პირის თანამდებობაზე შერჩევა ყველაზე დემოკრატიულია. ამ დროს ცხადდება კონკურსის პირობები და ყველა, ვინც ამ პირობებს აკმაყოფილებს, მონაწილეობასღებულობს არჩევნებში (კონკურს-

ში). კონკურსის ჩასატარებლად იქმნება საკონკურსო კომისია, რომელიც შეისწავლის ყველა შემოსულ განცხადებას, კონკურსი შეიძლება გამოცხადდეს მხოლოდ ვაკანტურ (თავისუფალ) ადგილზე. კონკურსის საბოლოო შედეგებისათვის საჭიროა საკონკურსო კომისიის დასკვნა. კომისიას შეუძლია შეამოწმოს კონკურსის მონაწილეთა უნარი და შესაძლებლობები. საკითხი კომისიის სხდომაზე წყდება ხმების უმრავლესობით. ზოგჯერ საჭიროა საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების დამტკიცება სხვა კოლეგიური ორგანოს (კოლეგიის, სამეცნიერო საბჭოს და სხვ.) მიერ, სადაც ასევე ენჭოსყრა წარმოებს. მაგალითად, ფილარმონიის მსახიობად პირის მიღებისათვის საკმარისია საკონკურსო კომისიის დასკვნა კონკურსში მონაწილის მიერ გამოცდის ჩაბარების შედეგად, ხოლო პირის პროფესორისა თუ დოცენტის თანამდებობის მისაღებად, საკონკურსო კომისიის დასკვნის გარდა, აუცილებელია სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება, რომელიც ხმების კვალიფიციური უმრავლესობით მიიღება.

კონკურსის ჩატარება გარკვეული წესების ზუსტ შესრულებას მოითხოვს. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საკონკურსო ვადების დაცვას. კერძოდ, კონკურსი საჯარო მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ამ თანამდებობაზე პირის გაფორმების უფლების მქონე პირის წინადადებით ცხადდება სახელმწიფო სამსახურის ბიუროს უფროსის ან ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელის მიერ, ხოლო კანდიდატებს განცხადების შესატანად ეძლევათ ორკვირიანი ვადა კონკურსის შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან. კონკურსი ამა თუ იმ თანამდებობაზე უნდა გამოცხადდეს ვაკანსიის შექმნიდან არა უგვიანეს 1 თვისა. განცხადება ქვეყნდება რესპუბლიკურ გაზეთში ან ადგილობრივ პერიოდულ გამოცემაში, ან სულაც მოცემული დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ საჯაროდ. კონკურსის შესახებ განცხადებაში უსათუოდ უნდა იყოს ჩამოთვლილი საკონკურსო პირობები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს კონკურსის თითოეული მონაწილე. მონაწილეობაზე უარის თქმა შეიძლება მხოლოდ ამა თუ იმ პირობის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, განცხადების მიღებაზე უარის თქმა შეიძლება გასაჩივრდეს იმ ორგანოში, რომელიც კონკურსს აცხადებს. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომა ტარდება არა უადრეს 3 კვირისა კონკურსის შესახებ შეტყობინების გამოქვეყნების დღიდან. ამ ვადის დამთავრების შემდეგ განცხადების შეტანა დაუშვებელია, ხოლო თუ საერთოდ არ იქნა განცხადება შეტანილი, მაშინ ხელმეორედ ცხად-

დება კონკურსი. საკონკურსო წესით პირის თანამდებობაზე შერჩევა ყველაზე დემოკრატიულია, ვინაიდან აქ გამორიცხულია ვინმეს დაინტერესება და პროტექციონიზმი. ამასთან, ხდება მაღალკვალიფიციური სპეციალისტის არჩევა შესაბამის თანამდებობაზე.

საკონკურსო-სატესტაციო კომისიის მიერ თანამდებობაზე წამოყენებული კანდიდატი, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო არ დაინიშნა თანამდებობაზე, თუ მოისურვებს ჩაირიცხება მოხელეთა რეზერვში.

ჩვენში საკონკურსო წესით აირჩევიან პირები ზოგიერთ თანამდებობაზე. კერძოდ, ზოგიერთი საჯარო მოხელე, ხელოვნების დარგის მუშაკები, უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები, სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებების ხელმძღვანელი მუშაკები და სხვ. სასურველია უმრავლეს სახელმწიფო სამსახურში პირები მიღებულ იქნენ კონკურსის წესით, რაც გააჯანსაღებს და კვალიფიციურს გახდის სახელმწიფო აპარატს. მრავალ ცივილიზებულ ქვეყანაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე (დირექტორებად, მმართველებად და ა.შ.) ცხადდება კონკურსი, რომლის საფუძველზედაც შეირჩევა ამა თუ იმ თანამდებობაზე მაღალკვალიფიციური მუშაკი. ამისათვის კი გახსნილია ადმინისტრაციული სკოლები, მენეჯერის კოლეჯები, ბიზნესის სკოლები და სხვ. როგორც ცნობილია, იტალიაში ადმინისტრაციის მეტწილ თანამდებობებზე პირები შეირჩევიან კონკურსის წესით.

სამსახურებრივი კარიერის გავლის მნიშვნელოვანი მომენტი ატესტაცია, ანუ მუშაკის შემოწმება, თუ რამდენად შეეფერება იგი დაკავებულ თანამდებობას. ატესტაცია შემოღებულია სახელმწიფო სამსახურის მრავალ დარგში, კერძოდ, პროკურატურისა და შინაგან საქმეთა ორგანოების სისტემაში, სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მიერ სამსახურის გავლის დროს და სხვ. საერთოდ კი მუშაკის შემოწმება, ატესტაციის ინსტიტუტი უნდა იყოს შემოღებული სახელმწიფო სამსახურის ყველა დარგში. ატესტაცია უტარდება მუშაკს ყოველ 5 წელიწადში ან უფრო ნაკლებ დროში. მისი მიზანია მუშაკის კვალიფიკაციის ამაღლება და დაწინაურება, სახელმწიფო აპარატის მუშაობის მაღალი დონის უზრუნველყოფა.

ატესტაციის ჩასატარებლად იქმნება სპეციალური კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს მოცემული ორგანოსა თუ ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რომელსაც კომისიის თავმჯდომარედ ნიშნავს სახელმწიფო სამსახურის ბიურო შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელთან შეთანხმებით, ხოლო წევრებად შედიან აპარატის სტრუქტურული ერ-

თეულების ხელმძღვანელები, მოცემული დარგის სპეციალისტები. მოქმედი კანონმდებლობით ატესტაცია უტარდებათ ძირითადად სპეციალისტ-მოსამსახურეებს, თანამდებობის პირთა ატესტაცია კი შეზღუდულია. საჯარო სამსახურის შესახებ კანონის 82-ე მუხლის თანახმად, ატესტირებას ექვემდებარება მოხელე, რომელიც წამოყენებულია სამსახურებრივი დაწინაურებისათვის, რეზერვში ჩარიცხული პირი, კანდიდატი მოხელის თანამდებობაზე, რომელიც კონკურსით უნდა დაიკავონ, სხვა ყველა მოხელე 3 წელიწადში ერთხელ. ატესტაციას არ ექვემდებარებიან მოხელეები, რომლებიც დანიშნულნი არიან პრეზიდენტის, პარლამენტის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ. მათი გადახალისება უნდა წარმოებდეს ახალი მთავრობის შექმნასთან დაკავშირებით და ახალი პრეზიდენტის არჩევის შემდეგ. ატესტაცია შეიძლება ჩაუტარდეთ როგორც დანიშნულ, ისე კონკურსით არჩეულ პირებს.

ატესტაციის ჩასატარებლად აუცილებელია რეგლამენტირებულ იქნეს ატესტაციის პირობები, ე.ი. ფიქსირებულ უნდა იქნეს ის მოთხოვნები, რომლებიც წაეყენება თითოეულ მუშაკს შემოწმების დროს. ეს მოთხოვნები უნდა შემუშავდეს თითოეული ორგანოსა თუ ორგანიზაციის მიერ და უნდა გამომდინარეობდეს იმ ნორმატიული აქტიდან, რომელიც არეგულირებს ამ ორგანოსა თუ ორგანიზაციის საქმიანობას. ატესტაციის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის პრინციპების დაცვას. აქ, რასაკვირველია, გამორიცხულია ნათესაური კავშირისა თუ მატერიალური გამორჩენის გათვალისწინება. კომისიაში ასეთი წევრები არ უნდა შედიოდნენ, მაგრამ როგორც კომისიის წინაშეა თანასწორი ყველა გამოსაცდელი მუშაკი, ასევე ჟიურის წევრებიც თავისუფლად უნდა გამოთქვამდნენ თავიანთ მოსაზრებებს. დაუშვებელია კომისიისადმი უნდობლობა და განმეორებითი გამოცდის მოწყობა, ჟიურის გადაწყვეტილება საბოლოო უნდა იყოს. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ სამსახურებრივი ელემენტარული მოთხოვნების შეფასება შეუძლია ჟიურის თითოეულ წევრს და არაწევრსაც კი. ამიტომ მისი მუშაობისადმი ეჭვი გამორიცხულ უნდა იქნეს.

საატესტაციო კომისიას გამოაქვს სამიდან ერთ-ერთი სახის გადაწყვეტილება: 1) მუშაკის დაკავებული თანამდებობისადმი შესაბამისობის და მისი სამუშაოდ მოცემულ თანამდებობაზე კვლავ დატოვების შესახებ; 2) მუშაკის დაკავებული თანამდებობისადმი შეუსაბამობის და მისი თანამდებობრივად ჩამოქეითების ან დათხოვნის შესახებ; 3) მუშაკის კვალი-

ფიკაციისა და გამოცდილების ამაღლების მიზნით თანამდებობრივად დაწინაურების შესახებ. ყველა ეს გადაწყვეტილება საჭიროებს ხელმძღვანელი თანამდებობის პირისაგან ინდივიდუალური მმართველობის აქტების გამოცემას, ვინაიდან საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილება ავტომატურად ძალაში არ შედის. ხელმძღვანელს არ შეუძლია უარი თქვას ინდივიდუალური აქტის გამოცემაზე, ვინაიდან საატესტაციო კომისია მისი შექმნილია და შეიძლება თვითონვე თავმჯდომარეობდეს მას. თუ კონკურსის წესითაა არჩეული პირი და მისთვის უნდობლობაა გამოცხადებული, საატესტაციო კომისიის მიერ კონკურსით არჩეული პირის მიმართ უარყოფითი დასკვნის გამოტანის შემთხვევაში უკანასკნელმა უნდა გაათავისუფლოს დაკავებული თანამდებობა და უნდა გამოცხადდეს ახალი კონკურსი. პრაქტიკაში კი ეს ასე არ ხდება, არამედ კონკურსით არჩეულ პირს უნდა გაუვიდეს არჩევის ვადა, ამის შემდეგ უნდა მოხდეს მისთვის ხელახალი კენჭისყრა და თუ პირი ვერ მიიღებს საჭირო ხმების რაოდენობას, მაშინ გამოცხადდება კონკურსი მის მიერ ადრე დაკავებულ თანამდებობაზე, რომელიც კონკურსის გამოცხადებამდე მან უნდა გაათავისუფლოს, ვინაიდან კონკურსი ცხადდება ვაკანტურ ადგილზე. ასეთ კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება გააჩნია იმ პირსაც, რომელმაც ხელმეორედ კენჭისყრისას ხმების საჭირო რაოდენობა ვერ მიიღო, ან რომელსაც უარი ეთქვა თანამდებობის დაკავებაზე ატესტაციის შედეგად. ეს საკითხები მეტ-ნაკლებად მოგვარებულია უმაღლესი სასწავლებლების კადრებით დაკომპლექტების სფეროში, სხვაგან კი იგი ეპიზოდურ და მეორეხარისხოვან ხასიათს ატარებს და მთავარი აქ არის თანამდებობაზე დანიშვნის წესი (მაგალითად, შინაგან საქმეთა ორგანოების სისტემაში). ატესტაციასთან უშუალოდაა დაკავშირებული მუშაკის დაწინაურება თანამდებობაზე. წლების მანძილზე მუშაკი სამსახურებრივი გამოცდილებისა და სტაჟის შესაბამისად დაწინაურდება სამსახურებრივად ზედა საფეხურზე შესაბამისად ხელფასის გადიდებით, დაწინაურების არსი სწორედ ხელფასის გადიდებაშია და არა მხოლოდ უფლება-მოვალეობათა გაფართოებასა და ავტორიტეტის ამაღლებაში, რასაც ასევე არსებითი მნიშვნელობა აქვს.

დაწინაურება თანამდებობაზე შესაძლებელია შრომის სტაჟის საფუძველზე ატესტაციის ან კონკურსის შედეგად. საჯარო სამსახურის შესახებ კანონის 77-ე მუხლის თანახმად, უფრო მაღალ თანამდებობაზე შეიძლება წამოყენებულ იქნეს მოხელე, რომელიც დაკავებულ თანამდებობაზე მსახურობს 6 თვე მანძილზე და საკონკურსო საატესტაციო კომისიამ წარადგინა

დასაწინაურებლად, რისთვისაც საჭიროა პირის თანხმობა. ერთ თანამდებობაზე რამდენიმე დასაწინაურებელი მოხელის წარდგენისას თანამდებობაზე ინიშნება ის მოხელე, რომელსაც ატესტაციის მიხედვით უფრო მაღალი შეუფასება აქვს. ერთსა და იმავე თანამდებობაზე გარკვეული პერიოდით მუშაობის შედეგად მუშაკი ავტომატურად უნდა დაწინაურდეს, თუ მის მიმართ არ იქნა გამოყენებული დისციპლინური დასჯის ღონისძიება. შრომითი დამსახურების შედეგად მუშაკის დაწინაურების წესი შემოღებულია, სამწუხაროდ, არა ყველგან, კერძოდ, იგი გათვალისწინებულია შინაგან საქმეთა, პროკურატურის ორგანოებში, სამხედრო ნაწილებში, პროფესორ-მასწავლებელთა და პედაგოგთა მიმართ და სხვაგან.

ატესტაციისა და კონკურსის შედეგად პირის სამსახურებრივი დაწინაურება დამოკიდებულია მის პირად უნარზე, კვალიფიკაციის ამაღლებაზე, ორგანიზატორულ ნიჭზე. ამ პრინციპის მიხედვით მუშაკი შეიძლება ისე დაბერდეს ერთსა და იმავე დაწესებულებაში, რომ იგი არასოდეს არ დაწინაურდეს, რაც იშვიათად ხდება. მაგრამ შესაძლებელია მუშაკის დაწინაურება თანამდებობაზე ატესტაციისა და კონკურსის გარეშე, როდესაც ხელმძღვანელი თანამდებობის პირი საჭიროდ ჩათვლის ამა თუ იმ მუშაკის დაწინაურებას თანამდებობაზე, რომელიც ვაკანტური აღმოჩნდება. ამ შემთხვევაში დაწინაურების საკანონმდებლო კრიტერიუმები არ არსებობს და ყველაფერი დამოკიდებულია ხელმძღვანელი მუშაკის პირად შეხედულებაზე, რაც ზოგჯერ შეცდომებსაც იწვევს კადრების შეჩერების საქმეში. ამის თავიდან ასაცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული კოლეგიური განხილვის წესი და დასაწინაურებელ მუშაკს უნდა წაეყენოს ის მოთხოვნები, რაც ჩვეულებრივ, ატესტაციისათვის არის დამახასიათებელი. საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყანაში დგება დასაწინაურებელ პირთა ტაბელი, რომელშიც მოსამსახურეების გვარები შეაქვთ მათი დამსახურების, ამა თუ იმ თანამდებობაზე გამოჩენილი წარმატებების მიხედვით და სხვ. ამის შესაბამისად ადმინისტრაცია ვალდებულია განახორციელოს მუშაკთა დაწინაურება სატაბელო სიით ამისათვის ზოგჯერ იქმნება შერჩევითი კომისია, რომელიც ვიდრე შეიყვანდეს ამა თუ იმ მუშაკს დასაწინაურებელთა სიაში, უტარებს მას გამოცდას.

სამსახურებრივი კარიერა გულისხმობს აგრეთვე მუშაკის გაშვებას ხანმოკლე ან ხანგრძლივ მივლინებაში, მათ შორის უცხო ქვეყნებშიაც, კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე, პროფესიულ თათბირებსა და კონფერენციებზე და სხვ.

დისციპლინური გადაცდომის საქმისწარმოება

დისციპლინური პასუხისმგებლობა გულისხმობს მუშაკის მიერ შრომის შინაგანაწესის შეუსრულებლობისა ან სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებას.

დისციპლინური პასუხისმგებლობა მუშაკს შეიძლება დაეკისროს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობასთან ერთად, მაგრამ პირისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისას, როცა მას თავისუფლების აღკვეთა შეეფარდება, იგი ავტომატურად კარგავს სამსახურს, რაც არ უნდა ჩაეთვალოს დისციპლინურ პასუხისმგებლობად, ვინაიდან სისხლის სამართლის სასჯელის მოხდის შემდეგ პირი კვლავ უბრუნდება თავის სამუშაოს, თუკი არსებობს შესაბამისი ვაკანტური ადგილი. მოქმედი კანონმდებლობით მოხელე თავისუფლდება სამსახურიდან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის გამო, რომლის თანახმადაც მას შეეფარდა სასჯელი განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის ან სასჯელი, რომელიც გამორიცხავს სამსახურის გაგრძელებას. პირი შეიძლება გამართლდეს დანაშაულის არარსებობის გამო, რაც უნდა გამორიცხავდეს დისციპლინურ პასუხისმგებლობასაც. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არის შემთხვევა, როდესაც პირს ბრალი არ მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში, მაგრამ მისი ქმედება მაინც წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას. მაგალითად, სახანძრო უსაფრთხოების წესების დარღვევა მაშინ გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, როდესაც ამ ქმედებას მძიმე შედეგი მოჰყვება (სსკ მუხლი 243-ე), ხოლო თუ ასეთი შედეგი არ მოჰყვა, მაგრამ არსებული წესები კი პირმა დაარღვია, იგი აგებს პასუხს დისციპლინური წესით ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობასთან ერთად. ამასთან, მრავალი დისციპლინური გადაცდომა, რომელსაც მძიმე შედეგები მოჰყვა, იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, კერძოდ, აფეთქების მხრივ საშიშ საწარმოებსა და საამქროებში უსაფრთხოების დარღვევა (სსკ მუხლი 242-ე) ან მომხმარებლის ზომაში, წონაში, ანგარიშში ან სხვაგვარი მოტყუება (სსკ მუხლი 219-ე) იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

საჯარო სამსახურის შესახებ კანონის 78-ე მუხლით დისციპლინურ

გადაცდომას წარმოადგენს სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება, დაწესებულებისათვის ქონებრივი ზიანის მიყენება ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების ბრალეული შექმნა, აგრეთვე ზოგადზნობრივი ნორმების წინააღმდეგ მოქმედება ან მოხელისა და დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი (ბრალეული ქმედება), განურჩევლად იმისა, სამსახურშია ჩადენილი, თუ მის გარეთ. ეს უკანასკნელი უნდა შეეხებოდეს მხოლოდ ზოგიერთ მუშაკს, რომელსაც კავშირი აქვს აღზრდასა ან საზოგადოების მომსახურებასთან ან სხვა ურთიერთობებში. მოსამსახურეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა ძირითადად ორგანოებს ეკუთვნის: შრომის შინაგანაწესისა და მოსამსახურეთა ქვემდებარეობის წესის მიხედვით. არსებობს კიდევ სპეციალური წესდებებით, დებულებებითა და სხვა აქტების მიხედვით ცალკეულ მოსამსახურეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა (კავშირგაბმულობის მუშაკთა, სამხედრო მოსამსახურეთა და სხვ.). შრომის შინაგანაწესის მიხედვით დისციპლინური პასუხისმგებლობა ეკისრება დამხმარე ტექნიკურ პერსონალსა და ზოგიერთ სპეციალისტს, ხოლო დანარჩენ მოსამსახურეებს (ძირითადად თანამდებობის პირები — მოხელეები) — ქვემდებარეობის წესის მიხედვით.

პასუხისმგებლობის ამ ორ წესს შორის განსხვავება ის არის, რომ ქვემდებარეობის წესით მოსამსახურის დისციპლინურ პასუხისმგებებაში მიცემისას იგი შედარებით დაუცველი რჩება. მას არ შეუძლია მიმართოს სპეციალურ სააპელაციო ინსტანციას, ხოლო შრომის შინაგანაწესით პასუხისმგებლობის დაკისრებისას მუშაკს შეუძლია უსამართლო დისციპლინური სახდელი გაასაჩივროს თავისსაკვე სამუშაო ადგილზე პროფკავშირულ ორგანიზაციაში, ხოლო ამის შემდეგ (ან პროფკავშირის იმთავითვე თანხმობით) მოსამსახურეს უფლება აქვს გაასაჩივროს დისციპლინური სახდელი სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა. საზღვარგარეთის ქვეყნებში ყველა მუშაკს შეუძლია მიმართოს სასამართლოს ან ადმინისტრაციული იუსტიციის სპეციალურ ორგანოს თავისი სამსახურებრივი ინტერესების დასაცავად. საფრანგეთში, მაგალითად, მოსამსახურის საჩივარი შეიძლება სახელმწიფო საბჭომდეც კი მივიდეს, რომელიც ადმინისტრაციული იუსტიციის უმაღლესი ორგანოა ამ ქვეყანაში.

დისციპლინური სახდელი მუშაკს არ შეიძლება დაეკისროს გადაც-

ლომის ჩადენიდან 6 თვის გავლისა და გადაცდომის გამოვლენიდან 1 თვის გავლის შემდეგ. სახდელის დაკისრებიდან 1 წლის გავლის შემდეგ (თუ მუშაკმა ამ პერიოდში კვლავ არ ჩაიდინა დისციპლინური გადაცდომა) მას მექანიკურად ეხსნება დისციპლინური სახდელის ზომა, ხოლო თუ მანამდე გამოიჩინა შრომასა და დისციპლინაში საუკეთესო თვისებებს, ხელმძღვანელის ბრძანებით შეიძლება დისციპლინური სახდელი ვადაზე ადრე მოეხსნას. ქვემდებარეობის წესის მიხედვით მოხელის მიმართ დისციპლინური სახდელის სახეები: შენიშვნა, გაფრთხილება, ხელფასის დაკავება არა უმეტეს 10 სამუშაო დღისა, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან ჩამოშორება ხელფასის გაცემის შეჩერებით არა უმეტეს 10 სამუშაო დღისა, უფრო დაბალი თანრიგის თანამდებობრივ სარგოზე გადაყვანა არა უმეტეს 1 წლისა, სამსახურიდან გათავისუფლება (საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მუხლი 79-ე). შრომის შინაგანაწესის მიხედვით პირს შეიძლება დაეკისროს დისციპლინური სახდელის შემდეგი სახეები: გაფრთხილება (შენიშვნა), საყვედური, სასტიკი საყვედური, დაბალხელფასიან სამუშაოზე გადაყვანა 3 თვემდე ვადით, სამუშაოდან დათხოვნა.

საფრანგეთის სახელმწიფო მოსამსახურეთა სტატუსით პირს შეიძლება გამოეცხადოს მორალური ხასიათის სახდელები: გაფრთხილება და საყვედური. ამის შემდეგ სანქციები მკაცრდება, კერძოდ, გათვალისწინებულია სამსახურებრივი დაწინაურების სიიდან ამოღება, წოდებაში ამალღების შეჩერება, სამუშაოდან დროებით გათავისუფლება (15 დღემდე ან 6 თვემდე), სამუშაოდ სხვა ადგილზე გადაყვანა, წოდებაში ჩამოქვეითება, თანამდებობიდან გადაყენება და დათხოვნა.

საქართველოს კანონმდებლობით დისციპლინური საქმის წარმოება გამარტივებულია. თანამდებობის პირი აღძრავს საქმეს, რომელიც შეიძლება დაეწეროს გამოსაკვლევად რომელიმე სხვა მუშაკს, ამის შემდეგ დამრღვევი წერს ახსნა-განმარტებას და ყველა ამ მასალის საფუძველზე თანამდებობის პირი დამრღვევს შეუფარდებს დისციპლინურ სახდელს. დისციპლინური საქმისწარმოების გამარტივებული წესი გამოწვეულია სახელმწიფო მოსამსახურისადმი უპატივცემულობით, მისი უფლებების დაცვის იურიდიული გარანტიების არარსებობით, თუ მუშაკი შრომის შინაგანაწესის მიხედვითაა მიცემული დისციპლინურ პასუხისგებაში, მაშინ მას შეუძლია გამოიყენოს სასამართლო თავისი სამსახურებრივი უფლებების დასაცავად, მაგრამ პირველი ინსტანციით სასა-

მართლოში განხილული შრომის დისციპლინის საქმე არ ექვემდებარება საკასაციო გასაჩივრებას, ხოლო სასამართლოს გადაწყვეტილება მოიყვანება სისრულეში უმოკლეს ვადაში. ეს არის სამოქალაქო საპროცესო წესის დამაზინჯებელი გამოყენება ადმინისტრაციულ ურთიერთობათა გადასაწყვეტად, რაც შეცვლას საჭიროებს ადმინისტრაციული იუსტიციის შემოღების სახით.

ზოგჯერ ძნელია დისციპლინური გადაცდომის საქმის გარკვევა, ვინაიდან არ არსებობს კოდექსი და არც სხვა საკანონმდებლო აქტი, რომელიც ცალ-ცალკე მოაწესრიგებდა დისციპლინური კონკრეტული დარღვევებისათვის პასუხისმგებლობის საკითხებს. შრომის შინაგანაწესის სანიშნო დებულებების მუხლები მეტად ზოგადია და არ ასახავს ამა თუ იმ ორგანოსა თუ ორგანიზაციის სპეციფიკას. ადმინისტრაციას შეუძლია დისციპლინურ დარღვევად ჩათვალოს ნებისმიერი მოქმედება, რომელიც ადმინისტრაციის თვალსაზრისით მიუღებელია, ამიტომ სასამართლო დისციპლინური დასჯის საკითხის განხილვისას ამოწმებს, დაშვებულია თუ არა შეცდომა დისციპლინური გადაცდომის შეფასებაში, და სწორადაა თუ არა დისციპლინური სახდელი შერჩეული დამრღვევი პირის მიმართ.

სამართლებრივი არასრულყოფილების მიუხედავად, დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენება გარკვეულ სავალდებულო დემოკრატიულ მოთხოვნებს უნდა ემყარებოდეს.

უპირველეს ყოვლისა, მოსამსახურეს უნდა ჰქონდეს უფლება დაიცვას თავი თანამდებობის პირის თვითნებობისაგან. ეს უფლება უნდა განხორციელდეს მანამ, სანამ გამოყენებულ იქნება მის მიმართ დისციპლინური დასჯის ღონისძიება, ეს უფლება გამოიხატება მოსამსახურის მიერ იმ მასალების გაცნობის შესაძლებლობაში, რომელიც მის წინააღმდეგ აღძრული საქმის დოსიეშია. ყოველ მოსამსახურეს უნდა გააცნონ მის გარშემო შეგროვილი მასალები, აგრეთვე წაყენებული პრეტენზიები, გამომდინარე საქმის არსიდან. როგორც საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლშია მითითებული, საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციასა და ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. ამისათვის მოსამსახურე უნდა იქნეს გამოძახებული იმ ორგანოში, სადაც მისი დისციპლინური დარღვევის საქმისწარმოება

მიმდინარეობს, ამასთან, მას უნდა მიეცეს საკმაო დრო მასალების გასაცნობად, საპირისპირო მასალების წარსადგენად და თავის დასაცავად. მოსამსახურის დაცვა მის წინააღმდეგ აღძრულ დისციპლინურ წარმოებაში სრულიად აუცილებელია. თუ პირადი დაცვის შესაძლებლობა მას არა აქვს, ეს საქმე უნდა იკისროს შესაბამისმა პროფკავშირულმა ორგანიზაციამ, ხოლო ყველაზე უკეთესია ადვოკატის გამოყოფა. ადმინისტრაციული გადაცდომის საქმისწარმოებაში კანონმდებლობით ნებადართულია ადვოკატის დახმარების გამოყენება. იგივე შესაძლებლობა უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის საქმისწარმოების დროს.

დისციპლინური საქმისწარმოების დროს დაცულ უნდა იქნეს პროცედურული თანამიმდევრობა, დისციპლინური საქმე უნდა აღძრას მხოლოდ შესაბამისმა თანამდებობის პირმა, რომელსაც ექვემდებარება მოსამსახურე, მეორე ეტაპზე საჭიროა კონსულტაციური მოქმედებების ჩატარება, ე.ი. საკითხის გატანა კომისიაზე. მართალია, ასეთი ორგანო სათათბირო ფუნქციებითაა აღჭურვილი თანამდებობის პირის მიმართ, რომელიც ერთპიროვნულად ადებს პირს დისციპლინურ სახდელს, მაგრამ კოლეგიურ ორგანოში დისციპლინური დარღვევის საქმის განხილვა შესაძლებლობას იძლევა დადგინდეს ობიექტური სინამდვილე და გამოტანილ იქნეს სწორი გადაწყვეტილება. როგორც წესი, თანამდებობის პირი, რომელსაც უფლება აქვს გამოუტანოს სახდელი დამრღვევ მოსამსახურეს, ანგარიშს უწევს კოლეგიური ორგანოს მიერ გამოტანილ დასკვნას. ასეთი ორგანო შეიძლება იყოს დროებითი ან სახელდახელოდ შექმნილი ამა თუ იმ მმართველობის ორგანოში. უცხოეთში, როდესაც იხილება სამოქალაქო დაქირავებული მოსამსახურის დისციპლინური საქმე, უსათუოდ შეიქმნება პარიტეტული ადმინისტრაციული კომისია დისციპლინური საცთბიროს სახით. ასეთ კომისიაში შედიან როგორც ადმინისტრაციის, ისე მოქალაქე-მოსამსახურის წარმომადგენლები, კომისიას შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება სანქციის გამოყენების ან გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ.

მოსამსახურის დისციპლინურ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება მოტივირებულ უნდა იქნეს. ასეთ გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს გარემოებები, რამაც გამოიწვია მისი მიღება, ასევე ის პრეტენზიები, რომლებიც წაყენებული აქვს მოსამსახურეს. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსამსახურისათვის, რომელმაც უნდა იცოდეს, თუ რისთვის ისჯება იგი, რათა ჰქონდეს შესაძლებლობა გაასაჩივროს უკანონო გადა-

წყვეტილება. ამასთან, გადაწყვეტილებაში მოტანილი მოტივები შეიძლება განსხვავდებოდეს იმ მოტივებისაგან, რომლებიც პირს წაყენა საქმის აღძვრის მომენტში.

გადაწყვეტილებაში მოსამსახურისადმი დისციპლინური სახდელის გამოყენების შესახებ უნდა მითითებულ იქნეს ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესზე, ხოლო თუ ასეთი წესი არაა გათვალისწინებული კანონმდებლობით, მაშინ უნდა აღინიშნოს იმ საზედამხედველო წარმოების წესის შესახებ, რომელიც მოქმედებს მმართველობის სფეროში მოცემულ კონკრეტულ ორგანოში კანონიერების დაცვის უზრუნველსაყოფად. ასეთი საერთო ზედამხედველობა ჩვენში, რასაკვირველია, წარმოებს, კერძოდ, არსებობენ სახელმწიფო და საფინანსო კონტროლის ორგანოები, სახელმწიფო სხვადასხვა ინსპექციები, რომლებიც ახორციელებენ ზედამხედველობას კანონიერების დაცვაზე ამა თუ იმ ორგანოს მუშაობაში. თუკი მათი მოქმედების ფარგლები მოიცავს მოსამსახურის დისციპლინური გადაცდომის სფეროს, მაშინ ამ ზედამხედველობის შესახებ უნდა აღინიშნოს დისციპლინურ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში. საქართველოს 1997 წლის 15 აპრილის კანონში „აღმასრულებელი“ ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ“ გათვალისწინებულია სამსახურებრივი ზედამხედველობა, რომელშიაც ერთ-ერთ მხარედ გათვალისწინებულია ზედამხედველობა დისციპლინურ საქმეებზე.

დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება აღინიშნება მუშაკის პირად საქმეში, ისევე, როგორც წახალისების ზომის გამოყენება. დისციპლინური პასუხისმგებლობის დამდებ თანამდებობის პირის ან დაწესებულების ზემდგომ საზედამხედველო ორგანოს უფლება აქვს მოხელეს ვადაზე ადრე მოუხსნას ეს პასუხისმგებლობა, თუ მან არ ჩაიდინა ახალი გადაცდომა და თავი გამოიჩინა როგორც კეთილსინდისიერმა მოსამსახურემ. დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადაზე ადრე მოხსნა ფორმდება წერილობით ორ პირად, რომელთაგან ერთი პირი რჩება იმ თანამდებობის პირთან ან დაწესებულებასთან, რომელმაც ვადაზე ადრე მოუხსნა მოხელეს პასუხისმგებლობა, მეორე პირი კი გადაეცემა თვითონ მოხელეს. დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადაზე ადრე მოხსნა ასევე შეიძლება მუშაკის პირად საქმეში. თუ პირს ვადაზე ადრე არ მოეხსნა დისციპლინური პასუხისმგებლობა, მაშინ ერთი წლის გავლის შემდეგ იგი ითვლება დისციპლინური პასუხისმგებლო-

ბის არმქონე პირად, თუ ამ ხნის მანძილზე მან არ ჩაიდინა ახალი დისციპლინური სამართალდარღვევა.

საჯარო სამსახურის შესახებ კანონი ითვალისწინებს მოხელის სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერებას, რომლის დროსაც მოხელე დროებით გათავისუფლდება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულები-საგან, ხოლო ადმინისტრაციას არ ეკისრება ვალდებულება ამ ხნის მანძილზე უზრუნველყოს მოხელე ახალი სამსახურით. ადმინისტრაცი-ის ამ ვალდებულების არარსებობის მიუხედავად, მოხელეს სამსახურე-ბრივი ურთიერთობის შეჩერების პერიოდში კანონით დადგენილ შემთხ-ვევებში და წესით უნარჩუნდება თანამდებობრივი სარგო, დანამატები და ეძლევა სხვაგვარი კომპენსაცია.

საჯარო სამსახურის შესახებ კანონის 89-ე მუხლის თანახმად, სამსახურებრივი ურთიერთობა შეჩერდება: 1) მოხელის წერილობითი განცხადების საფუძველზე, თუ შესაბამისი თანამდებობის პირი ან დაწესე-ბულება ამის წინააღმდეგი არ არის; 2) შევთვლების დროს; 3) დროე-ბითი შრომისუნარობის დროს; 4) მოხელისათვის სხვა სამსახურე-ბრივი დავალების დაკისრებისას კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით; 5) მოხელის კანდიდატად წამოყენებისას საპრეზიდენტო ან წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებში, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი; 6) სასწავლო შეკრების, აგრეთვე რეზერვისტთა მობილიზაციის დროს, თუ მოხელეს აღარ შეუძლია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება; 7) იმ პერიოდში, როდესაც მოხელისაგან ითხოვენ დავალებების შესრულებას სხვა სამსახურებრივ ადგილზე და იგი უარზეა; 8) მოხელის სამსახურიდან ჩამოშორების პერიოდში მისი არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნის დროს ან სხვა დარღვევის ჩადენი-სას, რომელიც მის სამსახურიდან ჩამოშორებას ითვალისწინებს; 9) კანონის შესაბამისად ან მის საფუძველზე მოხელის დროებით გათ-ვისუფლების სხვა შემთხვევისას. ცხადია, მუშაკის სამსახურიდან ჩამოშორების აქ ჩამოთვლილი შემთხვევები დაკავშირებულია მის როგორც ბრალთან, ისე უდანაშაულობასთანაც. ამიტომ ყველა ასეთ შემთხვევაში ზუსტად უნდა დადგინდეს ჩამოშორების საფუძველი, რათა გაირკვეს მისი ბრალი ამ ჩამოშორებაში.

სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერება მოხელის სამსახურიდან ჩამოშორებისას უნდა გაფორმდეს ბრძანებით ან განკარგულებით. თუ სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების საფუძველია მოხელის წერ-

ილობითი განცხადება ან სასწავლო შეკრებაზე, რეზერვისტთა მობილიზაციაზე გაწვევის ფაქტი, იგი შეიტანება მოხელის შრომის წიგნაკში, თუ ეს გაწვევა 3 თვეზე მეტ ხანს გრძელდება.

რამდენადაც მუშაკის სამსახურიდან გათავისუფლება დაკავშირებულია მისი შრომის უფლების შეზღუდვასთან, კანონი დეტალურად ითვალისწინებს გათავისუფლების ცალკეულ შემთხვევებს და შესაბამის წესებს მის განსაზოორციელებლად.

კანონი ადგენს, რომ მოხელე სამსახურიდან შეიძლება გაათავისუფლოს იმ პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც მისი სამსახურში მიღების უფლება აქვს. თუ პირი გარკვეული ვადით იყო სამსახურში მიღებული ან არჩეული, სამსახურებრივი ურთიერთობა მასთან დაკავშირებით წყდება სამსახურის ვადის გასვლის მეორე დღეს. ბუნებრივია, იგი არ გათავისუფლდება, თუ მას ხელახალი ვადით აირჩევენ ან დანიშნავენ.

პირადი განცხადებით პირის გათავისუფლება სამსახურიდან ხდება, თუ მისი სამსახურში მიღების უფლების მქონე მოხელე ან დაწესებულება დააკმაყოფილებს მის წერილობით განცხადებას (მუხლი 95), მაშასადამე, თუ აღნიშნულმა მოხელემ ან დაწესებულებამ იგი არ დააკმაყოფილა, მაშინ პირმა თავი უნდა გაითავისუფლოს საჩივრის შეტანის წესით, რაც ართულებს პირის უფლების განხორციელებას – არავისგან არ იყოს იძულებული ძალდატანებით იმუშაოს.

მოხელე შეიძლება სამსახურიდან გათავისუფლდეს დაწესებულების ლიკვიდაციის გამო. დაწესებულების რეორგანიზაციისას, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება, დაწესებულების ხელმძღვანელი უფლებამოსილია გაითვალისწინოს ატესტაციის შედეგები და არ გაათავისუფლოს იგი. დაწესებულების დაქვემდებარების შეცვლა არ წარმოადგენს მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველს. დაწესებულების რეორგანიზაციას თუ თან სდევს შტატების შემცირება, მაშინ მუშაკი გათავისუფლდება ამ უკანასკნელი საფუძველით და არა რეორგანიზაციის გამო. შტატების შემცირებისას ან არაკანონიერად გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენისას მუშაკი აუცილებლად უნდა გათავისუფლდეს. მოხელე თუ თანახმაა დანიშნონ სხვა თანამდებობაზე იმავე დაწესებულებაში და ეს ადგილი ვაკანტურია, მისი გათავისუფლება დაუშვებელია. შტატების შემცირებისას მუშაკი წინასწარ გაფრთხილება გათავისუფლების შესახებ, რომლის ვადის გასვლის პირველი დღიდანვე მუშაკი გათავისუფლებულად ითვლება.

დაკავებულ თანამდებობასთან შეუთავსებლობის გამო მუშაკის გათავისუფლება შეიძლება: დაკავებულ თანამდებობაზე გამოსაცდელი ვადის არადაამაკმაყოფილებელი ან ატესტაციის უარყოფითი შედეგების გამო, იმ დოკუმენტის წარდგენის შეუძლებლობისას, რომელიც აუცილებელია მოცემული თანამდებობის დასაკავებლად, სახელმწიფო ენის არადაამაკმაყოფილებლად ცოდნის, ნორმალური ურთიერთობის შეუძლებლობის, არადაამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევების გამო, აგრეთვე მაშინ, როცა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევს მას საშუალებას სათანადოდ შეასრულოს სამსახურებრივი მოვალეობანი. ყველა ჩამოთვლილი შემთხვევა მუშაკის გათავისუფლების საფუძველია, თუ მას არ სურს გადავიდეს სხვა თანამდებობაზე მოცემულ დაწესებულებაში.

როგორც აღვნიშნეთ, მუშაკის გათავისუფლება სამუშაოდან დასაშვებია დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის. სამსახურებრივი მოვალეობების დარღვევისათვის მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან, თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ნებისმიერი სხვა ზომა, ე.ი. თუ პირმა განმეორებით ჩაიდინა დისციპლინური გადაცდომა, ხოლო თუ იგი უხეშად დაარღვევს სამსახურებრივ მოვალეობებს, ამ დროს მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის პირობებში ყოფნის გარეშეც, ე.ი. პირველივე უხეში დისციპლინური გადაცდომის ჩადენისთანავე (არაფხიზელი ყოფნა სამსახურში, სამუშაოს მიტოვებისას და სხვ.), მოხელე, რომელიც 5 დღეზე მეტი ხნით თვითნებურად მიატოვებს სამსახურს, გათავისუფლებულად ჩაითვლება სამსახურის თვითნებური დატოვების მეორე სამუშაო დღიდან.

მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან ავადმყოფობის ან დასახიჩრების გამო სამსახურში ზედიზედ 4 თვის, ან კალენდარული წლის 6 თვის მანძილზე გამოუცხადებლობის გამო. გათავისუფლება ამ დროს ხდება შრომისუუნარობის ფურცლის მოქმედების პერიოდში. როცა პირი სამსახურთან დაკავშირებით გახდა დროებით შრომისუუნარო, მისი სამსახურებრივი ურთიერთობა შეჩერდება მოხელის გამოჯანმრთელების ან ინვალიდობის დადგენამდე და მას უნარჩუნდება თავისი თანამდებობა. ავადმყოფობის ან დასახიჩრების გამო მოხელე თავისუფლდება სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ადმინისტრაციულ აქტში მითითებული დღიდან. ჩვენი კანონი აწესებს მუშაკის (მოხელის)

გათვისუფლებას სამსახურიდან ასაკის გამო (მაშაკაცებისათვის 65 წელი, ხოლო ქალებისათვის – 60), რაც, ვფიქრობთ, არასწორია, ვინაიდან თუ მუშაკი შრომისუნარიანია, მან უნდა იმუშაოს თავისი სურვილისამებრ ასაკის მიუხედავად, რამდენადაც იგი უფრო დიდი გამოცდილების მქონეა და შეცდომებისაგანაც უფრო მეტადაა დაზღვეული. ეს მისი შრომის უფლების შეუზღუდველად განხორციელება იქნება.

მოხელის გათავისუფლება სამსახურიდან შესაძლებელია სავალდებულო სამხედრო სამსახურში ან ალტერნატიულ სამსახურში გაწვევის გამო, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მისი სამსახურებრივი ურთიერთობა შეჩერდება განცხადების საფუძველზე ან სასწავლო შეკრების, აგრეთვე რეზერვისტთა მობილიზაციის დროს. სამხედრო ან ალტერნატიულ სამსახურში გაწვევა ერთგვარ შეღავათს ქმნის პირის მიმართ, ვინაიდან სამხედრო თუ ალტერნატიული სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ პირი ყველა უფლებებში აღდგება ადრინდელ საშუაოზე.

მოხელე თავისუფლდება სამსახურიდან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის გამო, თუ მას შეეფარდა სასჯელი განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის, ან სასჯელი, რომელიც გამორიცხავს სამსახურის გაგრძელებას. მოხელე თავისუფლდება სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან მეორე დღეს. წინასწარ პატიმრობაში აყვანისას პირის გათავისუფლება სამსახურიდან დაუშვებელია.

მოხელე თანამდებობიდან თავისუფლდება, თუ იგი აირჩიეს ან დანიშნეს სხვა დაწესებულებაში თანამდებობაზე. თუ პირი ირჩევა ან ინიშნება სახელმწიფოს მონაწილეობით შექმნილი საწარმოს მართვისა და ზედამხედველობის ორგანოს წევრად, იგი თანამდებობიდან არ გათავისუფლდება. გათავისუფლება ხდება ახალ თანამდებობაზე არჩევის ან დანიშვნის დღეს. ერთი და იმავე სისტემის ორგანოებში დანიშვნის ან არჩევისას, პირი არ წყვეტს ურთიერთობას ამ სისტემის ორგანოებთან, ე.ი. სახელმწიფოსთან ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთან, ხოლო თუ არჩევა ან დანიშვნა ხდება ერთი სისტემიდან მეორეში, პირი კარგავს ურთიერთობას წინა სისტემის ორგანოებთან (სახელმწიფო თუ თვითმმართველობის ორგანოებთან).

ზემოთაღნიშნულის გარდა, მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის, გარდაცვალების, სხვა ქვეყნის სამხედრო სამსახურში შესვლის გამო. როცა

დაირღვა თანამდებობაზე არჩევის ან დანიშვნის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები. პირი შეიძლება სამსახურიდან გათავისუფლებულად ჩაითვალოს, თუ, რა თქმა უნდა, არ გასწორდა აღნიშნული დარღვევები.

მოხელეს 1 თვით ადრე უნდა ეცნობოს დაწესებულების ლიკვიდაციის, თანამდებობის შემცირების, ატესტაციის არადამაკმაყოფილებელი შედეგების ან ასაკის გამო სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ. ხანგრძლივი შრომისუნარობის გამო გათავისუფლების შესახებ მოხელეს წერილობით უნდა ეცნობოს გათავისუფლებამდე 2 კვირით ადრე მაინც. ამ ვადების დარღვევისას მოხელეს ეძლევა ხელფასი ყოველი გადაცილებული დღისათვის სხვა კომპენსაციასთან ერთად, თუკი იგი მას ერგება. თუ პირი გაფრთხილებულია გათავისუფლების შესახებ და ამის შემდეგ მას უარს ეუბნებიან გათავისუფლებაზე, ეს უკანასკნელი შესაძლებელია, თუ პირი წერილობით განაცხადებს თანხმობას მუშაობის გაგრძელებაზე, ხოლო თუ იგი წერილობით თანხმობას არ იძლევა, იგი უნდა იქნეს გათავისუფლებული ყველა შესაბამისი კომპენსაციით.

დაწესებულების ლიკვიდაციის ან შტატების შემცირების გამო სამსახურიდან გათავისუფლებისას მოხელეს კომპენსაციის სახით ეძლევა 2 თვის თანამდებობრივი სარგო. ჯანმრთელობის მდგომარეობის, ხანგრძლივი შრომისუნარობის, სამხედრო ან ალტერნატიულ სამსახურში გაწვევის ან ატესტაციის შედეგების გამო სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში მოხელეს ეძლევა კომპენსაცია 1 თვის თანამდებობრივი სარგოს სახით. ასაკის ან სამსახურში მისაღებად დადგენილი მოთხოვნების დარღვევით სამსახურიდან გათავისუფლებისას, როცა ეს დარღვევა დაწესებულების მიზეზით იყო, მოხელეს ეძლევა კომპენსაცია 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება ფორმდება ბრძანებით, განკარგულებით ან დადგენილებით იმისდა მიხედვით, თუ რომელი მოხელის დათხოვნასთან გვაქვს საქმე. მოხელის შრომის წიგნაკში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ განთავისუფლების თარიღის აღნიშვნით. გათავისუფლების შესახებ კანონის შესაბამისი მუხლისა და პუნქტის მითითება ხდება მხოლოდ გათავისუფლებული პირის მოთხოვნის საფუძველზე. მოხელე არ შეიძლება გათავისუფლებულ იქნეს სამსახურიდან შემცირების, ასაკის ან ატესტაციის შედეგების გამო იმ დროის მანძილზე, როდესაც კანონის საფუძველზე

შეჩერებულ იქნა მისი სამსახურებრივი ურთიერთობი (გარდა პირადი განცხადებით შეჩერებისა). ქალი მოხელე არ შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან ორსულობის ან ბავშვის 3 წლის ასაკამდე აღზრდის პერიოდში შტატების შემცირების, ხანგრძლივი შრომისუუნარობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის, აგრეთვე ატესტაციის შედეგების გამო. სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს გათავისუფლების უკანონოდ ცნობა, გათავისუფლების საფუძვლის შეცვლა და ხელფასის ანაზღაურება სამსახურში იძულებით არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში. სააპელაციო საჩინვარი ასეთ დროს შეიტანება ზემდგომ ინსტანციაში ან სასამართლოში – რაიონის ან საოლქო სასამართლოში იმისდა მიხედვით, თუ რომელი თანამდებობის პირის მიერაა იგი უკანონოდ გათავისუფლებული. გასაჩივრების ვადაა 1 თვე აღმინისტრაციული აქტის მიღებიდან. აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში წარმოშობილი დავები განიხილება და წყდება აღმასრულებელი ხელისუფლების საზედამხებველო სტრუქტურის მიერ, რაც მოხელეს უფლებას არ ართმევს მიმართოს სასამართლოს.

ადმინისტრაციული დავების საქმისწარმოება

§ 1. ადმინისტრაციული დავების განხილვა სასამართლოში

ადმინისტრაციული დავების განხილვა წარმოებს როგორც ადმინისტრაციულ ორგანოებში, ისე სასამართლოებში. სასამართლოში ადმინისტრაციული დავების განხილვას აწესრიგებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი. წარმდენადაც ადმინისტრაციულ ორგანოებში მატერი-ალური ხასიათის დავების განხილვას უმნიშვნელო ადგილი ეთმობა, იმდენად სასამართლოებში ასეთი დავები ცენტრალურ ადგილს იჭერს.

ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსი მე-2 მუხლში აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული დავის საგანს სასამართლოში შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ვარიგების დადება ან შესრულება; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე. (მაშასადამე, სასამართლოში დავის საგანი შეიძლება იყოს არა მხოლოდ ინდივიდუ-ალური აქტი, არამედ ნორმატიული ადმინისტრაციული აქტიც. ნორმატიული აქტის სადავოდ გადაქცევა და მისი გაუქმება უნდა ხდებოდეს კვლავ ნორმატიული აქტით, ხოლო საქართველოს 1996 წლის 29 ოქტომბრის კანონით „ნორმატიული აქტების შესახებ“ სასამართლოებს უფლება არა აქვთ გამოსცენ ნორმატიული აქტები. სასამართლოს აქტები არ არის ჩამოთვლილი ამ კანონის იმ მუხლში, რომელიც საქართველოში ნორმატიული აქტების იერარქიას აწესებს (იხ. ამ კანონის მუხლი მე-19). ამდენად, სასამართლოებს შეუძლიათ გააუქმონ მხოლოდ ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტები. საერთო სასამართლოების შესახებ 1997 წლის 13 ივნისის ორგანულ კანონშიც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ სასამართლოების განსჯადობას მიეკუთვნება საქმეები და არა ნორმატიული აქტები (იხ. ამ კანონის მუხლები მე-16, მე-19). სასამართლოებისათვის ნორმატიული აქტების გაუქმების უფლების მინიჭება ნიშნავს მათთვის სამართალშემოქმედების უფლების მინიჭებას, ვინაიდან ნორმატიული აქტების გაუქმებით ცვლილებებს განიცდის სხვა აქტებიც.

საქართველოს კონსტიტუციის 82-ე და 83-ე მუხლებით სასამართლო ხელისუფლებას მართლმსაჯულების ფორმით ახორციელებენ სასამართლოები, ხოლო მართლმსაჯულება არის კონკრეტულ, ინდივიდუალურ საქმეთა გადაწყვეტა კანონის შესაბამისად. მაგრამ, რადგანაც ადმინისტრაციული საქმის განხილვა შესაძლებელია ადმინისტრაციული მეთოდებისა და ფორმების გამოყენებით, ამდენად, სასამართლოშიაც ასეთ საქმეთა განხილვა თავისებურებას ანიჭებს თვით სასამართლოებს, რის გამოც ეს უკანასკნელები იძენენ ადმინისტრაციული ორგანოს მთელ რიგ თვისებებს; მათ შორის ნორმატიული აქტის გაუქმების უფლების სახითაც. სამოქალაქო პროცესში გამოყენებული წესი საქმის მორიგეობით დამთავრების, ან სარჩელზე უარის თქმისა თუ სარჩელის ცნობის შესახებ ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვისას სასამართლოში გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, ე.ი. არ არღვევს სახელმწიფოს, საზოგადოების ან პიროვნების ინტერესებს.

არასწორია შეხედულება იმის შესახებ, რომ ყველა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხასიათის აქტი, საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის მე-19 მუხლში დასახელებულის გარდა, საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის თაობაზე საერთო სასამართლოთა ქვემდებარეა¹. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შეიძლება სულაც არ იყოს დაკავშირებული მატერიალურ დავასთან, იგი შეიძლება იყოს ორგანიზაციული ხასიათის, მაგალითად, დებულება ან ინსტრუქცია, დამტკიცებული სამინისტროსა თუ სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ, ბრძანება თუ დადგენილება დისციპლინური თუ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დამტკიცების შესახებ, რომელთა გამო დავა სასამართლოს ქვემდებარე არ შეიძლება იყოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს აქტები იწვევენ ადმინისტრაციულ საჩივარს ფიზიკური პირის კონკრეტული უფლებისა თუ ინტერესის დარღვევის გამო. სასამართლოში განსახილველი ადმინისტრაციული დავა ყოველთვის მატერიალური დავის ხასიათს ატარებს, ეს კარგად ჩანს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 და 34-ე მუხლებიდან, სადაც აღნიშნულია, რომ ადმინისტრაციული დავის საგანს ყოველთვის უნდა ჰქონდეს ფასი, რომელიც განისაზღვრება არა მხოლოდ სამოქალაქო

¹ იხ. ჯ. რუსთაშვილი, ი. ტაბუკაძე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარები, გამოც. „სამართალი“, თბ., 2000, გვ. 16.

საპროცესოკოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილით, არამედ თვით სასამართლოს მიერაც (მუხლი 9, პუნქტი მე-2), ხოლო ადმინისტრაციული დავის საქმეზე სააპელაციო და საკასაციო საჩივარი დასაშვებია სარჩელის ფასის მიუხედავად (მუხლი 34-ე). მაშასადამე, ადმინისტრაციული დავა სასამართლოში ყოველთვის გარკვეული ფასის მქონეა და ამიტომ იგი მატერიალურ ხასიათს ატარებს.

ეს თავისთავად ცხადი უნდა იყოს, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტისა თუ მინისტრების ან სხვა თანამდებობის პირთა მრავალრიცხოვან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებიდან საოლქო სასამართლოში შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ მატერიალური ხასიათის აქტები, რომლებიც დაკავშირებულია ფიზიკურ პირთა მატერიალური უფლებებისა და ინტერესების დაცვასთან და ამ სფეროში წამოჭრილი დავის გადაწყვეტის საუკეთესო ფორმაა სასამართლოში გასაჩივრება ადმინისტრაციული სარჩელის სახით. განა შეიძლება პრეზიდენტის ბრძანებულება ადმინისტრაციული ორგანოების რეორგანიზაციის, სამხედრო წოდებების მინიჭებისა თუ დაჯილდოების შესახებ სასამართლოში დავის საგანი გახდეს? თვით ეს ავტორები საეჭვოდ მიიჩნევენ ყოველგვარი ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას, როცა მიუთითებენ, რომ პრეზიდენტი უფლებამოსილია გამოსცეს სამართლებრივი აქტები მის კომპეტენციაში შემავალ შესაბამის საკითხებზე, მაგრამ „ბუნებრივია, ყველა მათგანი არ წარმოადგენს სასამართლოს განსჯადს“¹.

ავტორებს შეცდომით მიაჩნიათ, რომ თითქოს საქართველოს პრეზიდენტი ან სამთავრობო დაწესებულებების ხელმძღვანელები ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხასიათის აქტების გარდა კიდევ სხვა ხასიათის აქტებს გამოსცემენ და თუ ეს აქტები ადმინისტრაციულ-სამართლებრივია, მათზე დავა სასამართლოთა განსჯადია, ხოლო თუ ასეთი ხასიათის არაა, მათ სასამართლო არ განიხილავს. ეს აზრი ხელისუფლების დანაწილების თეორიას ეწინააღმდეგება და დემოკრატიულ სახელმწიფოში აღმასრულებელი ხელისუფლების გამტარებელი ორგანოების მიერ საკანონმდებლო და სხვა ხელისუფლების გატარების შესაძლებლობას აღიარებენ, რაც მცდარი მოსაზრებაა. პრეზიდენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა ყველა აქტი მხ-

¹ იხ. ვ. რუსიაშვილი, ი. ტაბუკაძე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარები, გამომც. „სამართალი“, თბ., 2000, გვ. 18.

ოლოდ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი შეიძლება იყოს. ამიტომ აქტების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხასიათის მიხედვით ადმინისტრაციული დაკვეთის სასამართლოსადმი განსჯადობის დადგენა შეუძლებელია. ასევე არ შეიძლება შრომითი დაკვეთი ადმინისტრაციულ დაკვეთად არ მივიჩინოთ და რომ საგადასახადო ინსპექტორის სარჩელი საგადასახადო ინსპექციასთან სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების გაუქმების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის გაუქმებასთან დაკავშირებულ სარჩელს არ წარმოადგენს, არამედ „სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასარჩელო მოთხოვნაა და უნდა განხილულ იქნეს არა ადმინისტრაციული, არამედ სამოქალაქო სამართლებრივი წარმოების წესით“¹. როგორც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველ პუნქტშია აღნიშნული, სასამართლოებში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. განა საგადასახადო ინსპექტორსა და საგადასახადო ინსპექციას შორის ურთიერთობა ადმინისტრაციული კანონმდებლობით არ წესრიგდება? მათ შორის სამუშაოდან გათავისუფლებისა თუ აღდგენის საკითხებთან დაკავშირებული ურთიერთობები და თუ ეს ურთიერთობები გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, იგი არ შეიძლება საერთო სასამართლოების ქვემდებარე არ იყოს.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ამასთან დაკავშირებით შესაძლებლად თვლის სარჩელის აღძვრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით, სარჩელის აღძვრას ადმინისტრაციული აქტის გამოცემის მოთხოვნით, სარჩელის აღძვრას ისეთი ქმედების განხორციელების ან ისეთი ქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ადმინისტრაციული აქტის გამოცემას, აღიარებითი სარჩელის აღძვრას უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს ამის კანონიერი ინტერესი. მაშასადამე, ადმინისტრაციული დავის ზემოთ აღნიშნულ საგნებზე შეიძლება დაიწეროს ოთხი ხასიათის სარჩელი, რომელთაც თავისი ადგილი და მნიშვნელობა აქვთ ადმინისტრაციულ პროცესში. სარჩელი

¹ იხ. ჯ. რუსიაშვილი, ი. ტაბუკაძე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარები, გამომც. „სამართალი“, თბ., 2000, გვ. 18.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალ-
დაკარგულად გამოცხადების შესახებ დასაშვებია, თუ ეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას. ბუნებრივია, პირს არ შეუძლია წარადგინოს სარჩელი, თუ მისი კონკრეტული უფლება არ არის დარღვეული ან შეზღუდული და სასარჩელო წესით მოითხოვოს სახელმწიფო პოლიტიკის შეცვლას ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში. როგორც აღვნიშნეთ, ადმინისტრაციული საჩივარი, რომელიც სასამართლოში ადმინისტრაციული სარჩელის ფორმას ღებულობს, ყოველთვის კონკრეტულ პირს უნდა შეეხებოდეს და თუ ეს ასე არ არის, მაშინ საჩივარისარჩელი კარგავს თავის ხასიათს და იგი წინადადება-რეკომენდაციად იქცევა. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მესამე პუნქტით სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს შესაბამისად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაცემიდან ექვსი თვის ვადაში, ხოლო ნორმატიული აქტის შემთხვევაში – უშუალო ზიანის მიყენებიდან სამი თვის ვადაში. ასევე ადმინისტრაციული აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციული ორგანოს უარი ადმინისტრაციული აქტის გამოცემაზე პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს. კოდექსში ხაზგასმულია, რომ ეს ზიანი უნდა იყოს ინდივიდუალური ხასიათის, წინააღმდეგ შემთხვევაში ადმინისტრაციული აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელის შეტანა დაუშვებელია.

ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობის თავისებურება ისაა, რომ იგი საშუალებას იძლევა გასაჩივრდეს არა მხოლოდ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, არამედ ისეთი ქმედების განხორციელება ან ისეთი ქმედებისაგან თავის შეკავების ფაქტი, რომელიც არ არის დაკავშირებული ადმინისტრაციული აქტის გამოცემასთან, მაგრამ ზიანს აყენებს პირის უფლებებს ან კანონიერ ინტერესებს. ასეთ დროს სარჩელი დასაშვებია თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესებს. ამ საბაბით, მაგალითად, თავისუფლად შეუძლია უჩივლოს მდ. ყვირილას პირას მაცხოვრებელმა ნებისმიერმა მოქალაქემ ჭიათურმარგანეცის საწარმოს, რომელიც სისტემატ-

ურად აბინძურებს მდ. ყვირილას და ამით ზიანს აყენებს მდინარის პირას მაცხოვრებელ მოქალაქეებსა და მათ პირუტყვს.

— დაბოლოს, აღიარებითი სარჩელი წააგავს სამოქალაქო-საპროცესო სარჩელს უდავო წარმოებასთან დაკავშირებით, მაგრამ მისგან განსხვავებით აღიარებითი ადმინისტრაციული სარჩელი წარმოადგენს მოსარჩელის მიერ გარკვეული უფლებების აღდგენას, რომლის არსებობა ან არარსებობა სასამართლომ უნდა დაადგინოს. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მეორე პუნქტში მითითებულია, რომ აღიარებითი სარჩელი არ შეიძლება აღიძრას, თუ პირს შეუძლია აღძრას ზემოთ დასახელებული სამი სარჩელიდან ერთ-ერთი, კერძოდ, აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე, აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში, რასაკვირველია, რაიმეს არსებობა-არარსებობის დადგენას ადგილი არა აქვს, ამიტომ ისინი არ შეიძლება იყოს აღიარებითი სარჩელი.

ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს ადმინისტრაციული დავების სასამართლოებისადმი განსჯადობის საკითხს. კოდექსის მე-5 მუხლში მითითებულია, რომ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებს ექვემდებარება ადმინისტრაციული დავები, თუ ისინი საოლქო სასამართლოსა და ავტონომიური ერთეულების უმაღლესი სასამართლოების ქვემდებარე არაა, ხოლო ამ უკანასკნელების ქვემდებარე საქმეები კოდექსის მე-6 მუხლის შესაბამისად, კერძოდ, საოლქო სასამართლოები პირველი ინსტანციის წესით განიხილავენ სარჩელებს: 1) საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების თაობაზე; 2) საქართველოს სამთავრობო დაწესებულებების; 3) პრეზიდენტის გამგებლობაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების; 4) სხვა სახელმწიფო უმაღლესი ორგანოს ხელმძღვანელის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების; 5) აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის ადმინისტრაციული აქტების კანონიერების თაობაზე; 6) ქალაქების: თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, სოხუმის, ბათუმისა და ფოთის საკრებულოებისა და მერიების(მერების) მიერ მიღებული (გამოცემული) ნორმატიული ადმინისტრაციული აქტების კანონიერების თაობაზე, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები პირველი ინსტანციის წესით განიხილავენ სარჩელებს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი

ორგანოების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების თაობაზე (მუხლი მე-6). მაშასადამე, საოლქო (თბილისის და ქუთაისის) სასამართლოების ქვემდებარეა როგორც ნორმატიული, ისე ინდივიდუალური (პრეზიდენტის, სამთავრობო დაწესებულებების, საქვეუწყებო დაწესებულებების, სხვა უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა ხელმძღვანელების) აქტების კანონიერების თაობაზე შეტანილი სარჩელები, პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტების (რამდენადაც იგი ნორმატიულ აქტს არ გამოსცემს) კანონიერების თაობაზე შეტანილი სარჩელები, აგრეთვე რესპუბლიკური ქალაქების (თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, სოხუმის, ბათუმისა და ფოთის) საკრებულოებისა და მერიების (მერების) მხოლოდ ნორმატიული ადმინისტრაციული აქტების კანონიერების თაობაზე შეტანილი ადმინისტრაციული სარჩელები, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი სასამართლოების ქვემდებარეა ამ რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი (უმაღლესი საბჭოების) და აღმასრულებელი ორგანოების (მინისტრთა საბჭოების) როგორც ნორმატიული, ისე ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტების კანონიერების თაობაზე შეტანილი ადმინისტრაციული სარჩელები.

განსჯადობის აღნიშნულ წესს სრულად არ შეესაბამება სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლით განსაზღვრული განსჯადობის წესი, კერძოდ, ამ მუხლის თანახმად საქართველოს საოლქო სასამართლოები თითქოს განიხილავენ დავებს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების საქვეუწყებო დაწესებულებების ხელმძღვანელთა და პრეზიდენტის რწმუნებულთა ნორმატიულ-ინდივიდუალური აქტებისა და რესპუბლიკური ქალაქების საკრებულოებისა და მერიების მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტების, ხოლო აფხაზეთსა და აჭარაში მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა ხელმძღვანელების სამართლებრივი აქტების კანონიერების თაობაზე შეტანილ სარჩელებს, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსი მიღებულია 1997 წლის 14 ნოემბერს, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსი კი 1999 წლის 23 იელისს. ნორმათა კოლიზიის გადაწყვეტის წესის თანახმად ძალაში უნდა დარჩეს სწორედ ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსის მუხლები და არა სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის. ამასთან, საქმეთა განსჯადობის საკითხი ადმინისტრაციული დავ-

ების საკითხზე უნდა გადაწყვიტოს ადმინისტრაციულმა და არა სამოქალაქო-საპროცესო კანონმდებლობამ.

ამ საკითხთან დაკავშირებით, ისევე როგორც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის სხვა მუხლებთან დაკავშირებით, კომენტარებს აკეთებენ ჯ. რუსიაშვილი და ი. ტაბუცაძე. ჯ. რუსიაშვილს მიაჩნია, რომ პრეზიდენტის რწმუნებულის ისეთი ნორმატიული აქტის თაობაზე იწერება ადმინისტრაციული სარჩელი საოლქო სასამართლოში, რომელიც მიღებულია კომპეტენციის გადამეტებით, და რომ აქ დავა არ შეეხება ასეთი აქტის კანონიერებას¹. უფლებამოსილების გადამეტებით რწმუნებულმა შეიძლება მიიღოს კანონიკა და კონსტიტუცია, მაგრამ მათ გასაჩივრებაზე ლაპარაკი ღიმილს იწვევს, ვინაიდან ასეთი მოქმედება ძალადაკარგულად აქცევს რწმუნებულის აქტებს და სასამართლო მათ თაობაზე სარჩელს არ მიიღებს. ხოლო რაც შეეხება „უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების“ ავტორისეულ ცნებას, იგი ზუსტი არ არის, ვინაიდან ასეთად მას მიაჩნია ისეთი ორგანოები, რომლებიც ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე (ეროვნული ბანკის საბჭო და მისი პრეზიდენტი, კონტროლის პალატის თავმჯდომარე, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია). ამ კრიტერიუმს თუ გავყევით, მაშინ ორგანოთა მხოლოდ მცირე რიცხვის ხელმძღვანელთა აქტების გასაჩივრება გახდება შესაძლებელი საოლქო სასამართლოში. კოდექსში აღნიშნულია სხვა უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების ხელმძღვანელებზე სამთავრობო დაწესებულებებისა და პრეზიდენტის საქვეუწყებო დაწესებულებების ხელმძღვანელებთან ერთად. ეს „სხვა“ ორგანოები, უეჭველია, სხვა ცენტრალური ორგანოებია, რომლებიც არც სამთავრობო და არც საქვეუწყებო დაწესებულებების რიცხვს არ მიეკუთვნებიან. ესენია: საბაჟო დეპარტამენტი, საგადასახადო ინსპექცია, რკინიგზის დეპარტამენტი და სხვა ორგანოები, რომელთა ხელმძღვანელებსაც უშუალოდ პრეზიდენტი ნიშნავს, თუმცა სამთავრობო დაწესებულებების შემაღენლობაში შედიან (შემოსავლების სამინისტროს, ტრანსპორტის სამინისტროს და სხვ.). სიტყვა „უმაღლესი“ საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით მხოლოდ პრეზიდენტს შეეხება („უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში“, „უმაღლესი მთავარსარდალი“). ამიტომ სხვა ორგანოები „უმაღლესად“ არ შეიძლება იწოდებოდეს. აღნიშნულ შემთხვევაში „სხვა უმაღლესი სახელმწიფო ორგანოები“ უნდა გავიგ-

¹ იხ. დასახ. კომენტარები, გვ. 30.

ოთ როგორც ცენტრალური ორგანოები, რომელთა ხელმძღვანელებიც ინიშნებიან საქართველოში უმაღლესი თანამდებობის პირის — პრეზიდენტის მიერ. ჩვენს ადმინისტრაციულ-პროცესუალურ პრაქტიკაშიაც სწორედ ასეთი ცნება გამოიყენება „სხვა უმაღლესი სახელმწიფო ორგანოთა ხელმძღვანელების“ მიმართ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს ან გადაწყვიტოს იგი. თუ ადმინისტრაციული სარჩელი არაუფლებამოსილ სასამართლოში იქნა შეტანილი, ეს უკანასკნელი ვალდებულია გადაუგზავნოს სარჩელი უფლებამოსილ სასამართლოს და ამის შესახებ უნდა აცნობოს მოსარჩელეს. აქ არ გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის დებულება, რომლითაც მოსამართლე არ მიიღებს სარჩელს, თუ საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არ არის. მართალია, სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლი აწესებს ორ შემთხვევას განსჯადი სასამართლოსათვის საქმის გადასაცემად (როცა მოპასუხის საცხოვრებელი ადგილი უცნობია ან როცა ერთი ან რამდენიმე მოსამართლის აცილების გამო მოცემულ სასამართლოში შეუძლებელია საქმის განხილვა). მაგრამ გადაცემის საერთო წესი ეს მაინც არაა, როგორც შემოღებულია ადმინისტრაციულ საქმეთა მიმართ. ამასთანავე, სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის დასახელებული 23-ე მუხლის მე-3 პუნქტით სხვა სასამართლოში საქმის გადაცემის შესახებ განჩინება არ საჩივრდება, ხოლო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს ზემდგომი სასამართლო დასაბუთებული განჩინებით.

ადმინისტრაციულ სარჩელზე პროცესის ხარჯებისა და საპროცესო ვადების შესახებ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ წინა თავში (თავი მე-4), აქ კი შევეხებით მხარეთათვის სასამართლო უწყების, დოკუმენტების გადაცემის თავისებურებებს. სასამართლო ვალდებულია ყველა უწყებაზე, დოკუმენტსა თუ წერილზე, რომელიც მხარეს ან საქმეში მონაწილე სხვა პირს გაეგზავნა, აღნიშნოს გაგზავნის თარიღი. ამასთან, ყველა გადაწყვეტილების, განჩინებისა თუ დადგენილების ასლები უნდა გადაეცეს მხარეს. თუ პირი არ არის რეგისტრირებული საქართველოში ან რეგისტრირებულია მისამართის გარეშე, სასამართლოს მოთხოვნით მან უნდა დანიშნოს სხვა პირი (ან წარმომადგენელი), რომელიც უფლება-

მოსილი იქნება დოკუმენტების მიღებაზე. ბუნებრივია, თუ მხარე საქმეში მონაწილეობს წარმომადგენლის მეშვეობით, ყველა დოკუმენტი მას უნდა გაეგზავნოს. თუ გასაგზავნი დოკუმენტი დიდი მოცულობისაა, მაშინ უნდა გაიგზავნოს ამ დოკუმენტის მხოლოდ დასახელება და ცნობა, რომ პირს აქვს სასამართლოს კანცელარიაში ასეთი დოკუმენტების გაცნობის უფლება. ასეთი დოკუმენტების ასლები მხარემ ასეთ დროს უნდა მიიღოს საკუთარი ხარჯით ან გააკეთოს მისგან უფასოდ (ან ფასით სხვისი მეშვეობით) ამონაწერი სასამართლოს კანცელარიაში (მუხლი მე-13).

სასამართლოში ადმინისტრაციული სარჩელის განხილვისას ადმინისტრაციული პროცესის მონაწილეობად მიჩნეულია დაინტერესებული პირები (მხარეები) და ის ადმინისტრაციული ორგანო, რომელმაც გამოისცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის რაიმე ქმედება. კოდექსის მე-14 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს ან სახელმწიფოსაგან დელეგირებული უფლებების საფუძველზე კერძო პირის მოქმედებებსა და გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელია სახელმწიფო. ყველა ეს დებულება ადმინისტრაციული პროცესის, როგორც ადმინისტრაციული იურისდიქციული საქმიანობის, გამომხატველია, სადაც მთავარ როლს სწორედ ადმინისტრაციული ორგანო ან მთლიანად სახელმწიფო ასრულებს. მოცემულ შემთხვევაშიც ადმინისტრაციული პროცესის ერთ-ერთი აუცილებელი მონაწილე თვით ადმინისტრაციული ორგანოა, ხოლო მისი ან დელეგირებული პირის მოქმედებებსა და გადაწყვეტილებებზე ქონებრივად პასუხისმგებელია სახელმწიფო. ეს წესი მოცემულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე და 209-ე მუხლებში, სადაც ზიანისათვის, რომელიც სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან სახელმწიფოსაგან თუ მისი ორგანოსაგან დელეგირებული კერძო პირისაგანაა გამოწვეული, პასუხისმგებლობას სახელმწიფო კისრულობს, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსი სახელმწიფო ორგანოებს იურიდიულ პირებად არ მიიჩნევს, არამედ ასეთად აღიარებულია მხოლოდ სახელმწიფო.

წარმომადგენლობასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლი ადგენს, რომ სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ წარმოებაში სასამართლოში თავის წარმომადგენლად

დადგენილი წესით დანიშნოს ის თანამდებობის პირი ან სახელმწიფო მოსამსახურე, რომელიც ამ ადმინისტრაციულ ორგანოში მსახურობს, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო უფლებამოსილია თავის წარმომადგენლად დანიშნოს ადვოკატი ან უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე სხვა პირი. ეს უკანასკნელი წესი მიუთითებს იმაზე, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია წარმომადგენლად ჰყავდეს ან თავისი თანამშრომელი (ორგანოს ხელმძღვანელი დანიშვნას არ საჭიროებს) ან კიდევ უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე სხვა პირი. არაიურიდიული განათლების მქონე არათანამშრომელი პირი მოცემულ შემთხვევაში წარმომადგენელი არ შეიძლება იყოს. ეს დებულება ერთგვარად ზღუდავს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 86-ე მუხლის მოთხოვნას, რომლითაც ყველას აქვს უფლება აწარმოოს ურთიერთობა ადმინისტრაციულ ორგანოსთან წარმომადგენლის მეშვეობით, აგრეთვე ისარგებლოს დამცველის დახმარებით. სასამართლოში ადმინისტრაციული დავების განხილვისას, როგორც ჩანს, ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელია მხოლოდ იურიდიული განათლების მქონე პირი ან ორგანოს თანამშრომელი, ხოლო ცალკე დამცველი ამ დროს მას არ ეყოლება. იურიდიული განათლების მქონე ნებისმიერი პირის გათანაბრება ადვოკატთან, ვფიქრობთ, არასწორია, მით უმეტეს, რომ დღეს ადვოკატის შესახებ კანონით ამ პროფესიის მოსაპოვებლად სპეციალური შემოწმების გავლაა საჭირო.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი მოითხოვს, რომ მესამე პირები, რომელთა ინტერესებსაც შეიძლება შეეხოს სასამართლოს გადაწყვეტილება, სასამართლომ შეიძლება ჩააბას საქმეში მთავარი სხდომის დამთავრებამდე, აცნობოს მათ ადმინისტრაციული პროცესის დაწყების შესახებ (მუხლი მე-16). მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი. თუ ამ დროს საქმეში მონაწილეობს 10-ზე მეტი პირი, მაშინ სასამართლო საქმეში ჩააბამს მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც ამის სურვილს გამოთქვამენ, მაგრამ არ შეიძლება არც ერთი არ იქნეს ჩაბმული საქმეში. საერთო გადაწყვეტილების გამოტანა აქ გულისხმობს ყველასათვის საერთო კონკრეტული უფლებებისა და მოვალეობების დადგენას გადაწყვეტილებით. მართალია, ეს ნორმა იმ-

პერატიულია, მაგრამ სამაგიეროდ სასამართლოს განჩინება მესამე პირად ჩაბმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ იმ პირის მიერ, რომელიც იძულებით იქნა ჩაბმული საქმეში. კიდევ მეტი, კოდექსი ასეთ მესამე პირს ანიჭებს მოსარჩელისა თუ მოპასუხის (იმისდა მიხედვით, თუ რომელ მხარეზეა მესამე პირი) ყველა უფლებას და აკისრებს მათ ყველა მოვალეობას. სხვა შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება შეეხოს, მაგრამ მთლიანად არ გადაწყვიტოს მესამე პირის კონკრეტული უფლებები და მოვალეობები, სასამართლოს განჩინება მესამე პირად პირის საქმეში ჩაბმის შესახებ არ გასაჩივრდება. სასამართლოს განჩინება საქმეში მესამე პირად პირის ჩაბმის შესახებ ყველა შემთხვევაში უნდა გაეგზავნოს მხარეებს და, რასაკვირველია, თვით მესამე პირებსაც. დასახელებული კომენტარების ერთ-ერთი ავტორი ჯ. რუსიაშვილი თვლის, რომ აღნიშნული გასაჩივრების უფლება მესამე პირს ენიჭება იმიტომ, რომ „მას უნდა გააჩნდეს საპროცესო მდგომარეობის შეცვლის შესაძლებლობა“¹, ე.ი. გადავიდეს მოპასუხიდან მოსარჩელის მხარეზე. მაგრამ ამას იგი განაზოცილებს განჩინების გასაჩივრების გარეშეც, ვინაიდან მისი განცხადება დამოუკიდებელი ინტერესის შეცვლის შესახებ სასამართლო სხდომაზე საკმარისია მესამე პირის მდგომარეობის შესაცვლელად (სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის მუხლი 88-ე).

როგორც აღვნიშნეთ, ადმინისტრაციულ პროცესში მტკიცების ტვირთი აკისრია ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც უნდა დაამტკიცოს ჭეშმარიტება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებში. ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულია, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის გაუქმების შესახებ სარჩელის წარდგენისას მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს, ე.ი. ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც ეს აქტი გამოსცა. განა სხვა შემთხვევაშიც (აქტის გამოცემის მოთხოვნისას, მოქმედების განზოციულების ან მისგან თავის შეკავების ან რაიმე უფლების არსებობა-არარსებობის დადგენის მოთხოვნისას) მტკიცების ტვირთი კვლავ იმ ორგანოს არ ეკისრება, რომლის კომპეტენციის საკითხსაც ეხება მომჩივანი. მე-17 მუხლის პირველი პუნქტი გამოხატავს შეჯობრებითობის პრინციპს ადმინისტრაციულ პროცესში, მაგრამ ამ პრინციპის აღიარება არ ნიშნავს მტკიცების ტვირთის დაკისრებას ორივე

¹ დასახ. კომენტარები, გვ 58.

მხარისათვის. მტკიცების ტვირთი ყველა შემთხვევაში ეკისრება მოპასუხეს, რომელიც თანასწორი უფლებით სარგებლობს მოსარჩელესთან ერთად სასამართლოში. როგორც ცნობილია, თუ მოპასუხე არ აყენებს შესაგებელს, არ კისრულობს შესაგებელს, მაშასადამე, იგი ცნობს სარჩელს და საკითხი წყდება, როგორც წესი, მომჩივნის სასარგებლოდ. მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში, როცა საკითხის განხილვა ამ დროს აუცილებელია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის შემთხვევაში, განხილვის გაგრძელებისას მტკიცების ტვირთი გადადის მოპასუხიდან ადმინისტრაციული საქმის განმხილველ ორგანოზე, ამ შემთხვევაში – სასამართლოზე. როგორც აღვნიშნეთ, ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულებების წარმოსადგენად, რაც მტკიცების ტვირთის მასზე გადასვლას ნიშნავს. ეს დებულება კვლავ გამეორებულია კოდექსის მე-19 მუხლში, რომ სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები. ამიტომ არასწორად მიგვაჩნია მოსაზრება იმის შესახებ, რომ მტკიცების ტვირთის დაკისრება ადმინისტრაციული ორგანოსათვის გამონაკლისია ასეთი აქტის გაუქმების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევისათვის¹. როგორც აღვნიშნეთ, მტკიცების ტვირთი ადმინისტრაციულ პროცესში ყველა შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს აკისრია, ვინაიდან ადმინისტრაციული პროცესი არის ადმინისტრაციული ორგანოს უფლება-მოვალეობების განსაზღვრის პროცესი, სადაც დომინირებს დამტკიცებაში სწორედ ადმინისტრაციული ორგანო.

ადმინისტრაციული პროცესის თავისებურება იმაშია, რომ იგი წარმოებს ადმინისტრაციული ორგანოების ფუნქციებისა და ამოცანების განხორციელების მიზნით, მათი კომპეტენციის სარეალიზაციოდ. ამიტომ ყველა სახელმწიფო ორგანო მოწოდებულია ხელი შეუწყოს სახელმწიფო ორგანოს თავისი კომპეტენციის განხორციელებაში. სწორედ ამ დებულებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლში აღნიშნულია სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს ვალდებულება, ხელი შეუწყოს სასამართლოს ინფორმაციის მოპოვებაში. ამ მუხლის თანახმად,

¹ დასახ. კომენტარები, გვ 60.

დასახელებული ორგანოები ვალდებულნი არიან სასამართლოს მოთხოვნით წარუდგინონ მას საქმის განხილვისა და გადაწყვეტისათვის აუცილებელი დოკუმენტები და სხვა ინფორმაცია. აღნიშნულ ორგანოებს შეუძლიათ უარი განაცხადონ სახელმწიფო, პროფესიული, კომერციული ან პირადი საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის წარდგენაზე, თუ ეს საფრთხეს შეუქმნის სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ან კერძო პირის კანონიერ ინტერესს (მუხლი 20, პუნქტი მე-2). ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია ღიაა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციული და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის გარდა. ამასთან სასამართლოს უფლება აქვს გამოითხოვოს და განიხილოს გასაიდუმლოებული საჯარო ინფორმაცია მისი მთლიანი ან ნაწილობრივი გასაიდუმლოების კანონიერების შესწავლის მიზნით (მუხლი 48-ე). ამრიგად, თუ სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო უარს აცხადებს ინფორმაციის სასამართლოსადმი მოწოდებაზე მისი საიდუმლოების გამო, მხოლოდ მხარის მოთხოვნით შეუძლია სასამართლოს შეამოწმოს ამ ინფორმაციის საიდუმლოების სისწორე, და ინფორმაციის წარდგენაზე უარის უკანონოდ ცნობის შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია მოსთხოვოს ეს ინფორმაცია აღნიშნულ ორგანოებს, ხოლო სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო ასეთ დროს ვალდებულია წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტი ან სხვა ინფორმაცია (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მუხლი 20-ის პუნქტი მე-3). ასეთი წესი, ვფიქრობთ, არ ზღუდავს სასამართლოს საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები, ვინაიდან თვითონ სასამართლო განსაზღვრავს უართქმული ინფორმაციის საიდუმლოების კანონიერებას, და თუ ეს უარი კანონიერია, მაშინ თვით სასამართლოსაც არ შეუძლია საიდუმლო დოკუმენტებით ისარგებლოს თავისივე ინიციატივით, რაც მისი უფლებამოსილების შეზღუდვას როდი ამტკიცებს, რაკი ყველას უფლებამოსილება იზღუდება – არ ისარგებლონ საიდუმლო ინფორმაციით.

ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში არაა ნორმა, თუ როგორი ფორმით უნდა დაიწეროს ადმინისტრაციული სარჩელი. რამდენადაც ადმინისტრაციული სარჩელი არის საჩივარი ადმინისტრაციული აქტისა

თუ ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედების უკანონობის შესახებ, ამდენად, ადმინისტრაციული სარჩელი უნდა აკმაყოფილებდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 181-ე მუხლის მოთხოვნებს ადმინისტრაციული საჩიურის შინაარსის შესახებ, მაგრამ, რადგანაც ადმინისტრაციული სარჩელი სასამართლო წარმოების აღმძვრელია, ამდენად, სარჩელი უნდა აკმაყოფილებდეს სასამართლო წარმოებისათვის აუცილებელ მოთხოვნებს. რამდენადაც ეს მოთხოვნები ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსში არაა მოცემული, ამდენად უნდა ვისარგებლოთ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით. კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე და 178-ე მუხლების თანახმად, ადმინისტრაციული სარჩელი უნდა იყოს წერილობითი ფორმის, მასში უნდა აღინიშნოს: საქმის განმხილველი სასამართლოს დასახელება, მოსარჩელის გვარი, სახელი და მისამართი, ხოლო თუ მოსარჩელე იურიდიული პირია – მისი სახელწოდება და მისამართი, წარმომადგენლის გვარი, სახელი და მისამართი, თუ ასეთი ჰყავს მოსარჩელეს, მოპასუხის – ადმინისტრაციული ორგანოს სახელწოდება და მისამართი, მოსარჩელის მოთხოვნა, გარემოებები, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს, მტკიცებულებანი, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს, სარჩელის ფასი, თუ მოსარჩელეს შეუძლია მისი განსაზღვრა, სარჩელზე დართული საბუთების ნუსხა, რომელთა შორისაც უნდა იყოს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც სარჩელს თან უნდა დაერთოს. სარჩელში შეიძლება აგრეთვე ჩაიწეროს მოთხოვნა, რომ სასამართლომ დაავალოს მოპასუხეს იმ მტკიცებულებათა წარმოდგენა, რომლებიც მასთან ინახება და რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის სასარჩელო მოთხოვნებს. სარჩელში ასევე შეიძლება აღინიშნოს მოთხოვნა, რომ სასამართლომ მოსთხოვოს შესაბამის დაწესებულებებს წარმოადგინონ ყველა შესაბამისი საბუთი და მასალა, ასევე მოთხოვნა დროულად შეატყობინოს და გამოიძახოს სასამართლო სხდომაზე შესაბამისი მოწმეები. მოსამართლე ვალდებულია სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში გამოიტანოს განჩინება ამ სარჩელის მიღების შესახებ. სარჩელი მიღებულად მიიჩნევა მისი მიღების შესახებ განჩინების გამოტანის დღიდან, ხოლო თუ აღნიშნულ 5 დღეში განჩინება არ იქნება გამოტანილი, მაშინ ამ მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს, რომ სარჩელის სასამართლო წარმოებაში მიღების შემდეგ მხარეთა შორის წამოჭრილი დავა არ შეიძლება სხვა სასამართლომ ან ორგანომ განიხილოს, მაგრამ

მხარეებს არ ერთმევათ უფლება, გაყიდონ ან სხვა გზით გაასხვიონ დავის საგანი, ანდა დათმონ თავიანთი მოთხოვნები. დავის საგნის შექმნის ან იმ პირს, ვისაც მოთხოვნა დაუთმეს, უფლება არა აქვთ მოწინააღმდეგე მხარის თანხმობის გარეშე ჩაებან პროცესში იმ მხარის ნაცვლად, რომელმაც გაასხვისა დავის საგანი ან დათმო მოთხოვნა. მათ შეუძლიათ ჩაებან პროცესში მესამე პირებად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე.

ადმინისტრაციულ სარჩელზე, რამდენადაც იგი მატერიალური ხასიათის დაგაა, გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული დებულებები რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნის გაერთიანების ან გამოყოფის, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, შეგებებული სარჩელის, სარჩელის უზრუნველყოფის საშუალებების, მისი გამოყენებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებისა და სხვათა შესახებ (იხ. მუხლები 177-199-ე).

ადმინისტრაციული სარჩელი სასამართლოში შეიძლება განხილულ იქნეს გამარტივებული ან დაჩქარებული საქმისწარმოების წესით. ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსის 27-ე მუხლის თანახმად, გამარტივებული საქმისწარმოება გულისხმობს მხარეთა წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ადმინისტრაციულ საქმის განხილვასა და გადაწყვეტას მხარეთა დაუსწრებლად სპეციალურ ლიტერატურაში სწორადაა ახსნილი ადმინისტრაციული სარჩელის გამარტივებული წარმოება, რომ იგი სრულებითაც არაა სამოქალაქო საპროცესო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მსგავსი, რომ ამ საპროცესო ფორმით საქმის განხილვა სასამართლოს უფლებაა, მაგრამ არ შეიძლება დავეთანხმოთ აზრს იმის შესახებ, რომ გამარტივებული წარმოება ყოველთვის მხარეთა თანხმობით შეიძლება, რომ თუ ერთი მხარე თანახმაა, ზოლო მეორე მხარე დუმს და არც ცხადდება პროცესზე, მაშინ თითქოს სასამართლოს უფლება არა აქვს გამარტივებული წესით განიხილოს საქმე¹. ასეთ დროს, როგორც სამართლიანად მიუთითებს თვით ავტორიც, გამოიყენება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26¹-ე მუხლის მეორე ნაწილი, და სასამართლო (მოსამართლე) უფლებამოსილია მხარის ხელმეორედ არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მის დაუსწრებლად გამოიტანოს გადაწყვეტილება, რაც მარტივი

¹ იხ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 80-81.

საქმისწარმოების გამოხატულებაა, როცა მეორე მხარე მაინც მოითხოვს საქმის განხილვას მხარეთა დაუსწრებლად. ჩვეულებრივ, სამართალში დუმილი თანხმობის ნიშანია, და როცა მხარე დუმს და თანაც არ ცხადდება პროცესზე არასაპატიო მიზეზით, მაშასადამე, იგი თანახმაა მის გარეშე განიხილონ საქმე. სამოქალაქო-საპროცესო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წესის გამოყენება მოცემულ შემთხვევაში დაუშვებელია, ვინაიდან თუ არც ერთი მხარე არ ცხადდება სამოქალაქო პროცესზე, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რაც ადმინისტრაციულ პროცესში დაუშვებელია. დაუსწრებელი გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ პროცესში გულისხმობს არა მხოლოდ რომელიმე მხარის თხოვნით მხარეთა დაუსწრებლად საქმის განხილვას, არამედ მხარეთა თხოვნის გარეშეც სასამართლოს (მოსამართლის) შეხედულებით მხარეთა არასაპატიო მიზეზით ხელმეორედ გამოუცხადებლობისას საქმის მათ დაუსწრებლად გადაწყვეტასაც. ეს ფაქტობრივად არც არის სამოქალაქო-საპროცესო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, რომელიც ყოველთვის მხარის დასჯის მიზნით როდი ტარდება, არამედ ძირითადად საქმის დაჩქარებულად განხილვისა და მხარის უფლება-მოვალეობის დროულად გადაწყვეტის მიზნით, რაც დემოკრატიულს ხდის სასამართლო პროცესს.

მარტივი საქმისწარმოება დასაშვებია სამოქალაქო პროცესში მხოლოდ დავალიანების გადახდევინების შესახებ საქმეთა განხილვისას. მისი თავისებურება იმაშია, რომ სასამართლო გამოიტანს ბრძანებას დავალიანების გადახდის შესახებ, რომელშიც მიუთითებს, რომ მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალი პროცენტებიანად და ხარჯებიანად ან 10 დღის ვადაში სასამართლოში შეიტანოს წერილობითი შესაგებელი (სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის მუხლი 306-ე). ადმინისტრაციული სარჩელი დავალიანების გადახდის შესახებ არ იწერება, არამედ იგი გამოხატავს დავას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით, ხოლო დავალიანების გადაუხდელობის გამო სარჩელი ყოველთვის სამოქალაქო პროცესულური ხასიათისაა და მისი განხილვა მარტივი წარმოების წესით ხდება. თუ მოპასუხე დროულად შეიტანს თავის შესაგებელს სასამართლოში, დავალიანების გადახდის შესახებ აღძრული მოთხოვნა განხილულ და გადაწყვეტილ უნდა იქნეს სასარჩელო წარმოების საერთო წესით. ადმინისტრაციულ ორგანოში როგორც

სასამართლოში, ისე ადმინისტრაციულ ორგანოში მარტივ წარმოებას, როგორც აღენიშნეთ, სულ სხვა ხასიათი აქვს და ძირითადად მხარეთა დაუსწრებლად საქმის განხილვას ნიშნავს.

(გამარტივებული ადმინისტრაციული საქმისწარმოების გარდა, სასამართლოში ნებადართულია დაჩქარებული ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ სარჩელზე. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის თანახმად, საქმის დაჩქარებული განხილვისათვის აუცილებელია, რომ ერთ-ერთმა მხარემ მოითხოვოს ეს, ხოლო სასამართლომ უნდა გამოიტანოს განჩინება (მიიღოს გადაწყვეტილება) საქმის დაჩქარებული განხილვის შესახებ, მაგრამ თუ მეორე მხარე წინააღმდეგაა ამისა, ბუნებრივია, სასამართლო ვერ გადაწყვეტს საქმეს დაჩქარებული საქმისწარმოების წესით, ვინაიდან მხარეები თანასწორნი არიან სასამართლოს წინაშე.) ამიტომ ერთ-ერთი მხარის თანხმობის ქვეშ აქ იგულისხმება მეორე მხარის თანხმობაც ან ღუმილი ამ საკითხზე. დაჩქარებული წარმოება მხარეებისათვის სასარგებლოა, ვინაიდან საკითხი სწრაფად წყდება სიმარტივის გამო. მაგრამ თუ დავა რთულ ხასიათს იღებს, დაჩქარებული წარმოება გამორიცხულ უნდა იქნეს. ამიტომ დაჩქარებული საქმისწარმოება არ გულისხმობს მხარის მიმართ შეზღუდვების გამოყენებასა და მის კომპენსირებას მოსამართლის აქტიურობის საფუძველზე. პირიქით, მოსამართლე აქ აქტიურია მხარის თხოვნით, მისი ინტერესების სასარგებლოდ, მხარის საწინააღმდეგო მიზნით ადმინისტრაციული პროცესი არ უნდა ჩატარდეს.

(ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილში ჩამოთვლილია, თუ რისი დაჩქარება შეუძლია სასამართლოს დაჩქარებული საქმისწარმოების დროს. კერძოდ, სასამართლო უფლებამოსილია შეამოკლოს მოპასუხის მიერ თავისი პასუხის (შესაგებლის) ან შეგებებული სარჩელის წარდენის ვადა, რაც მოპასუხის შესაძლებლობაზე მეტყველებს – მოკლე ვადაში წარმოადგინოს შესაგებელი ან შეგებებული სარჩელი, თუ ასეთი გააჩნია, გარდა ამისა, სასამართლოს შეუძლია არ განუსაზღვროს ვადა მესამე პირს სარჩელზე საკუთარი მოსაზრების წარდგენისათვის, რაც მაინც განისაზღვრება სასამართლოში საქმის გადაწყვეტის საერთო ვადით, რომლის დამთავრების შემდეგაც აზრი ეკარგება მესამე პირის მოსაზრებას სარჩელზე. დაჩქარებული წარმოების დროს სასამართლოს შეუძლია არ დაადგინოს მხარეების მიერ ექსპერტის დანიშვნასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების

წარდგენის ვადა, ასევე შეუძოკლოს მათ დრო ექსპერტის დასკვნასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების წარსადგენად. ადმინისტრაციულ პროცესში არაა მოცემული კონკრეტული ვადები მხარის მოსაზრების წარსადგენად ექსპერტის დანიშვნაზე. ასეთ ვადას მხარეს უნიშნავს სასამართლო, რომელიც თვითონვე ცვლის მას, ხოლო საექსპერტო დასკვნაზე მოსაზრება მხარემ უნდა წარადგინოს 3 დღეში (მუხლი მე-18). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 188-ე მუხლის თანახმად, მოპასუხეს უფლება აქვს მისთვის სარჩელის ასლის ჩაბარების დღიდან საქმის ზეპირი განხილვისათვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე აღძრას მოსარჩელის მიმართ შეგებებული სარჩელი პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად, ხოლო ამ ვადის გაშვების შემთხვევაში მოპასუხეს შეუძლია აღძრას შეგებებული სარჩელი სასამართლო პაექრობის დამთავრებამდე, თუ სასამართლო საპატიოდ მიიჩნევს ვადის გაშვებას. ეს წესი უნდა იყოს გამოყენებული ადმინისტრაციული სარჩელის განხილვის დროსაც, ამასთან, როგორც შეგებებული სარჩელის, ისე შესაგებელის მიმართ.

ადმინისტრაციული სარჩელის შეტანა აჩერებს გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტისა და გასაჩივრებული ნორმატიული აქტის საფუძველზე გამოტანილი ადმინისტრაციული აქტის მოქმედებას. ნორმატიული აქტის მოქმედების შეჩერება ან გაუქმება სასამართლოს მიერ დაუშვებელი უნდა იყოს, როგორც აღენიშნეთ, სასამართლოს მოქმედების არანორმატიული უფლებამოსილების გამო. (ადმინისტრაციული აქტის შეჩერებას მთელი რიგი შედეგები მოჰყვება, ამიტომ ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ეს საკითხი ზედმიწევნითაა მოწესრიგებული. კერძოდ, კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილში ჩამოთვლილია ის ადმინისტრაციული აქტები, რომელთა მოქმედების შეჩერება მხარის განსაკუთრებული მოთხოვნის გარეშე არ შეიძლება. ეს ის შემთხვევებია, როდესაც შეჩერება დაკავშირებულია სახელმწიფო ან ადგილობრივი გადასახადების, მოსაკრებლების ან სხვა გადასახდელების გადახდასთან, როცა შესაჩერებელი აქტი პოლიციის ორგანოს ადმინისტრაციული აქტია, გამოცემული საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე, როცა შესაჩერებელი აქტი გამოცემულია შესაბამისი კანონის საფუძველზე გამოცხადებული საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს, როცა შესაჩერებელი აქტის მიმართ ადმინისტრაციულ ორგანოს მიღებული აქვს დასაბუთებული გადაწყვეტილება მისი დაუყოვნებელი

აღსრულების შესახებ, თუკი მართლაც არსებობს გადაუდებელი აღსრულების აუცილებლობა, აგრეთვე, როცა ადმინისტრაციული აქტის შეჩერების შეუძლებლობა გათვალისწინებულია კანონით. აქ ჩამოთვლილი მნიშვნელოვანი შემთხვევების მიუხედავად, როცა გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერება დაუშვებელია, მხარეს მაინც აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს თხოვნით ამ შემთხვევის დროსაც შეაჩეროს ადმინისტრაციული აქტის მოქმედება, კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და გადაუდებელი აღსრულების მართლაც აუცილებელი შემთხვევების გარდა, რაც სათანადოდაა დასაბუთებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. ეს ორი უკანასკნელი შემთხვევა არ შეიძლება სასამართლოს მსჯელობის საკითხი გახდეს, ვინაიდან, თუ კანონში პირდაპირაა მითითებული შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის შეჩერების დაუშვებლობის შესახებ, სასამართლო კანონს ვერ გააუქმებს მის შესაჩერებლად, ხოლო მეორე შემთხვევაში, თუ სასამართლო მართლაც დასაბუთებულად ცნობს ადმინისტრაციული აქტის შეჩერების დაუშვებლობის შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებას, მას სასამართლო მაინც ვერ გააუქმებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნებოდა აღმასრულებელ ხელისუფლებაში ჩარევა და კორუფცია. ამასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 30-ე მუხლის 1-ლ ნაწილში მითითებულია, რომ სასამართლოს შეუძლია მხარის მოთხოვნით შეაჩეროს ადმინისტრაციული აქტის ან მისი ნაწილის მოქმედება ზემოთ აღნიშნულ აკრძალულ შემთხვევებშიც, თუ არსებობს „დასაბუთებული ეჭვი ადმინისტრაციული აქტის კანონიერების თაობაზე, ან თუ მისი გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებს მხარეს ან შეუძლებელს გახდის მისი კანონიერი უფლების ან ინტერესის დაცვას“. დასახელებული საფუძვლებიდან დავას იწვევს აქტის კანონიერების „დასაბუთებული ეჭვი“. თუ ეჭვი დასაბუთებულია, მაშასადამე, იგი ეჭვი აღარაა. ამიტომ ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა ვივარაუდოთ შესაჩერებელი ადმინისტრაციული აქტის უტყუარ უკანონობაზე, რაც, რასაკვირველია, იმის საფუძველს იძლევა, რომ სასამართლომ შეაჩეროს ასეთი ხასიათის (უკანონო) მოთხოვნა სახელმწიფო ან ადგილობრივი გადასახადების, მოსაკრებლების ან სხვა გადასახდელების გადახდის შესახებ, ან პოლიციის ორგანოს უკანონო ადმინისტრაციული აქტი, ან კიდევ საგანგებო თუ საომარი მდგომარეობის დროს გამოცემული აქტი. აღსრულების შეჩერების გაუქმების მეორე მომენ-

ტად დასახელებულ მუხლში მიჩნეულია აქტის შეჩერების შედეგად მხარისათვის არსებითი ზიანის მიყენება ან მისი კანონიერი უფლებისა თუ ინტერესის დაცვის შეუძლებლობა. არსებითი ზიანის კრიტერიუმად სპეციალურ ლიტერატურაში მიჩნეულია კერძო და საჯარო ინტერესების თანაფარდობის დარღვევა კერძო ინტერესების საზიანოდ, რაც სწორ კრიტერიუმს წარმოადგენს, ხოლო მხარის კანონიერი უფლებისა ან ინტერესების დაცვის შეუძლებლობაში იგულისხმება არა შესაჩერებელი აქტით განსაზღვრული უფლებები და ინტერესები, რომლების დაუცველობის გამოცაა შეტანილი სარჩელი, არამედ სულ სხვა, არაქონებრივი ხასიათის უფლებებისა ან ინტერესების დაცვის შეუძლებლობა¹. პირის*ამა თუ იმ უფლების დაცვა სხვა უფლების დარღვევის ხარჯზე არ უნდა ხდებოდეს. ნაკლები ბოროტების პრინციპი ადამიანის უფლებების დაცვაში მიუღებელია. ადამიანი დაცულ უნდა იქნეს ყოველგვარი ბოროტებისა და უფლების შელახვისაგან.

ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ მხარის შუამდგომლობა შეიძლება წარდგენილ იქნეს სარჩელის აღძვრამდეც, რომელიც სარჩელის უზრუნველყოფის საშუალებად შეიძლება იქნეს მიჩნეული, რამდენადაც სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებულია, რომ სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებაც, კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერებისაგან უარის თქმა, რაზედაც გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს 3 დღეში აქტის შეჩერების ვადის მითითებით. თუ ეს ვადა განჩინებაში მითითებული არ არის, იგი ძალას კარგავს მოცემულ საკითხზე სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისას, სარჩელზე ან ადმინისტრაციულ საჩივარზე, ე.ი. სასამართლოში სარჩელის შეტანამდე საჩივარზე უარის თქმის მომენტიდან, ადმინისტრაციული აქტის სასამართლოში გასაჩივრების ვადის გასვლის მომენტიდან. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ადგენს, რომ შეჩერებული ადმინისტრაციული აქტი თუ უკვე აღსრულებულია, სასამართლოს შეუძლია გააუქმოს ადმინისტრაციული აქტის აღსრულებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება (მუხლი 30-ის პუნქტი მე-7), რაც მეტად მნიშვნელოვანი დებულებაა, და გამობატავს სასამართლოს ზრუნვას ადამიანზე მაშინაც, როცა მისი საქმე სასამართლოს წარმოებაში არაა დაწყებული ან საერ-

¹ იხ. ვ. რუსიაშვილი, ი. ტაბუკაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 90-91.

თოდ არაა მასთან. ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებების არსებობისას, სასამართლო უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შეცვალოს ან გააუქმოს განჩინება ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ.) ეს გარემოებები შეეხება ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერებას, რომლის მოქმედებაც მისთვის სასურველი არაა და არ შეეხება შეჩერების გაუქმებას, რომელზედაც შუამდგომლობდა მხარე. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა საფუძველზე სასამართლოს შეუძლია არა მხოლოდ გააუქმოს განჩინება ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ, არამედ შეცვალოს ეს განჩინება. შეცვლა, ალბათ, შეეხება ვადის შეცვლას, ვინაიდან შეჩერების განჩინებით არსებითად არ წყდება რაიმე სადავო საკითხი.

(სასამართლოში შესაძლო ადმინისტრაციულ სარჩელებთან დაკავშირებით სასამართლო უფლებამოსილია მხარის თხოვნით გამოიტანოს განჩინება დროებითი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელების ან რაიმე მოქმედებისაგან თავის შეკავების შესახებ, ეს ღონისძიებები ადმინისტრაციული სარჩელის უზრუნველყოფის საშუალებებია. ამასთან, აღნიშნულ ღონისძიებებს თვითონ სასამართლო კი ასრულებს, მაგრამ გამოიტანს განჩინებას, რითაც ავალებს ადმინისტრაციულ ორგანოს გამოსცეს დროებითი ადმინისტრაციული აქტი ან შეასრულოს დარღვეული მოქმედება ან თავი შეიკავოს მისგან დავის საგნის უზრუნველსაყოფად სასამართლოში. ამიტომ არასწორია აზრი იმის შესახებ, რომ თითქოს დროებით ადმინისტრაციულ აქტს გამოსცემს სასამართლო¹. ადმინისტრაციულ აქტებს სასამართლო არ უნდა გამოსცემდეს, ვინაიდან იგი არაა ადმინისტრაციული ორგანო, რომლის პრეროგატივაა ასეთი აქტის გამოცემა, რაზედაც ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი. მხარის აღნიშნული შუამდგომლობა შეიძლება წარდგენილ იქნეს სარჩელის აღძვრამდეც. ასეთ შემთხვევაში სასამართლო განსაზღვრავს სასამართლოში თხოვნის წარდგენის ვადას, რომლის დაუცველობის შემთხვევაში დროებითი განჩინება გაუქმებულად ჩაითვლება. აღნიშნული შუამდგომლობა მხარემ სასამართლოში უნდა შეიტანოს სარჩელის სახით (მუხლი 31-ის პუნქტი მე-3).

ადმინისტრაციული სარჩელის განხილვის შედეგად სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება, რომელიც განსხვავებული სარჩელების დროს

¹ იხ. დასახ. კომენტარები, გვ. 97.

განსხვავებულია. ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე სარჩელთან დაკავშირებით სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის ან ძალაში დატოვების შესახებ. ბათილად ცნობის საფუძველად აქ მიჩნეულია ადმინისტრაციული აქტის კანონსაწინააღმდეგო ხასიათი. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლში (ნაწილი პირველი) ჩამოთვლილია სხვა შემთხვევებიც, როცა ადმინისტრაციული აქტი ბათილად უნდა გამოცხადდეს. ეს ის შემთხვევებია, როცა ადმინისტრაციული აქტი გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან ასეთი პირის მიერ, როცა მისი შესრულება გამოიწვევს დანაშაულს, როცა მისი შესრულება შეუძლებელია ფაქტობრივი მიზეზების გამო, როცა არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარების ერთ-ერთ ავტორს, კერძოდ, იური ტაბუცაძეს მიაჩნია, რომ თუ ადმინისტრაციული აქტის ძალაში შესვლისთანავე არსებობდა ზემოთ დასახელებული მე-60 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ერთ-ერთ პირობა და მისმა ამოქმედებამ გამოიწვია მოსარჩელის კანონიერი უფლების ან ინტერესისათვის ზიანის მიყენება ან უკანონოდ შეუზღუდა უფლება, სასამართლო ვალდებულია ბათილად ცნოს ადმინისტრაციული აქტი¹. ვფიქრობთ, ეს აზრი სწორია, ვინაიდან ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის პირობები ერთნაირი უნდა იყოს როგორც ადმინისტრაციულ ორგანოში, ისე სასამართლოში და მხოლოდ კანონსაწინააღმდეგო ხასიათის გამო მისი ბათილად გამოცხადება არასრულყოფილი აღმოჩნდება მოქალაქის უფლებების დასაცავად.

როცა ადმინისტრაციული აქტი აღსრულებულია სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე, მხარის შუამდგომლობით სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში მიუთითებს აღსრულების გაუქმების წესის შესახებ, რომელიც სავალდებულოა ადმინისტრაციული ორგანოსათვის. იმ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციული აქტი ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული, ვიდრე სასამართლო გამოიტანდეს გადაწყვეტილებას მის შესახებ, მაშინ მხარის კანონიერი ინტერესის არსებობისას და მისი მოთხოვნით სასამართლო ბათილად ცნობს ასეთ აქტს (მუხლი 32-ის პუნქტი მე-3). ამ შემთხვევაშიაც სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს

¹ ჯ. რუსიაშვილი, ი. ტაბუცაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 100.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის 1-ლი ნაწილით და თუკი დაადგენს აქტის ბათილად ცნობის რომელიმე პირობას, იგი ბათილად უნდა ცნოს. აქ მხოლოდ მხარის კანონიერი ინტერესი საკმარისი არაა, ვინაიდან მხარეს შეიძლება ჰქონდეს რაიმე ინტერესი, რომელიც კანონის საწინააღმდეგო არაა, მაგრამ არ არსებობდეს აქტის ბათილად გამოცხადების საფუძველი, რომლის დროსაც მისი ბათილად გამოცხადება დაუშვებელია. რაც შეეხება ნორმატიული ადმინისტრაციული აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადებას (მუხლი 32-ე, პუნქტი მე-3), ამის უფლება სასამართლოს არ უნდა ჰქონდეს იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, თუ რომელიმე პირის ინტერესები ირღვევა ნორმატიული აქტით, სხვისი ინტერესები შეიძლება დაცული იყოს ამ აქტით. ამიტომ ერთი პიროვნების (მოსარჩელის) მოთხოვნით მრავალრიცხოვანი სუბიექტებისათვის გამოცემული აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება აღმაშფოთებელი უკანონოაა, მეორეც, ნორმატიული აქტის ბათილად თუ ძალადაკარგულად გამოცხადება ხდება კვლავ ნორმატიული აქტის მეშვეობით, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთ გამოცხადებას ძალა არ აქვს (საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება რომელიმე კანონის ბათილად ცნობის შესახებ კანონის ტოლძალოვანი აქტია). (საერთოდ კი სასამართლოს ნორმატიული აქტის გამოცემის უფლება არა აქვს.) მესამეც, (სასამართლოს მიერ ნორმატიული ადმინისტრაციული აქტის (მაგალითად, სამინისტროს დებულების) ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება ნიშნავს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს პარალიზებას, მის გაუქმებას, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანოები თავიანთ ფუნქციებს სწორედ ნორმატიული აქტების გამოცემით ახორციელებენ.) სასამართლოს არ უნდა ჰქონდეს უფლება ჩაერიოს აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემაში და განახორციელოს მისი ფუნქციები. ეს იქნებოდა ხელისუფლების უზურპაცია სასამართლოს მიერ და, საბოლოო ჯამში, როგორც შარლ მონტესკიე იტყოდა, სასამართლო ტირანიის დამყარებაა ქვეყანაში, რაც დაუშვებელია.

რაც შეეხება ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-5 ნაწილის დებულებას იმის შესახებ, რომ თუ ნორმატიული ადმინისტრაციული აქტის ბათილად გამოცხადება მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ან გამოიწვევს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის

(მმართველობის) ხარჯების მნიშვნელოვან გაზრდას, სასამართლო უფლებამოსილია ნორმატიული ადმინისტრაციული აქტი, ბათილად ცნობის ნაცვლად, გამოაცხადოს ძალადაკარგულად — ეს დებულება არ შეესაბამება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს, რომლითაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც კანონის შესაბამისადაა გამოცემული, ძალადაკარგულად შეიძლება გამოცხადდეს მაშინ, თუ გაუქმდა ან შეიცვალა შესაბამისი ნორმატიული აქტი, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი აქტი და მისმა მოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს. სხვა შემთხვევაში ნორმატიული აქტის ბათილად გამოცხადების ნაცვლად, ძალადაკარგულად გამოცხადება არ შეიძლება. ამიტომ ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსის აღნიშნული 32-ე მუხლის მე-5 პუნქტის ეს დებულებაც არასწორია და, საერთოდ, როგორც აღვნიშნეთ, სასამართლოს მიერ ნორმატიული ადმინისტრაციული აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება არასწორია, რის გამოც ეს მუხლი უნდა შეიცვალოს, რაზედაც გამახვილდა ყურადღება 2000 წელს თბილისში შერატონ-მეტეხ-პალასში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც მიემდგვნა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსის მოქმედების შედეგებს საქართველოში.

თუ ნორმატიული ადმინისტრაციული აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება სასამართლოს მიერ არასწორია, სამაგიეროდ, სავსებით სწორი და გამართლებულია სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა და ადმინისტრაციული ორგანოსათვის დავალების მიცემა — გამოსცეს ახალი ადმინისტრაციული აქტი, როცა იგი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, ვინაიდან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული აქტი უნდა იყოს დასაბუთებული და თავისი გადაწყვეტილება ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც მის მიერ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს (მუხლი 53-ის პუნქტი მე-5). ამიტომ სასამართლომ უნდა დაავალოს ასეთ დროს ადმინისტრაციულ ორგანოს გამოსცეს ახალი ადმინის-

ტრაციული აქტი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დაცვით, კერძოდ, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევისა და მათი შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე (მუხლი 96-ის პუნქტი 1-ლი).

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ ადმინისტრაციული აქტის გამოცემაზე უარი კანონსაწინააღმდეგო ან დარღვეულია მისი გამოცემის ვადა, სასამართლო ადმინისტრაციული სარჩელის საფუძველზე გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი. მხარის მოთხოვნით სასამართლო ადგენს ასეთი აქტის გამოცემის ვადას. კოდექსში ეს წესი შეეხება ნორმატიულ ადმინისტრაციულ აქტსაც (ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, ანუ ნორმატიულსა და ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ აქტებს), რაც, როგორც აღვნიშნეთ, არასწორია აღმასრულებელ ხელისუფლებაში სასამართლო ხელისუფლების უკანონო ჩარევის გამო. საერთოდ, ვინმეს მოთხოვნით ნორმატიული აქტის გამოცემა ჩვენს კანონმდებლობაში გათვალისწინებული არაა, ამიტომ აღნიშნული დებულება, როგორც სამართლიანადაა მითითებული სპეციალურ ლიტერატურაში, რედაქციული შეცდომის შედეგია, რამდენადაც ამ მუხლის სათაურს ეწოდება ადმინისტრაციული აქტის გამოცემის თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილება. რაც შეეხება დასახელებული მუხლის მეორე ნაწილს, იგი მიუღებელია, ვინაიდან აწესებს სასამართლოს უფლებამოსილებას, თვითონ გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი, თუ მისი გამოცემა არ საჭიროებს საქმის გარემოებათა დამატებით გამოკვლევას და საკითხი არ მიეკუთვნება ადმინისტრაციულ ორგანოს დისკრეციულ (ალტერნატიულ) უფლებამოსილებას. არათუ დამატებითი გამოკვლევის საჭიროებისა და ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების დროს, არამედ ნებისმიერ შემთხვევაშიც არ უნდა ჰქონდეს უფლება სასამართლოს გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი ადმინისტრაციული ორგანოს ნაცვლად. მაშინ საჭირო აღარ იქნება თვით ადმინისტრაციული ორგანო, რაც სასამართლო ხელისუფლების მიერ ქვეყანაში ხელისუფლების უზურპაციის გამომხატველია, რაზედაც ასევე გამახვილდა ყურადღება თბილისში 2000 წლის გაზაფხულზე ჩატარებულ ზემოთ აღნიშნულ საერთაშორისო კონფერენციაზე.

§2. სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვის თავისებურება

როგორც აღვნიშნეთ, არსებობს ადმინისტრაციული წარმოების მრავალი სახე, როგორცაა: მოქალაქეთა განცხადებებისა და წინადადებების წარმოება, ადმინისტრაციული დავის საქმეთა წარმოება, ადმინისტრაციული საჩივრების წარმოება, წახალისების საქმეთა წარმოება, მოსამსახურეთა დაკომპლექტების საქმეთა წარმოება, ადმინისტრაციული გადაცდომის საქმეთა წარმოება და სხვა. დასახელებული საქმეებიდან სასამართლოში ადგილი აქვს ადმინისტრაციული დავების, ადმინისტრაციული საჩივრებისა და ადმინისტრაციული გადაცდომების საქმეთა წარმოებას. სხვა კატეგორიის საქმეებზე ადმინისტრაციული წარმოება ხორციელდება მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოებში, ხოლო სასამართლოში ამ უკანასკნელ კატეგორიის საქმეებზე შეიძლება შევიდეს ადმინისტრაციული საჩივრები, რამდენადაც სასამართლოში გასაჩივრება კანონიერების დაცვის უნივერსალურ პრინციპადაა მიჩნეული ჩვენი კონსტიტუციის მიერ (მუხლი 42-ე).

მართალია, სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვა ადმინისტრაციულ-პროცესუალური ნორმებით წარმოებს და ეს შეეხება ყველა კატეგორიის ადმინისტრაციულ საქმეს, მაგრამ ადმინისტრაციული სასამართლო სამართალწარმოება¹ მოწესრიგებულია სხვადასხვა კანონით. ეს არის პირველ რიგში 1999 წლის 23 ივლისის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი.

აღსანიშნავია, რომ 1999 წლის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი არის ადმინისტრაციულ დავათა სასამართლოში განხილვისა და გადაწყვეტის მომწესრიგებელი, ამიტომ მისი მიღების შედეგად სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 44-ე თავი ამოღებულ იქნა, ვინაიდან ისინი ერთმანეთს იმეორებდნენ. ამასთან, დასახელებულ ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსს უნდა ეწოდოს ადმინისტრაციული სასამართლო საპროცესო კოდექსი, რამდენადაც იგი არ აწესრიგებს ადმინის-

¹ აღსანიშნავია, რომ სასამართლოში „სამართალწარმოებას“ არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს, არამედ აქ არის საქმეთა წარმოება, რომელიც სამი სახისაა (სამოქალაქო, ადმინისტრაციული, სისხლისსამართლებრივი). სამართალწარმოება გულისხმობს სამართალშემოქმედებას, რასაც პარლამენტი, პრეზიდენტი და მმართველობის ორგანოები ახორციელებენ.

ტრაციულ ორგანოებში ადმინისტრაციულ საქმეთა წარმოებას; ამასთან, ვინაიდან, ეს უკანასკნელი აწესრიგებს ადმინისტრაციული დაკების სასამართლო განხილვასა და გადაწყვეტას, ამდენად, იგი საკმარისი არაა ადმინისტრაციული გადაცდომის საქმეთა წარმოებისათვის სასამართლოში, რისთვისაც სასამართლოები იყენებენ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსს ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსთან ერთად. ამ უკანასკნელის გამოყენება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეთა განსახილველად სასამართლოში საჭიროა იმიტომ, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსი არასრულყოფილად აწესრიგებს სასამართლოში პირველი ინსტანციით ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვას და არ ითვალისწინებს არც აპელაციასა და არც კასაციას ამ კატეგორიის საქმეებზე. იმიტომ სასამართლო ქვემდებარეობის საკითხები, გამარტივებული და დაჩქარებული ადმინისტრაციული სასამართლო წარმოება, სააპელაციო და საკასაციო წარმოება და სხვა საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ადმინისტრაციული გადაცდომის საქმეთა სასამართლო განხილვასთან, უნდა იყოს მოწესრიგებული სწორედ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით, ხოლო ადმინისტრაციული გადაცდომის საქმეებზე სასამართლოში მტკიცებულებების გამოყენება, მათი შეფასება, წარმოების ვადები, ადმინისტრაციული დაკავების, ნიეთების გასინჯვის, ღოკუმენტების ჩამორთმევისა და სხვა საკითხები უნდა მოწესრიგდეს სწორედ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 298-ე მუხლის მეორე ნაწილში ჩაწერილია, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების წესი სასამართლოში განისაზღვრება აღნიშნული კოდექსითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით, მაშასადამე, ადმინისტრაციული სახდელების გამოყენების გამო საქმეთა წარმოების საფუძველი სასამართლოში არის ორივე კოდექსი – როგორც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა, ისე ადმინისტრაციულ-საპროცესო, რამდენადაც ზოგიერთი დებულება ამ კოდექსებში სხვადასხვაგვარად განმარტავს ადმინისტრაციულ-საპროცესო მოქმედებებს. ჩვენ შევეცდებით ავხსნათ ეს განსხვავებები, რათა ნორმათა კოლიზიის ნიშნები გამორიცხულ იქნეს.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 302-ე მუხლის მესამე პუნქტში მითითებულია, რომ მტკიცების ტვირთი ადმინისტრაციული

სამართალდარღვევის საქმეზე აკისრია ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების გამოძიებანი ორგანოს (თანამდებობის პირს), ხოლო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულია, რომ თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის გაუქმების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს. აქ როგორც ვხედავთ, ორ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. პირველ შემთხვევაში ლაპარაკია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე, ხოლო მეორე შემთხვევაში კი – განხილულ საქმეზე გამოტანილი ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის სასამართლოში გასაჩივრებაზე. საქმის განხილვისას მტკიცების ტვირთი ადმინისტრაციული სახდელის დამკისრებელ ორგანოს (თანამდებობის პირს) ეკისრება, ხოლო ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ დადგენილების გასაჩივრებისას სასამართლოში მტკიცების ტვირთი კვლავ სახელმწიფო ორგანოს (თანამდებობის პირს) ეკისრება, რომელმაც სახდელი დააკისრა დამრღვევს, ვინაიდან ამ შემთხვევაში მოპასუხე სწორედ აღნიშნული ორგანოა. მაგრამ თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე თავდაპირველად განიხილება სასამართლოს მიერ (წერილმანი ხულიგნობა, პოლიციელისადმი დაუმორჩილებლობა და სხვა საქმეები), მაშინ მტკიცების ტვირთი სასამართლოს დაეკისრება, ვინაიდან ის იქნება სწორედ ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების გამოძიანი. ასევეა სააპელაციო და საკასაციო გასაჩივრების დროსაც, მიუხედავად იმისა, რომ რაიონის (ქალაქის) სასამართლო მოპასუხე არაა მის მიერ გადაწყვეტილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე. ეს გამოწვევისი გამოწვეულია იმით, რომ საქმის შინაარსი არის არა ადმინისტრაციული დავა, არამედ ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და პასუხისმგებლობის დაკისრება.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 336-ე მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოტანილი ადმინისტრაციული აქტის გაუქმებისა და შეცვლის წესს, ხოლო ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლით გათვალისწინებულია სასამართლოს გადაწყვეტილებით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების წესი. ეს ორი წესი შეეხება ორ სხვადასხვა მომენტს. პირველ შემთხვევაში საკითხი ეხება სამართალდარღვევის საქმეზე გამოტანილი დადგენილების

გაუქმებას ან შეცვლას თვით საქმის განმხილველი ორგანოს ან ზემდგომი (თუ სასამართლო) ორგანოს მიერ, მეორე შემთხვევაში კი – მხოლოდ სასამართლოს მიერ გაუქმებას ადმინისტრაციული საჩივრის (ან სარჩელის) შეტანის შედეგად. რამდენადაც ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ადმინისტრაციული აქტის გაუქმებასთან თუ ბათილად ცნობასთან, საჭიროა დეტალურად განვიხილოთ ეს საკითხი.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლი ადგენს, რომ თუ ადმინისტრაციული აქტი კანონსაწინააღმდეგოა, სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის შესახებ. თუ ადმინისტრაციული აქტი აღსრულებული იყო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე, სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებს, მხარის შუამდგომლობით, აღსრულების გაუქმების წესის შესახებ. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნოს ადმინისტრაციული აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ადმინისტრაციული აქტი, ამასთან, სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი. სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია მხარის კანონიერი ინტერესების არსებობისას და მისი მოთხოვნით ბათილად ცნოს ეს ადმინისტრაციული აქტი. გასაგებია, რომ ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა და ძალადაკარგულად გამოცხადება განსხვავდება ერთმანეთისაგან. როგორც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის მე-7 პუნქტშია ჩაწერილი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადება ნიშნავს მისი ძალაში შესვლიდან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას, ხოლო ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მე-6 პუნქტით, აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება ნიშნავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტას მისი ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან, მაშასადამე, ბათილად გამოცხადება აუქმებს არა მხოლოდ აქტის უკანონოდ ცნობიდან მომხდარ შედეგს, არამედ მანამდე მომხდარ ურთიერთობებსაც.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 336-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოტანილი ადმინისტრაციული აქტი შეიძლება გაუქმდეს ან შეიცვალოს შემდეგი საფუძვლების არსებობისას: თუ ადმინისტრაციული აქტი მიღებულია კანონის დარღვევით ან მისი გვერდის ავლით, თუ იგი მიღებულია არაკომპეტენტური ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ, თუ ადმინისტრაციულ აქტში აღნიშნული დასკვნები შეუსაბამოა საქმის გარემოებებთან, თუ ადმინისტრაციული აქტი მიღებულია ისეთ საქმეზე, რომელზედაც გამოტანილია სხვა უფლებამოსილი ორგანოს ან თანამდებობის პირის საბოლოო გადაწყვეტილება, თუ ადმინისტრაციული აქტი მიღებულია იმ პირის მიმართ, რომელიც საქმეში მხარეს არ წარმოადგენს, როცა შეუძლებელია აღსრულდეს ადმინისტრაციული აქტი ან როცა მისი აღსრულება დანაშაულს ან სხვა არამართლზომიერ ქმედებას წარმოადგენს, თუ საქმეზე აღმოჩნდა ახალი გარემოებები, რომელიც უცნობი იყო ან არ შეიძლებოდა ცნობილი ყოფილიყო საქმის განხილვისას და რაც საქმეზე არსებით გავლენას ახდენს, თუ ყალბია ის მტკიცებულება, რაც საფუძველი გახდა ადმინისტრაციული აქტის მისაღებად, თუ გაუქმდა კოდექსის მუხლი ან კანონი, რომელთა საფუძველზეც მიღებულ იქნა ადმინისტრაციული აქტი, თუ ბოროტად გამოიყენა თანამდებობის პირმა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა აქტის გამოტანისას, თუ არასწორად იქნა შეფარდებული მატერიალური ნორმა ან გამოყენებულ იქნა ანალოგია, თუ არასწორად იქნა გამოყენებული ადმინისტრაციულ-პროცესუალური ნორმები, რამაც გამოიწვია არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა. კოდექსი მიუთითებს, რომ არ შეიძლება არსებითად სწორი ადმინისტრაციული აქტის გაუქმება მხოლოდ ფორმალური მოსაზრების გამო (აქტის ფორმის დაუცველობა, არასწორი რეგისტრაცია და სხვა). ადმინისტრაციული აქტის გაუქმება ან შეცვლა ხდება სპეციალური ახალი ადმინისტრაციული აქტის მიღების გზით, რაც ეცნობება აღმასრულებელ ორგანოსა და მხარეს. მაშასადამე, გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტის გაუქმების ან შეცვლის შესახებ წარმოადგენს ახალ ადმინისტრაციულ აქტს მოცემულ საქმეზე, ვიდრე იგი არ გაუქმებულია ან შეცვლილია.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ეს დებულება არსებითად არ ეწინააღმდეგება ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსის დასახელებულ 32-ე მუხლს. პირიქით, ადმინისტრაციულ სამარ-

თაღდარღვევათა კოდექსი უფრო სრულყოფილად აწესრიგებს ადმინისტრაციული აქტის გაუქმების წესს, ამასთან, კოდექსში იგულისხმება აქტის არა მხოლოდ შეწყვეტა, არამედ იმ შედეგების გაუქმებაც, რომელთაც ადგილი ჰქონდა აქტის გამოცემაღდე, ე.ი. ფაქტობრივად ადმინისტრაციულ სამართაღდარღვევათა კოდექსიც აწესებს ადმინისტრაციული აქტის ბათილობას.

რაც შეეხება ადმინისტრაციული ნორმატიული აქტის გაუქმებას, იგი დასაშვებია მხოლოდ რესპუბლიკური ქალაქების საკრებულოებისა და მერიების მიერ გამოცემული აქტების მიმართ. კერძოდ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-ნ მუხლი ადგენს, რომ საოლქო სასამართლოები პირველი ინსტანციის წესით განიხილავენ სარჩელს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციული აქტების კანონიერების თაობაზე, საქართველოს სამთავრობო დაწესებულებების, პრეზიდენტის გამგებლობაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების, სხვა უმაღლესი სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელის, აგრეთვე მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციული აქტების კანონიერების თაობაზე, ქალაქების – თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, სოხუმის, ბათუმისა და ფოთის საკრებულოებისა და მერიების (მერების) მიერ მიღებული (და გამოცემული) ნორმატიულ-ადმინისტრაციული აქტების კანონიერების თაობაზე, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი სასამართლოები პირველი ინსტანციის წესით განიხილავენ სარჩელებს ამ ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების თაობაზე.

ამრიგად, მოქმედი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისა და ადმინისტრაციულ-საპროცესო კანონმდებლობა სამოქალაქო-საპროცესო კანონმდებლობასთან ერთად ავსებს ადმინისტრაციულ საქმეთა სასამართლოში განხილვის, გასაჩივრებისა და გადაწყვეტის წესს.

საინტერესოა საკითხი ადმინისტრაციულ საქმეებზე სააპელაციო და საკასაციო გასაჩივრების შესახებ¹. როგორც ცნობილია, საქართველოში ადმინისტრაციული სასამართლოები არ არსებობენ, ამიტომ ადმინისტრაციულ საჩივრებს განიხილავენ ზემდგომი თანამდებობის პირები, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავენ და გადაწყვეტს გასა-

¹ იხ. ამის შესახებ უფრო დაწერილებით მომღღენო X თავში

ჩივრებული აქტის გამოძეგმი ადმინისტრაციული ორგანო, რომელმაც საჩივრის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში უნდა დაასაბუთოს თავისი უარი და მიუთითოს მომჩივანს ხელახალი გასაჩივრების ორგანო, მისი მისამართი და საჩივრის წარდგენის ვადა (მუხლი 202-ე), ხოლო ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტი გასაჩივრდება ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში (მუხლი 178-ის პუნქტი მე-2), რომელმაც ასევე უნდა მიუთითოს მომჩივანს ხელახალი გასაჩივრების ორგანო. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ არსებობს ამ ორგანოს ან ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება იმავე საკითხზე (მუხლი 182-ის პუნქტის 1-ლი „გ“ ქვეპუნქტი). მაშასადამე, ადმინისტრაციული ორგანო არ წყვეტს საკითხს ადმინისტრაციულ საჩივარზე გამოტანილი გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შესახებ, რაც მომჩივნის უფლებამოსილებაა და ამის შესახებ უნდა მიუთითოს ადმინისტრაციულმა ორგანომ თავის გადაწყვეტილებაში ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის გამო (იგივე მუხლი 202-ე). რაც შეეხება სასამართლოში მომჩივნის მიერ ადმინისტრაციული საჩივრის შეტანას, იგი წესრიგდება ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსით, რომელიც აწესებს, რომ საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც მოწესრიგებულია ადმინისტრაციული კანონმდებლობით (ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსის მუხლი 2-ის პუნქტი 1-ლი). მაშასადამე, ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსით სასამართლო გასაჩივრება შეიძლება ისეთი ადმინისტრაციული დავისა, რომელსაც მატერიალური ღირებულების გამოხატულება აქვს. ამაზე მეტყველებს ამ კოდექსის 34-ე მუხლი, რომელიც აწესებს, რომ სააპელაციო და საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში დასაშვებია სარჩელის ფასის მიუხედავად, და ამ შემთხვევაში არ გამოიყენება სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის ის მუხლები, რომლებიც ადგენენ სააპელაციო გასაჩივრებისათვის დავის საგნის ღირებულებას არანაკლებ 500 ლარის და საკასაციო გასაჩივრებისათვის დავის საგნის ღირებულებას არანაკლებ 1000 ლარისა (სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის მუხლი 365-ე და მუხლი 391-ე). ასევე სასამართლოში შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციული აქტი, რომელიც წარმოდგენილია ნებისმიერი დადგენილების, გადაწყვეტილების ან სხვა მსგავსი დოკუმენტის

სახით, რომელიც მიღებულია ამა თუ იმ ორგანოს მიერ საჯარო-სამართლებრივ სფეროში რომელიმე კონკრეტული შემთხვევის მოსაწეს-რიგებლად. მაშასადამე, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკ-ისრების შესახებ აქტის გასაჩივრება ამ წესით არ შეიძლება, ვინაიდან ადმინისტრაციული სახელის დაკისრების შესახებ გამოტანილი აქტი მოქალაქის რაიმე უფლების სფეროში წარმოშობილ ურთიერთობას კი არ აწესრიგებს, არამედ მას აკისრებს ახალ ვალდებულებას პასუხი აგოს. სხვაგვარად ჩვენ მივიდოდით იმ დასკვნამდე, რომ თითქოს ადმინ-ისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა პირის უფლებაა, ხოლო სახელმწიფო მას განუსაზღვრავს ვალდებულებას ამ უფლების სხვაგვარ-ად გამოყენების გამო, რაც არასწორია.

ცხადია, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსი და სამოქალაქო-საპროცესო კოდექსი არ აწეს-რიგებენ ადმინისტრაციული სახელის გასაჩივრების საკითხებს, და მით უფრო ადმინისტრაციულ სააპელაციო და საკასაციო გასაჩივრებას ასეთ საქმეებზე. ეს საკითხი მოწესრიგებულია ადმინისტრაციული სა-მართალდარღვევის კოდექსის 23-ე თავით, რომელიც შეეხება ადმინის-ტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრებას. ამ კოდექსის 339-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციუ-ლი სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრე-ბა შეიძლება ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) ან რაიონის (ქალაქის) სასამართლოში, ხოლო სასამართლოს (მოსამართლის) დად-გენილება — ზემდგომ სასამართლოში. აქ იგულისხმება გასაჩივრების ორი შემთხვევა: ერთი, როდესაც ადმინისტრაციული სამართალდარღვე-ვის საქმე განიხილება ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ, და რომლის დროსაც გამოტანილი დადგენილება შეიძლება გასა-ჩივრდეს ზემდგომ ორგანოში ან სასამართლოში, მეორე შემთხვევა როდესაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება იმთავითვე სასამართლოს მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამ კოდექსის 284-ე მუხლის თანახმად და რომლის დროსაც გამოტანილი სასამართლოს დადგენილება გასაჩივრდება ზემდგომ სასამართლოში სააპელაციო და შემდეგ საკასაციო გასაჩივრების წესით, როგორც ამას ადგენს ამავე კოდექსის 346-ე მუხლი. გამოდის, რომ იმ ადმინის-ტრაციული სამართალდარღვევების საქმეებზე, რომელიც განიხილა ად-მინისტრაციულმა ორგანომ გასაჩივრების ბოლო ინსტანციამ რაიონის

(ქალაქის) სასამართლო, ზოლო იმ საქმეებზე, რომლებიც განიხილა თვით რაიონის (ქალაქის) სასამართლომ, გასაჩივრების ზემდგომი სასამართლო ინსტანციები (სააპელაციო და საკასაციო გასაჩივრება) ნებადართულია. გასაჩივრების ასეთი წესი აშკარად არადემოკრატიულია, ვინაიდან ღიფერენციაცია შეაქვს ცალკეულ სამართალდამრღვევთა მეტნაკლები იურიდიული უფლებების სახით. მაგრამ საქართველოში ადმინისტრაციული სასამართლოების არარსებობის გამო სხვა გამოსავალი არ არის საერთო სასამართლოების მიერ ამ სფეროში ადმინისტრაციული მართლწესრიგის დამყარების საქმეში. თუ ჩვენ დაუშვებდით ყველა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე სააპელაციო და საკასაციო გასაჩივრების უფლებას, მაშინ ამ საქმეებს ვერ გადაწყვეტდა(ვერ აუვიდოდა) ჩვენი თბილისისა და ქუთაისის საოლქო და აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი სასამართლოების სააპელაციო ინსტანციები და ერთადერთი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა საკასაციო პალატა. ამიტომ კანონმდებლობა თვლის, რომ ამჟამად, ამ ეტაპზე ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელების გასაჩივრების ბოლო ინსტანციაა რაიონის (ქალაქის) სასამართლოები და ამ შემთხვევაში სააპელაციო და საკასაციო გასაჩივრება გამორიცხულია, ზოლო თვით სასამართლოების მიერ დაკისრებულ ადმინისტრაციულ სახდელებზე ნებადართულია სააპელაციო და საკასაციო გასაჩივრება.

მმართველობის სფეროში არსებობს კანონიერების დაცვის მრავალი საშუალება, რომელთა გამოყენებაც საშუალებას იძლევა აღიკვეთოს უკანონო მოქმედებები, რის გამოც კანონმდებელი არამიზანშეწონილად მიიჩნევს ამ ეტაპზე ადმინისტრაციულ ორგანოთა მიერ გამოტანილი ადმინისტრაციული სახდელების სააპელაციო და საკასაციო სასამართლო გასაჩივრებას.

**სააპელაციო და საკასაციო საქმისწარმოება
ადმინისტრაციული ღვაწლის საქმეებზე**

**§1. სააპელაციო წარმოება ადმინისტრაციული ღვაწლის
საქმეებზე**

აპელაცია ნიშნავს უფროსის მოქმედების აპელირებას მისი უფროსის წინაშე. ამიტომ აპელაცია, პირველ რიგში, თანამდებობის პირის მოქმედების გასაჩივრება და დამახასიათებელია სახელმწიფო მმართველობისათვის. სასამართლოში ამ ცნებას სულ სხვა დატვირთვა აქვს და დაკავშირებულია ერთხელ განხილული საქმის ხელახლა არსებით განხილვასთან სხვა, ზემდგომი სასამართლოს მიერ, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლში მითითებულია, რომ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილება მხარეებმა და მესამე პირებმა შეიძლება კანონით დადგენილ ვადებში გაასაჩივრონ საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატაში ან ავტონომიურ რესპუბლიკებში მათი უმაღლესი სასამართლოების შესაბამის კომისიებში.

ადმინისტრაციულ საქმეებზე სააპელაციო და საკასაციო წარმოება ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით მოწესრიგებული არაა. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ ადმინისტრაციული ღვაწლის სააპელაციო და საკასაციო წარმოება ხორციელდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პროექტის 298-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების წესი იმ ორგანოებში (თანამდებობის პირთა მიერ), რომლებიც უფლებამოსილი არიან განიხილონ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები, განისაზღვრება აღნიშნული კოდექსითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით. სხვა საკანონმდებლო აქტებში აქ იგულისხმება როგორც ზოგადი ადმინისტრაციული და ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსები, ისე სამოქალაქო საპროცესო და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები. ეს გამოწვეულია იმით, რომ დღეს საქართველოში მთლიანად არა გვაქვს კოდიფიცირებული ადმინისტრაციული პროცესუალური კანონმდებლობა, ხოლო სააპელაციო და საკასა-

ციო წარმოება ადმინისტრაციულ საქმეებზე არაა სპეციალურად მოწესრიგებული.

ადმინისტრაციულ დავებზე სააპელაციო და საკასაციო საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს დავის საგნის ღირებულების მიუხედავად. სააპელაციო და საკასაციო საჩივრები უნდა იყოს შედგენილი წერილობითი ფორმით. სააპელაციო საჩივარი შეიტანება იმ სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა სააპელაციო წესით გასაჩივრებული გადაწყვეტილება. რამდენადაც სააპელაციო გასაჩივრების დროს საქმე ხელახლა უნდა იქნეს არსებითად განხილული, ამდენად, სააპელაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს: 1. იმ სასამართლოს დასახელებას, რომლის სახელზედაც არის შედგენილი საჩივარი; 2. იმ პირის დასახელებას და მისამართს, რომელსაც შეაქვს საჩივარი; 3. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტ დასახელებასა და მითითებას ამ გადაწყვეტილების გამოშტან სასამართლოზე; 4. მითითებას იმის თაობაზე, გადაწყვეტილება მთლიანადაა თუ რა ნაწილშია გასაჩივრებული; 5. მითითებას, თუ რაში მდგომარეობს გადაწყვეტილების უსწორობა და კონკრეტულად რას მოითხოვს სააპელაციო საჩივრის შეტანი პირი; 6. მონაცემებს გარემოებებზე, რომლებიც ასაბუთებენ სააპელაციო საჩივარსა და იმ მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს; 7. სააპელაციო საჩივარს უნდა დაერთოს წერილობითი მასალების ნუსხა. სააპელაციო საჩივარი და დამატებით შემოსული მასალები სასამართლოს წარედგინება იმდენი ასლის დართვით, რამდენი მონაწილეცაა საქმეში. სააპელაციო საჩივარი, რა თქმა უნდა, ხელმოწერილ უნდა იქნეს მხარის ან მისი წარმომადგენლის მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე პუნქტის თანახმად, თუ საჩივარში არ არის მოცემული ზემოჩამოთვლილი პირობები, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი გარკვეულ ვადაში, რომელსაც თვითონ უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნა შევსებული, სააპელაციო საჩივარი არ მიიღება, რაც ადმინისტრაციულ საქმეებზე გაუმართლებელია, ვინაიდან იგი ითვალისწინებს არა მარტო კერძო, არამედ საჯარო ინტერესებსაც, რის გამოც სასამართლო ვალდებულია გადაწყვიტოს ნებისმიერი საჩივარი, რომელიც სრულყოფილად არაა წარმოდგენილი და სასამართლომ უნდა მიიღოს ზომები მათ მოსაპოვებლად ისევე, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში. სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა ერთი თვეა სასამართლო გადაწყვეტილებ-

ის ჩაბარების დღიდან და ამ ვადის გაგრძელება არ შეიძლება – იგი იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის ან მისი გამოცხადების მომენტიდან. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 370-ე მუხლი აღგენს, რომ, თუ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მხარე ან მოწინააღმდეგე მხარე წერილობით განაცხადებს უარს სააპელაციო გასაჩივრებაზე, მომავალში სააპელაციო საჩივარი აღარ დაიშვება, რაც, ვფიქრობ, ეწინააღმდეგება სააპელაციო საჩივრის შეტანის ერთთვიან ვადას, რომლის განმავლობაშიც მოსარჩელეს ან მოპასუხეს ნებისმიერ დროს აქვს უფლება შეიტანოს სააპელაციო საჩივარი. რამდენადაც სააპელაციო საჩივარი შეიტანება იმ სასამართლოში, რომელმაც თავდაპირველად მოცემული საქმე განიხილა, ამდენად, ეს უკანასკნელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაუგზავნოს სააპელაციო სასამართლოს მთლიანად საქმე. აგრეთვე დამატებით შემოსული ყველა მასალა, სააპელაციო საჩივრის მიღებისას მის ასლებს სააპელაციო სასამართლო გადაუგზავნის მოწინააღმდეგე მხარეს, რომელსაც შეიძლება დაუნიშნოს ვადა სააპელაციო საჩივარზე პასუხის გასაცემად. სასამართლოს უარი სააპელაციო საჩივრის მიღებაზე შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით. სააპელაციო საჩივრის შეტანა გამოიწვევს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შეჩერებას მთლიანად ან მის ნაწილში, რომელიც გასაჩივრებულია. თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია დროებით შეაჩეროს აღსრულება და გააუქმოს მასთან დაკავშირებული ღონისძიებები. ამ შემთხვევაში არ მოქმედებს გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის შეჩერების ის წესი, რომელიც გათვალისწინებულია ადმინისტრაციული სარჩელის სასამართლოში განხილვისას. სასამართლოს შეუძლია აღსრულების შეჩერება, აღსრულების ღონისძიებების გაუქმება, აგრეთვე აღსრულების გაგრძელება უზრუნველყოფის შესაბამისი გარანტიების გამოყენებით, რასაც სასამართლო ახდენს საქმის ზეპირი განხილვის გარეშე.

სააპელაციო საჩივრის მიღების შემდეგ სააპელაციო სასამართლო ნიშნავს საქმის ზეპირი განხილვის დროს და იღებს ყველა კანონიერ ზომას, რათა სააპელაციო საჩივარი განხილულ იქნეს დადგენილ ვადაში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლით სასამართლო უნდა ამოწმებდეს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში, ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით, რაც ადმიანის-

ტრაციულ საქმეზე გაუმართლებელია, რამდენადაც განცხადების გადაცემის ეფექტი ადმინისტრაციულ პროცესში, როგორც აღვნიშნეთ, ნიშნავს არა ამ განცხადებით შემოფარგვლას, არამედ განცხადების გარეშე საქმის განუხილველობას. სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც გამოტანილია საქმის პირველ ინსტანციაში განხილვასთან დაკავშირებით იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა. დასახელებული 377-ე მუხლის მეხუთე პუნქტი განსაზღვრავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განსჯადობას სააპელაციო სასამართლო შეამოწმებს მხოლოდ მოპასუხის მოთხოვნით, თუ ეს საკითხი მოპასუხის მიერ წამოყენებული იყო პირველ ინსტანციაში საქმის განხილვისას ან თუკი არსებობს საპატიო მიზეზი, რის გამოც ასეთი მოთხოვნა ვერ იქნა წინა ინსტანციაში წამოყენებული. სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია სააპელაციო გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე, ხოლო საქმის ზეპირი განხილვისას სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია მოწინააღმდეგე მხარის თანხმობით. ეს წესი ადმინისტრაციული დაკავების საქმეებზე ყოველთვის არ შეიძლება დატყუდ იქნეს და სარჩელზე უარის თქმის მიუხედავად სასამართლომ მაინც უნდა გადაწყვიტოს იგი საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. მოწინააღმდეგე მხარე ყოველთვის უფლებამოსილია წარადგინოს შეგებებული სააპელაციო საჩივარი იმის მიუხედავად, აქვს თუ არა მას ნათქვამი უარი სააპელაციო საჩივარზე.

სააპელაციო სასამართლოში საქმე განიხილება ისე, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში, მაგრამ საქმის განხილვისას შეიძლება მოყვანილ იქნეს ახალი ფაქტები და წარდგენილ იქნეს ახალი მტკიცებულებები, მაგრამ თუ ეს ფაქტები და მტკიცებულებები შეიძლებოდა ჯერ კიდევ პირველი ინსტანციის სასამართლოში ყოფილიყო წარდგენილი, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია ისინი არ მიიღოს როგორც დაგვიანებით წარმოდგენილი, თუ მათი განხილვა ხელს შეუშლის სააპელაციო სასამართლოში საქმის დროულ განხილვას და თუ მხარემ უხეში გაუფრთხილებლობის გამო არ წარუდგინა ეს მასალები პირველი ინსტანციის სასამართლოს. დავის საგნის შეცვლა ან გადიდება დასაშვებია სააპელაციო სასამართლოში, თუ მოწინააღმდეგე მხარე ამაზე თანახმა ან სააპელაციო სასამართლო ამას მიზანშეწონილად

ცნობს. სააპელაციო სასამართლოს შეუძლია გაიზიაროს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგები მთლიანად ან ნაწილობრივ. სააპელაციო საქმის განხილვა იწყება ზეპირი განხილვით, რომლის დროსაც სასამართლოს ერთ-ერთი წევრი გამოდის მოხსენებით. ამის შემდეგ მხარეებს ეძლევა სიტყვა თავიანთი მოთხოვნებისა და შუამდგომლობების წამოსაყენებლად და დასასაბუთებლად. საქმის განხილვას უშუალოდ უნდა მოჰყვეს მტკიცებულებათა გამოკვლევა. სააპელაციო სასამართლოს შეუძლია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებების გაუქმება მთლიანად ან ნაწილობრივ, ან შეუძლია შეცვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, ე.ი. სააპელაციო სასამართლო თავისი განჩინებით უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ან გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით იღებს ახალ გადაწყვეტილებას საქმეზე. სააპელაციო სასამართლოს შეუძლია გააუქმოს გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნოს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, თუ საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ, თუ სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით, თუ გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც ობიექტურად სასამართლოს არ ექვემდებარება, თუ გადაწყვეტილება მიღებულია საჯაროობის წესების დარღვევით ზეპირი მოსმენისას, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის დასაბუთებული ან დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, თუ გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, რომლებიც ამ საქმის განხილვაში აღრე მონაწილეობდნენ ადმინისტრაციულ ორგანოში, აგრეთვე, თუ გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნული. სააპელაციო სასამართლოს, თუ ეს შესაძლებელია, უფლება აქვს თვითონ გადაწყვიტოს სადავო საკითხი და არ გადააგზავნოს საქმე უკან. ადმინისტრაციულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს, ისევე როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს, უფლება აქვს გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მხარეთა გამოუცხადებლობის მიუხედავად საქმე მაინც უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა პასუხობდეს ჩვეულებრივ სასამართლო გადაწყვეტილების მოთხოვნებს და, გარდა ამისა, მასში მი-

თითებულ უნდა იქნეს პირი, რომელმაც შეიტანა სააპელაციო საჩივარი, მისი მოთხოვნა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოკლე შინაარსი, ის საფუძვლები, რომელთა გამოც სააპელაციო სასამართლომ შეცვალა ან გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. დაბოლოს, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულ უნდა იქნეს სასამართლოს დასკვნები და მიღებული გადაწყვეტილება.

§2. საკასაციო წარმოება ადმინისტრაციული დაევების საქმეებზე

იმ შემთხვევაში, როცა მხარეს არ აკმაყოფილებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, მას შეუძლია შეიტანოს ადმინისტრაციული დავის საკითხზე გამოტანილ სააპელაციო გადაწყვეტილებაზე საჩივარი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა საკასაციო პალატაში. საკასაციო გასაჩივრებას ექვემდებარება აგრეთვე საოლქო სასამართლოების კოლეგიების გადაწყვეტილებები, რომლებიც მხარეებმა და მესამე პირებმა შეიძლება გაასაჩივრონ საკასაციო სასამართლოში, ვინაიდან სააპელაციო პალატა საოლქო სასამართლოში შედის და ცალკე სააპელაციო სასამართლო არაა. საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი, ხოლო ასეთ დარღვევას მაშინ აქვს ადგილი, თუ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, ან გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, აგრეთვე, როდესაც მან არასწორად განმარტა კანონი. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. ამრიგად, საკასაციო განხილვის ფარგლები მხოლოდ კანონის ფორმალური დაცვის ჩარჩოებით განისაზღვრება და საკასაციო ინსტანცია საქმეს არსებითად არ განიხილავს. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში უკან დაბრუნების ყველა შემთხვევა ჩაითვლება კანონის დარღვევად და თუ ეს სააპელაციო სასამართლომ არ გააკეთა, ამას განახორციელებს საკასაციო სასამართლო. საკასაციო საჩივარში უნდა აღინიშნოს იმ სასამართლოს დასახელება, რომლის სახელზეც შედგენილია საჩივარი, იმ პირის დასახელება და მისამართი, რომელსაც შეაქვს საჩივარი, გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტი დასახელება და მითითება ამ გადაწყვეტილების

დამდგენ სასამართლოზე. ასევე მითითება, თუ გადაწყვეტილების რა ნაწილია გასაჩივრებული, რა მოცულობით საჩივრდება გადაწყვეტილება და მოითხოვს თუ არა მომჩივანი გადაწყვეტილების გაუქმებასა თუ შეცვლას (კასაციის განაცხადი). საკასაციო საჩივარში უნდა იყოს აგრეთვე მითითება იმ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას, თუ საკასაციო საჩივარი საპროცესო ნორმების დარღვევას ემყარება. საკასაციო საჩივარს აგრეთვე უნდა დაერთოს წერილობითი მასალების ნუსხა და ხელმოწერილი იყოს მომჩივნის მიერ. თუ ეს მოთხოვნები არ იქნა დაცული, საკასაციო საჩივრის შემტანს სასამართლო ავალებს შეავსოს ხარვეზი და უნიშნავს ვადას; თუ ამ ვადაში ხარვეზი არ გასწორდა, საკასაციო საჩივარი არ მიიღება, რაც ადმინისტრაციული დავის საქმეზე დასაშვებია, ვინაიდან კასაცია შეეხება კანონის მხოლოდ ფორმალურ დარღვევას და საქმის არსებით უკანონო შედეგებზე აქ ლაპარაკი არაა.

საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა 1 თვეა სააპელაციო გადაწყვეტილების გამოცემის ან მისი შემტანისათვის გამოცხადების მომენტიდან. საოლქო სასამართლო, სადაც შეიტანება საკასაციო საჩივარი, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაუგზავნოს საკასაციო სასამართლოს საკასაციო საჩივარი და მთლიანად საქმე, ვინაიდან საკასაციო სასამართლოში საქმე განიხილება იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში განხილვისათვის ზოგიერთი გამონაკლისების გათვალისწინებით. საკასაციო სასამართლო თუ აღმოაჩენს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის საფუძვლები (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემოხსენებული 394-ე მუხლის პირობები), გამოიტანს განჩინებას საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ. საკასაციო გასაჩივრების დროსაც, თუ საკასაციო საჩივარი მიღებულია საკასაციო სასამართლოს მიერ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა შეჩერდება გასაჩივრებულ ნაწილში, მაგრამ თუ იგი დაუყოვნებლივ აღსრულებას ექვემდებარება, საკასაციო სასამართლოს შეუძლია დროებით შეაჩეროს აღსრულება და გააუქმოს აღსრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებები, რაც ზეპირი განხილვის გარეშეც შეიძლება განხორციელდეს.

საკასაციო საჩივარი ჩვეულებრივ განიხილება ზეპირი განხილვის გზით. საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას ფორმალური თვალსაზრისით, მაგრამ მაინც საკასაციო საჩივრის ფარგლებში. სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო

დარღვევები იმ შემთხვევის გარდა, როცა საკასაციო საჩივარი შეეხება იმ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც ადასტურებენ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას და საჩივარიც ამ დარღვევებს ემყარება. ჩვენი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მოითხოვს, რომ სასამართლომ შეამოწმოს ექვემდებარება თუ არა მოცემული საქმე სასამართლოს უწყებრივად და აქვს თუ არა მას ამ საქმეზე საერთაშორისო კომპეტენცია. ტერიტორიულ და საგნობრივ თავდაპირველ განსჯადობას საკასაციო სასამართლო შეამოწმებს მხოლოდ მოპასუხის მოთხოვნით, რაც დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საპატიო მიზეზი, რის გამოც ასეთი მოთხოვნა ვერ იქნა წამოყენებული სააპელაციო სასამართლოში. დაუშვებელია შეგებებული სარჩელის წარდგენაც ზეპირი განხილვის განმავლობაში. სააპელაციო საჩივრისაგან განსხვავებით, დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, შეგებებული სარჩელის შეტანა და ხარჯების განსაზღვრა საკასაციო სასამართლოზე დაუშვებელია. საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის მიერ დამტკიცებული ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. როგორც აღვნიშნეთ, საკასაციო საჩივრის განხილვისას სასამართლო არ ეხება საქმის არსებით მხარეს, იგი მხოლოდ ფორმალურად იხილავს საჩივარს, ე.ი. ამოწმებს იმას – სააპელაციო გადაწყვეტილება კანონის სრული დაცვით იყო თუ არა მიღებული, რომ არ დარღვეულა პროცესუალური ნორმა. მაგრამ თუ საჭირო გახდა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა და თუ ამიტომ სასამართლომ თავის გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდო სამართლებრივი შეფასება, მაშინ საკასაციო სასამართლო აუქმებს სააპელაციო გადაწყვეტილებას, აბრუნებს საქმეს ხელახალი განხილვისათვის იმავე ან სხვა კოლეგიაში ან პალატაში, ხოლო თავის განჩინებაში საკასაციო სასამართლო უთითებს, თუ რომელი ფაქტები საჭიროებს გამოკვლევას, რა მტკიცებულებებია შესაკრები და რა სხვა კონკრეტული საპროცესო მოქმედება უნდა შესრულოს საოლქო სასამართლოს შესაბამისმა კოლეგიამ ან პალატამ. სხვა შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ საქმის გარემოებები საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის მიერ საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშეა დადგენილი და საჭირო არ არის მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს

საკასაციო საჩივარს, თუ საჩივარში მითითებულ კანონის დარღვევას ადგილი არ ჰქონია, თუ საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა. საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ (მუხლი 409-ე). მხარეებს კი საკასაციო საჩივრით შეუძლიათ მოითხოვონ კანონის დარღვევით მიღებული სააპელაციო გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის უკან დაბრუნება ხელახალი განხილვისათვის, რაკი ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. მართალია, საკასაციო სასამართლოში ყველაფერი ეს ფორმლობა ჩხირკედელაობას წააგავს, რაკი საკასაციო სასამართლო საქმეს არსებითად არ იხილავს, მაგრამ ამ ფორმლობის დაუცველობის გამო, სააპელაციო გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის უკან დაბრუნება საფუძველი ზდება საქმის ხელმეორედ არსებითად განხილვისათვის სააპელაციო სასამართლოში, რომელსაც უბრუნდება გასაჩივრებული საქმე.

სასამართლო საკასაციო გასაჩივრების ზემოთ განხილული წესი თითქოს არაფერს არ იძლევა მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების დასაცავად და იგი გამოგონილია იმისათვის, რათა სასამართლოებმა დაიცვან პროცესუალური ნორმები და უზრუნველყონ ქვემდგომი სასამართლოების მუშაობის მწყობრი კანონიერება. მაგრამ არსებითად უკანონო გადაწყვეტილების მიღება ყოველთვის დაკავშირებულია პროცესუალური ნორმების დარღვევასთან, რომ პროცესუალური ნორმები იმიტომ არსებობენ, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მატერიალური ნორმების სწორი რეალიზაცია. ამიტომ, როდესაც საკასაციო ინსტანცია შეამჩნევს პროცესუალური ნორმების დარღვევას და საქმეს დააბრუნებს ხელახალი განხილვისათვის, საქმის მეორედ განხილვა გამოააშკარავებს ადამიანის უფლებების ხელყოფას და უკანონო გადაწყვეტილების მიღებას აგვაცილებს. მართალია, საქმის განმეორებით განხილვის დროსაც შეიძლება პირის უფლებები განზრახ იქნეს კვლავ დარღვეული, მაგრამ დარღვეული უფლებების განმტკიცება კანონიერი პროცესუალური მოქმედებებით ძალიან ძნელია, რის გამოც სასამართლო ეცდება საქმის მესამედ განხილვის დროს მაინც (ერთი პირველი ინსტანციის წესით და ორი სააპელაციო წესით) დაიცვას ადამიანი და მისი კანონიერი უფლებები და ინტერესები. მაგრამ, თუ ქვეყანა დაქტეულია კორუფციითა და უკანონობით, მაშინ სასამართლო განხილვებსა და კანონიერების დაცვის მოთხოვნასაც აზრი ეკარგება.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის
საქმისწარმოება ადმინისტრაციულ ორგანოში

§1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის აღძვრა და
გამოკვლევა

ადმინისტრაციული გადაცდომის საქმისწარმოება, როგორც აღვნიშნეთ, ადმინისტრაციული წარმოების ერთ-ერთი სახეა. იგი დაკავშირებულია ადმინისტრაციულ გადაცდომასთან, რომელიც არსებითად განსხვავდება დანაშაულისაგან მთელი რიგი ნიშნებით და, რომლის განმეორებით ჩადენა არ იწვევს დანაშაულს. ამდენად, გადაცდომის გადაზრდა დანაშაულში ჩვენი კანონმდებლობით გამორიცხულია, მაგრამ ზოგიერთი უმნიშვნელო დანაშაულისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამოყენება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ნაცვლად შესაძლებელია. ამდენად, ადმინისტრაციული გადაცდომებისათვის პასუხისმგებლობის მოწესრიგება სისხლის სამართლის კანონმდებლობაში საქართველოში არ ხდება, ხოლო ადმინისტრაციული გადაცდომის საქმისწარმოება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით მით უფრო დაუშვებელია, ვინაიდან ეს უკანასკნელი იწვევს ნასამართლობას დამრღვევის მიმართ, რაც ადმინისტრაციულ წარმოებაში გამორიცხულია. მიუხედავად ამისა, როგორც აღვნიშნეთ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეთა წარმოების კანონმდებლობის არასრულყოფილების გამო, ადმინისტრაციულ პროცესში შეიძლება გამოყენებულ იქნეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ზოგიერთი დებულება ადმინისტრაციული წარმოების თავისებურების გათვალისწინებით. ეს განსაკუთრებით შეეხება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე სააპელაციო და საკასაციო წარმოებას, რომელიც ადმინისტრაციულ-პროცესუალურ კანონმდებლობაში საერთოდ ხარვეზს წარმოადგენს, ჩვენში ადმინისტრაციული სასამართლოების არარსებობის გამო; მაგრამ აპელაცია და კასაცია ადმინისტრაციულ საქმეებზე სრულიად აუცილებელია.

ადმინისტრაციული გადაცდომის საქმისწარმოება ეყრდნობა ყველა იმ დემოკრატიულ პრინციპს, რომელიც ადმინისტრაციულ პროცესშია

დამკვიდრებული, მაგრამ წარმოების ამ სახისათვის გასაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი პრინციპების დაცვა, როგორცაა: საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა, ყველას თანასწორობა კანონისა და საქმის განმხილველი ორგანოს (თანამდებობის პირის) წინაშე და ადმინისტრაციული ორგანოსადმი დაქვემდებარების პრინციპი, საქმის განხილვის მონაწილეთათვის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების განხორციელების უზრუნველყოფა, საჯაროდ განხილვა, სახელმწიფო ენაზე წარმოება და თარჯიმანზე მოთხოვნის უზრუნველყოფა, ასევე დროული, იაფი და ეფექტური განხილვა, საქმის გადაწყვეტა კანონიერებისა და მისი შესაბამისი მართლშეგნების საფუძველზე, ადმინისტრაციული წარმოების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გამოყენება, ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრების შესაძლებლობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაცულ იქნეს კონსტიტუციის მიერ აღიარებული არაბრალეულობის პრეზუმფცია, რომლითაც პირი არ ჩაითვლება ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულად, ვიდრე მის მიმართ ძალაში არ შესულა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაში გამამტყუნებელი დადგენილება, ხოლო მტკიცების ტვირთი აკისრია ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების გამომტან ორგანოს (თანამდებობის პირს), ხოლო როცა საქმეს სასამართლო იხილავს – იმ ორგანოს, ვინც წარადგინა საქმე სასამართლოში განსახილველად (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პროექტის მუხლი 301-ე, მოქმედი კოდექსის მუხლი 236).

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებებს წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე კანონით განსაზღვრული წესით ორგანო (თანამდებობის პირი) დაადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობას ან არარსებობას, პირის ბრალეულობას მის ჩადენაში და სხვა გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. ეს მონაცემები ღვინდება შემდეგი საშუალებით: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მოცემული პირის ახსნა-განმარტებით, დაზარალებულის, მოწმის ჩვენებებით, ექსპერტის დასკვნით, ნივთიერი მტკიცებულებებით, ნივთებისა და დოკუმენტების ამოღების ოქმითა და სხვა მტკიცებულებებით. ამ მტკიცებულებათა შეფასება ხდება საქმის განმხილველი ორგანოს მიერ კანონიერების საფუძველზე თავისი შანაგანი რწმენით, რაც დამყარებულია საქმის

ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევაზე მათ ერთობლიობაში. კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არა აქვს. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს გაასაჩივროს მტკიცებულებათა მიუღებლობა.

ადმინისტრაციული საქმის აღძვრა და წინასწარი გამოკვლევა ყველა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აუცილებელი სტადიაა. ამასთან, ზოგჯერ ადმინისტრაციული საქმის აღძვრა განცალკევებულია წინასწარი გამოკვლევისაგან. მაგალითად, ნათესების წახდენისას საქმის აღძვრა ხდება მეველის ან სხვა თანამდებობის პირის მიერ, ხოლო აღძრული საქმის გამოკვლევა – ადგილობრივი (სასოფლო, სადაბო) თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მოვალეობაა, ამასთან, ამ საქმის განხილვა სასამართლოს ქვემდებარეა. ხშირ შემთხვევებში ადმინისტრაციული საქმის აღძვრა და საქმის გამოკვლევა ერთმანეთს ემთხვევა. ეს მაშინ ხდება, როცა საქმე არ ატარებს რთულ ხასიათს და აღძვრისთანავე შედგება ოქმი (აქტი) სამართალდარღვევის შესახებ, რომელიც საქმის აღძვრის დამადასტურებელიცაა და საკმარის მასალაცაა პირის ადმინისტრაციულ პასუხისმგებებაში მისაცემად. ზოგჯერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი არ იწერება და პირს ეკისრება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა შემთხვევის ადგილზე ჯარიმის დაკისრების სახით. კოდექსის პროექტის 306-ე მუხლით (მოქმედი კოდექსის მუხლი 242-ე) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი არ შედგება, როდესაც პირი სადავოდ არ ხდის მის მიერ ჩადენილ სამართალდარღვევას და თანახმაა დაკისრებული ჯარიმა ადგილზე გადაიხადოს. ამ შემთხვევაში თანამდებობის პირი ვალდებულია გამოიტანოს ადმინისტრაციული აქტი, რომლის ერთი პირი გადაეცემა დამრღვევს შემთხვევის ადგილზე. თუ სამართალდამრღვევი სადავოდ ხდის მისთვის დაკისრებულ სახდელს, მაშინ ოქმი აუცილებლად უნდა შედგეს. ეს წესი შეეხება ყველა შემთხვევას და აქ გამონაკლისის დაშვება არამიზანშეწონილია, თუ კანონი სპეციალურად არ მოითხოვს ოქმის შედგენას.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ითვალისწინებს იმ ორგანოებსა და თანამდებობის პირებს, რომლებიც ადგენენ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმებს ამა თუ იმ სამართალდარღვევისათვის განცალკევებით იმ ორგანოებისა და თანამდებობის პირებისაგან, რომლებიც იხილავენ ადმინისტრაციული დარღვევების საქმეებს.

მაგრამ, რაკი ნებადართულია ადგილზე დაჯარიმება ოქმის შეუდგენლად, როცა დამრღვევი თანახმაა გადაიხადოს ჯარიმა, გამოდის, რომ ოქმის შემდგენელი თანამდებობის პირებიც უფლებამოსილები არიან შემთხვევის ადგილზე განიხილონ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტები და გამოიტანონ ადმინისტრაციული აქტები დამრღვევთა დაჯარიმების შესახებ. გამოდის, თითქოს აზრი ეკარგება ცალკე დამჯარიმებელი ორგანოებისა და თანამდებობის პირთა ჩამოთვლას ოქმის შემდგენელი ორგანოებისა და თანამდებობის პირებისაგან გამოცალკეებით, თუკი ეს უკანასკნელებიც აჯარიმებენ დამრღვევებს, მაგრამ აქ ლაპარაკია ადგილზე დაჯარიმებაზე და, თანაც არა ყველა საქმეზე, როცა ადგილზე დაჯარიმება დაუშვებელია.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეებზე ოქმების შედგენის უფლებით სარგებლობენ საკმაოდ მრავალრიცხოვანი ორგანოები და თანამდებობის პირები. მოქმედ კოდექსში ასეთი ჩამონათვალი 40-ს აღწევს, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პროექტში – 25-ს. ამასთან, ერთი და იმავე ხასიათის სამართალდარღვევაზე ოქმის შედგენის უფლება გააჩნია რამდენიმე ორგანოს. მაგალითად, ვაჭრობის წესების დარღვევისას ოქმს ადგენენ შინაგან საქმეთა და სახელმწიფო საგადასახადო ორგანოებიც, მომხმარებლის უფლებების შელახვისას ოქმებს ადგენენ სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის, სახელმწიფო საგადასახადო და კონტროლის ორგანოები, ცალკეული თანამდებობის პირთა მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობისას ოქმს ადგენენ: იუსტიციის სამინისტროს საალსრულებო ბიუროების მუშაკები, პოლიციის მუშაკები, საგადასახადო ინსპექციის ორგანოები, სამხედრო კომისრები და სხვა. უკანასკნელ შემთხვევაში, ვინც პირველად შეადგენს ოქმს, იგი იღებს ზომებს დამრღვევის დასაჯარიმებლად, ვინაიდან ერთი და იმავე დარღვევისათვის ორჯერ პასუხისმგებლობის დაკისრება დაუშვებელია. ეს კი იწვევს იმ ორგანოების უკმაყოფილებას, ვინც ვერ მოახერხა ოქმის შედგენა. ყოველივე აღნიშნული მოითხოვს ოქმის შემდგენელ ორგანთა და თანამდებობის პირთა რიცხვის შემცირებას, მით უფრო, რომ მათ ადგილზე დაჯარიმების უფლება ეძლევათ. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პროექტის მიხედვით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმებს (აქტებს) ადგენენ: შინაგან საქმეთა ორგანოები, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის ორგანოები, გაზის, ელექტროენერგეტიკის ორგანოები,

კულტურისა და ისტორიულ ძეგლთა დაცვაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოები, ტრანსპორტის ორგანოები, მეტროპოლიტენით სარგებლობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი თანამდებობის პირები, სახანძრო ზედამხედველობის ორგანოები, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის უფლებამოსილი პირები, იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო ბიუროს სასამართლო აღმასრულებლები, ურბანიზაციისა და მშენებლობის, ქონების დაცვის, კონტროლის, საქსტანდარტის, სახელმწიფო საგადასახადო ორგანოები, ცენტრალური საარჩევნო კომისია და მისადმი დაქვემდებარებული ორგანოები, სტატისტიკის ორგანოები, სასინჯი ზედამხედველობის ორგანოები, სამხედრო კომისრები, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს, ელექტოკავშირის ინსპექციის ორგანოები, საქართველოს პარლამენტის საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე, ჯანდაცვის სამინისტროს ორგანოები, საბაჟო ორგანოები, ანტიმონოპოლიური სამსახურის უფლებამოსილი პირები (სულ 25). ყველა საზედამხედველო ორგანო და თანამდებობის პირი დაინტერესებულია მხოლოდ თვითონ შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და თვითონვე მიიღოს ზომები დამრღვევის მიმართ. ასეთი დაინტერესება იწვევს გამოძალვასა და კორუფციას. ამიტომ საზედამხედველო ორგანოებს უნდა ჰქონდეთ უფლება მხოლოდ აღმოაჩინონ სამართალდარღვევები, გამოიძიონ საქმეები და მოკვლელული მასალები გადასცენ სპეციალურ განმხილველ ორგანოებს. ვინაიდან საქართველოში ადმინისტრაციული სასამართლოები არ არსებობს, როგორც საზღვარგარეთის ქვეყნებშია, ამიტომ ჩვენი კანონმდებელი იძულებულია ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევათა მხოლოდ ნაწილი გადასცეს საერთო სასამართლოს განსახილველად, ხოლო დიდი ნაწილი კი კვლავ საზედამხედველო ორგანოებს დაუტოვოს. უკანასკნელ შემთხვევაში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები უნდა განიხილოს ადმინისტრაციულმა ორგანომ ან მისმა ხელმძღვანელმა თანამდებობის პირებმა. ამიტომ ადგილზე დაჯარიმების შემთხვევაში, მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი და თანაც მხოლოდ უმნიშვნელო სამართალდარღვევების ჩამდენი პირების მიმართ.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის სწორად შედგენას, ვინაიდან მეტწილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეთა გამოკვლევა მხოლოდ ოქ-

მის (აქტის) შედგენით განისაზღვრება და სხვა დამამტკიცებელი საბუთი საჭირო არაა. ამიტომ ოქმი (აქტი) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ უნდა იყოს კანონიერი, სრულყოფილი და ობიექტური. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი განსაზღვრავს თუ რა შინაარსის უნდა იყოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. კერძოდ, მასში აღინიშნება: მისი შედგენის თარიღი და ადგილი, შემდგენელი თანამდებობის პირის ვინაობა (სახელი, გვარი, თანამდებობა), მონაცემები დამრღვევის პიროვნების შესახებ (სახელი, გვარი, ასაკი, სამუშაო ადგილი, ოჯახის შემადგენლობა და მატერიალური მდგომარეობაც კი ჯარიმის განსასაზღვრავად); ოქმში აღინიშნება აგრეთვე: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი, დარღვეული მუხლის სათაური (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლი), ვინაიდან, თუ კოდექსში არ არის გათვალისწინებული ჩადენილი ქმედებისათვის პასუხისმგებლობა, პირი პასუხისმგებაში არ მიეცემა ანალოგიის აკრძალვის გამო. ოქმში იწერება დაზარალებულთა და მოწმეთა ვინაობა და მისამართები, თუ ისინი არიან, დამრღვევის ახსნა-განმარტება, საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა ცნობები. ოქმს ხელს აწერენ მისი შემდგენელი თანამდებობის პირი და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პირი, ხოლო თუ არიან მოწმეები ან დაზარალებულები, რომლებიც ესწრებოდნენ ოქმის შედგენას, ისინიც მოაწერენ მას ხელს.

სამართალდარღვევის ჩამდენ პირს შეუძლია თავის ახსნა-განმარტებაში აღნიშნოს მის მიერ ჩადენილი ქმედების მიზეზების შესახებ, იმ გარემოებების შესახებ, რამაც აიძულა ჩადენა სამართალდარღვევა, ან თანამდებობის პირის უსამართლოდ მოპყრობისა და ყალბი ოქმის ან კანონის დარღვევით მისი შედგენის შესახებ. თუ სამართალდამრღვევი უარს იტყვის ოქმის ხელმოწერაზე, ოქმში კეთდება სათანადო ჩანაწერი არანაკლებ 2 პირის თანდასწრებით, ვინაიდან, თუ ხელმოწერაზე უარის თქმის ფაქტი არ დადასტურდა გარეშე პირთა მიერ, ასეთ ოქმს იურიდიული ძალა არ აქვს, ასეთი ოქმი შეიძლება შედგეს ნებისმიერი პირის მიმართ მისი უსამართლოდ ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მისაცემად. ასეთ პრაქტიკას ზოგჯერ აქვს ადგილი, რაც სრულიად მიუღებელი და აღმაშფოთებელია. ოქმზე ხელმოწერაზე უარის თქმის მოტივები ან ოქმის შინაარსის გამო შენიშვნები სამართალდამრღვევს შეუძლია შეიტანოს ოქმში თავის ახსნა-განმარტებაში, რომელიც ასევე აღინიშნება

ოქმზე დასართავი სხვა მტკიცებულებების შესახებ. ოქმში, რასაკვირველია, უნდა იყოს პუნქტი დამრღვევისათვის კოდექსით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების განმარტების შესახებ. ოქმის შემდგენელმა თანამდებობის პირმა კარგად უნდა იცოდეს დამრღვევის უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, რომელიც დამრღვევს უნდა განემარტოს, ვინაიდან ოქმში არ აღინიშნება. ეს მრავალრიცხოვანი უფლებამოვალეობები, რაც კოდექსითაა გათვალისწინებული, აღნიშნული წესით შედგენილი ოქმი 5 დღის ვადაში ეგზავნება იმ ადმინისტრაციულ ორგანოს (თანამდებობის პირს), რომელიც უფლებამოსილია განიხილოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი ზოგჯერ საჭიროა იძულების წესით იქნეს მიყვანილი პოლიციის განყოფილებაში. ეს მაშინ ხდება, როცა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა აუცილებელია, მაგრამ მისი ადგილზე შედგენა კი შეუძლებელია სხვადასხვა გარემოების გამო (დამრღვევის ვინაობის დადგენის შეუძლებლობის, ოქმზე ხელმოწერაზე უარის თქმის დამოწმების შეუძლებლობისა და სხვათა გამო). დამრღვევის მიყვანა ადამიანის ხელშეუხებლობის უფლებას სცილდება. ეს მეტად მნიშვნელოვანი კონსტიტუციური უფლებაა, მაგრამ რაკი პირს ჩადენილი აქვს სამართალდარღვევა და მისი ადგილზე გამოკვლევა შეუძლებელია, ამ შემთხვევაში პირის ხელშეუხებლობის უფლება შეიძლება შეიზღუდოს, ვიდრე არ გაირკვევა დარღვევის ოქმის შედგენის პირობები. სხვა შემთხვევაში პირის მიყვანა პოლიციაში დაუშვებელია. არავითარი იძულებით დასაქმების, იძულებით ჩვენების მიცემის ან სხვა მიზნით პირის დაკავება არ შეიძლება. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსში მითითებულია აგრეთვე, რომ ტყით სარგებლობის, ან ნადირობის, თევზჭერის, თევზის მარაგის დაცვის წესების დარღვევისას, ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ კანონმდებლობის სხვა დარღვევისას ოქმის შედგენის მიზნით, თუ დარღვევის ადგილზე დამრღვევის პიროვნების დადგენა შეუძლებელია, სატყეო მეურნეობის მუშაკებს, ნადირობის წესების დაცვაზე სახელმწიფო ზედამხედველობის განმხორციელებელ მუშაკებს, ცხოველთა სამყაროს დაცვასა და გამოყენებაზე სახელმწიფო და საუწყებო კონტროლის განმხორციელებელი სხვა ორგანოების თანამდებობის პირებს, ნაკრძალებისა და სხვა განსაკუთრებით დაცული ტერიტორიების თანამდებობის პირებს, აგრეთვე პოლიციის მუშაკებს შეუძლიათ აღნიშნულ სამართალდარღვევათა ჩამდენი პირები მიიყვანონ

პოლიციაში. თუ სამართალდარღვევა დაკავშირებულია დაცული ობიექტების ან სხვა ქონების ხელყოფასთან, გასამხედროებული დაცვის მუშაკებს დამრღვევი შეუძლიათ მიიყვანონ პოლიციაში სამართალდარღვევის აღსაკვეთად, დამრღვევის პიროვნების დასადგენად და სამართალდარღვევის ოქმის შესადგენად. პოლიციაში დამრღვევი უნდა იქნეს მიყვანილი რაც შეიძლება სწრაფად, დაუყოვნებლივ, მაგრამ ჩვენი მთავორიანი ტყეებისა და დაცული ობიექტების რთული განლაგების გამო, დამრღვევის დაუყოვნებლივ მიყვანა ზოგჯერ შეუძლებელი ხდება და ეს აქტი საათობით გრძელდება, რომლის დროსაც დაცულ უნდა იქნეს პიროვნების ღირსება და უსაფრთხოების ელემენტარული პირობები (მაგალითად, მდინარეზე ნავით გადასვლისას დამრღვევი ცურვით არ უნდა გადაიყვანონ). პიროვნების მიყვანის აუცილებლობის შემთხვევაში, იგი არ შეიძლება ადგილზე დაკავებულ იქნეს. ამიტომ კანონმდებელი მოითხოვს, რომ მიყვანა უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ ე. ი. დაკავების გარეშე.

მიყვანილი სამართალდამრღვევი, ბუნებრივია, საჭიროებს დაკავებას, ზოგჯერ მის გასინჯვას, ნივთებისა და დოკუმენტების გასინჯვას ან ჩამორთმევას. ყველა ეს საკითხი მოწვესრიგებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და მის მოთხოვნათა ფარგლებს გადაცილება დაუშვებელია, რამდენადაც დაკავშირებულია პიროვნების კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვასთან, რაც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში დასაშვებია. კოდექსში მითითებულია, რომ პირის ადმინისტრაციული დაკავება, პირადი გასინჯვა, ნივთების გასინჯვა, ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევა დასაშვებია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა აღსაკვეთად, როცა ამოწურულია ზემოქმედების სხვა ზომები პიროვნების დასადგენად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შესადგენად, თუ ოქმის შედგენა აუცილებელია, მაგრამ მისი ადგილზე შედგენა შეუძლებელია, საქმის დროულად და სწორად განხილვისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე მიღებულ დადგენილებათა აღსრულების უზრუნველსაყოფად (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პროექტის მუხლი 308-ე, მოქმედის – მუხლი 244-ე). ამასთან, აქვეა მითითებული, რომ ადმინისტრაციული დაკავების, პირადი გასინჯვის, ნივთების გასინჯვის, ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევის წესები ზემოაღნიშნული მიზნებისათვის განისაზღვრება მხოლოდ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ან სამართალდამრღვევის დაუმორჩილებლობის შემთხვევაში სამართალდამრღვევის დაკავების უფლება აქვთ ზემოაღნიშნული მიზნით პოლიციას, სასაზღვრო ჯარებს – სასაზღვრო რეჟიმის დადგენილი წესის დარღვევისათვის, დასაცავი ობიექტების განლაგების ადგილის გასამხედროებული დაცვის უფროს თანამდებობის პირებს – დასაცავი ობიექტების, სხვა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ხელყოფასთან დაკავშირებულ სამართალდარღვევათა ჩადენისას, სამხედრო-სააქტომობილო ინსპექციის თანამდებობის პირებს – მძღოლების ან სხვა პირების დაკავების უფლება, როცა ისინი მართავენ საქართველოს შეიარაღებული ძალების სატრანსპორტო საშუალებებს საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით საგადასახადო და საბაჟო ორგანოების ოპერატიულ მუშაკებს – სამართალდამრღვევათა დაუმორჩილებლობის შემთხვევაში (პროექტის მუხლი 310-ე, მოქმედის მუხლი 246-ე). სხვა ორგანოებს და თანამდებობების პირებს დამრღვევის დაკავების უფლება არა აქვთ. აღნიშნული დარღვევებისთვისაც პირის დაკავება გამოწვეულია ადგილობრივი აუცილებლობით, როცა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა შეუძლებელია დაკავების გარეშე. მომავალში ადამიანთა თვითშეგნების ამალღებისა და ჩვენი ადმინისტრაციული ორგანოების ოპერატიული მუშაობის სრულყოფის შედეგად, სამართალდამრღვევის დაკავება საერთოდ არამიზანშეწონილი გახდება და უზრუნველყოფილ იქნება ადამიანის პირადი ხელშეუხებლობის უფლება.

ადმინისტრაციული დაკავების შესახებ უნდა შედგეს ოქმი, რომელშიც აღინიშნება: მისი შედგენის თარიღი და ადგილი, შემდგენის თანამდებობა, სახელი და გვარი, დაკავების დროს და მოტივი, ცნობები დაკავებული პიროვნების შესახებ. ოქმს ხელს აწერს მისი შემდგენი თანამდებობის პირი და დაკავებული. თუ დაკავებული უარს აცხადებს ოქმის ხლმოწერაზე, ამის შესახებ ოქმში კეთდება სათანადო ჩანაწერი დამსწრეების დადასტურებით. ადმინისტრაციული დაკავების შესახებ აცნობებენ მისი ოჯახის წევრებს ან სხვა ახლობლებს. არასრულწლოვნის დაკავებისას, აუცილებლად აცნობებენ მის მშობლებს ან მათ შემცვლელ პირებს. რამდენადაც ადმინისტრაციული დაკავება მეტად მნიშვნელოვანი მოქმედებაა, მის განსახორციელებლად აუცილებელია შედგეს დასაბუთებული ადმინისტრაციული აქტი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს მისი გასაჩივრების წესი. მართალია, ადამიანის ადმინ-

ისტრაციული დაკავება ხანმოკლეა, მაგრამ დაკავების ვადის გასვლის შემდეგ პირს შეიძლება შეეღაზოს თავისი უფლებები, პატივი და ღირსება, რის გამოც მას გასაჩივრების უფლება უნდა ჰქონდეს.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ადმინისტრაციული დაკავება არ უნდა აღემატებოდეს 8 საათს, ხოლო აუცილებლობისას საქართველოს საკანონმდებლო აქტებით ადმინისტრაციული დაკავების ვადა შეიძლება გაიზარდოს არა უმეტეს 24 საათისა, რაც შესაბამისად უნდა იყოს დასაბუთებული. დაკავების აღნიშნული ვადა შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას და არ არღვევს პიროვნების დროებითი დაკავების საერთაშორისო ნორმებს. საქართველოს სასაზღვრო-საკონტროლო გამშვებ პუნქტებში სასაზღვრო რეჟიმის დამრღვევი ოქმის შესადგენად შეიძლება დაკავებულ იქნეს 3 საათამდე ვადით, ხოლო დასაბუთებული აუცილებლობის შემთხვევაში, პიროვნების ვინაობის დასადგენად ან სამართალდარღვევის გარემოებათა გამოსარკვევად – ერთ დღე-ღამემდე ვადით. მეტი ვადით დამრღვევის დაკავების აუცილებლობისას, დაკავებიდან არა უგვიანეს 12 საათისა, შუამდგომლობა წარედგინება დაკავებულთან ერთად სასამართლოს დაკავებულის ადგილის მიხედვით, დაკავების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. ადმინისტრაციული დაკავების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 დღე-ღამეს. პირი, რომელმაც ჩაიდინა წვრილმანი ხულიგნობა, დაარღვია მიტინგის ან მანიფესტაციის ორგანიზაციისა და ჩატარების წესი, შეიძლება დაკავებულ იქნეს 8-დან 12 საათამდე კანონით დადგენილი წესით, მოსამართლის მიერ საქმის განხილვამდე. მოსამართლეს, რასაკვირველია, შეუძლია გაათავისუფლოს სამართალდარღვევი საქმის განხილვამდე ან შეუფარდოს ადმინისტრაციული პატიმრობა (თუ სამართალდარღვევის შესახებ მუხლი ამას ითვალისწინებს) და დაკავების ვადა ჩაუთვალოს ადმინისტრაციული პატიმრობის ვადაში. ადმინისტრაციული დაკავების დრო გამოიანგარიშება ოქმის შესადგენად დამრღვევის მიყვანის მომეტიდან, ხოლო მთვრალ, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ყოფნისას – პირის გამოფხიზლების დროიდან.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების უზრუნველყოფის სხვა ზომებიდან აღსანიშნავია დამრღვევის პირადი და ასევე მისი ნივთების გასინჯვა. ამ მოქმედებათა ჩატარების საფუძვლები იგივეა, რაც დაკავებისა, ამიტომ მათ ჩასატარებლად საჭიროა ადმინისტრაციული აქტის მიღება. პირადი გასინჯვა არ არის პირადი ჩხრეკა. ეს

უკანასკნელი გულისხმობს პირის გაშიშვლებასაც, რაც პირადი გასინჯვისას დაუშვებელია. პირადი გასინჯვის დროს უნდა მოხდეს პირის გარეგანი დათვალიერება, ალკოჰოლის ან სხვა ძლიერმოქმედი ნივთიერებების ორგანიზმში არსებობის დადგენა და სხვა. რამდენედაც პირადი გასინჯვა პირის დათვალიერებაა, იგი უნდა აწარმოოს იმავე სქესის უფლებამოსილმა პირმა, როგორც გასასინჯი პიროვნებაა, ხოლო გასინჯვას უნდა ესწრებოდეს იმავე სქესს არანაკლებ 2 პირი. ეს არც სისხლისსამართლებრივი დათვალიერება არაა, რომელიც ტარდება გვამის, ადგილმდებარეობის, სადგომის, საკნის, დოკუმენტის ან სხვა ობიექტის მიმართ და რომელსაც ეჭვმიტანილიც ესწრება. ამიტომ პირადი გასინჯვისათვის, ისევე როგორც მიყვანისა თუ ხანმოკლე დაკავებისათვის, სასამართლოს თანხმობა საჭირო არაა.

პირადი გასინჯვა კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას, შეიძლება აწარმოონ შინაგან საქმეთა, გასამხედროებული დაცვის, სამოქალაქო ავიაციის, საბაჟო და საგადასახადო ორგანოების, სასაზღვრო ჯარების საამისოდ უფლებამოსილმა თანამდებობის პირებმა, ხოლო საქართველოს კანონით უშუალოდ გათვალისწინებულ შემთხვევაში – აგრეთვე უფლებამოსილმა სხვა თანამდებობის პირებმა. პირადი გასინჯვის დროს დაუშვებელია პირის შეურაცხყოფილი მოქმედება ან სიტყვიერი შეურაცხყოფა. თანამდებობის პირმა, რომელიც გასინჯვას აწარმოებს, თავი უნდა შეიკავოს პირის პირადი დათვალიერებისას აღმოჩენილი პირადი საიდუმლოების გამჟღავნებისაგან (ფეხზე 6 თითი, კეფაზე დიდი ხალი და სხვ.).

ნივთების გასინჯვა შეუძლიათ აწარმოონ შინაგან საქმეთა, გასამხედროებული დაცვის, სამოქალაქო ავიაციის, საბაჟო და საგადასახადო ორგანოების ოპერატიული განყოფილებების, სასაზღვრო ჯარების, ტყის დაცვის, ნადირობის წესების დაცვაზე სახელმწიფო ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოების უფლებამოსილმა თანამდებობის პირებმა, ხოლო საქართველოს საკანონმდებლო აქტებით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში – აგრეთვე უფლებამოსილმა სხვა თანამდებობის პირებმა. ნივთების, სანადირო და თევზჭერის იარაღების, მოპოვებული პროდუქციის ან სხვა საგნების გასინჯვა წარმოებს, როგორც წესი, იმ პირის თანდასწრებით, რომლის საკუთრებაში ან მფლობელობაშია ისინი. გადაუდებელ შემთხვევაში, აღნიშნული ნივთები და საგნები შეიძლება გაისინჯოს მესაკუთრის (მფლობელის) გარეშე არანაკლებ

2 პირის მონაწილეობით. მასასადამე, მესაკუთრის თანდასწრებით ნივთის გასინჯვისას აუცილებელი არაა გარეშე პირების დასწრება, რამდენადაც გასინჯვის ოქმს ხელს აწერს მესაკუთრეც, ხოლო მის მიერ ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში, ოქმში ამ ფაქტის დამოწმება აუცილებელია. დათვალიერება შეიძლება ჩატარდეს ტექნიკური საშუალებებით, თუ ეს არ გამოიწვევს საგნის ან დოკუმენტის განადგურებას ან დაზიანებას. თუ ნივთის გასინჯვისას ადგილი ექნა ამ ნივთის დაზიანებას, დამზიანებელი პასუხს აგებს სამოქალაქო-სამართლებრივი წესით. ნივთის ადმინისტრაციული გასინჯვისას არ გამოიყენება სისხლის სამართლის პროცესში გათვალისწინებული წესები, რომლითაც უნდა შედგეს დათვალიერების გეგმა, სქემა, ნახაზი, ფოტოსურათი, ვიდეოჩამწერი, კინოფირი, ხმის ჩანაწერი, ტვიფრი, ანაბეჭდი, თუმცა ყველაფერი ეს აკრძალული არაა ადმინისტრაციულ პროცესშიც, რაც სათანადოდ უნდა იყოს გაფორმებული ოქმში. ისევე, როგორც პირადი განისჯვისას, ნივთების გასინჯვის დროსაც უნდა შედგეს ოქმი, ანდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან ადმინისტრაციული დაკავების ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი. ადმინისტრაციულ პროცესში ნივთის გასინჯვა მარტივი პროცედურაა და არ საჭიროებს ისეთი მოქმედებების შესრულებას, რაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითაა გათვალისწინებული, კერძოდ, არაა საჭირო, რომ ოქმში გასინჯვის შესახებ აღინიშნოს, თუ რა დროს, როგორ ამინდში და როგორი განათების პირობებში ჩატარდა დათვალიერება, რა ტექნიკური საშუალებები გამოიყენეს და რა შედეგები მიიღეს, ვინ მონაწილეობდა დათვალიერებისას და რაში გამოიხატებოდა მისი ეს მონაწილეობა, რა საგანი და დოკუმენტი დაილუქა და როგორი ლუქით, სად გაიგზავნა დათვალიერების შემდეგ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგნები და დოკუმენტები და სხვ. სისხლის სამართლის წესით გათვალისწინებული ამ მოქმედებების გარეშეც გასინჯულ ნივთებს ენიჭება მტკიცებულების მნიშვნელობა. ადმინისტრაციულ-პროცესუალური მოქმედების სიმარტივის გამო, აღნიშნულ მოქმედებას ეწოდება ნივთების გასინჯვა, ხოლო სისხლის სამართლის პროცესში კი – საგნებისა და დოკუმენტების დათვალიერება, თუმცა ნივთი შეიძლება იყოს რაიმე საგანიც და დოკუმენტიც, ხოლო გასინჯვა, როგორც აღვნიშნეთ, არის ნივთის გარეგნული დათვალიერება. სწორედ გარეგნული დათვალიერების და არა არსებითი შესწავლის გამო, ნივთების გასინჯვას ადმინისტრაციულ პროცეს-

ში მარტივი ხასიათი აქვს და არაა დაკავშირებული რთულ პროცესულურ მოქმედებასთან.

ნივთებისა და დოკუმენტების გასინჯვისაგან განსხვავდება მისი ჩამორთმევა, რომელიც შეიძლება მოხდეს გასინჯვის გარეშეც. დაკავების, პირადი ან ნივთების გასინჯვის დროს აღმოჩენილ ნივთებსა და დოკუმენტებს, რომლებიც წარმოადგენენ სამართალდარღვევის იარაღს ან უშუალო ობიექტს, ჩამორთმევენ დაკავებისა და გასინჯვის უფლებამოსილი პირები, აგრეთვე კანონით უფლებამოსილი სხვა პირები. ჩამორთმეულ ნივთებსა და დოკუმენტებს სამართალდარღვევის საქმის განხილვამდე ერთ თვემდე ვადით ინახავენ იმ ორგანოების (თანამდებობის პირების) მიერ განსაზღვრულ ადგილას, რომლებსაც ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევის უფლება აქვთ, ხოლო საქმის განხილვის შემდეგ, განხილვის შედეგების მიხედვით, მათ დადგენილი წესით საქმის განმხილველი ორგანოები ან თანამდებობის პირები გაუკეთებენ რეალიზაციას ან დაუბრუნებენ მფლობელს, ანდა გაანადგურებენ. როგორც ცნობილია, საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს ქონების კონფისკაციას (მუხლი 21-ე), მაგრამ ეს შეეხება კანონიერი გზით შეძენილ ქონებას. რაც შეეხება უკანონო გზით მოპოვებულ ქონებას, იგი ყველა შემთხვევაში ჩამორთმევა უკანონო მფლობელს. სწორედ ამ პრინციპიდან უნდა ამოვიდეთ, როცა ვახდენთ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 124-ე მუხლში აღნიშნულია ის შედეგები, რომლებიც უნდა მოჰყვეს ნივთიერი მტკიცებულებების ბედ-იბდლის საკითხის გადაწყვეტას. კერძოდ, თუ დანაშაულის იარაღს ღირებულება არა აქვს, იგი ნადგურდება, ხოლო თუ მას აქვს რაიმე ღირებულება, ხდება მისი საპროცესო კონფისკაცია, ე.ი. უსასყიდლოდ ჩამორთმევა, რაც არაზუსტი და არასწორია. აქ უნდა იყოს ერთმანეთისაგან გამიჯნული დანაშაულის ჩადენის უკანონო იარაღი დანაშაულის ჩადენის კანონიერი იარაღისაგან (ტყვიამფრქვევი სანადირო თოფისაგან). თუ დანაშაულის ჩადენის იარაღი დანაშაულის კანონიერ მფლობელობაშია (გაფორმებული სანადირო თოფი), მისი საერთოდ ჩამორთმევა (არც სასყიდლით, არც უსასყიდლოდ) დაუშვებელია, ვინაიდან საქართველოს კონსტიტუციის დასახელებულ მუხლში პირის საკუთრების უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ რეკვიზიციის (ანაზღაურების) სახით და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს სახელმწიფო ან საზოგადოე-

ბრივი აუცილებლობითაა გამოწვეული ან სპეციალურად კანონშია მითითებული მოცემული კონკრეტული საკუთრების რეკვიზიციის შესახებ, ხოლო ყველა ამ შემთხვევაში რეკვიზიცია დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. რაც შეეხება აღნიშნული ქონების (ნივთების) კონფისკაციას, იგი ადამიანის საკუთრების უფლების უხეში ხელყოფაა ნებისმიერ შემთხვევაში. საკაცობრიო რევოლუციების ძირითადი მიზანი და დღევანდელი ცივილიზაციის უდიდესი მონაპოვარია ადამიანის მიერ კანონიერი წესით მოპოვებული ქონების ხელშეუხებლობა, რომ ადამიანი საზოგადოებაში არ შეიძლება იყოს საკუთრების გარეშე, რომელიც მის არსებობას, სიცოცხლეს უტოლდება, ვინაიდან დედამიწაზე შეუძლებელია დღეს არსებობა მზამზარეულად, ბუნების წყალობით. როცა დღეს ყოველგვარი მატერიალური საარსებო საშუალება (მიწა, ტყე, მდინარეები, წყლები და ა.შ.) კერძო საკუთრებაშია, ადამიანი ელემენტარული საკუთრების გარეშე არის „ტყეში მგელი“, რომელიც მზადაა ყაჩაღობისა და ძარცვისათვის. ამიტომ უფრთხილდება ჩვენი კონსტიტუცია და საერთაშორისო კანონმდებლობა ადამიანის საკუთრების უფლებას, როგორც მის წმიდათაწმიდა უფლებას. ამის გამო, რომ დღეს ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში კონფისკაცია (კანონიერი ქონების უსასყიდლოდ ჩამორთმევა) აკრძალულია. რაც შეეხება დანაშაულის ჩადენას უკანონო იარაღით (ჩვენს მაგალითზე ტყვიამფრქვევის), იგი ყველა შემთხვევაში დამნაშავეს უნდა ჩამოერთვას უსასყიდლოდ, ვინაიდან იგი მისი კანონიერი მესაკუთრე არაა. მაგრამ ეს არ არის კონფისკაცია, ეს არის კანონიერი ჩამორთმევა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დასახელებული 124-ე მუხლი ჩამოთვლის დანაშაულის ჩადენის იარაღის ბედის სხვა შემთხვევებსაც, რომლებიც მოსაწონია და შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ადმინისტრაციულ პროცესშიც. კერძოდ, თუ ბრუნვიდან ამოღებულ ნივთთან გვაქვს საქმე, რომელსაც რაიმე ღირებულება აქვს, იგი გადაეცემა შესაბამის დაწესებულებას, თუ მას ღირებულება არა აქვს – ნადგურდება, სხვა ნივთი, რომელსაც ღირებულება არა აქვს, ნადგურდება, ხოლო დაინტერესებული პირის ან დაწესებულების შუამდგომლობით მას გადაეცემა; დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფული ან ფასეულობა ხმარდება დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, ხოლო თუ ცნობილი არ არის პირი, რომელსაც ზიანი მიადგა, სახელმწიფო ბიუჯეტში გადაირიცხება; დაზარალებულის, გამართლე-

ბულის ან სხვა პირის კუთვნილი ყველა ნივთი და დოკუმენტი, განსასჯელისა და იმ პირის ნივთებისა და დოკუმენტების გარდა, რომელთაც მათზე ქონებრივი პასუხისმგებლობა ეკისრებათ, უბრუნდება მესაკუთრეს ან მფლობელს. ყველა ამ საკითხის გადაწყვეტას ესაჭიროება შესაბამისი აქტით გაფორმება, ხოლო თუ ეს წინასწარი გამოძიების სტადიაზე საქმის შეწყვეტისას ხდება, ყველა აღნიშნული მოქმედება მოსამართლის დადგენილების საფუძველზე ხორციელდება. ნივთიერი მტკიცებულებების კუთვნილების გამო დავა წყდება სამოქალაქო-სამართლებრივი წესით. ყველა ეს დებულება მისაღებია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების დროსაც. მაგრამ იმდენად მარტივია ეს საქმე, რომ ნივთიერ მტკიცებულებებს მასში საერთოდ ადგილი არა აქვს, ხოლო თუ ასეთი მტკიცებულებები მაინც არსებობს, მისი ბედი გადაწყდება მარტივად: გაუკეთებენ რეალიზაციას, ან დაუბრუნებენ მესაკუთრეს თუ კანონიერ მფლობელს, ანდა გაანადგურებენ. ხოლო ასეთ დროს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული გართულებული საპროცესო მოქმედებები სავალდებულო არ არის, თუ ამას მესაკუთრე ან ადმინისტრაციული ორგანო საჭიროდ არ მიიჩნევს.

ნივთებისა და დოკუმენტების ადმინისტრაციული ჩამორთმევისას შედგება ოქმი ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის, ნივთების გასინჯვის, ანდა ადმინისტრაციული დაკავების შესახებ ოქმებში კეთდება სათანადო ჩანაწერი.

საინტერესოდ წყდება საკითხი ახალ ადმინისტრაციულ საპროცესო კანონპროექტში მართვის მოწმობის ჩამორთმევის შესახებ. პირს ტრანსპორტის მართვის მოწმობა ჩამოერთმევა მხოლოდ სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლისთანავე, მაშასადამე, მძღოლისათვის ტრანსპორტის მართვის დროებითი ნებართვის გაცემა არ ხდება. დაუშვებელია მძღოლს ჩამოერთვას მართვის მოწმობა დაკისრებული ჯარიმის გადახდის უზრუნველსაყოფად, ვინაიდან რაიმე დოკუმენტის უკანონოდ ჩამორთმევა ახალ სამართალდარღვევას ქმნის. თუ სამართალდარღვევა ჩაიდინეს შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკებმა, მათ საქმის განხილვამდე ჩამორთმევენ ცეცხლსასროლ იარაღს, აგრეთვე საბრძოლო-მასალებს, რის შესახებაც ოქმში კეთდება ჩანაწერი ჩამორთმეული იარაღის მარკის ან მოდელის, კალიბრის, სერიისა და ნომრის, საბრძოლო მასალის რაოდენობისა და სახეობების აღნიშვნით.

მძღოლები და სხვა პირები, რომლებიც მართავენ სატრანსპორტო საშუალებას და არსებობს საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ ისინი იმყოფებიან ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ან პრეკუსორების ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ დადგენილი წესით უნდა შემოწმდნენ და მათი ამგვარი მდგომარეობის დადასტურების შემთხვევაში ისინი უნდა ჩამოაშორონ სატრანსპორტო საშუალების მართვას. აღნიშნულ პირთა შემოწმება ხდება შინაგან საქმეთა სამინისტროს, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით. თუ სატრანსპორტო საშუალებებს გაუმართავი აქვთ სამუხრუჭე სისტემა, საჭის მექანიზმი, ან მისაბმელი მოწყობილობა ავტომობილში, ან კიდევ მწყობრიდანაა გამოსული ფარები, ან უკანა საგაბარიტო მასუქები დღე-ღამის ბნელ დროს ან შუშის საწმენდი მექანიზმის მოწყობილობა წვიმისა და თოვლის დროს, ან დარღვეულია ძრავის კვების სისტემის პარამეტრები, ან თუ მძღოლს არ გააჩნია მძღოლის მოწმობა, ან სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო დოკუმენტი – აიკრძალება ტრანსპორტის შემდგომი მოძრაობა უსაფრთხოების აღმოფხვრამდე. ამ შემთხვევაში ყველა ხარჯი დაეკისრება დამრღვევს. პოლიციის მუშაკის მოთხოვნა, სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ, გამოიხატება კვერთხის სიგნალის მიცემით სასტვენთან ერთად ან ხმის გამაძლიერებლის მეშვეობით მანქანის შესამბამისი მარკისა და სახელმწიფო ნომრის აღნიშვნით. სიგნალი უნდა იყოს მძღოლისათვის გასაგები და უნდა მიეცეს იმგვარად, რომ მისმა შესრულებამ არ შექმნას საავარიო ვითარება. მოქმედ კოდექსში გათვალისწინებულია ისეთი შემთხვევა, როცა მოძრაობის წესების დარღვევისას ჯარიმის გადახდის უზრუნველსაყოფად შეიძლება სამართალდარღვევის საგნის (გადასატანი ბარგის) ან სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევა. დადგენილ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში დაკავებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით (მუხლი 249-ე). ეს თითქოს ჯარიმის ამოღების საშუალებაა, მაგრამ მეტისმეტად უხეშ ფორმებში. ჯარიმის გადაუხდელობისას დამრღვევი ნებაყოფლობით იხდის ჯარიმის თანხას თავისი ქონებიდან, რომელსაც თვითონვე შეარჩევს. მოცემულ შემთხვევაში კი მებაჟე თუ სხვა პირი იძულების წესით ჩამოართმევს მძღოლს ბარგს და ტრანსპორტს, რომელსაც იძულებით გაუყიდიან, მიღებული თანხიდან დაქვითავენ ჯარიმის თანხას, ხოლო

დარჩენილ თანხას მანქანასა თუ ბარგს მეპატრონეს უბრუნებენ. ეს წესი სრულიად მიუღებელია, ვინაიდან წარმოადგენს პირის საკუთრების ხელყოფის ფარულ ფორმას, რომლისთვისაც პასუხი უნდა აგოს თანამდებობის პირმა თავისი ბრალის მიხედვით.

დაბოლოს, აღნიშნული ღონისძიებები, რომლებიც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა აღკვეთისა და ადმინისტრაციული წარმოების უზრუნველყოფის ზომებადაა მიჩნეული, დაინტერესებულმა პირებმა შეიძლება გაასაჩივრონ ზემდგომ ორგანოებში (ზემდგომ თანამდებობის პირთან) ან სასამართლოში (პროექტის მუხლი 315-ე, მოქმედის მუხლი 251-ე). ეს წესი მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან საქმე გვაქვს ადამიანის კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვასთან, რომლის დროსაც არათუ გასაჩივრების უფლება, არამედ შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს თუ თანამდებობის პირის ვალდებულებაც წარმოიშობა – დაასაბუთოს ზემოთ აღნიშნული ზომების გამოყენების აუცილებლობა ცალკე ადმინისტრაციულ აქტში, რაც ასევე მითითებული უნდა იქნეს კოდექსში.

§2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა ადმინისტრაციულ ორგანოში

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე გახილულ უნდა იქნეს მისი მიღებიდან 1 თვის ვადაში, მაგრამ სახდელის დაკისრების 3-თვიანი ვადა სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან დაცული უნდა იყოს, მაშასადამე, ამ სამი თვის ვადაში საქმე გამოკვლეული უნდა იქნეს.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსი ცალ-ცალკე განიხილავს ადმინისტრაციული პროცესის თითოეული მონაწილის უფლებებსა და მოვალეობებს. მათი სამართლებრივი მდგომარეობა ერთგვარად განსხვავდება ადმინისტრაციულ დავებზე მხარეების მდგომარეობისაგან. ამიტომ საჭიროა განვიხილოთ მათი უფლებასუბიექტურობა ადმინისტრაციულ პროცესში.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევი შეიძლება იყოს ფიზიკური, იურიდიული ან თანამდებობის პირი. მას უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებები, წარადგინოს მტკიცებულებები, განაცხადოს შუამდგომლობანი, ისარგებლოს ადვოკატის დახმარებით, გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით თუ არ იცის სახელმწიფო ენა, გაასაჩივროს საქმის გამო მიღებუ-

ლი დადგენილება. ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის საქმე დამრღვევის მონაწილეობით განიხილება, მის გარეშე საქმე შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა არის ცნობა მისთვის საქმის განხილვის ადგილისა და დროის დროული შეტყობინების შესახებ და მისგან არ შემოსულა დასაბუთებული შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების შესახებ. თუ საქმის განმხილველი ორგანო (თანამდებობის პირი) სავალდებულოდ მიიჩნევს სამართალდამრღვევის დასწრებას საქმის განხილვაზე, მაგრამ სამართალდამრღვევი თავს აარიდებს გამოცხადებას შინაგან საქმეთა ორგანოს ან მოსამართლის გამოძახების მიუხედავად, მას იძულებით მიიყვანენ შინაგან საქმეთა ორგანოს მუშაკები. ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი წინასწარ პატიმრობაში არ აიყვანება მიუხედავად იმისა, ითვალისწინებს თუ არა ჩადენილი დარღვევა ადმინისტრაციულ პატიმრობას. როგორც აღვნიშნეთ, ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი შეიძლება დააკავონ 8 საათის განმავლობაში, ხოლო თუ მეტი ხნითაა იგი დასაკავებელი, ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 24 საათს. ამიტომ, თუ დამრღვევის დასწრება საქმის განხილვაზე აუცილებელია და იგი არ ცხადდება, იგი შეიძლება მიყვანილ იქნეს შინაგან საქმეთა ორგანოს მუშაკების მიერ საქმის განმხილველ ორგანოში (თანამდებობის პირთან). რამდენადაც სამართალდამრღვევი მხარეა პროცესში, ხოლო საქმის განმხილველი ორგანო (თანამდებობის პირი) მეორე მხარე, თითქოს მხარეთა თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, დამრღვევის იძულებით მიყვანა საქმის განმხილველ ორგანოში დაუშვებელი უნდა იყოს. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, მხარეთა თანასწორობა ადმინისტრაციული საქმის განხილვისას ნიშნავს მხარეთა თანასწორობას კანონისა და სასამართლოს წინაშე, ხოლო ერთმანეთთან ისინი უთანასწორობი არიან, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანო ახორციელებს თავის კომპეტენციას, რომლის დროსაც მეორე მხარე ემორჩილება მას, ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისას ადმინისტრაციული ორგანო იყენებს იძულების ზომასაც (სახდელს) დამრღვევის მიმართ.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისას მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენს იურიდიული პირის წარმომადგენელი, როცა საქმე ეხება იურიდიული პირის პასუხისმგებლობას მომხდარი სამართალდარღვევისათვის. როგორც აღვნიშნეთ, იურიდიული პირი ოფიციალური წარმომადგენელია მისი ხელმძღვანელი ან ის მუშა,

რომელიც საკანონმდებლო აქტით მიჩნეულია ამ იურიდიული პირის წარმომადგენლად. როცა საკითხი დგება იურიდიული პირის წარმომადგენლის პასუხისმგებლობის შესახებ საქმის განხილვაზე გამოუცხადებლობის გამო, მისი გამოცხადების აუცილებლობის შემთხვევაში, ეს საკითხი მას ისევე შეეხება, როგორც სამართალდამრღვევ ფიზიკურ პირს. ამიტომ, თუ საწარმოს დირექტორი უნდა გამოცხადდეს საქმის განხილვაზე და არ ცხადდება, იგი ასევე იძულების წესით შეიძლება მიყვანილ იქნეს ადმინისტრაციულ ორგანოში, თანამდებობის პირთან თუ სასამართლოში. კანონში ეს ასე არაა მითითებული, მაგრამ იგულისხმება, ვინაიდან სამართალდამრღვევი მოქმედი კანონმდებლობით შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე თანამდებობის ან იურიდიული პირიც. მაგრამ, რადგან იურიდიული პირის დასჯა და იძულება გულისხმობს მისი ბრალეული თანამდებობის პირის დასჯას და იძულებას, ამიტომ მის მიმართაც ვრცელდება ყველა ის წესი, რაც სამართალდამრღვევების მიმართ გამოიყენება. აქვე უნდა დაეძინოთ, რომ იურიდიულ პირზე ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებისას (დაჯარიმებისას) ბრალეული თანამდებობის პირი არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, ვინაიდან სწორედ მისი ბრალით მოხდა საწარმოო ხასიათის სამართალდარღვევა და საწარმოს დაჯარიმების შემდეგ შესაბამისი თანამდებობის პირი 1 წლის მანძილზე ითვლება ადმინისტრაციულ პასუხისმგებებაში ნამყოფად. საწარმოს მიმართ არც ეს წესი და არც განმეორებით ჩადენილი სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ წესიც ვერ გავრცელდება იურიდიულ პირზე, რომელიც არ შეიძლება იურიდიულ პასუხისმგებაში ნამყოფად ჩაითვალოს. ეს წესი მხოლოდ შესაბამის თანამდებობის პირზე ვრცელდება და თუ მან 1 წლის მანძილზე დატოვა ეს საწარმო და ჩაიდინა ახალი სამართალდარღვევა სხვა საწარმოში ან მის გარეშე, იგი მაინც ჩაითვლება სამართალდარღვევის განმეორებით ჩამდენად.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი შედარებით დეტალურად აწესრიგებს ადვოკატის მონაწილეობას ადმინისტრაციულ პროცესში. ფიზიკური და იურიდიული პირები უფლებამოსილნი არიან მონაწილეობა მიიღონ ადმინისტრაციულ პროცესში როგორც უშუალოდ, ისე თავიანთი წარმომადგენლის მეშვეობით, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ადვოკატი, ისე ნებისმიერი სხვა პირი. არასრულწლოვნების (16-დან 18 წლამდე), ჭკუასუსტების ან სულით ავადმყოფების ნაცვ-

ლად ან მათთან ერთად ადმინისტრაციულ პროცესში მონაწილეობენ მათი კანონიერი წარმომადგენლები: მშობლები, მშვილებლები, მეურვეები, მზრუნველები. წარმომადგენლის უფლებამოსილება დადასტურებულ უნდა იქნეს მინდობილობით, რომელიც გაიცემა ადმინისტრაციის მიერ და დამოწმებული იქნება ნოტარიალურად. ხელმძღვანელები ან სხვა თანამდებობის პირები, რომელნიც გამოდიან შესაბამისი ორგანოსა თუ ორგანიზაციის წარმომადგენლად, ვალდებული აირიან წარადგინონ მათი სამსახურებრივი მდგომარეობის ან უფლებამოსილების დადასტურებელი დოკუმენტები. წარმომადგენელი არ შეიძლება იყოს პირი, ვისაც 18 წელი არ შესრულებია, ვინც იმყოფება მეურვეობაში ან მზრუნველობის ქვეშ, ვინც იხილავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს ან არის საქმის განხილვის სხვაგვარი მონაწილე, ვისაც ჩამორთმეული აქვს იურიდიული უფლება განსახილველი საქმის სფეროში, ვინც ამ საქმეზე უკვე არის წარმომადგენელი.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვაში მონაწილე ადვოკატსა და წარმომადგენელს უფლება აქვს გაეცნოს საქმის ყველა მასალას, განაცხადოს შუამდგომლობა იმ პირის დავალებით, რომელმაც იგი მოიწვია, ან შეიტანოს საჩივარი. დამცველმა უნდა გამოიყენოს დაცვის ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი იმ გარემოებათა გამოსავლენად, რომლებიც ამართლებენ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს, ანდა ამსუბუქებს მის პასუხისმგებლობას და უნდა გაუწიოს მას საჭირო იურიდიული დახმარება. მას უფლება არა აქვს იმოქმედოს სამართალდამრღვევის ინტერესების საზიანოდ. მას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სამართალდამრღვევის მონაწილეობით ან შუამდგომლობით ჩატარებულ საგამომიებო მოქმედებაში, დაუსვას შეკითხვები მოწმეს, ექსპერტს, მოითხოვოს იმ მონაცემების განხილვა, რომლებიც უარყოფენ დამრღვევის ბრალს ან ამსუბუქებენ მის პასუხისმგებლობას, მასვე შეუძლია განაცხადოს აცილება ან შუამდგომლობა, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ისეთივე წესით წარმოებს, როგორც ადმინისტრაციული საჩივრისა თუ ადმინისტრაციული დავის განხილვის დროს. დამცველს შეუძლია მიიღოს მცოდნე პირთა წერილობითი მოსაზრებები და გამოიყენოს ისინი შუამდგომლობათა და საჩივართა დასაბუთებისათვის. თუ დამცველი არ გამოცხადდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისას, იგი შეიძლება გადაიდოს რამდენიმე დღით, ხოლო თუ საერთოდ არ გამოცხა-

დღეობა, საქმე მაინც შეიძლება განხილულ იქნეს და სისხლის სამართლის პროცესში გამოყენებული დამცველის დანიშვნით მოწვევის წესი არ გამოიყენება, ვინაიდან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე დამცველის სავალდებულო წესით დანიშვნა არ არსებობს, იგი მხოლოდ სამართალდამრღვევის უფლებამოსილებაა.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მოწმედ შეიძლება გამოძახებულ იქნეს ნებისმიერი პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს ამ საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემები. მოწმეების ვინაობის შესახებ წინასწარ უნდა ჩაიწეროს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში, რომელსაც ისინი ხელს აწერენ. მოწმე ვალდებულია გამოცხადდეს საქმის განმხილველი ორგანოს (თანამდებობის პირის) მოწვევით, ყველაფერი სწორად აცნობოს, რაც საქმის გარშემო იცის და უპასუხოს დასმულ შეკითხვებს. ადმინისტრაციულ პროცესში მოწმის იძულებით მოყვანა გათვალისწინებული არ არის. ამიტომ, როცა იგი არ ცხადდება საქმის განხილვის დროს, საქმის განმხილველი ორგანო ვალდებულია დაეყრდნოს სამართალდარღვევის ოქმის მონაცემებს მოწმეებისა და მათი ჩვენებების შესახებ. ცრუ ჩვენების მიცემისათვის მოწმე ექსპერტის თანაბრად აგებს სისხლის სამართლის პასუხს. ამასთან, მოწმე არ არის ვალდებული მისცეს ჩვენება თავისი ან მისი ახლო ნათესავის წინააღმდეგ. თუ მან არ იცის სამართალწარმოების ენა, შეუძლია უფასოდ ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით, აცილება მისცეს თარჯიმანს, საკუთარი ხელით ჩამოაყალიბოს თავისი ჩვენება, გააკეთოს განცხადება გამოკვლევის უკანონო მეთოდების შესახებ, გაეცნოს სხდომის ოქმის იმ ნაწილს, სადაც ჩაწერილია მისი ჩვენება და მოითხოვოს მასში დამატებების, ცვლილებებისა და დაზუსტების შეტანა. არ შეიძლება მოწმედ დაიკითხოს: სამართალდამრღვევის დამცველი – იმ გარემოებების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა მოცემულ საქმეში დამცველის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის, სამოქალაქო მოპასუხის ან იმ პირის წარმომადგენელი, რომლის მიმართაც გამოიყენება სამედიცინო ხასიათის იძულების ღონისძიება – იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეში წარმომადგენლის ან დამცველის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, ადვოკატი, რომელიც იურიდიულ დახმარებას უწევდა პირს დაცვის ან წარმომადგენლობის მიღებამდე – იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც მისთვის ცნობილი

გახდა იურიდიული დახმარების გაწევასთან დაკავშირებით, ადვოკატი, რომელიც ორგანიზაციას ემსახურებოდა – იმ გარემოებების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა დაცვის ან წარმომადგენლობის განხორციელებასთან ან სხვა იურიდიული დახმარების გაწევასთან დაკავშირებით, სასულიერო პირი – იმ გარემოებების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა აღსარების აღიარების ან სხვაგვარად განდობის შედეგად, პირი, რომელსაც მცირეწლოვნობის ან ფიზიკური თუ ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიხსომოს ან აღიდგინოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მისცეს ჩვენება, სამართალდამრღვევის ახლო ნათესავი თუ იგი არ დათანხმდება მისცეს ჩვენება, მოსამართლე – იმ გარემოების შესახებ, რომელიც წარმოადგენს მოსამართლეთა თათბირის საიდუმლოებას (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 95-ის პუნქტი 1-ლი). რასაკვირველია, სახალხო დამცველის ან საქართველოს პარლამენტის ან აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრების დაუკითხაობა იმ ფაქტების გამო, რომელიც მათ გაანდეს ამომრჩევლებმა, დაუშვებელია, ვინაიდან ასეთი განდობა არ მიეკუთვნება საიდუმლო ინფორმაციის სფეროს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად. ბუნებრივია, არ შეიძლება დიკითხოს ყველა ის პირი, რომელსაც ნაკისრი აქვს ვალდებულება არ გაამჟღავნოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას მიეკუთვნება, – ამ საიდუმლოების გარშემო. აქ ჩამოთვლილი დებულებები არ არის გათვალისწინებული ადმინისტრაციულ-საპროცესო კანონმდებლობაში, მაგრამ რამდენადაც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული დებულებები გამოსაყენებელია ადმინისტრაციულ პროცესშიც, ისინი გამოყენებულ უნდა იქნეს, განსაკუთრებით მაშინ, როცა მხარეები ამას მოითხოვენ. სხვა შემთხვევაში, საქმის სიმარტივის გამო, აღნიშნული მოთხოვნების დაცვა, თუ ეს არ იწვევს კანონიერების დარღვევას, სავალდებულო არაა.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე შეიძლება იყოს გამოყოფილი ექსპერტი. ადმინისტრაციული ორგანო (თანამდებობის პირი), რომლის წარმოებაშიცაა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე, ექსპერტს მოიწვევს იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა სპეციალური ცოდნა. ექსპერტი ვალდებულია გამოცხადდეს გამოძახების საფუძველზე და მისცეს ობიექტური დასკვნა მის წინაშე დაყენებულ საკითხებზე.

ექსპერტს შეუძლია გაეცნოს საქმის მასალებს, რომლებიც ექსპერტიზის საგანს შეეხება, განაცხადოს შუამდგომლობები დასკვნის მისაცემად საჭირო დამატებითი მასალების მისთვის გადმოცემის შესახებ, საქმის განმხილველი ორგანოს (თანამდებობის პირის) ნებართვით სამართალდამრღვევს, დაზარალებულს, კანონიერ წარმომადგენელს, მოწმეებს მისცეს შეკითხვები, რომლებიც ექსპერტიზის საგანს შეეხება და დაესწროს საქმის განხილვას. ექსპერტად შეიძლება დაინიშნოს ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს სპეციალური ცოდნა, მუშაობს საექსპერტო დაწესებულებაში ან აქვს ლიცენზია. ექსპერტის გამოყოფა და დასკვნის მოპოვების უფლება აქვს მხარესაც (სამართალდამრღვევსა და მის ადვოკატს), რომელსაც უნდა წარედგინოს ნივთიერი მტკიცებულებანი და საექსპერტო გამოკვლევის სხვა ობიექტები. საექსპერტო კომისიის შექმნისას მის შემადგენლობაში შეიძლება შევიდეს სამართალდამრღვევის მიერ შემოთავაზებული ექსპერტი. ექსპერტი ვალდებულია საქმის განმხილველი ორგანოს (თანამდებობის პირის) გარეშე არ გაამხილოს წინასწარი გამოკვლევის მასალები და ცნობები მოქალაქეთა პირადი ცხოვრების შესახებ, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა. ყალბი დასკვნისათვის იგი პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით. ექსპერტის პარალელურად შეიძლება იყოს გამოყოფილი სპეციალისტი, რომელიც საჭირო დახმარებას უწევს საქმის განმხილველ ორგანოს (თანამდებობის პირს) მტკიცებულებათა აღმოჩენაში, დამაგრებასა და დემონსტრირებაში. სპეციალისტად შეიძლება გამოიძახონ კრიმინალისტი, ექიმი, ფსიქოლოგი, პედაგოგი და სხვა პირები, რომლებსაც აქვთ საჭირო ცოდნა და ჩვევები. საქმის განხილვის დროს შეიძლება გამოიძახონ სპეციალისტ-ოპერატორი ტექნიკური აპარატურის გამოყენების მიზნით. თუ სპეციალისტი უარს იტყვის თავისი მოვალეობის შესრულებაზე არასაპატიო მიზეზით, მას შეიძლება დააკისრონ ფულადი სახდელი შრომის ანაზღაურების 10 მინიმალურ ოდენობამდე, რომელიც პროცესუალურ (და არა ადმინისტრაციულ) ჯარიმას წარმოადგენს.

საქმის განმხილველი თანამდებობის პირი ვალდებულია მოიწვიოს თარჯიმანი, როცა საქმეში მონაწილე პირებმა არ იციან ან სათანადოდ არ იციან სამართალწარმოების ენა ან როცა საჭიროა უცხო ენიდან ითარგმნოს სახელმწიფო ენაზე რაიმე ტექსტი. თარჯიმნის მოწვევა ამ დროს საჭიროა, თუნდაც საქმის განმხილველმა პირმა იცოდეს ის ენა, რომელზეც ლაპარაკობს პროცესის მონაწილე, ამიტომ თარჯიმანი ვალდე-

ბულია ზუსტად თარგმნოს ყველაფერი, ხოლო ცრუ თარგმნისათვის პასუხი აგოს სისხლის სამართლის წესით. თარჯიმნის წესები ვრცელდება იმ პირებზეც, რომელიც მოწვეულია ყრუ-მუნჯთა ნიშნების ასახსნელად.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების დროს შეიძლება მოწვეულ იქნეს დამსწრეც, რომელიც მოიწვევა საქმის გამორკვევისას ცალკეულ პროცესუალურ მოქმედებათა ჩატარების ფაქტის, მისი მიმდინარეობისა და შედეგების დასადასტურებლად. საქმეზე გამოძახებულ უნდა იქნეს არანაკლებ 2 დამსწრე იმ პირთაგან, რომლებიც დაინტერესებულნი არ არიან საქმის შედეგებით. პროცესუალური მოქმედების ჩატარების წინ დამსწრეთ განემარტებათ, თუ რის დასადასტურებლად არიან მოწვეული და რა ევალებათ. თუ დამსწრე უარს იტყვის თავის მოვალეობათა შესრულებაზე, მასაც შეიძლება დაეკისროს პროცესუალური ჯარიმა (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 103-ე). დამსწრე იმით განსხვავდება მოწმისაგან, რომ მან არ იცის საქმის გარემოებათა შესახებ და მხოლოდ ადასტურებს რაიმე ფაქტს. თუ დამსწრე აწვდის ცნობებს საქმის ამა თუ იმ გარემოების შესახებ, იგი მოწმედ იქცევა. მოწმე, ვფიქრობთ, არ შეიძლება დამსწრეს როლშიც გამოვიდეს, ვინაიდან მაშინ იგი გამომკვლევის როლში გამოდის, რომელმაც იცის საქმის ესა თუ ის გარემოება და თანაც ადასტურებს ამა თუ იმ საგამომძიებლო მოქმედებათა ფაქტს. თუ მოწმე პროცესის მონაწილეა, იგი დამსწრე არ არის. ამიტომ, ვფიქრობთ, არასწორია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის მე-4 პუნქტი, რომლითაც დამსწრეს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს საგამომძიებლო მოქმედების ჩატარებაში, გააკეთოს განცხადება ამ მოქმედებათა გამო და გამოთქვას შენიშვნები, რომლებიც ოქმში უნდა იქნეს შეტანილი. მაშასადამე, ამ მუხლით დამსწრე გამოდის დამცველის როლში, ხოლო დამსწრეს ცნების განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ იგი არ უნდა იყოს დაინტერესებული საქმის შედეგით (მუხლი 102-ის პუნქტი მე-2).

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებისას მნიშვნელოვან ადგილს იჭერს ამ საქმის განხილვა. საქმის განმხილველ ორგანოთა რიცხვი საქართველოში საკმაოდ დიდია. როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში ადმინისტრაციული სასამართლოების არარსებობის გამო, ცალკეული საზედამხებველო ორგანოები უფლებამოსილნი

არიან, განიხილონ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მომხდარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო. ამჟამად მოქმედი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის მიხედვით ასეთი ორგანოები და თანამდებობის პირები არიან: შინაგან საქმეთა ორგანოები, რომლებიც დიფერენცირებულია საქმეთა კატეგორიების მიხედვით შინაგან საქმეთა ორგანოების უფროსებისა და მათი მოადგილეების, საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს, განყოფილების (ქვეგანყოფილების) უფროსების ან უფროსების მოადგილეთა, საგზაო-საპატრულო სამსახურის ქვედანაყოფების მეთაურებისა და მათი მოადგილეების, სახელმწიფო საავტომობილო ინსპექტორების სახით; ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველია: ფასიანი ქაღალდების კომისია, სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოები, რკინიგზის, საზღვაო, საჰაერო ტრანსპორტის ორგანოები, საავტომობილო ტრანსპორტისა და ელექტროტრანსპორტის ორგანოები, შრომის სახელმწიფო ინსპექტორები, საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს ორგანოები, მათ შორის საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტების თანამდებობის პირები, თავდაცვის სამინისტროს ორგანოები, სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოები და დაწესებულებები, მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ორგანოები, ვეტერინარული ზედამხედველობის ორგანოები, გემების სახელმწიფო ინსპექციის ორგანოები, კავშირგაბმულობისა და ფოსტის ორგანოები, სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოები, სასინჯი კონტროლის განმხორციელებელი ორგანოები, ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტი, ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი ორგანოები – სულ 20 დასახელების ორგანო. ამასთან, გათვალისწინებულია, რომ რაიონისა და ქალაქის სასამართლოები, მოსამართლეები განიხილავენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ისეთ საქმეებს, რომლებიც კანონმდებლობით მათ განმგებლობას განეკუთვნება.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის ორგანოთა და თანამდებობის პირთა რიცხვის ზრდა ხელს არ უწყობს საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებასა და სამართალდარღვევებთან ბრძოლის ამოცანების გადაწყვეტას. ამიტომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პროექტით გათვალისწინებულია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევები განიხილება რაიონული და

საქალაქო სასამართლოების მიერ იმ სამართალდარღვევების გარდა, რომელთა განხილვა გათვალისწინებულია სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოებისა და თანამდებობის პირთა მიერ. ასეთ ორგანოებად და პირებად პროექტში მითითებულია შინაგან საქმეთა ორგანოები, სახელმწიფოს საგადასახადო ორგანოები, საბაჟო ორგანოები, სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის ორგანოები, შრომის ინსპექციის ორგანოები, სახელმწიფო ტექნიკური ზედამხედველობის ორგანოები, სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოები, სახელმწიფო ვეტერინარული ზედამხედველობის ორგანოები, კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს სახელმწიფო ინსპექციის ორგანოები, სახელმწიფო სასინჯი ზედამხედველობის ორგანოები, საქსტანდარტის ორგანოები და სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ორგანოები. სულ თორმეტი ორგანო. ამ ორგანოთა რიცხვი სავარაუდოა კიდევ შემცირდეს და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეთა განხილვის ძირითად ორგანოებად რაიონისა და ქალაქის სასამართლოები იქცნენ.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები განიხილება იმ ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მოხდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, თუმცა კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა არა მხოლოდ მისი ჩადენის ადგილას, არამედ აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მოქმედი კანონმდებლობა შესაძლებლად თვლის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განხილვას დამრღვევის სწავლის ადგილის მიხედვითაც. ეს წესი ანარეკლია საბჭოთა პერიოდში დამკვიდრებული წესისა, რომლითაც საქმის განხილვა უნდა ხდებოდეს კოლექტივებში, საჯაროდ ყველას სავალდებულო დასწრებით, რათა შიშის ქვეშ ყოფილიყო მოსახლეობის დიდი ნაწილი ადმინისტრაციულ ორგანოთა წინაშე. ამიტომ ეს წესი დასაგმობია და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე უნდა იხილებოდეს მისი ჩადენის ადგილას იმ ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაშიც შედის ეს ადგილი. ასეთი წესი უზრუნველყოფს მოქალაქეთა ზედმეტი დაკავებისაგან გათავისუფლებას, შრომისაგან მოცდენის თავიდან აცილებას, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებასა და საჯაროობის პრინციპის დაცვას ყველა მსურველის მონაწილეობით.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა განხილვის ორგანო განიხილავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმსა და სხვა მასალებს მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში საერთო სამთვიანი ხანდაზმულობის ვადის დაცვით სამართალდარღვევის ჩადენის მომენტიდან. იმ შემთხვევაში, როცა იწურება საქმის განხილვის ხანდაზმულობის ვადა, საქმის განმხილველი ორგანო (თანამდებობის პირი) ვალდებულია მიიღოს ყველა კანონიერი ზომა აღნიშნული ვადის დასაცავად (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პროექტის მუხლი 329-ე). თუ სისხლის სამართლის საქმე შეწყვეტილია და საქმე გადაცემული აქვს ადმინისტრაციულ ორგანოებს განსახილველად, მაშინ ადმინისტრაციული წესით მისი განხილვისათვის საჭიროა დაცულ იქნეს ექვსთვიანი ხანდაზმულობა სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან. ასევე დენადი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განხილვის ვადა სამი თვეა მისი გამოვლენის დღიდან. საქართველოს საბაჟო კოდექსის 134-ე მუხლის თანახმად, საბაჟო დეკლარაციის, დოკუმენტების, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შემოწმება და შესაბამისად, სამართალდარღვევის ოქმის შედგენა ხდება საბაჟო ორგანოების მიერ შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში, მაგრამ არა უგვიანეს სამი დღისა საბაჟო დეკლარაციის მიღებისა და საჭირო დოკუმენტების წარდგენის მომენტიდან. როგორც აღვნიშნეთ, საბაჟო წესების დარღვევისათვის პირი შეიძლება დაკავებულ იქნეს ხანგრძლივი ვადით, მაგრამ არა უმეტეს ათი დღისა. ზოლო საერთო ხანდაზმულობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს სამთვიან ხანდაზმულობას მისი ჩადენის მომენტიდან. საქმის განხილვის განხანგრძლივებული ვადები უარყოფითად მოქმედებს განხილვის შედეგებზე, ვინაიდან ხანგრძლივი დროის გავლის შემდეგ აზრი ეკარგება იძულებითი ზომების გატარებას დარღვევის უარყოფითი შედეგების სწრაფი გამოსწორების თვალსაზრისით. მოქმედ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში საქმეთა განხილვის ვადები დიფერენცირებულია. ზოგადი წესის თანახმად, უფლებამოსილი ორგანო (თანამდებობის პირი) განიხილავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმსა და სხვა მასალებს მიღებიდან თხუთმეტი დღის ვადაში. შრომითი დავების, პროდუქტებით ვაჭრობის წესებით დარღვევის, წვრილმანი ხულიგნობისა და სხვა კატეგორიის საქმეთა განხილვა უნდა მოხდეს ერთი დღე-ღამის განმავლობაში, ქონების წვრილმანი დატაცების საქმე – ხუთი დღის განმავლობაში, რადიოდანადგართა უკანონო მოწყობისა

და კავშირგაბმულობის სხვა წესების დარღვევის, ცეცხლსასროლი გლუვლულიანი სანადირო თოფის გაყიდვის წესების დარღვევის, ბიუჯეტში თანხების გადარიცხვაზე დავალების შეუსრულებლობის, პასპორტის განზრახ გაფუჭების, სამხედრო აღრიცხვის წესების დარღვევისა და სხვა საქმეებზე გათვალისწინებულია საქმის განხილვის შეიდდლიანი ვადა მასალების მიღების დღიდან (მუხლი 262-ე). ასეთი ვადები ხელოვნურია და ზოგჯერ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ზოგადი სამოვიანი ხანდაზმულობის ვადას, ვინაიდან, თუ ამ ვადის ამოწურვამდე დარჩენილია ხუთი დღე, მისი განხილვა მეშვიდე დღეს კანონსაწინააღმდეგო იქნება, ამიტომ სავსებით გამართლებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პროექტის ის მითითება, რომლითაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და სხვა მასალების განხილვა ხდება მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან სამთვიანი ხანდაზმულობის ვადის დაცვით.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განსახილველად უნდა მომზადდეს, რომლის დროსაც საქმის განმხილველი ორგანო (თანამდებობის პირი) წყვეტს შემდეგ საკითხებს: განეკუთვნება თუ არა მის უფლებამოსილებას აღნიშნული საქმის განხილვა, სწორად არის თუ არა შედგენილი ოქმი და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის სხვა მასალები, ეცნობა თუ არა საქმის განხილვის მონაწილე პირებს საქმის განხილვის დრო და ადგილი, ხოლო, თუ პირის გამოცხადება სავალდებულოა, დროზე ეცნობა თუ არა ამის შესახებ მას და ხომ არ არის მისგან შუამდგომლობა საპატიო მიზეზით საქმის გადადების შესახებ, გამოთხოვნილია თუ არა საჭირო დამატებითი მასალები, უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემული პირის, დაზარალებულის წარმომადგენლის, მესამე პირის (დაინტერესებული მხარის), ადვოკატის, ექსპერტის შუამდგომლობა. საქმის წინასწარი მომზადება შეიძლება დაევალოს ადმინისტრაციული ორგანოს რომელიმე მუშაკს საქმის განსახილველი თანამდებობის პირის დავალებით, მაგრამ ეს არ ათავისუფლებს თანამდებობის პირს განახორციელოს დამატებითი შემოწმებები. ასეთი წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები აუცილებელია ჩატარდეს როგორც კოლექტიურ ორგანოში, ისე ერთპიროვნული თანამდებობის პირის მიერ.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა იწყება კოლექტიური ორგანოს შემადგენლობის გამოცხადებით ან მიღებული

საქმის განმხილველი თანამდებობის პირის წარდგენით. თუ საქმის განხილვას მხარე არ ესწრება და საქმეზე არც ადვოკატი და არც ექსპერტია გამოყოფილი, ხოლო საქმის განხილვას დაინტერესებული პირი ან სხვა მოქალაქე არ ესწრება, და ასეთი გამოცხადება საჭირო არ არის, მაშინ ასეთ შემთხვევაში დაცულ უნდა იქნეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებები ცნობის გამოქვეყნების შესახებ გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის თაობაზე. კერძოდ, ცნობაში უნდა აღინიშნოს იმ ადმინისტრაციული ორგანოს ან თანამდებობის პირის დასახელება, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება და მისი მისამართი, საქმის განხილვის დაწყების ვადა, ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ვადა, საკუთარი მოსაზრების წარდგენის ვადა (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მუხლი 117-ე). მართალია, ეს დებულება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში არ არის მოცემული, მაგრამ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე საჯარო განხილვის საქმეა ადმინისტრაციულ ორგანოში და ამიტომ დაცულ უნდა იქნეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 თავის დებულებები, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ. ამ წესების თანახმად ყველას აქვს უფლება წარადგინოს თავისი წერილობითი მოსაზრება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ადმინისტრაციული აქტის პროექტის საჯარო გაცნობისათვის წარდგენის დღიდან. კიდევ მეტი, პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარდგენისას არ მიუთითოს თავისი ვინაობა, მაგრამ თუ მხარე ან მესამე პირი არ გამოცხადდება საჯარო განხილვაზე, საქმის განხილვა მაინც შესაძლებელია მათი მონაწილეობის გარეშეც.

კოლეგიალური სხდომის ორგანოს თავმჯდომარე ან საქმის განმხილველი თანამდებობის პირი აცხადებს თუ რომელი საქმე განიხილება, ვინ არის მიცემული ადმინისტრაციულ პასუხისცემაში. საქმის განხილვაში მონაწილე პირებს განუმარტავენ მათ უფლებებსა და მოვალეობებს, საჯაროდ კითხულობენ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს, საქმის განხილვის დროს დაცულ უნდა იქნეს კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი და ამიტომ სხდომაზე უნდა მოუსმინონ საქმის განხილვაში მონაწილე პირებს, გამოიკვლიონ მტკიცებულებები, გადაწყვიტონ შუამდგომლობები. თუ საქმის განხილვისას არ არის წარმოდგენილი ისეთი დოკუმენტი, რომელსაც საქმისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ წარმოდგენილია სამართალდარღვევის ოქმი,

საქმის განმხილველ ორგანოს ან თანამდებობის პირს შეუძლია გამოითხოვოს ეს დოკუმენტი, ხოლო მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში გადაწყვიტოს საქმე მის გარეშე. ყველა შემთხვევაში სამართალდარღვევის საქმის განმხილველმა ორგანომ (თანამდებობის პირმა) უნდა გამოარკვიოს შემდეგი გარემოებანი: /ჩადენილი იყო თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ბრალეულია თუ არა პირი მის ჩადენაში, არის თუ არა საქმეზე დაზარალებული, ექვემდებარება თუ არა სამართალდამრღვევი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, არის თუ არა საფუძველი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მასალების გადასაცემად სისხლის სამართლის საქმის აღძვრის უფლების მქონე ორგანოსათვის ქვემდებარეობის მიხედვით. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისას უნდა იყოს გამორკვეული სხვა გარემოებანიც, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. აღნიშნულ გარემოებათა გამოკვლევის გარეშე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის გადაწყვეტა დაუსვებელია (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პროექტის მუხლი 331-ე, მოქმედის – მუხლი 264-ე). ამიტომ, თუ საქმეზე არ არის წარმოდგენილი ისეთი დოკუმენტი, რომლის წარმოუდგენლობა შეუძლებელს ხდის ზემოაღნიშნულ გამოსარკვევ გარემოებათა დადგენას, მაშინ საქმის განხილვა უნდა გადაიდოს ამ დოკუმენტის მოპოვებამდე ან საქმე უნდა დაბრუნდეს დამატებით გამოძიებაში. მართალია, ეს დებულება არ არის მოცემული ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში, მაგრამ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 426-ე და 501-ე მუხლების თანახმად, თუ წარმოდგენილი საქმე არსებითად არასრულადაა გამოკვლეული და საქმის განხილვისას მისი შევსება შეუძლებელია, საქმე უნდა დაბრუნდეს დამატებითი გამოძიებისათვის. ეს დებულება მთლიანად შეეხება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს და თუ იგი განიხილება მხოლოდ დამატებითი გამოკვლევის ჩატარების შემდეგ, გამოტანილ დადგენილებაში უნდა მიეთითოს, თუ რა გარემოებები უნდა შემოწმდეს და რა საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდეს საქმის სრულყოფისათვის.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანო ან თანამდებობის პირი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისას ადგენს სხდომის ოქმს, რომელიც, ბუნებრივია, არ იწერება, თუ სახდელის დაკისრება ადგილზე ხდება. სხდომის ოქმში უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოებანი: საქმის განმხილველი ორგანოს

დასახელება და შემადგენლობა, ხოლო თუ ერთპიროვნულად განიხილება – თანამდებობის პირის ვინაობა, სხდომის ჩატარების თარიღი და ადგილი, განსახილველი საქმის შინაარსი, ცნობა საქმის მონაწილე პირთა გამოცხადების შესახებ, საქმის განხილვის მონაწილე პირთა ახსნა-განმარტებები, შუამდგომლობანი და მათი განხილვის შედეგები, საქმის განხილვის დროს გამოკვლეული დოკუმენტები და ნივთიერი მტკიცებულებანი. ოქმში, მართალია, არ იწერება დადგენილება სამართლდარღვევის საქმის გადაწყვეტის შესახებ, მაგრამ მასში იწერება ცნობები მიღებული დადგენილების საჯაროდ წაკითხვის, გასაჩივრების წესისა და ვადების განმარტების, აგრეთვე სამართლდამრღვევის მიერ დადგენილების გაცნობის შესახებ. საქმის განმხილველი ორგანოს ან თანამდებობის პირი სხდომის ოქმს ხელს აწერს კოლექტიური ორგანოს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი, ხოლო ერთპიროვნული განხილვისას – განმხილველი თანამდებობის პირი. მოქმედ ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსში გათვალისწინებულია საქმის განხილვის ოქმის შედგენა მხოლოდ კოლექტიური ორგანოს მიერ. მიაჩნიათ, რომ ერთპიროვნულად საქმის განხილვისას სხდომას ადგილი არა აქვს, რაც არასწორია, ვინაიდან, საჯარო განხილვა სწორედ სხდომის ჩატარებას გულისხმობს. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 112-ე მუხლის თანახმად, საქმის ზეპირი მოსმენის დროს იწერება სხდომის ოქმი და ეს მუხლი კიდევ უფრო დეტალურად მოითხოვს საქმის ვითარების ცალკეული დეტალის შეტანას ამ ოქმში, კერძოდ, ზეპირი მოსმენის საგნის, წარდგენილი განცხადებებისა და შუამდგომლობების მოკლე მიმოხილვას, ექსპერტთა და მოწმეთა ჩვენებების მოკლე აღწერას, შემთხვევის ადგილის დათვალიერების აღწერასა და სხვ., რაც ადმინისტრაციული სამართლდარღვევის საქმის განხილვის სხდომის ოქმში სრულად არ შეიტანება. ამგვარი ოქმი მარტივი ხასიათისაა და იგი დიდ დროს არ მოითხოვს საქმის განხილვის შესადგენად. ოქმი უნდა შედგეს მაშინაც, თუ ადმინისტრაციულ სამართლდარღვევის საქმეს იხილავს ერთპიროვნული თანამდებობის პირი საჯარო მოსმენის გარეშე, ე.ი. როცა საქმის განხილვას არავენ ესწრება. ასეთ შემთხვევაში საქმის განხილვის ოქმის შედგენა მით უფრო აუცილებელია, რათა ეჭვი არავის შეეპაროს საქმის გადაწყვეტის ობიექტურ ჭეშმარიტებაში, რამდენადაც ოქმში აღინიშნება პირთა გამოუცხადებლობის მიზეზები, გამოკვლეული დოკუმენტებისა და ნივთიერი მტკიცებულებების გამოყენებისა და მიღე-

ბული დადგენილების სამართალდამრღვევისათვის გაგზავნის შესახებ. ასეთი ოქმი კიდევ უფრო განამტკიცებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის კანონიერებას. მაგრამ ასეთ ოქმს უნდა ეწოდოს არა საქმის განხილვის სხდომის ოქმი, არამედ საქმის განხილვის ოქმი, ვინაიდან სხდომა ამ დროს არ ტარდება. რაკი საქმის განხილვის ოქმში დადგენილების შინაარსი არ იწერება, ამდენად იგი პროცესუალური მოქმედების განმეორებას არ წარმოადგენს.

§3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე დადგენილების მიღება და გასაჩივრება

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე წარმოებას განმარტავენ როგორც უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოსაკვლევად და დამრღვევის პასუხისგებაში მისაცემად სამართალშეფარდების გზით ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე. მაგრამ ლიტერატურაში ადმინისტრაციული დარღვევის სამართალწარმოება განმარტებულია როგორც სახელმწიფო ორგანოთა და მათი თანამდებობის პირთა გარკვეული წრის სახელისუფლო საქმიანობა, რომელიც რეგლამენტირებულია კანონმდებლობით და მიმართულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვასა და დაგენილი წესით ადმინისტრაციული სახდელების გამოყენებისაკენ¹. ასეთი განმარტება სავსებით სწორი არ უნდა იყოს, ვინაიდან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება საქმის განხილვითა და სახდელის შეფარდებით არ ამოიწურება. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე უნდა განხორციელდეს გამოკვლევა, ოქმის შედგენა, მოწმის დაკითხვა და სხვა მოქმედებები, რომლებიც საქმის განხილვამდე ხორციელდება, ხოლო, რაც შეეხება ადმინისტრაციული სახდელის შეფარდებას, იგი შეიძლება საერთოდაც არ განხორციელდეს, ვინაიდან სამართალდარღვევის უმნიშვნელო ხასიათის გამო საქმე შეიძლება წარმოებით შეწყდეს და პირს არ დაეკისროს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ამიტომ სახდელის დაკისრების სტადია ბოლო სტადიაა ადმინისტრაციულ პროცესში, რომელიც შეიძლება არც იქნეს გამოყენებული საქმის განმხილველი ორგანოს მიერ,

¹ იხ. Пгнатенко В.В. Административная ответственность по российскому законодательству. Иркутск. 1998 г. стр. 81.

მაგრამ გადაწყვეტილება ანუ ადმინისტრაციული აქტი ყველა შემთხვევაში უნდა იქნეს მიღებული საქმის განხილვის დამთავრების შემდეგ, რომელიც შეიძლება იყოს ორი სახის: ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. დადგენილება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ მიიღება ზეპირი შენიშვნის გამოცხადებით ან მასალების უკანვე დაბრუნების შემთხვევაში, მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების ორგანოების მიერ საქმის მასალების დამატებით გამოსაკვლევად, აგრეთვე ისეთი გარემოებების აღმოჩენისას, რომლებიც გამორიცხავენ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის სამართალწარმოებას¹.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოტანილი დადგენილება (ადმინისტრაციული აქტი) უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს: დადგენილების გამომტანი ორგანოს (თანამდებობის პირის) დასახელებას, განხილვის თარიღსა და ადგილს, ცნობებს იმ პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე, საქმის განხილვისას დადგენილ გარემოებათა გადმოცემას, კოდექსის ან სხვა ნორმატიული აქტის იმ მუხლის მითითებას, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მოცემული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის. დაბოლოს, დადგენილებაში უნდა აღინიშნოს საქმის კონკრეტული გადაწყვეტა და მითითებულ უნდა იქნეს ყველა იმ მომენტზე, რომელსაც ითვალისწინებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლი, კერძოდ, მასში აგრეთვე უნდა აღინიშნოს უფლებამოსილი თანამდებობის პირის გვარი, სახელი და ხელმოწერა, დადგენილებაში უნდა მიეთითოს ის ორგანო, რომელშიც შეიძლება მისი გასაჩივრება ამ ორგანოს მისამართისა და საჩივრის წარდგენის ვადის აღნიშვნით, სახელმწიფო ორგანოს მიერ გამოცემულ დადგენილებაზე გამოსახულ უნდა იქნეს საქართველოს სახელმწიფო გერბი, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოს მიერ გამოცემულ აქტზე – შესაბამისი ორგანოს გერბი მისი არსებობის შემთხვევაში.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოტანილი დადგენილება უნდა შეიცავდეს მისი გამომცემი ორგანოს მიერ მინიჭებულ სარეგისტრაციო ნომერს. თუ პირი ადმინისტრაციულ პასუხისმგებებაში მიეცა, რასაკვირველია, დადგენილებაში აღინიშნება სახდელის კონკრეტ-

¹ იხ. დაწერილებით: ცილა ჩქარული, ადმინისტრაციული გადაცდომის საქმეზე დადგენილების გამოტანა. – ჟურნ., „სამართალი“, 2000 წ., №10, 11, 12.

ული ზომა. თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ადმინისტრაციული სახელის დაკისრების საკითხის გადაწყვეტისას ორგანოები (თანამდებობის პირები) ერთდროულად წყვეტენ ბრალეულის მიერ ზიანის ანაზღაურების საკითხს, მაშინ დადგენილებაში აღინიშნება ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა, მისი ანაზღაურების ვადა და წესი. საქმეზე მიღებულ დადგენილებაში აგრეთვე უნდა გადაწყდეს ჩამორთმეული ნივთებისა და დოკუმენტების საკითხიც. კოლექტიურ ორგანოში დადგენილება მიიღება სხდომის მონაწილე კოლექციის წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით, ხოლო დადგენილებას ხელს აწერს სხდომის მონაწილე ყველა წევრი. თითოეული მათგანს უფლება აქვს წარმოადგინოს განსაკუთრებული აზრი, რომელიც ცალკე თან დაერთვის დადგენილებას. თუ დადგენილება ერთპიროვნულად მიიღება, მას ხელს აწერს საქმის განმხილველი თანამდებობის პირი. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში დასაშვებია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში ჩაიწეროს დადგენილება ან დადგენილება გაუორმდეს სხვა წესით. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოტანილი დადგენილება უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას, რომელიც წინ უძღვის სარეზოლუციო ნაწილს. თუ დადგენილების გამოტანისას კოდექსის შესაბამისი მუხლის საფუძველზე თანამდებობის პირი ირჩევს რომელიმე ალტერნატიულ სახელს, მაშინ დადგენილებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მოცემული დადგენილების გამოსაცემად. თუ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოსაცემად უნდა იქნეს გათვალისწინებული საექსპერტო დასკვნა, მაშინ წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ამ დასკვნის შინაარსი. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ადგენს წესს, რომლითაც გადაუდებელ შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი შეიძლება გამოიცეს ან გამოქვეყნდეს წერილობითი დასაბუთების გარეშეც, მაშინ წერილობითი დასაბუთება აუცილებლად უნდა გამოქვეყნდეს ან გადაეცეს ოფიციალური გაცნობისათვის აქტის გამოქვეყნებიდან ან ოფიციალური გამოცემიდან ერთი კვირის ვადაში. ეს წესიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე დადგენილების გამოტანისას. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული ან შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოტანილი დადგენილება მისმა გამომტანმა ორგანომ ან თანამდებობის პირმა შეიძლება ბათილად ან ძალადაკარგულად ცნოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 და 61-ე მუხლების შესაბამისად, რომელთა შინაარსიც განხილულ იქნა წინა თავებში. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსი ადგენს აგრეთვე, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოტანილი ადმინისტრაციული აქტი შეიძლება გაუქმდეს ან შეიცვალოს მისი გამომტანი ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ, აგრეთვე ზემდგომი ორგანოს (თანამდებობის პირის), კანონით უფლებამოსილი სხვა ორგანოს ან სასამართლოს მიერ. ადმინისტრაციული აქტის გაუქმება განსხვავდება ძალადაკარგულად მისი გამოცხადებისაგან, ვინაიდან გაუქმება გულისხმობს მისი ყველა შედეგის ბათილად ცნობას. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში გათვალისწინებულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოტანილი დადგენილების გაუქმების ან შეცვლის საფუძვლები. ასეთი საფუძვლები შეიძლება იყოს: ადმინისტრაციული აქტის მიღება კანონის დარღვევით ან მისი მოთხოვნების დაუკველად, ადმინისტრაციული აქტის მიღება არაუფლებამოსილი ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ, ადმინისტრაციულ აქტში აღნიშნული დასკვნების შეუსაბამობა საქმის გარემოებებთან, ადმინისტრაციული აქტის მიღება ისეთ სექტორში, რომელზეც გამოტანილია სხვა უფლებამოსილი ორგანოს (თანამდებობის პირის) საბოლოო გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული აქტის მიღება იმ პირის მიმართ, რომელიც მოცემულ საქმეში მხარეს არ წარმოადგენს, ადმინისტრაციული აქტის აღსრულების შეუძლებლობა ან როცა აღსრულება დანაშაულს ან სხვა არამართლზომიერ ქმედებას წარმოადგენს, საქმეზე ახალი გარემოებების აღმოჩენა, რომლებიც უცნობი იყო ან არ შეიძლებოდა ცნობილი ყოფილიყო საქმის განხილვისას და რაც საქმეზე არსებით გავლენას ახდენს, იმ მტკიცებულებათა სიყალბე, რაც საფუძვლად დაედო ადმინისტრაციული აქტის მიღებას, კოდექსის ან კანონის იმ მუხლის გაუქმება, რომლის საფუძველზეც მიღებულ იქნა ადმინისტრაციული აქტი, აქტის გამოტანისას თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, კანონის ნორმის არასწორად შეფარდება ან ანალოგიის გამოყენება, ადმინისტრაციული წარმოების პროცესუალური ნორმების არასწორი გამოყენება, რამაც გამოიწვია არასწორი გადაწყვეტილების მიღება. ცხადია, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოტანი-

ლი დადგენილების გაუქმების უფრო მეტი შემთხვევებია გათვალისწინებული, ვიდრე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მისი ბათილად გამოცხადების შემთხვევები. კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა კოდექსში გათვალისწინებულია ადმინისტრაციული აქტის გაუქმების ასეთი ახალი საფუძვლები, როგორცაა: ადმინისტრაციულ აქტში აღნიშნული დასკვნების შეუსაბამობა საქმის გარემოებებთან, ადმინისტრაციული აქტის მიღება ერთსა და იმავე საქმეზე, რომელზეც უკვე მიღებულია საბოლოო გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული აქტის მიღება იმ პირის მიმართ, რომელიც მოცემულ საქმეში მხარეს ანუ სამართალდამრღვევს ან მესამე პირს არ წარმოადგენს და სხვ. ასეთი საფუძვლების აღიარება მეტად მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოტანილი დადგენილების მიმართ, რომელიც ეხება პირის პასუხისმგებლობასა და სახდელის გამოყენებას. ყველა ისეთ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოტანილი დადგენილება არღვევს პირის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს ან სახელმწიფოს და საზოგადოებრივ ინტერესებს, იგი გაუქმებულ უნდა იქნეს. არ შეიძლება გაუქმდეს არსებითად სწორი ადმინისტრაციული აქტი მხოლოდ ფორმალური მოსაზრების გამო, კერძოდ, აქტის ფორმის დაუცველობის, არასწორი რეგისტრაციისა და სხვათა გამო.

ადმინისტრაციული აქტის გაუქმება ან შეცვლა ხდება სპეციალური ახალი ადმინისტრაციული აქტის მიღების გზით, რაც ეცნობება შესაბამის სახელმწიფო ორგანოს (თანამდებობის პირს) და მხარეს. გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტის გაუქმების ან შეცვლის შესახებ წარმოადგენს ახალ ადმინისტრაციულ აქტს მოცემულ საქმეზე. ადმინისტრაციული აქტი უნდა გამოქვეყნდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე და 57-ე მუხლების საფუძველზე, კერძოდ, ადმინისტრაციული აქტი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში, ხოლო თუ მას ასეთი ორგანო არ გააჩნია, იგი უნდა გამოქვეყნდეს ისეთ ბეჭდვით ორგანოში, რომელიც ვრცელდება ადმინისტრაციული ორგანოს მთელ სამოქმედო ტერიტორიაზე და გამოიცემა კვირაში ერთხელ მაინც, ხოლო, თუკი ესეც შეუძლებელი აღმოჩნდა, იგი ცხადდება საჯაროდ, თუმცა საჯაროდ გამოცხადება ხელს არ უნდა უშლიდეს ბეჭდვით ორგანოში აქტის გამოქვეყნებას. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია წინასწარ განსაზღვროს ადმინისტრაციული აქ-

ტის აღნიშნული გამოქვეყნების ან საჯაროდ გამოცხადების წესი. საჯაროდ გამოცხადება ნიშნავს ადმინისტრაციული აქტის ადმინისტრაციულ ორგანოში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად მოთავსებას. აუცილებლობის შემთხვევაში ადმინისტრაციული აქტი საჯაროდ გამოცხადდება აგრეთვე სხვა საჯარო ადგილას. ადმინისტრაციული აქტი ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე ან გამოქვეყნების დღეს. დაინტერესებული მხარისთვის ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი ადმინისტრაციული აქტი ძალაში შედის გაგზავნიდან არა უკვიანეს მეშვიდე დღისა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებულ მხარეს ადმინისტრაციული აქტი არ მიუღია. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის ამ დებულებისაგან განსხვავებით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება გამოცხადდება დაუყოვნებლივ, საქმის განხილვის დამთავრებისთანავე და ძალაში შედის მიღებისთანავე. დადგენილების ასლი დაუყოვნებლივ ჩაბარდება ან სამი დღის ვადაში გაეგზავნება პირს, რომლის მიმართაც არის გამოტანილი ეს დადგენილება, აგრეთვე დაზარალებულს და სხვა დაინტერესებულ პირებს მათი მოთხოვნით. ასეთ დროს დადგენილების ასლი ჩაბარდება პირს ხელწერილით, ხოლო მისი ფოსტით გაგზავნის შემთხვევაში, საქმეში კეთდება სათანადო ჩანაწერი გაგზავნილი დოკუმენტების რეკვიზიტების მითითებით. კანონით გათვალისწინებულ ცეცხლსასროლ იარაღითა და საბრძოლო მასალებით სარგებლობის სფეროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე იმ პირთა მიმართ, რომელთაც ცეცხლსასროლი იარაღი, აგრეთვე საბრძოლო მასალები ჩაბარებული ჰქონდათ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, ან საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მიერ დროებით სარგებლობისათვის ჰქონდათ გადაცემული, დადგენილების ასლი ეგზავნება შესაბამის საწარმოს, დაწესებულებას ან ორგანიზაციას ცნობისათვის, აგრეთვე შინაგან საქმეთა ორგანოს პირისათვის ცეცხლსასროლი იარაღით სარგებლობის აკრძალვის საკითხის განსახილველად.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება შეიძლება გაასაჩივროს იმ პირმა, რომლის მიმართაც არის იგი გამოტანილი, აგრეთვე დაზარალებულმა საქმეში დაინტერესებულმა მესამე პირმა ან სამართალდარღვევის ოქმის შემდგენმა პირმა. საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) ან რაიონის, ქალაქის სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილებაც

შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით. მაგრამ, თუ სამართალდარღვევის საქმეს თავდაპირველად იხილავს სასამართლო, რომელსაც პირველი ინსტანციის წესით გამოაქვს დადგენილება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ, იგი შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში. საჩივარი შეიტანება იმ ორგანოში (თანამდებობის პირთან), რომელმაც გამოიტანა დადგენილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე, ხოლო შემოსული საჩივარი სამი დღის ვადაში საქმესთან ერთად ეგზავნება იმ ორგანოს (თანამდებობის პირს), რომლის სახელზეც არის საჩივარი შეტანილი და რომელიც უფლებამოსილია განიხილოს იგი. პირს, რომელმაც გაასაჩივრა დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, სახელმწიფო ბაჟი არ გადახდება (მუხლი 338-ე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პროექტის). ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლისაგან განსხვავებით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოტანიდან ათი დღის ვადაში. აღნიშნული ვადის გაშვების შემთხვევაში ეს ვადა იმ პირის განცხადებით, რომელსაც გააჩნია გასაჩივრების უფლება, უნდა აღადგინოს საჩივრის განსახილველად უფლებამოსილმა ორგანომ (თანამდებობის პირმა), თუკი არსებობს ისეთი საპატიო მიზეზი, როგორცაა: ავადმყოფობა, დაუძლეველი ძალა, მძიმე პირად თუ ოჯახურ გარემოებათა დამთხვევა და სხვ ასეთ შემცირებულ ვადაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ დადგენილების გასაჩივრების უფლება გამოწვეულია სამართალდარღვევის საქმისწარმოების შეკვეცილ ვადებში დამთავრების აუცილებლობით როგორც აღვნიშნეთ, ადმინისტრაციული სახდელი პირს შეიძლება დაეკისროს დარღვევის ჩადენიდან არა უკვიანეს სამი თვისა, ხოლო დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ უნდა აღსრულდეს მისი კანონიერ ძალაში შესვლიდან სამი თვის ვადაში, გარდა დადგენილებისა სახდელის ზომად გაფრთხილების გამოყენების შესახებ, რომელიც გამოცხადებისთანავე აღსრულდება.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის დროს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში სახალხო დამცველი უფლებამოსილია რეკომენდაციით მიმართოს შესაბამის ორგანოებსა და თანამდებობის პირებს (საჯარო მოსამსახურეებს) ადამიანთა უფლებათა და თავისუფლებათა აღსად-

გენად. რასაკვირველია, ასეთი რეკომენდაცია შეიძლება შეტანილ იქნეს ადმინისტრაციული საქმის განმხილველ ორგანოში. აღნიშნულ ვადაში საჩივრის შეტანა შეაჩერებს ადმინისტრაციული სახდელის თაობაზე გამოტანილი დადგენილების აღსრულებას მის გადაწყვეტამდე, ხოლო თუ დადგენილებით გათვალისწინებულია გაფრთხილების ან ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდება, მაშინ დადგენილების შეჩერებას ადგილი არა აქვს. ასევე ჯარიმის ადგილზევე გადახდევინების შემთხვევაშიც აღსრულება არ შეჩერდება, თუმცა საჩივრის უფლება დამრღვევს უნარჩუნდება. ასევე საქართველოს სახალხო დამცველის მიერ მოქალაქეთა უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის გამო რეკომენდაციის შეტანა შეაჩერებს დადგენილების აღსრულებას მის გადაწყვეტამდე. კოდექსში მოცემულია დამატებითი ზუთდლიანი ვადა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გამო საჩივრის ან სახალხო დამცველის რეკომენდაციის განსახილველად, თუმცა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 183-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საჩივარი განიხილება და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღება ერთი თვის ვადაში მისი შეტანიდან. საჩივრის განხილვის ეს შემოკლებული ვადა გათვალისწინებულია იმ მიზნით, რათა დაცულ იქნეს ადამიანის უფლებები და კანონიერი ინტერესები. ეს გამონაკლისი არ შეეხება მართო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, შემოკლებული ვადებია გათვალისწინებული შრომის დავების საქმეთა განსახილველად, ალიმენტის გადახდევინების, მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული და სხვა საქმეთა მიმართ, რომლებიც განხილულ უნდა იქნეს სასამართლოში არა უგვიანეს ოცის დღისა.

ორგანო (თანამდებობის პირი) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გამო საჩივრის ან სახალხო დამცველის რეკომენდაციის განხილვისას შეამოწმებს გამოტანილი დადგენილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას. ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებას. შემამსუბუქებელ გარემოებებად მიჩნეულია ბრალეულის გულწრფელი მონანიება, ბრალეულის მიერ სამართალდარღვევის მავნე შედეგის თავიდან აცილება, ზარალის ნებაყოფლობით ანაზღაურება, ან მიყენებული ზიანის გამოსწორება, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა ძლიერი სულიერი აღელვების ნიადაგზე ან მძიმე პირადი თუ ოჯახური გარე-

მოებების დამთხვევის გამო, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა არასრულწლოვნის მიერ, ორსული ან იმ ქალის მიერ, რომელსაც 12 წლის ასაკამდე ბავშვი ჰყავს, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა აუცილებელი მოგერიებისა და უკიდურესი აუცილებლობის მართლზომიერების პირობების დარღვევისას, სამართალდარღვევის ჩადენა მუქართ ან იძულებით ან მატერიალური, სამსახურებრივი თუ სხვაგვარი დამოკიდებულების გამო. შემამსუბუქებელი გარემოებების რიცხვი შეიძლება გაიზარდოს საქმის განმხილველი ორგანოს (თანამდებობის პირის) შეხედულებისამებრ. ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებად მიჩნეულია: მართლსაწინააღმდეგო ქცევის გაგრძელება მისი შეწყვეტის შესახებ საამისოდ უფლებამოსილი პირის მოთხოვნის მიუხედავად, ერთი წლის განმავლობაში ერთგვაროვანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განმეორებით ან სისტემატურად ჩადენა, რის გამოც პირს ადრე დაეკისრა ადმინისტრაციული სახდელი, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა ნასამართლვეი პირის მიერ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა ანგარებით ან სხვა ქვენაგრძობით, ისეთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა, რამაც მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი გამოიწვია, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა მცირეწლოვნის, ღრმად მოხუცებულის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ, აგრეთვე ბრალეულისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ, არასრულწლოვნის ჩაბმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაში ან მისი წაქეზება ამის ჩასადენად, სამართალდარღვევის ჩადენა პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, სამართალდარღვევის ჩადენა სტიქიური უბედურების, საომარი ან საგანგებო მდგომარეობის პირობების გამოყენებით, სამართალდარღვევის ჩადენა საყოველთაოდ საშიში საშუალებით ან მეორე პირის მატერიალური, სამსახურებრივი თუ სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით, დაბოლოს, სამართალდარღვევის ჩადენა ნასვამ მდგომარეობაში ან ნარკოტიკულ თუ ფსიქოტროპულ ნივთიერებათა ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირის მიერ. ეს უკანასკნელი გარემოებები ადმინისტრაციული სახდელის დამკისრებელ ორგანოს (თანამდებობის პირს) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ხასიათის კვალობაზე შეუძლია არ ცნოს დამამძიმებლად. საჩივრის განმხილველმა ორგანომ (თანამდებობის პირმა) უნდა გაარკვიოს სახდელის დაკისრებისას მხედველობაში იყო თუ არა მიღებული ჩადენილი სამართალდარ-

ღვევის სასიათი, დამრღვევის პიროვნება, მისი ბრალის ხარისხი, ქონე-ბრივი მდგომარეობა, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გამო საჩივრის ან სახალხო დამცველის რეკომენდაციის განხილვისას ორგანო (თანამდებობის პირი) დადგენილებას 1) დატოვებს უცვლელად, ხოლო საჩივარსა და რეკომენდაციას – დაუკმაყოფილებლად, 2) გააუქმებს დადგენილებას და საქმეს გაგზავნის ხელახალი განხილვისათვის, 3) გააუქმებს დადგენილებას და წყვეტს საქმეს, 4) შეცვლის სახდელის ზომას ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ ფარგლებში, ოღონდ ამასთან სახდელი არ უნდა გაძლიერდეს. თუ დადგინდა, რომ დადგენილება გამოიტანა არაუფლებამოსილმა ორგანომ (თანამდებობის პირმა), მაშინ იგი გაუქმდება და საქმე განსახილველად გადაეგზავნება უფლებამოსილ ორგანოს (თანამდებობის პირს). საჩივრის ან რეკომენდაციის გამო მიღებული გადაწყვეტილების ასლი სამი დღის ვადაში გადაეგზავნება საჩივრის შემტან პირს, ხოლო დაზარალებულს ან სხვა დაინტერესებულ მხარეს – მათი მოთხოვნით. რეკომენდაციის განხილვის შედეგი ერთი თვის ვადაში ეცნობება სახალხო დამცველს. სასამართლოში ადმინისტრაციული სააპელაციო და საკასაციო საჩივრის განხილვის წესს ჩვენ ქვემოთ ცალკე განვიხილავთ. თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გაუქმება საქმის შეწყვეტით მოხდა, იგი გამოიწვევს გადახდევინებული ფულადი თანხების, აგრეთვე უკანონოდ დაკისრებული შეზღუდვების გაუქმებას, ხოლო პატიმრობის სახით ადმინისტრაციული სახდელის უკანონო დაკისრებით მოქალაქისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება განისაზღვრება სამოქალაქო სამართლებრივი წესით, ხოლო ბრალეული თანამდებობის პირი დაისჯება დისციპლინური ან სისხლისსამართლებრივი წესით.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის
განხილვა სასამართლოში

§1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა
პირველი ინსტანციის სასამართლოში

სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები პირველი ინსტანციის წესით განიხილება მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როცა საზედამხედველო ადმინისტრაციული ორგანოები უფლებამოსილნი არ არიან განიხილონ შესაბამისი კატეგორიის საქმეები. კერძოდ, სასამართლოებისადმი ქვემდებარეა ისეთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეები, როგორცაა: პიროვნების თავისუფლებისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართული დარღვევები (ადამიანის პირადი ცხოვრების საიდუმლოების ხელყოფა, ბინის ხელშეუხებლობის, თავისუფალი მიმოსვლის, ინფორმაციის თავისუფლებისა და სხვა უფლებების ხელყოფა), სახელმწიფო საკუთრების ხელმყოფი ზოგიერთი სამართალდარღვევები (მიწის, წიაღის, წყლის, ტყისა და სხვათა ხელყოფა, ქონების წვრილმანი დატაცება), ნარკოტიკული სამართალდარღვევები, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესების ზოგიერთი დარღვევა (ნადირობის, თევზჭერის, წყლით სარგებლობის წესებისა და სხვა დარღვევები), სოფლის მეურნეობის სფეროში ზეთოვანი ხაშხაშის ან კანაფის დათესვა ან მოყვანა, ცხოველებისა და ფრინველებისადმი სასტიკი მოპყრობა და სხვ. საზოგადოებრივი წესრიგის სფეროში: წვრილმანი ხულიგნობა, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლა დასახლებულ პუნქტებში, ალკოჰოლიანი სასმელებით სარგებლობის წესების დარღვევა, პროსტიტუცია, კომოსექსუალიზმი და სხვ. საავტომობილო გზის გასწვრივ პირუტყვის ძოვება, საგზაო ნაგებობების მოვლა-შენახვის წესების დარღვევა, გაუმართავი სატრანსპორტო საშუალების ხაზზე გაშვება, მაგისტრალური მილსადენების დაცვის წესების დარღვევა და სხვ. მმართველობის დადგენილი წესების დარღვევები, როგორცაა: ზოგიერთი თანამდებობის პირისადმი დაუმორჩილებლობა, საკონსტიტუციო სასამართლოს, დროებით საგამოძიებო კომისიის ან სახალხო დამცველის მოთხოვნათა შეუსრულებლობა,

ქონებრივი მდგომარეობის ან საფინანსო დეკლარაციის წარუდგენლობა, თვითნებობა, შეკრებებისა და მანიფესტაციების ჩატარების წესების დარღვევა, საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა, სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა, იარაღისა და საბრძოლო მასალის შენახვის, ტარების, გადაზიდვის, რეგისტრაციის წესების დარღვევა, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების უკანონოდ ჩამორთმევა, უცხოელის საქართველოში ყოფნის წესების დარღვევა, სასაზღვრო რეჟიმის დარღვევა და სხვ. ვაჭრობისა და ფინანსების სფეროში ისეთი სამართლდარღვევები, როგორცაა: სეაჭრო ქსელში და საცალო ბაზრობებზე ვაჭრობის (მომსახურების) წესების დარღვევა, მომხმარებლის უფლებების შელახვა, ალკოჰოლიანი სასმელებით ვაჭრობის წესების დარღვევა, იარაღით ვაჭრობის წესების დარღვევა, რეკლამის კანონმდებლობის დარღვევა, სამეწარმეო, საბანკო ან საკრედიტო საქმიანობის წესების დარღვევა, სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის წესების დარღვევა, საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევა და სხვ.

როგორც ვხედავთ, სამართლდარღვევათა საკმაოდ დიდი რაოდენობა დღეს ჩვენი რაიონული და საქალაქო სასამართლოების ქვემდებარეა. ამ საქმეებს ემატება ადმინისტრაციული დაევების, სამოქალაქო დაევებისა და სისხლის სამართლის დანაშაულობათა საქმეები, რომელთა რიცხვი სასამართლოებში დიდზე დიდია, რაც იწვევს ცალკეულ საქმეთა უხარისხო განხილვას და ხშირ შემთხვევაში მოქალაქეთა უფლებების დაუცველობას. მაგრამ სამართალდაცვის სხვა ეფექტური სისტემა ჩვენ არ გვაქვს, რის გამოც სასამართლო მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში დიდ როლს ასრულებს მართლწესრიგის დაცვის საქმეში.

სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა წარმოებს იმავე წესების დაცვით, რითაც ადმინისტრაციულ ორგანოში. ოღონდ უნდა გაეთვალისწინოთ ის გარემოება, რომ თუ ადმინისტრაციულ ორგანოში დარღვევის საქმის განხილვისას ეს ორგანო თვითონაა ერთ-ერთი მხარე და დაინტერესებულია თავისი ფუნქციების განხორციელებით, სასამართლოში საქმის განხილვისას ასეთი ინტერესი სასამართლოს მხრიდან არ არსებობს და იგი ნეიტრალურია ორივე მხარის (სამართალდამრღვევისა და ადმინისტრაციული ორგანოს) მიმართ, თუმცა სადღაც მაინც სასამართლო ადმინისტრაციული ორგანოს მხარეზეა, ვინაიდან იგი სახელმწიფოს მექანიზმის ნაწილია და ადმინ-

ისტრაციულ ორგანოსთან ერთად ახორციელებს სახელმწიფოს ფუნქციებს. სწორედ ამიტომაა შემოღებული მრავალრიცხოვანი პროცესუალური უზრუნველყოფის საშუალებები, რათა მოქალაქე დაცული აღმოჩნდეს სახელმწიფო ორგანოთა ლაბირინთებში.

სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისას მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც შეადგინა ეს საქმე და გადაუგზავნა სასამართლოს განსახილველად. სამართალდამრღვევს ადმინისტრაციულ პროცესში კი არ ევალება დაიცვას თავი სასამართლოს წინაშე, არამედ ადმინისტრაციულ ორგანოს აკისრია ვალდებულება დაუმტკიცოს მას ბრალეულობა მომხდარ სამართალდარღვევაში, ხოლო არაბრალეულობის პრეზუმფცია მოცემულ შემთხვევაში გამოიხატება იმაში, რომ პირი არ ითვლება ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულად მანამ, სანამ სასამართლო არ გამოიტანს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას დამრღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის შეფარების შესახებ. ყოველივე ეს გამომდინარეობს როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის, ისე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე სასამართლოს უნდა გადაეცეს დროულად, რადგანაც სასამართლომ, თავის მხრივ, უნდა განახორციელოს მოსამზადებელი სამუშაოები, გაარკვიოს წარმოდგენილი მასალების სისწორე და ამის შემდეგ დანიშნოს მისი განხილვის დღე. როგორც აღვნიშნეთ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე უნდა იქნეს აღძრული და გამოკვლეული მის ჩადენიდან 3-თვიანი ხანდაზმულობის ვადაში. მაგრამ ეს ვადა მოიცავს საქმის განხილვისა და გადაწყვეტის ვადასაც. ამიტომ სასამართლოში საქმე უნდა იქნეს გადაცემული რაც შეიძლება სწრაფად, რათა სასამართლომ ადმინისტრაციული ორგანოს მსგავსად მოასწროს მისი განხილვა 1 თვის ვადაში, ე.ი. საქმე სასამართლოს უნდა გადაეცეს სამართალდარღვევის ჩადენიდან არა უგვიანეს 2 თვისა, ხოლო იგი სასამართლომ უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს მიღებიდან 1 თვის განმავლობაში.

ყველა წესი, რაც გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ ორგანოში საქმის განხილვის მოსამზადებლად, გამოსაკვლევნი გარემოებების დასადგენად, სამართალდარღვევის საქმის განხილვის ოქმის შესადგენად, დაბოლოს, საქმის განსახილველადაც გამოიყენება სასამართლოში. საქმის განხილვა სასამართლოში ერთგვარი თავისებურებით ხასი-

ათდება იმ გაგებით, რომ სასამართლო პროცესუალური თანმიმდევრობით თანაბარ უფლებებს ანიჭებს როგორც სამართალდამრღვევს, ისე საქმის შემდგენელ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომლის დროსაც გამოყენებულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის პროცესში დამკვიდრებული ზოგიერთი წესი.

საქმის განსახილველად მომზადების მიზნით, მოსამართლე ამოწმებს წარმოდგენილ მასალებს, საჭიროების შემთხვევაში საქმეს აბრუნებს დამატებითი გამოძიებისათვის ან აჩერებს საქმის წარმოებას, ან კიდევ წარმართავს საქმეს განსჯადობით და წყვეტს ყველა იმ საკითხს, რომელიც სისხლის სამართლის საქმეზე სამართალში მიცემის დროს წყდება, კერძოდ, მოსამართლე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე არკვევს: მოცემული საქმე სასამართლოს განსჯადია თუ არა და კერძოდ, მოცემული სასამართლოს განსჯადი, გარდა ამისა, მოსამართლემ უნდა გაარკვიოს: ქმედება, რომელიც სამართალდამრღვევს ერაჯება, შეიცავს თუ არა ადმინისტრაციული გადაცდომის ნიშნებს, სწორად აქვს თუ არა დამრღვევს შეფარდებული კანონის მუხლი, ხომ არ არის საქმეში გარემოებები, რომლებიც იწვევს საქმის შეწყვეტას ან შეჩერებას, შეკრებილია თუ არა საჭირო მტკიცებულებები სასამართლო სხდომაზე საქმის განსახილველად, ჩატარდა თუ არა გამოკვლევა სრულად და ობიექტურად, ხომ არ არსებობს საფუძველი დამატებითი გამოკვლევისათვის საქმის დასაბრუნებლად, საქმის აღძვრისა და გამოკვლევისას ხომ არ დარღვეულა საპროცესო კანონი, სწორად არის თუ არა შედგენილი ოქმი (აქტი) სამართალდარღვევის შესახებ, მიღებულია თუ არა სამოქალაქო სარჩელის უზრუნველყოფის ზომები, უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა მხარის შუამდგომლობა, შესაძლებელია თუ არა რამდენიმე სამართალდარღვევის საქმის ერთდროული განხილვა ერთი და იმავე დარღვევის მიმართ (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 424-ე). ამავე დროს, მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს, თუ ვინ უნდა გამოიძახოს საქმის განხილვაზე, საჭიროა თუ არა სამართალდამრღვევის იძულებით მოყვანა, აუცილებელია თუ არა დამატებითი მტკიცებულებების გამოთხოვა, თარჯიმნის დაბარება და სხვ. რასაკვირველია, მოსამართლე განმწესრიგებულ სხდომას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე არ ატარებს და სპეციალურ დადგენილებას ამის გამო არ იღებს, მაგრამ ზემოთ აღნიშნული საკითხები მოსამართლემ აუცილებლად უნდა გაარკვიოს, ვიდრე ადმინისტრაციუ-

ლი სამართალდარღვევის საქმეს განიხილავდეს და გადაწყვეტდეს.

მნიშვნელოვანია საკითხის გადაწყვეტა იმ საქმეთა მიმართ, რომლებიც დაზარალებულის საჩივრით აღიძვრება (შეურაცხყოფა, შვილად აყვანის საიდუმლოების გახმაურება და სხვ.). სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 432-ე მუხლის შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც მოსამართლემ, ვიდრე საქმეს აღძრავდეს, უნდა მიიღოს ზომები დაზარალებულისა და იმ პირის შესარიგებლად, რომლის მიმართაც შეტანილია საჩივარი, ხოლო თუ შერიგება შეუძლებელი აღმოჩნდა, მოსამართლე იბარებს დამრღვევსა და მომჩივანს იმ მტკიცებულებების გამოსარკვევად, რომლებიც სასამართლო შემოწმებას საჭიროებს. შეგებებული საჩივარი შეიძლება გაერთიანდეს ერთ წარმოებად სანამ სასამართლოში საქმის განხილვა დაიწყებოდეს. საქმის განხილვამდე 3 დღით ადრე დამრღვევს უნდა ჩაბარდეს დაზარალებულის განცხადება-საჩივრის ასლი, სასამართლო სხდომაზე დაბარების უწყება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის იმ მუხლის აღნიშვნით, რომლითაც მას ბრალი ედება და, სასამართლო სხდომაზე დაბარებულ პირთა სია. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის ვადა არ შეიძლება განისაზღვროს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 433-ე მუხლით, ვინაიდან ადმინისტრაციული საქმის განხილვის ხანდაზმულობა განისაზღვრება 1 თვით საქმის მიღებიდან.

სასამართლო განხილვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიმდინარეობს ბრალდებისა და დაცვის მხარეთა პოლემიკის სახით, რომელთაც აქვს თანაბარი საპროცესო უფლებები და შესაძლებლობები, ხოლო სასამართლო გამოდის არბიტრის როლში, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა მიერ მტკიცებულებების წარდგენასა და გამოკვლევისთვის საჭირო პირობებს და იცავს მიუკერძოებლობას. საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე მოსამართლეს უფლება არა აქვს გამოთქვას აზრი სამართალდამრღვევის ბრალეულად თუ არაბრალეულად ცნობის შესახებ. ერთი მხარის შუამდგომლობასა და განცხადებასთან დაკავშირებით სასამართლო ისმენს მეორე მხარის აზრსაც. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ბრალდების მხარეს წარმოადგენს სამართალდარღვევის ოქმის შემდგენელი თანამდებობის პირი, კერძო ბრალმძებელი – დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე და მათი წარმომადგენლები, თუ ასეთი მონაწილენი საქმეზე არსებობენ, ხოლო დაცვის მხარეს წარმოადგენენ – დამცველი, სამართალდამრღვევი, მისი

კანონიერი წარმომადგენელი, სამოქალაქო მოპასუხე და მისი წარმომადგენელი თუკი ასეთი მონაწილენი საქმეზე არსებობენ. ჩვეულებრივ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე ასეთი რთული წარმომადგენლობით არ ხასიათდება და საქმის განხილვის მონაწილენი არიან დარღვევის ოქმის შემდგენელი თანამდებობის პირი და აკამართლდამრღვევი, რომლებიც წარდებიან მოსამართლის წინაშე, ხოლო როცა მხარეები საჭიროდ არ მიიჩნევენ საქმის განხილვაზე დასწრებას, მოსამართლე ინდივიდუალურად წყვეტს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს და დამრღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების ან მისგან გათავისუფლების საკითხს.

საქმის განხილვისას სასამართლომ უნდა უზრუნველყოს მტკიცებულებათა უშუალო გამოკვლევა დამრღვევის, დაზარალებულის, მოწმეების დაკითხვის, ექსპერტთა დასკვნების შესწავლისა და ნივთიერ მტკიცებულებათა დათვალიერების გზით, საჭიროების შემთხვევაში, საჯაროდ წაიკითხოს სამართალდარღვევის ოქმი: სასამართლომ ფაქტების შესახებ ცნობები შემძლებისდაგვარად უნდა მიიღოს პირველწყაროდან. სასამართლო განხილვა მიმდინარეობს უწყვეტად, შესვენებისათვის საჭირო დროის გარდა, მაგრამ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე, მისი სიმარტივის გამო, განიხილება ერთ დღეში და, იმავე დღეს გამოიტანება დადგენილება. საქმის განხილვას ჩვეულებრივ უნდა ესწრებოდნენ სამართალდამრღვევი და დარღვევის ოქმის შემდგენელი თანამდებობის პირი. არასაპატიო მიზეზით მათი გამოუზადებლობა არ დააბრკოლებს საქმის განხილვას, ხოლო კერძო ბრალდების საქმეზე დაზარალებულის გამოუცხადებლობისას საქმის წარმოება წყდება, იმ შემთხვევის გარდა, როცა ბრალეული მოითხოვს საქმის განხილვას. სამოქალაქო მოსარჩელის ან მისი წარმომადგენლის გამოუცხადებლობისას სასამართლო სამოქალაქო სარჩელს არ განიხილავს. ამასთან, სამოქალაქო სარჩელის განმცხადებელ პირს უნარჩუნდება უფლება, წარადგინოს იგი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. სასამართლოს უფლება აქვს სამოქალაქო მოსარჩელის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის შუამდგომლობით სამოქალაქო სარჩელი განიხილოს მის დაუსწრებლად, ხოლო თუ სარჩელს მხარს უჭერს პროკურორი, სასამართლო სამოქალაქო სარჩელს განიხილავს ყველა შემთხვევაში.

სასარჩელო განცხადების გადაცემის ეფექტი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე არ ვრცელდება და სასამართლო უფლე-

ბამოსილია საქმის განხილვის პროცესში დამრღვევის მიერ სხვა სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტის აღმოჩენისას ეს უკანასკნელიც განიხილოს ან ამ ნაწილში საქმე გადასცეს გამოსაკვლევად შესაბამის ორგანოებს. ეს წასი გამოძინარეობს ადმინისტრაციული ორგანოების ვალდებულებიდან, დაიცვან საზოგადოებრივი წესრიგი და მართლწესრიგი თავიანთ სამოქმედო სფეროებში, რასაც სასამართლომაც უნდა შეუწყოს ხელი. ამიტომ, თუ სამართალდამრღვევს რამდენიმე ადმინისტრაციული დარღვევა აქვს ჩადენილი, სასამართლო ვალდებულია ყოველი ადმინისტრაციული დარღვევა ცალ-ცალკე განიხილოს და მიიღოს ცალკე დადგენილება ყოველი დარღვევის ფაქტის მიმართ.

სასამართლო განხილვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე არაა ისე მკაცრად რეგლამენტირებული, როგორც ეს სისხლის სამართლის საქმეზეა, მაგრამ საქმის უკეთ გარკვევის მიზნით, სასურველია დაცულ იქნეს ზოგიერთი პროცესუალური სისხლისსამართლებრივი მოქმედების თანამიმდევრობა. მაგალითად, სასამართლო ჯერ იკვლევს ბრალდების მხარის, შემდეგ – დაცვის მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს. ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევაში მონაწილეობს დაცვის მხარე, შემდეგ – მოსამართლე, ხოლო დაცვის მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევაში – ჯერ ბრალდების მხარე, შემდეგ – მოსამართლე. სასამართლოს ინიციატივით გამოთხოვილ მტკიცებულებას ჯერ ბრალდების მხარე იხილავს, შემდეგ – დაცვის, ხოლო მოსამართლე ამ მტკიცებულებათა გამოკვლევაში ბოლოს იღებს მონაწილეობას. ჯვარედინი დაკითხვის შემთხვევაში, რაც მეტად იშვიათია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე, ბოლო კითხვების დასმის უფლება აქვს პირს, რომლის ინიციატივითაც არის გამოძახებული დასაკითხი. სასამართლო გამოძიება, როგორც ყოველთვის, შედგება დამრღვევის ბრალეულობისა თუ არაბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებათა წარდგენისა და გამოკვლევისაგან, აგრეთვე დამრღვევისათვის დამახასიათებელი პიროვნებისეული გარემოებების გამოკვლევისაგან, რომლებიც გავლენას ახდენს სახდელის სახესა და ზომაზე.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე დიდი მნიშვნელობა აქვს დამრღვევის დაკითხვას, რომელმაც უნდა მისცეს ჩვენება მისთვის წაყენებული ბრალდების გამო და საქმის სხვა გარემოებათა შესახებ. აქ წაყენებული ბრალდების ქვეშ, ისევე როგორც საერთოდ ადმინის-

ტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის ყველა შემთხვევაში, იგულისხმება არა სისხლისსამართლებრივი ბრალდების წარდგენა, არამედ დამრღვევის ბრალეულად მიჩნევა მოცემულ სამართალდარღვევაში. დამრღვევს, რასაკვირველია, უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება, რაც არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მის საზიანოდ. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ისევე, როგორც სისხლის სამართლის საქმეზე ღუმილი უარყოფის ნიშანია. ამიტომ, თუ დამრღვევი უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე, მაშასადამე, იგი უარყოფს ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ჩადენაში მისთვის წაყენებულ ბრალდებას. რასაკვირველია, აუცილებელი არ არის დაცულ იქნეს სისხლის სამართლის პროცესში შემოღებული წესი სამართალდამრღვევის დაკითხვის თანამიმდევრობის შესახებ, მაგრამ ბოლო კითხვა მას მოსამართლემ უნდა მისცეს. დაკითხვისას დამრღვევს უფლება აქვს ისარგებლოს წერილობითი ჩანაწერებითა და დოკუმენტებით, რომელთა წაკითხვის შემდეგ ისინი გადაეცემა მოსამართლეს მოპირდაპირე მხარისათვის გასაცნობად და საქმეზე დასართავად. დამრღვევის დაკითხვისას მხარეებს შეუძლიათ წარადგინონ საქმეზე ღართული ან მათ ხელთ არსებული საგანი ან დოკუმენტი და ამასთან დაკავშირებით დაუსვან კითხვები დამრღვევს. რასაკვირველია, მოწმეთა, დაზარალებულთა და ექსპერტთა დაკითხვისას უნდა მოხდეს მათი გაფრთხილება ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ. რაც შეეხება მოწმის ან დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმას ან თავის არიდებას, ასეთ შემთხვევაში, პასუხისმგებლობა არ უნდა დადგეს, ვინაიდან ყოველ ადამიანს უფლება აქვს ჰქონდეს თავისი აზრი, რომლის გამომჟღავნების იძულება საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის თანახმად, დაუსვებელია. სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლშიც ლაპარაკია მოწმის ან დაზარალებულის მიერ მხოლოდ ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ, ხოლო თუ ისინი სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე ნებაყოფლობით განაცხადებენ, რომ მისცენ ცრუ ჩვენება ან ყალბი დასკვნა, მაშინ ისინი თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან. 16 წლამდე ასაკის მოწმე დაკითხვის დამთავრებისთანავე სასამართლოს დარბაზიდან უნდა გაიყვანონ, იმ შემთხვევის გარდა, როცა სასამართლო მხარეთა შუამდგომლობით, ან თავისი ინიციატივით საჭიროდ მიიჩნეეს დარბაზში მის დარჩენას. არასრულწლო-

ვანი მოწმის დაკითხვის ეს წესი აუცილებლად უნდა იქნეს დაცული ადმინისტრაციული კერძო ბრალდების საქმეზე (შეურაცხყოფის, შეილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნების და სხვა შემთხვევებში). საჭიროა დაცულ იქნეს აგრეთვე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 481-ე მუხლი, დებულება, რომლითაც წინასწარი გამოძიების ან საქმის წინა განხილვის დროს მოწმის მიერ მიცემული ჩვენების საჯაროდ წაკითხვა, მისი ხმის ჩანაწერის მოსმენა დასაშვებია, თუ სასამართლო სხდომას მოწმე არ ესწრება საპატიო მიზეზით ან თუ შეუძლებელია მისი მოყვანა, აგრეთვე თუ არსებითი წინააღმდეგობაა მოწმის მიერ სასამართლოში მიცემულ ჩვენებასა და მის ადრინდელ ჩვენებას შორის. ამ შემთხვევაში მოწმის ხმის ჩანაწერის საჯაროდ მოსმენა შესაძლებელია მხოლოდ მისი დაკითხვის ოქმის საჯაროდ წაკითხვის შემდეგ, რათა არ იყოს წარმოდგენილი გაყალბებული ჩანაწერი.

ზოგიერთი რთული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე სასამართლოში შეიძლება გამოიძახონ ექსპერტი, რომელმაც საქმის გამოკვლევისას ჩაატარა ექსპერტიზა ან ახალი ექსპერტი, ან ორივე ერთად. სასამართლოს უფლება არა აქვს უარი უთხრას მხარეს იმ ექსპერტის გამოძახებაზე, რომელიც ექსპერტიზას ატარებდა მისი დავალებით თუ არ არსებობს საფუძველი მისი აცილებისათვის. მხარეთა შეთანხმებით სასამართლოს შეუძლია ექსპერტიზის ჩატარება დაავალოს იმ ექსპერტთა კომისიას, რომელთაგან ერთნი მოწვეულნი არიან ბრალდების, ხოლო მეორენი — დაცვის მხრიდან. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს და სხდომაზე საჯაროდ კითხულობს განჩინებას (დადგენილებას) ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ. ექსპერტი მონაწილეობს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის სასამართლო გამოკვლევაში და უფლება აქვს ექსპერტიზის საგანთან დაკავშირებით კითხვა დაუსვას დამრღვევს, დაზარალებულს, მოწმეს, სხვა ექსპერტებს და მიიღოს სხვა ინფორმაცია, ხოლო სასამართლოსა და მხარეებს, თავის მხრივ, უფლება აქვთ დამატებითი კითხვები დაუსვან ექსპერტს. სასამართლო სხდომაზე ექსპერტი საჯაროდ კითხულობს თავის დასკვნას, რის შემდეგაც იგი შეიძლება დაჰკითხონ მხარეებმა და სასამართლომ ამ დასკვნის განსამართლავად და დასაზუსტებლად.

საქმეზე დართულ ნივთიერ მტკიცებულებებს, აგრეთვე უშუალოდ საქმის განხილვისას წარდგენილ საგანს სასამართლო ათვალთვლებს სასამართლო სხდომის დარბაზში მხარეთა მონაწილეობით, რომლის

დროსაც სასამართლოს შეუძლია მოიწვიოს ექსპერტი, სპეციალისტი და მოწმე, ხოლო შენობის, ნაგებობის, ავტოტრანსპორტისა და სხვა ობიექტის დათვალიერება ხდება ამ ობიექტის მდებარეობის ადგილზე. შემოწმება, რომელიც საჭიროებს პირის გაშიშვლებას, ტარდება ცალკე ოთახში ექიმის ან სხვა სპეციალისტის მიერ იმავე სქესის დამსწრეთა მონაწილეობით, რაც შესამოწმებელი პირია. შემოწმების დამთავრების შემდეგ პროცესის მონაწილეები ადგენენ ოქმს, ხელს აწერენ მას, ბრუნდებიან სასამართლოს სხდომის დარბაზში და ექიმი ან სხვა სპეციალისტი მხარეთა, შემოწმებული პირისა და დამსწრეთა თანდასწრებით საჯაროდ კითხულობს ოქმს, რომელიც დაერთვის საქმეს. ყველა მტკიცებულების გამოკვლევის შემდეგ მოსამართლე ეკითხება მხარეებს ხომ არ სურთ რაიმე დაუმატონ სასამართლო გამოკვლევას და კერძოდ – რა. შუამდგომლობის განხილვისა და გადაწყვეტის შემდეგ სასამართლო გამოძიებას დამთავრებულად აცხადებს.

სასამართლო გამოძიების დამთავრების შემდეგ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მხარეთა კამათი არ ტარდება, არც სამართალდამრღვევი არ წარმოთქვამს საბოლოო სიტყვას, თუმცა მსგავსი მარტივი მოქმედებების შესრულება მხარეებს შეუძლიათ. როცა სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ საქმის განხილვის შედეგად შესაძლებელია საქმის გადაწყვეტა და დადგენილების გამოტანა. მოსამართლე უფლებამოსილია სათათბირო ოთახში გაუსვლელად გამოიტანოს დადგენილება. სასამართლოს დადგენილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს: დადგენილების გამომტანი სასამართლოს დასახელებას, საქმის განხილვის თარიღს, ცნობებს სამართალდამრღვევის შესახებ, ცნობებს სამართალდარღვევის ოქმის შემდგენელი თანამდებობის პირის შესახებ, საქმის განხილვისას დადგენილ გარემოებათა გადმოცემას, კოდექსის ან სხვა ნორმატიული აქტის იმ მუხლის მითითებას, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მოცემული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის, საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას, ზიანის ანაზღაურების წესს, თუ ასეთი დადგა, აგრეთვე ჩამორთმეული ნივთებისა და დოკუმენტების შემდგომი ბედის გადაწყვეტას. სასამართლოს დადგენილებაში უნდა აღინიშნოს ის სასამართლო ორგანო, სადაც შეიძლება ამ დადგენილების გასაჩივრება, სასამართლოს მისამართისა და საჩივრის წარდგენის ვადის მითითებით. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეზე არაა

თანდართული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე დოკუმენტები და არაა მოძიებული სათანადო მასალები, იგი საქმეს დააბრუნებს დამატებითი გამოკვლევისათვის. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი მასალებით დამრღვევის ქმედებაში შეიმჩნევა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, იგი შეწყვეტს საქმის წარმოებას და მასალებს გადასცემს საგამოძიებო ორგანოებს. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე არ გამოიყენება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესები განაჩენის გამოტანის შესახებ. თუ სასამართლოს დადგენილებით სამართალდამრღვევი ადმინისტრაციულ პატიმრობაში უნდა იქნეს აყვანილი, დარღვევის წერილობითი თხოვნით მოსამართლე ვალდებულია მისცეს მას ნათესავთან ან ახლობელთან შეხვედრის ნება იქვე დარბაზში, ვინაიდან პატიმრობაში აყვანის შემდეგ პირს ეკრძალება არა მხოლოდ ახლობლებთან შეხვედრა, არამედ მეგობრებისა და სხვა პირების ნახვაც.

§2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე სააპელაციო და საკასაციო გასაჩივრება

სასამართლო დადგენილების გამოტანის შემდეგ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულს, დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელესა და სამოქალაქო მოპასუხეს უფლება აქვთ, მოითხოვონ საქმის განსილვა სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აწესრიგებს სისხლის სამართლის საქმის სააპელაციო და საკასაციო განხილვას, რომლის წესებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზეც, ვინაიდან სხვა საკანონმდებლო აქტი, რომელიც ამ საკითხს მოაწესრიგებდა, ჩვენ არა გვაქვს, ხოლო სამოქალაქო-საპროცესო წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის სააპელაციო და საკასაციო გასაჩივრება დაუშვებელია, ვინაიდან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე საჯარო ბრალდების საქმეა და სამოქალაქო თანასწორუფლებიანობის წესი აქ არ გამოიყენება. თუმცა სააპელაციო წარმოება ტარდება მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის საფუძველზე, ხოლო სააპელაციო გასაჩივრების საფუძველია სასამართლო დადგენილების როგორც დასაბუთებულობის, იქვე კანონიერების შესახებ დავა. სააპელაციო საჩივრის შეტანა იწვევს სააპელაციო სასამართლოს მიერ სავალდებულო

წესით საქმის განხილვას ახალი სასამართლო გამოკვლევის ჩატარების შედეგად. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილებაზე შეტანილ საჩივარს განიხილავენ შესაბამისად აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების ან თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოების ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა სააპელაციო პალატები, სადაც საქმე განიხილება სამი მოსამართლის შემადგენლობით, რომელთაგან ერთ-ერთი ინიშნება თავმჯდომარედ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 523-ე მუხლში მოცემულია სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო გასაჩივრების ვადები, რომლის ნაცვლად ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე უნდა იქნეს გამოყენებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი ათდღიანი გასაჩივრების ვადა, ვინაიდან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოტანილი დადგენილება არის ადმინისტრაციული აქტი და მასზე მოქმედებს ადმინისტრაციულ-პროცესუალური კანონმდებლობა.

სააპელაციო საჩივარი უნდა შედგეს იმდენ ეგზემპლარად, რამდენი მონაწილეცაა პროცესში, რომელსაც მხარის საპროცესო მდგომარეობა უკავია. მხარეს უფლება აქვს მიიღოს სააპელაციო საჩივრის ასლი, ხოლო 5 დღის ვადაში იმავე სასამართლოს წარუდგინოს შესაგებელი, რომლის ასლის მიღების უფლება აქვს აპელანტს სააპელაციო ინსტანციაში საქმის გადაგზავნამდე. სააპელაციო და საკასაციო საჩივრები განიხილება შეტანიდან არა უგვიანეს ერთი თვისა. სააპელაციო საჩივარში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 529-ე მუხლის თანახმად, აღინიშნება სააპელაციო სასამართლოს სახელწოდება, სადაც იგზავნება საჩივარი, საჩივრის შემტანი პირის სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილი, საპროცესო მდგომარეობა, გასაჩივრებული დადგენილება, მისი გამოტანი სასამართლო და გამოტანის თარიღი, სასამართლოს დადგენილების გასაჩივრებული დებულებები, მათი მცდარობა და, კერძოდ, რაში გამოიხატება ეს, მომჩივანის პროზიციის დამადასტურებელი მტკიცებულებანი, მათ შორის ახლად აღმოჩენილი გარემოება, რომელიც უნდა გამოიკვლიოს სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ, დამატებით წარმოდგენილი სხვა მასალები. სააპელაციო საჩივარს უნდა დაერთოს იმ პირთა სია, რომელთა გამოძახებასაც აპელანტი მოითხოვს. კოდექსი მიუთითებს, რომ თუ აღნიშნული მოთხოვნები აპელანტმა არ შეასრულა სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე აპელანტს აძლევს 5 დღის

ვდას ხარვეზის შესავსებად ან ამავე მიზნით ნიშნავს დამცველს. თუ აპელანტი არ შეასრულებს ამ მოთხოვნებს, სააპელაციო საჩივარი არ განიხილება, ხოლო გასაჩივრებული დადგენილება შედის კანონიერ ძალაში და მიიქცევა აღსასრულებლად. ასეთი მოქმედება უნდა გაფორმდეს სააპელაციო სასამართლოს განჩინების სახით სააპელაციო საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც საბოლოოა და არ გასაჩივრდება. აპელანტს უფლება აქვს სათათბირო ოთახში შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოსატანად სასამართლოს გასვლამდე უკან მოითხოვოს თავისი საჩივარი. ასეთ შემთხვევაში საჩივრის განმეორებით შეტანა არ დაიშვება, ხოლო სასამართლოს მიერ ამ საკითხზე გამოტანილი განჩინება არ გასაჩივრდება. სააპელაციო და საკასაციო გასაჩივრება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ბაჟის გადახდას არ ითვალისწინებს.

რამდენადაც სააპელაციო განხილვა საქმის ხელმეორედ არსებითად განხილვას გულისხმობს, სასამართლო შემადგენლობის ერთ-ერთი ან ყველა მოსამართლე მათი შეხედულების საფუძველზე შეისწავლის მიღებულ საქმეს, საჩივრებსა და მათ შესაგებლებს. შესწავლის შედეგების მიხედვით მოსამართლე ადგენს ცნობას, რომელშიც აყალიბებს საქმის არსს, საჩივრის შინაარსსა და მომჩივანთა მოსაზრებას, აგრეთვე საჩივრის შესაგებლის შინაარსს, ცნობაში აღინიშნება მომჩივანთა პოზიციის დამადასტურებელი ან გამაბათილებელი მტკიცებულებების შესახებ, მაგრამ მისი შემდგენელი მოსამართლე თავის აზრს არ გამოთქვამს. ცნობის ასლები სასამართლოს შემადგენლობის ყველა მოსამართლეს გადაეცემა.

სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე პროკურორი არ მოიწვევა, ხოლო დამცველის მოწვევა და დანიშვნა დასაშვებია იმავე საფუძველთ, რაც პირველი ინსტანციით სასამართლო განხილვისას. სამართალდამრღვევი, თუ წინააღმდეგი არ არის, ესწრება სააპელაციო განხილვას. დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხესა და მათ წარმომადგენელს იძახებენ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში, თუმცა მათი გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საქმის განხილვას, მაგრამ თუ ამ რომელიმე მათგანის სააპელაციო საჩივარი განიხილება და ისინი არ გამოცხადდებიან, საქმის მოსმენა გადაიდება. ამ პირთა განმეორებით გამოუცხადებლობის შემთხვევაში საქმე მათ დაუსწრებლად განიხილება. სასამართლოში იძახებენ ყველა მოწმესა და ექსპერტს, რომელთა

დაკითხვაც, მომჩინისა და პროცესის სხვა მონაწილეთა აზრით, აუცილებელია, ამასთან, სასამართლოში შეიძლება გამოიძახონ ის მოწმეებიც, რომლებიც პირველი ინსტანციის სასამართლოში არ დაუკითხავთ, ან ის ექსპერტი, რომელსაც პირველი ინსტანციის სასამართლოში ექსპერტიზა არ ჩაუტარებია. მხარეთა მორიგება რაიმე საკითხზე სასამართლოსათვის, რასაკვირველია, სავალდებულო არ არის.

სააპელაციო სასამართლოში საჩივრის განხილვა იწყება საქმის შემსწავლელი მოსამართლის მოხსენებით. მან თავი უნდა შეიკავოს საქმის გადაწყვეტის შესახებ საკუთარი აზრის გამოთქმისაგან, მაგრამ უფლება აქვს ყურადღება მიაპყროს საჩივარში მიუთითებელ ფაქტობრივ გარემოებებსა და კანონის დარღვევებს იმის გათვალისწინებით, რომ ისინი სამართალდამრღვევის საზიანოდ არ იქნება გაგებული. მხარეებს, შემდეგ კი მოსამართლეებს უფლება აქვთ კითხვები დაუსვან მომხსენებელს. კითხვებს ჯერ ბრალდების მხარე სვამს. მოსამართლის მოხსენების შემდეგ გამოდის აპელანტი ან მისი დამცველი (წარმომადგენელი) და ასაბუთებს საჩივრის მოსაზრებებს. მხარეებსა და მოსამართლეს უფლება აქვთ აპელანტს დაუსვან კითხვები ზემოთ აღნიშნული თანამიმდევრობით. აპელანტის გამოსვლის შემდეგ მტკიცებულებებს წარადგენს ბრალდების მხარე — სამართალდარღვევის ოქმის შემდგენელი თანამდებობის პირი, დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე ან მათი წარმომადგენლები. შემდეგ კი მტკიცებულებებს წარადგენენ დაცვის მხრიდან სამართალდამრღვევი ან მის დამცველი, კანონიერი წარმომადგენელი, სამოქალაქო მოპასუხე ან მისი წარმომადგენელი. თუ სასამართლოს სხდომაზე საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდნენ მოწმეები, დაზარალებულები ან ექსპერტები, მათ დასკვნებს საჯაროდ წაიკითხავენ. სასამართლოს უფლება არა აქვს უარი უთხრას მხარეს მტკიცებულებათა წარდგენასა და გამოკვლევაზე, მაგრამ უფლება აქვს აკრძალოს იმ მტკიცებულებათა წარდგენა, რომლებიც საქმეს არ ეხება. მტკიცებულებათა წარდგენის შემდეგ სასამართლო წინადადებას აძლევს მხარეებს, შეავსონ სასამართლო გამოკვლევა, ხოლო თუ ამის სურვილი არაქონ გამოთქვა, მას დამთავრებულად აცხადებს.

სააპელაციო სასამართლოს გამოაქვს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე დადგენილება, რომელიც ცვლის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ დადგენილებას. სააპელაციო ინსტანციის სასამართლო დადგენილებით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: ა) აუქმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელ დადგე-

ნილეობას და მის ნაცვლად გამოსცემს გამამართლებელ დადგენილებას; ბ) აუქმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამართლებელ დადგენილებას; გ) შეაქვს ცვლილება პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილებაში; დ) უცვლელად ტოვებს პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილებას და უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე; ე) აუქმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილებას და საქმეს აბრუნებს ადმინისტრაციულ ორგანოში დამატებითი გამოკვლევის ჩასატარებლად ან საქმის განმხილველი პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელშეორედ განსახილველად; ვ) აკმაყოფილებს ან უარყოფს კერძო სააპელაციო საჩივარს; ზ) აკმაყოფილებს ან უარყოფს ყველა სხვა საჩივარს, რომელიც მოცემულ საქმეზე შეტანილ იქნა სააპელაციო სასამართლოში.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 537-ე მუხლში ჩამოთვლილია სააპელაციო სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენის გაუქმების ან შეცვლის საფუძველი, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეების მიმართაც. კერძოდ, სააპელაციო წესით პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილების გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს:

- ა) არასრული ან ცალმხრივი წინასწარი გამოკვლევა ან სასამართლო განხილვა გარკვეული ნაკლოვანებებით, რაც ვერ შეივსება სააპელაციო წესით საქმის განხილვისას;
- ბ) დადგენილებაში ჩამოყალიბებული სასამართლო დასკვნების შეუსაბამობა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან, თუ შეუძლებელია დამატებითი მტკიცებულებების შეგროვება სააპელაციო წესით საქმის განხილვისას;
- გ) საპროცესო კანონმდებლობის არსებითი დარღვევა, რამაც არსებითად არასწორი დადგენილების გამოტანა გამოიწვია. პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილება უსაფუძვლოა და გასაუქმებელი ან შესაცვლელია, თუ სამართალდამრღვევის ბრალეულად ცნობის შესახებ სასამართლოს დასკვნა არ გამოძინარეობს საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან, არ აღმოფხვრილა მტკიცებულებებს შორის წინააღმდეგობა, რაც ეჭვქვეშ აყენებს სასამართლოს დასკვნებს, სასამართლოს არ გაუთვალისწინებია საქმის გადასაწყვეტად არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები ან გამოიყენა მტკიცებულებები, რომლებიც დაუშვებელია ან საქმეს არ ეხება; წინააღმდეგობრივ მტკიცებულებათა არსებობისას, სასამართლომ დაუსაბუთებლად უარყო ერთი და მიიღო მეორე მტკიცებულება; სასამართლომ ეჭვი არ განმარტა სამართალდამრღვევის სასარგებლოდ.

სააპელაციო ინსტანციას უფლება არა აქვს გამამართლებელი დადგენილებების ნაცვლად გამოიზიაროს გამამტყუნებელი დადგენილება, გამოიყენოს კანონის უფრო მკაცრი მუხლი, დანიშნოს უფრო მკაცრი სახდელი, გაზარდოს სამოქალაქო სარჩელის თანხა ან მიიღოს სამართლდამრღვევისათვის სხვა არასასიკეთო გადაწყვეტილება. სააპელაციო ინსტანციას უფლება აქვს საქმე დააბრუნოს დამატებითი გამოკვლევისა და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის ხელახალი განხილვისათვის სამართლდამრღვევის მდგომარეობის გაუარესების გარეშე. ბრალდების მხარის საჩივრით დადგენილების გაუქმებისას საქმის გამომკვლევ თანამდებობის პირს, რომელიც დამატებით გამოკვლევას ატარებს და პირველი ინსტანციის სასამართლოს, რომელიც ხელახლა განიხილავს მოცემულ საქმეს, შეუძლიათ სამართლდამრღვევის მდგომარეობა გააუარესონ მხოლოდ იმ საფუძველით, რომელიც მითითებული იყო სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში, თუ იგი არ იქნა გასაჩივრებული საკასაციო წესით.

თუ სამართლდამრღვევს, დაზარალებულს, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენელ პირს, დამცველს, სამართალდამრღვევის ან დაზარალებულის კანონიერ წარმომადგენელს არასწორად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, მათ შეუძლიათ მიმართონ საკასაციო ინსტანციას, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე, ისევე როგორც სხვა საქმეებზეც, ერთადერთია სსაქართველოს უზენაესი სასამართლოს სახით, კერძოდ, ადმინისტრაციულ, საგადასახადო და სხვა საქმეთა საკასაციო პალატა. სააპელაციო დადგენილების უკანონობაში შეიძლება იგულისხმებოდეს: სათანადო სამართლებრივი პროცედურის არსებითი დარღვევები, რომლებიც არ გამოუვლენია პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებს ან რომლებიც მან დაუშვა საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დროს, სამართალდამრღვევის ქმედების არასწორი კვალიფიკაცია ან სამოქალაქო სარჩელის გადაწყვეტის დროს სამოქალაქო სამართლის ნორმების გამოყენებისას დაშვებული შეცდომა, ისეთი სახდელის გამოყენება, რომელიც არ შეესაბამება სამართალდამრღვევის ქმედების ხარისხს და პიროვნებას (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 547-ე).

საკასაციო ინსტანციის სასამართლო ვალდებულია საკასაციო საჩივრის გამო შემოსული სისხლის სამართლის საქმე განიხილოს გასა-

ჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მიერ დანიშნულ დღეს, რაც დამოკიდებულს ზღის ზედა ინსტანციის სასამართლოს ქვედა ინსტანციის სასამართლოსაგან. ეს კი არანორმალური ურთიერთობაა სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში, სადაც ქვედა რგოლის ორგანო ემორჩილება ზედას, და არა პირიქით. მართალია, საკასაციო საჩივარი შეიტანება იმ სასამართლოში, რომელმაც გასაჩივრებული დადგენილება გამოიტანა, მაგრამ ეს წესი გათვალისწინებულია არა იმისათვის, რომ ზედა ინსტანცია დაექვემდებაროს ქვედას, არამედ იმისათვის, რომ ქვედა ინსტანციამ დროულად მოამზადოს საქმე საჩივრის განსახილველად და გაარკვიოს გასაჩივრების მოტივები, რითაც ხელს შეუწყობს ზედა ინსტანციას საჩივრის სწორად გადაწყვეტაში. ამიტომ აღნიშნული წესი არასწორია, მით უფრო, რომ საკასაციო ინსტანციის სასამართლო თვითონ ადგენს ცალკეულ პროცესუალურ მოქმედებათა ვადებს და ამის გამო ქვედა ინსტანციას ამას არ უთანხმებს.

საკასაციო საჩივარში უნდა აღინიშნოს იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შედის საჩივარი, მონაცემები იმ პირის შესახებ, რომელსაც შეაქვს საჩივარი (სახელი. გვარი, საცხოვრებელი ადგილი, საპროცესო მდგომარეობა), გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასახელება მისი გამომტანი სასამართლოსა და გამოტანის თარიღის მითითებით, მომჩივნის აზრი, თუ რა სამართლებრივი საკითხები გადაწყდა არასწორად და რა ადასტურებს ამას, რაში მდგომარეობს სასამართლოს მიერ დანიშნული სახდელის უსამართლობა, საპროცესო ნორმების რა მოთხოვნები დაირღვა და არსებითია თუ არა ეს დარღვევები, დამატებით წარმოდგენილი მასალები. საჩივრის ხარვეზის შესავსებად კასატორს, ისევე როგორც აპელანტს, თავის დროზე ეძლევა 5-დღიანი ვადა, ხოლო თუ კასატორი არ შეასრულებს სასამართლოს მოთხოვნას, საკასაციო საჩივარი არ განიხილება, ხოლო გასაჩივრებული აქტი და სხვა სასამართლო გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში და მიიქცევა აღსასრულებლად. საკასაციო საჩივრის განხილვაზე მოქმედებს ის წესები, რაც გათვალისწინებულია სააპელაციო საჩივრის განსახილველად.

საკასაციო ინსტანციის სასამართლოს შეუძლია მიიღოს აღმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე შემდეგი სახის გადაწყვეტილება, რომელიც განჩინების სახეს იღებს: 1) გასაჩივრებულ დადგენილებას უცვლელად ტოვებს, ხოლო საჩივარს – დაუკმაყოფილებლად; 2) აუ-

ქმებს დადგენილებას და საქმეს აგზავნის დამატებითი გამოძიებისა თუ ხელახალი სასამართლო განხილვისათვის; 3) ცვლის დადგენილებას სამართალდამრღვევის სასიკეთოდ; 4) აუქმებს პირველ და სააპელაციო ინსტანციების დადგენილებებს ან განჩინებებს. დადგენილების შეცვლისას სასამართლოს უფლება აქვს გამორიცხოს ბრალდების ის ნაწილები ან ეპიზოდი, ან კიდევ ის გარემოებები, რომლებიც ამძიმებენ პირის პასუხისმგებლობას. სამოქალაქო სარჩელის ნაწილში დადგენილების გაუქმებისას საქმე ამ ნაწილში ხელახლა განსახილველად გადაეცემა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. თუ დადგენილების გაუქმებისა და საქმის წარმოების შეწყვეტისას ვერ დადგინდა სამართალდარღვევის შემთხვევა ან ვერ დამტკიცდა სამართალდამრღვევის მონაწილეობა სამართალდარღვევაში, საკასაციო განჩინებაში აღინიშნება, რომ სამოქალაქო სარჩელს უარი ეთქვა. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან სამოქალაქო საჩივარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევით გამოწვეული ზიანის გამო იწერება, ხოლო თუ ეს დარღვევა არ დადასტურდა, ბუნებრივია, არც ამასთან დაკავშირებული რაიმე პრეტენზია არ შეიძლება არსებობდეს ზიანის მიყენების შესახებ, რომელიც შეიძლება გამოწვეულ იყოს სულ სხვა ქმედებითა თუ გარემოებებით. საკასაციო წესით სააპელაციო დადგენილების გაუქმების ან შეცვლის საფუძველია საპროცესო კანონმდებლობის არსებითი დარღვევა, რამაც განსხვავებული დადგენილების გამოტანა გამოიწვია, ვიდრე ისეთი დადგენილება, რომელიც მიღებული იქნებოდა ამ პროცესუალური წესების დაცვის შემთხვევაში, აღნიშნულ საფუძველს განეკუთვნება აგრეთვე მატერიალური ნორმის არასწორი გამოყენება ან ანალოგიის გამოყენება, სასამართლოს მიერ დანიშნული სახდელის შეუსაბამობა სამართალდამრღვევის ქმედების სიმძიმესა და პიროვნებასთან. პროცესუალური კანონმდებლობის არსებითი დარღვევებია ისეთი დარღვევები, რომლებმაც შეზღუდეს პროცესის მონაწილეთა უფლებები, ხელი შეუშალეს საქმის ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად განხილვას, გავლენა მოახდინეს კანონიერი, საფუძვლიანი და სამართლიანი დადგენილების მიღებაზე. საკასაციო წესით სასამართლოს დადგენილება გასაუქმებელია ყველა შემთხვევაში თუ: სასამართლო პროცესი ჩატარდა სამართალწარმოების გამომრიცხავი საფუძვლების არსებობისას, დადგენილება ემყარება კანონით დადგენილი წესის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს, კანონით სავალდებულო ექსპერტიზა არ ჩატარებულა, სამართალდამრღვევი ან

მისი დამცველი საქმის ყველა მასალის გაცნობის უფლებით არ იქა უზრუნველყოფილი, საქმე გამოიძიეს და განიხილეს დამცველის მონაი ილეობის გარეშე, როცა კანონით მისი მონაწილეობა სავალდებულო იყო, დაირღვა დამრღვევის უფლება – ისარგებლოს შშობლიური ენით, ან სხვა ენით, რომელიც მან იცის, დაირღვა განსჯადობის წესები, საქმე განიხილეს სამართალდამრღვევის დაუსწრებლად, როცა კანონით მისი დასწრება სავალდებულო იყო, დადგენილება გამოიტანა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ, დაირღვა მოსამართლეთა თათბირის საი- დუმლობა, საქმეში არ არის სასამართლოს სხდომის სათანადოდ გაფორმე- ბული ოქმი, დადგენილებაზე რომელიმე მოსამართლეს არ მოუწერია ხელი, რომელსაც განსხვავებული აზრი არა აქვს (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 563-ე). თუ გამამართლებელი დადგენილე- ბა გასაჩივრდა, იგი არ შეიძლება გაუქმდეს, თუ დაირღვა სამართალდამ- რღვევის დაცვის უფლება. საკასაციო ინსტანციას უფლება არა აქვს გააფართოოს ბრალდების მოცულობა, გამოიყენოს უფრო მკაცრი მატე- რიალური ნორმა და დანიშნოს უფრო მკაცრი სახდელი, გაზარდოს სამოქალაქო სარჩელის თანხა, მას ასევე უფლება არა აქვს დადგინოს ახალი ფაქტები ან დამტკიცებულად არ ჩათვალოს დადგენილებასა თუ სხვა გადაწყვეტილებაში მოყვანილი ფაქტები, მას არა აქვს უფლება მიიღოს სამართალდამრღვევის საზიანო სხვა გადაწყვეტილება. მას არ შეუძლია გააუქმოს გადაწყვეტილება და საქმე დააბრუნოს ხელახალი სასამართლო განხილვისათვის, თუ დაცული არ არის საქმის საუარესოდ შებრუნების კანონით დადგენილი პირობები. საკასაციო ინსტანციის სასა- მართლო არ იზღუდება საკასაციო საჩივარში ჩამოყალიბებული დასკვნებით და ვალდებულია საქმე სრული მოცულობით შეამოწმოს, მათ შორის იმ სამართალდამრღვევთა მიმართ, რომლებსაც საკასაციო საჩივარი არ შეუ- ტანიათ, ამასთან, შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება სამართალდამრღვე- ვის სასარგებლოდ, მაგრამ უფლება არა აქვს გააუარესოს მისი მდგომარ- ეობა. საკასაციო ინსტანციის სასამართლოს განჩინება კანონიერ ძალაში შედის გამოცხადებისთანავე, იგი საბოლოოა და შეიძლება გადაისინჯოს მხოლოდ ახლად აღმოჩენილ ან ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, რომლის დროსაც მხარეს საჩივარი შეაქვს საქართველოს უზენაესი სასა- მართლოს საზედამხედველო პალატაში, ან აფხაზეთისა და აჭარის უმაღ- ლესი სასამართლოების პრეზიდიუმებში – შესაბამისად, ამ რესპუბლიკე- ბის საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილ და კანონიერ ძალაში შესულ დადგენილებებსა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილებებზე.

ადმინისტრაციული სახდელების აღსრულება

ადმინისტრაციული სახდელების აღსრულება ხდება საქართველოს 1996 წლის 16 აპრილის კანონით „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“. ამ კანონით აღსრულებას ექვემდებარება ისეთი დადგენილებები, რომლებიც სახდელის სახით ითვალისწინებენ გაფრთხილებას, დაჯარიმებას, სპეციალური უფლების ჩამორთმევას, ადმინისტრაციულ პატიმრობასა და უცხო სახელმწიფოს მოქალაქის საქართველოს ფარგლებიდან გაძევებას¹. რაც შეეხება სხვა სახდელებს, რომლებიც ადრინდელი კანონმდებლობით იყო გათვალისწინებული, კერძოდ, გამასწორებელი სამუშაოები, კონფისკაცია და რეკვიზიცია, ადმინისტრაციული წესით არ გამოიყენება და კანონი არც აწესრიგებს მათ გამოყენებას. ეს გამოწვეულია იმით, რომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი კრძალავს საკუთრების საყოველთაო უფლების გაუქმებას, ხოლო მისი შეზღუდვა დასაშვებია საზოგადოებრივი აუცილებელი საჭიროებისათვის ან თუ ეს კანონით პირდაპირ არის დადგენილი. როგორც აღვნიშნეთ, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისათვის სახდელის დაკისრება არ უარმოდგენს აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებას, პირიქით, ზოგიერთი სამართალდამრღვევის მიმართ არამიზანშეწონილიცაა სახდელის დაკისრება, ხოლო რაც შეეხება გამასწორებელ სამუშაოებს, იგი 1966 წლის საერთაშორისო კონვენციის „ადამიანის სამოქალაქო უფლებათა შესახებ“ თანახმად, აკრძალულია, ვინაიდან შრომიითი ბეგარა ნებისმიერი პირის მიმართ, თუ მას დანაშაული არა აქვს ჩადენილი და სასამართლოს არ გამოუტანია განაჩენი იძულებითი მუშაობის დაკისრების შესახებ. დაუშვებელია დასახელებული კანონი 95-ე მუხლში ადგენს, რომ ადმინისტრაციული სახდელის აღსრულება ხდება იმ ორგანოს მიერ, ვინც გამოიტანა დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ. ყველა ადმინისტრაციული დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის შესახებ უნდა აღსრულდეს მის კანონიერ ძალაში შესვლიდან, ე.ი. გამოქვეყნებიდან ან ოფიციალურად გამოცხადებიდან 3 თვის ვადაში, სახდელის ზომად გაფრთხილების გამოყენების

¹ იხ. მ. სალხინაშვილი, ვ. ლორია. ადმინისტრაციული სახდელები და მათი გამოყენება: გამოძ. „ცოტნე“; თბ., 2000, გვ. 164-253
² იხ. საქართველოს კანონი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ. გამოძ. „ლ. დ.“, თბ., 1999.

გარდა². ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პროექტში ეს ვადა გაზრდილია 4 თვემდე და, საბოლოო ჯამში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეზე წარმოების ვადა განისაზღვრება 6 თვით. თუ ერთი და იმავე პირის მიმართ გამოტანილია რამდენიმე დადგენილება ადმინისტრაციული სახდელების დაკისრების შესახებ, მაშინ თითოეული დადგენილება დამოუკიდებლად უნდა აღსრულდეს.

იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს რაიმე გარემოება, რომლის გამოც ადმინისტრაციული პატიმრობის ან ჯარიმის აღსრულება კანონით დაწესებულ ვადაში შეუძლებელია, საქმის განმხილველ ორგანოს ან თანამდებობის პირს აღსრულება შეუძლია შეაჩეროს ხელისშემშლელ გარემოებათა შეცვლამდე, მაგრამ დადგენილების ძალაში შესვლიდან არაუმეტეს ერთი წლისა. მოქმედ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში გათვალისწინებულია ადმინისტრაციული სახდელების აღსრულების შეწყვეტის შემდეგი შემთხვევები: 1. ამნისტიის აქტის გამოყენებისას, თუ ის აუქმებს ადმინისტრაციული სახდელის გამოყენებას; 2. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმატიული აქტის გაუქმებისას; 3. იმ პირის გარდაცვალებისას, რომლის მიმართ იყო გამოტანილი ეს სახდელი. ეს შემთხვევები, რასაკვირველია, საფუძველს ქმნის დადგენილების აღსრულების შესაწყვეტად, მაგრამ, ამას გარდა, აღსრულების შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს ახლად აღმოჩენილი გარემოებები ან სააღსრულებო პროცედურის წესების დარღვევა და სხვ. ამიტომ აქ ჩამოთვლილი საფუძველები, ისევე როგორც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 97-ე მუხლში მოცემული საფუძველები, საკმარისი არ არის. ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების გამომტან ორგანოს (თანამდებობის პირს) ეკისრება მისივე გამოტანილი დადგენილების აღსრულების ორგანიზაცია და კონტროლი მის აღსრულებაზე.

ადმინისტრაციულ სახდელებს შორის ყველაზე მსუბუქია გაფრთხილება. დადგენილება გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ აღსრულდება დადგენილების გამომტანი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ საქმის განხილვის დამთავრებისთანავე დადგენილების საჯაროდ წაკითხვის სახით. თუ დამრღვევთან ერთად სხვების თანდასწრებით გაფრთხილების გამოცხადება შეუძლებელია სხვა პირთა დაუსწრებლობის გამო, მაშინ გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების ასლი

ჩაბარდება დამრღვევს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რაც გაფრთხილების საჯაროდ გამოცხადებად ითვლება.

ადმინისტრაციულ სახელეებს შორის ყველაზე უფრო გავრცელებულია ჯარიმა, რომლის ოდენობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, მოქალაქეებისა და თანამდებობის პირთა მიმართ განისაზღვრება 200 ლარამდე, ხოლო საწარმო-დევსებულებათა მიმართ 700 ლარამდე. სასაზღვრო რეჟიმის დარღვევის დროს კი ჯარიმის თანხა შეიძლება უფრო მეტადაც გაიზარდოს. საწარმო-დაწესებულებებისათვის ჯარიმის დაკისრება შესაძლებლობას იძლევა იმ თანამდებობის პირის პასუხისმგებლობასთან ერთად, რომელსაც ბრალი მიუძღვის სამართალდარღვევის ჩადენაში, პასუხი აგოს შესაბამისმა საწარმომ მატერიალურად. ეს წააგავს სამოქალაქო პასუხისმგებლობას, მაგრამ იგი არ არის დაკავშირებული არც სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობასთან და არც ზიანის მიყენებით გამოწვეულ ვალდებულებასთან. როგორც აღვნიშნეთ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის დროს საწარმოს ჯარიმა ეკისრება შესაბამისი ბრალეული პირის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობასთან ერთად, რომელიც ერთი წლის მანძილზე ითვლება ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში ნამყოფად. საწარმოს მიმართ ჯარიმის ამოღება ხდება მარტივად: ანგარიშიდან თანხის ჩამოწერის წესით. ასეთი წესია გათვალისწინებული იმ შემთხვევაშიც, თუ სამართალდარღვევის ჩადენისათვის დაჯარიმებულია თანამდებობის პირიც და იგი არ იხდის ჯარიმას. ასეთ დროსაც ჯარიმის თანხა ავტომატურად ჩამოეწერება საწარმოს ანგარიშიდან და გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში. ჯარიმის გადახდის სწორედ ასეთი გამარტივებული წესის გამო შემოღებულ იქნა იურიდიული პირის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ჯარიმის სახით. როგორც ცნობილია, ჩვენში იურიდიული პირების ვალებისათვის სახელმწიფო პასუხს არ აგებს, ამიტომ მათზე დაკისრებული ჯარიმის გადარიცხვა სახელმწიფო ბიუჯეტში სახელმწიფოს შემოსავლის დამატებით წყაროს შეადგენს. საერთოდ, ყველა ქვეყანაში შემოღებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ჯარიმის სახით იმ საწარმოებსა და ორგანიზაციებზე, რომელთა ბრალითაც მოხდა სამართალდარღვევა, მაგრამ, რადგანაც ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ყოველთვის ფიზიკური პირის ბრალთანაა დაკავშირებული, ამიტომ ეს უკანასკნელიც პასუხს აგებს საწარმოსთან ერთად.

დამრღვევემა ჯარიმა უნდა გადაიხადოს დაჯარიმების შესახებ დადგენილების ასლის მისთვის ჩაბარებიდან, ხოლო ადგილზე დაჯარიმებისას კვითრის ჩაბარებიდან არა უგვიანეს 30 დღისა. ჯარიმის გასაჩივრების შემთხვევაში, ისევე როგორც სხვა სახდელების გასაჩივრებისას, მისი აღსრულება შეჩერდება, ხოლო თუ საჩივარი დაუკმაყოფილებელი დარჩა, მაშინ ჯარიმა პირმა უნდა გადაიხადოს ამის შესახებ შეტყობინების მიღებიდან არა უგვიანეს 15 დღისა.

კანონმდებლობით გათვალისწინებულია ჯარიმის იძულებით აღსრულების წესიც. კერძოდ, დამრღვევის მიერ ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში დადგენილება დაჯარიმების შესახებ გაიგზავნება მის სამუშაო ადგილზე ხელფასიდან ან სხვა შემოსავლიდან ჯარიმის თანხის იძულებითი წესით დასაქვითავად. თუ დაჯარიმებული პირი არ მუშაობს ან დამრღვევის ხელფასიდან ან სხვა შემოსავლიდან ჯარიმის გადახდევინება შეუძლებელია, ამ და სხვა მიზეზების გამო პირი ვერ იხდის ჯარიმას, ასეთ შემთხვევაში შესაბამისი ორგანოს ან თანამდებობის პირის დადგენილების საფუძველზე (ვინც საქმე განიხილა) ჯარიმის გადახდევინება ხდება სასამართლო აღმასრულებლის მიერ დამრღვევის პირად ქონებაზე, აგრეთვე საერთო საკუთრებაში მის წილზე გადახდევინების მიქცევის გზით. ხოლო თუ ესეც შეუძლებელია, ჯარიმა შეიცვლება სხვა სახდელით, კერძოდ, ადმინისტრაციული პატიმრობით შემდეგი გაანგარიშებით: ჯარიმის ხუთი ლარი უტოლდება ადმინისტრაციული პატიმრობის ერთ დღეს, მაგრამ არა უმეტეს 30 დღისა. ეს უკანასკნელი წესი ჯერ შემოღებული არ არის და გათვალისწინებულია მხოლოდ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პროექტით (მუხლი 25-ე). ამის შესახებ დადგენილება გამოაქვს სასამართლოს, ხოლო მისი აღსრულება ხდება შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ. რაც შეეხება იურიდიულ პირებს, თუ ისინი ვერ გადაიხდიან ჯარიმას 3 დღის ვადაში, მაშინ მათი ანგარიშიდან სავალდებულო წესით გადაირიცხება ჯარიმის თანხა, ხოლო ანგარიშზე თანხის არარსებობისას ჯარიმის ამოღება მოხდება მათი ქონებიდან. ცხადია, ჯარიმის გადაუხდელობის დროს სასამართლოს გამოაქვს ახალი დადგენილება იძულებითი გადახდევინების შესახებ.

საზღვარგარეთ ჯარიმის ამოღების პრაქტიკა ერთგვარად განსხვავებულია ჩვენგან. კერძოდ, თუ დამრღვევემა გამოასწორა სამართალდარღვევის უარყოფითი შედეგები და ასეთი გამოსწორება შესაძლებელია,

იგი თავისუფლდება ჯარიმის გადახდისაგან. მაგალითად, თუ დამრღვევმა ბაღში მოჭრა ხე და მის ნაცვლად დარგო სხვა ხეები, მას ჯარიმა არ დაეკისრება, ან თუ დამრღვევის ბრალით მოხდა წყალკანალიზაციის გამოყენების წესების დარღვევა და დაზიანება, მან უნდა გაწმინდოს ეს კანალიზაცია და უზრუნველყოს მისი ნორმალური მუშაობა, რომლის შემდეგაც იგი ჯარიმას არ გადაიხდის. ჩვენი კანონმდებლობით ასეთი წესი აკრძალულია და დამრღვევი პასუხს აგებს ჯარიმის სახითაც და მიყენებული ზიანის ანაზღაურების სახითაც. პასუხისმგებლობის ასეთი გამკაცრება არ იწვევს დადებით შედეგებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის თვალსაზრისით. მართალია, ჯარიმა შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში, რომლის შემოსავლის ერთ-ერთი წყაროა ადმინისტრაციული ჯარიმა, მაგრამ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შემოღების მიზანია არა ბიუჯეტის გაზრდა, არამედ სამართალდამრღვევის დასჯა და გამოსწორება. ამიტომ, თუ ამ მიზნის მიღწევა ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია დაჯარიმების გარეშე, იგი უნდა იქნეს გამოყენებული საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად. თუ პირმა ჩაიდინა რამდენიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რომელთა საქმეებს ერთდროულად განიხილავს ერთი და იგივე ორგანო ან თანამდებობის პირი, ჯარიმის დაკისრება მოხდება მაქსიმალური სანქციის ფარგლებში საქმის გარემოებათა და დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით. საქმის განმხილველ ორგანოს (თანამდებობის პირს) შეუძლია ნაწილობრივ ან მთლიანად შეკრიბოს ადმინისტრაციული ჯარიმები, მაგრამ არა უმეტეს კოდექსით გათვალისწინებული ოდენობისა (კოდექსის პროექტის მუხლი 21-ე).

ჯარიმის გადახდევინება არ შეიძლება მიქცეულ იქნეს ისეთ ქონებაზე, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სააღსრულებო მიქცევას არ ექვემდებარება. ადგილზე დაჯარიმების შემთხვევაში, დამრღვევს უნდა მიეცეს დადგენილი ნიშნის ქვითარი, რომელიც წარმოადგენს მკაცრი საფინანსო ანგარიშგების დოკუმენტს. დაჯარიმების შემდეგ დამრღვევმა უნდა წარუდგინოს ქვითარი ჯარიმის გადახდის შესახებ დადგენილების გამოძთან ორგანოს (თანამდებობის პირს), დადგენილების აღსრულება დამთავრებულად ჩაითვლება ჯარიმის მთლიანად გადახდის შემდეგ („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 102-ე მუხლი).

ადმინისტრაციულ სახდელებს შორის ერთ-ერთი გავრცელებულია

სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლებების ჩამორთმევა, რომელსაც აღასრულებენ შინაგან საქმეთა ორგანოების თანამდებობის პირები, ხოლო დადგენილებას მცირე ზომის გემების (მათ შორის კატარღების) მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ აღასრულებენ საზღვაო ადმინისტრაციის შესაბამისი ორგანოები. რაც შეეხება სხვა უფლების ჩამორთმევას ადმინისტრაციული წესით, კერძოდ, ნადირობის უფლების ჩამორთმევას, იგი დღეს აკრძალულია, ვინაიდან ადამიანის პირადი თავისუფლების შეზღუდვასთან არის დაკავშირებული. მართალია, ტრანსპორტის მართვის უფლებაც ადამიანის პირადი თავისუფლებაა, მაგრამ ამ უფლებით სარგებლობა დაკავშირებულია მომეტებული საფრთხის ობიექტის ექსპლუატაციასთან, რის გამოც ამ ობიექტებით სარგებლობის წესების დარღვევა, ბუნებრივია, უნდა იწვევდეს დამრღვევის ჩამოშორებას ამ ობიექტებისაგან მოსალოდნელი მძიმე შედეგების თავიდან ასაცილებლად.

დადგენილება სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ, აღსრულდება მძღოლის მოწმობის ჩამორთმევით. თუ მძღოლი თავს არიდებს მოწმობის ჩაბარებას, როცა მას მართვის უფლება ჩამორთმეული აქვს, მაშინ სასამართლო აღმასრულებელი ასეთ მძღოლს იძულების წესით ჩამოართმევს მოწმობას. როგორც აღენიშნეთ, გაუმართლებელია ჩვენს პრაქტიკაში დამკვიდრებული წესი, რომლითაც სატრანსპორტო საშუალების მძღოლს ყველა შემთხვევაში ჩამოერთმევა შემთხვევის ადგილზე მართვის მოწმობა და დაუბრუნდება იგი იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს ქვითარს ჯარიმის გადახდის შესახებ. ჯარიმის ამოღების მიზნით, მძღოლის პირადი თავისუფლების შეზღუდვა დაუშვებელია და ამიტომ ყველა შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს სატრანსპორტო სამართალდარღვევას, მძღოლს მართვის მოწმობა ადგილზე არ უნდა ჩამოერთვას და მის ნაცვლად დროებითი მართვის მოწმობა არ უნდა მიეცეს. სხვას რომ თავი დაეანებოთ, მოქალაქის პირადი მოწმობის უკანონოდ ჩამორთმევა ახალი სამართალდარღვევაა საგზაო პოლიციის მხრიდან, გარდა ამისა, მოწმობა ჩამორთმეული პირი შეიძლება გამართლდეს და მისი ასეთი შეზღუდვა უსაფუძვლო აღმოჩნდეს.

მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ დადგენილების აღსრულება იწყება მართვის მოწმობის ჩამორთმევის დღიდან. ჩამორთმევის საერთო ვადა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მოქმედი კოდექსით არ

უნდა აღმატებოდეს 3 წელს, მაგრამ ეს ვადა აშკარად არ შეესაბამება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადას, რომელიც ერთი წლით განისაზღვრება. როდესაც პირი მოიხდის აღნიშნულ სახდელს, იგი მაინც ითვლება ერთი წლის მანძილზე ადმინისტრაციულ პასუხისმგებებაში მყოფ პირად, რაც მეტად დამამძიმებელია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამოსაყენებლად, სწორედ ამიტომაც, რომ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის მოწმობის ჩამორთმევა 3 წლამდე ვადით უსამართლოა და არ შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს. ჩამორთმევის ეს ვადა შეიძლება იყოს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საერთო ხანდაზმულობის ვადით – 1 წლამდე.

პირს შეუძლია თხოვნით მიმართოს იმ ორგანოს, რომელმაც მას მართვის მოწმობა ჩამოართვა, ვადის შემცირების ან პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ, რაც ადმინისტრაციული ორგანოს პრეროგატივაა. სპეციალური უფლების ჩამორთმევის ვადის გასვლისას, აგრეთვე მისი შემცირებისას, პირს, რომელსაც შეფარდებული ჰქონდა ადმინისტრაციული სახდელის ეს ზომა, დადგენილი წესით დაუბრუნდება ჩამორთმეული დოკუმენტი.

აღსანიშნავია, რომ მძღოლის მართვის მოწმობა ჩამოერთმევა მართვის უფლების მთლიანად ჩამორთმევის მითითებით იმ შემთხვევაში, თუ ყველა სახის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება აქვს ჩამორთმეული. მაგრამ, როგორც წესი, სატრანსპორტო სამართალდარღვევისათვის მძღოლს ჩამოერთმევა ამა თუ იმ ტრანსპორტის მართვის უფლება, რომელიც მას ჩამორთმევაამდე ჰქონდა მოპოვებული. ამიტომ დადგენილებაში უნდა აღინიშნოს, თუ როგორი ტრანსპორტის მართვის უფლება აქვს პირს ჩამორთმეული და თუ იგი მოინდომებს სხვა ტრანსპორტის (მაგალითად, მოტოციკლის) მართვის უფლების მოპოვებას სახდელის დაკისრების პერიოდში, მას არ უნდა ეთქვას უარი ასეთი უფლების მოპოვებაზე. რადგანაც ტრანსპორტის მართვის მოწმობაში აღინიშნება, თუ რა და რა სახის ტრანსპორტით სარგებლობის უფლება აქვს პირს, ასეთი მოწმობა მას არ ჩამოერთმევა, თუ მას მხოლოდ ერთი სახეობის ტრანსპორტის მართვის უფლება ჩამოერთვა და სხვა სახეობის ტრანსპორტის მართვის უფლება შენარჩუნებული აქვს. კანონი მიუთითებს სახდელის სახედ ტრანსპორტის მართვის უფლების და არა მართვის მოწმობის ჩამორთმევას.

თუ მძღოლი ასაჩივრებს მარვის უფლების ჩამორთმევას, მაშინ მისი

აღსრულება შეჩერდება საჩივრის გადაწყვეტამდე. ასეთ შემთხვევაში მძღოლს მართვის მოწმობა არ დაუბრუნდება, მაგრამ მიეცემა ტრანსპორტის დროებითი მართვის ნებართვა, რომლის მოქმედება გაგრძელდება საჩივარზე გადაწყვეტილების მიღებისათვის დადგენილი ვადის გასვლამდე, ანუ უფრო სწორად, საჩივრის გადაწყვეტის დღემდე, რასაც ყურადღება უნდა მიაქციოს სახდელის აღმასრულებელმა პირმა და ჩამოართვას მძღოლს ტრანსპორტის დროებითი მართვის ნებართვა საჩივრის გადაწყვეტის მეორე დღესვე. რაც შეეხება მართვის მოწმობასთან ერთად სხვა დოკუმენტების ჩამორთმევას, კერძოდ, ტრანსპორტის მინდობილობით მართვის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის ჩამორთმევას, იგი აუცილებლად უნდა ჩამოერთვას მძღოლს ან იმ პირს, ვისზეც გაცემულია ეს მინდობილობა, ვინაიდან ტრანსპორტის მძღოლი კარგავს მისი მართვის უფლებას, რომლიდანაც ნაწარმოებია მინდობილობით მისი მართვა. ხანგრძლივი დროით ტრანსპორტის უმართავობა ზიანს აყენებს ტრანსპორტს, ამიტომ სამართალდამრღვევი – მძღოლის თხოვნით, ავტონისპექციის შესაბამისი მუშაკი თვეში რამდენჯერმე გაატარებს ტრანსპორტს დაზიანების თავიდან ასაცილებლად. თუკი ასეთი მძღოლი შეიძენს ახალ ტრანსპორტს, იგი ამ უკანასკნელსაც ვერ ატარებს, ვინაიდან მას ჩამორთმეული აქვს არა რომელიმე ნომრის მანქანის ტარების უფლება, არამედ საერთოდ, შესაბამისი სახეობის ყველა მანქანის ტარების უფლება. ცხადია, ტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევა საკუთრებით სარგებლობის უფლების შეზღუდვასაც გულისხმობს, რაც ადამიანის დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებების შესაბამისი არ არის. ამ სახდელის გამოყენებით პირის უფლებების მნიშვნელოვანი შეზღუდვის გამო ტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევა უნდა განახორციელოს სასამართლომ ან უკიდურეს შემთხვევაში, სპეციალურმა საზედამხედველო კომისიამ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ერპიროვნულმა თანამდებობის პირმა.

ადმინისტრაციულ სახდელებს შორის ყველაზე უფრო მძიმეა ადმინისტრაციული პატიმრობა, რომელიც პირს შეიძლება შეეფარდოს 10-დან 30 დღემდე. ადმინისტრაციული პატიმრობა არის პირის მოთავსება სპეციალურ ადგილას. ჰაუპტვახტში მოთავსება კი გულისხმობს პირის სპეციალურ სამხედრო სადისციპლინო ოთახში მოთავსებას 30 დღემდე ვადით. ადმინისტრაციულ პატიმრობასა და ჰაუპტვახტში მოთავსებას დამრღვევს შეუფარდება მოსამართლე. ადმინისტრაციულ პა-

ტიმრობაში მყოფ პირს მისივე თანხმობით, შეიძლება დაეკისროს არაკვალიფიციური სამუშაოების შესრულება, ხოლო თუ ეს სახდელი პირს შეფარდებული აქვს ჯარიმის გადაუხდელობის გამო, სამუშაოზე მისი დასაქმებისათვის თანხმობა საჭირო არ არის. თუ პირი თავს არიდებს ამ სახდელის მოხდას, მას დაემატება ადმინისტრაციული პატიმრობისა თუ ჰუსპიტალიზაციაში მოთავსების ვადა იმ ანგარიშით, რომ, საბოლოო ჯამში, პატიმრობის ეს ვადა არ აღემატებოდეს 2 თვეს. ადმინისტრაციული პატიმრობა არ შეიძლება დაეკისროს 18 წლის ასაკს მიუღწეველ პირებს, 60 წელს მიღწეულ ქალებსა და 65 წელს მიღწეულ მამაკაცებს, ორსულებს, დედაებს, რომელთაც ჰყავთ 12 წლამდე ასაკის ბავშვები, პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს. მათ ამ სახდელის ნაცვლად დაეკისრებათ ადმინისტრაციული ჯარიმა (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პროექტის მუხლი 28-ე).

დადგენილება ადმინისტრაციული პატიმრობის შესახებ უნდა აღსრულდეს დაუყოვნებლივ მისი გამოტანის შემდეგ (სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის მუხლი 107-ე). ეს გამონაკლისი წესია ადმინისტრაციული სახდელების აღსრულების იმ საერთო ვადისაგან, რომელსაც კანონმდებლობა აწესებს (3 თვე). ეს გამოწვეულია იმით, რომ ადმინისტრაციულ პატიმრობაში პირი უნდა იქნეს აყვანილი სასამართლოს დადგენილების გამოტანისთანავე. ეს თავისებურება უნდა იყოს გათვალისწინებული, როდესაც ლაპარაკია ადმინისტრაციული სახდელების სისრულეში მოყვანის 3-თვიანი ზანდაზმულობის შესახებ, რომლის დაცვაც ადმინისტრაციული პატიმრობის მიმართ დაუშვებელია, ვინაიდან პატიმრობის გადავადება იკრძალება.

პირი, რომელსაც შეეფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა, სახდელს იხდის სპეციალურად განსაზღვრულ ადგილზე. ადმინისტრაციული დაკავების ვადა ჩაითვლება ადმინისტრაციული პატიმრობის ვადაში. ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფი პირების შრომითი გამოყენების ორგანიზაცია ევალებათ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებს. მათ უნდა გამოიყონ ადგილები, სადაც პატიმრობაში აყვანილი პირები შეასრულებენ სამუშაოებს. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფი პირები მეტწილად უფლებებში შეზღუდულები არ არიან. მათ ეზღუდებათ ახლობლებთან შეხვედრა, სურსათის შექმნა და ზოგიერთი სხვა შესაძლებლობები (ამანათის მიღება, ტელეფონით დაკავშირება და სხვ.). სხვა მხრივ ისინი სარგებლობენ სრული პოლიტიკური უფლებებით,

შეუძლიათ თავიანთ ხარჯზე მოითხოვონ დამატებითი კომუნალური მომსახურება, კულტურულ-საგანმანათლებლო ხელშეწყობა და სხვ როგორც აღვნიშნეთ, სამუშაოების შესრულება მათთვის სავალდებულო არაა, მაგრამ რაკი კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურება მათთვის ფასიანია, ამიტომ ამ ხარჯების გადაუხდელობის შემთხვევაში, ისინი ვალდებულნი არიან შეასრულონ სამუშაოები, რომლის ანაზღაურებიდანაც მათ გამოეჭიეთუბათ ეს ხარჯები. ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფ პირებს პატიმრობაში ყოფნის პერიოდში მუდმივ სამუშაო ადგილზე ხელფასი არ მიეცემათ, მაგრამ ენახებათ სამუშაო ადგილი.

ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფ პირებზე ვრცელდება სასჯელ-აღსრულებით დაწესებულებებზე განხორციელებული ზედამხედველობის ფორმები. კერძოდ, იუსტიციის სამინისტროს სპეციალური სასჯელ-აღსრულებითი დეპარტამენტი და პროკურატურა მოწოდებულნი არიან განახორციელონ ეს ზედამხედველობა.

საქართველოს 1997 წლის 21 ნოემბრის ორგანული კანონით „პროკურატურის შესახებ“ ადგენს, რომ პროკურორი ზედამხედველობს დაკავებულთა მოთავსების ადგილებში პირთა ყოფნის, წინასწარი პატიმრობის, თავისუფლების აღკვეთისა და თავისუფლების სხვა შეზღუდვის ადგილებში სასჯელის ან სასამართლოს მიერ დანიშნულ სხვა იძულებითი ხასიათის ღონისძიებების აღსრულების კანონიერებას, აგრეთვე ამ პირთა აღნიშნულ დაწესებულებებში ყოფნის კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და პირობების დაცვას. ამასთან დაკავშირებით პროკურორს უფლება აქვს კანონის მოთხოვნათა შესასრულებლად ჩაატაროს შემოწმებები, ამ მიზნით შევიდეს შესაბამის დაწესებულებებში ნებისმიერ დროს, გამოჰკითხოს დაპატიმრებული, გაეცნოს დოკუმენტებს, რომელთა საფუძველზეც ეს პირი დაპატიმრებულია და მიიღოს დაუყოვნებლივი ზომები უკანონოდ დაპატიმრებულის გასათავისუფლებლად, შეამოწმოს ზემოხსენებულ დაწესებულებათა ადმინისტრაციის ბრძანებების, განკარგულებებისა და დადგენილებების კანონთან შესაბამისობა, შეაჩეროს მათი მოქმედება და გააპროტესტოს უკანონო აქტები, შესაბამის თანამდებობის პირს მოსთხოვოს ახსნა-განმარტებები. პროკურორის მოთხოვნა აღნიშნულ დაწესებულებებში პირთა მოთავსების, ყოფნისა და სხვა იძულებით ღონისძიებათა აღსრულების კანონიერებასთან დაკავშირებით, სავალდებულოა შესასრულებლად შესაბამისი დაწესებულებების ადმინისტრაციისათვის.

პროკურორს წერილობითი პროტესტი შეაქვს შესაბამის თანამდებობის პირთა აქტებისა და ქმედებების კანონთან შეუსაბამობის თაობაზე. პროტესტში პროკურორს შეუძლია მოითხოვოს უკანონო აქტების მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმება ან კანონთან შესაბამისობაში მოყვანა, უკანონო ქმედების შეწყვეტა, დარღვეული უფლების აღდგენა, კანონის დამრღვევის დასჯა. პროკურორის პროტესტი უკანონო სამართლებრივი აქტის გამო შეიტანება მის გამომცემ ან ზემდგომ ორგანოში. იმავე წესით ხდება თანამდებობის პირების უკანონო მოქმედებათა გაპროტესტება. პროკურორის პროტესტი განხილულ უნდა იქნეს მისი მიღებიდან არა უგვიანეს 10 დღის ვადაში მიმართულების განხილვის წესით. განხილვის შედეგი დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პროკურორს. პროკურორს უფლება აქვს დაესწროს თავისი პროტესტის განხილვას ადმინისტრაციულ ორგანოში პირადად ან თავისი წარმომადგენლის მეშვეობით. ზემდგომ პროკურორს უფლება აქვს პროტესტის განხილვის დაწყებამდე შეიტანოს მასში ცვლილებები ან შეცვალოს იგი ახალი პროტესტით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში არაა მითითებული პროკურორის უფლება – თვითონ აღძრას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე, მაგრამ პროკურატურის შესახებ აღნიშნულ ორგანულ კანონში მითითებულია, რომ პროკურორის დადგენილებები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ წარმოების აღძვრის თაობაზე განხილულ უნდა იქნეს მიღებიდან არა უგვიანეს 10 დღის ვადაში უფლებამოსილი ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ, ხოლო განხილვის შედეგები დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პროკურორს (კანონის მუხლი 25-ე). პროკურორის უკანონო აქტი შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ პროკურორთან ან სასამართლოში მისი გამოტანიდან 10 დღის ვადაში იმ ორგანოსა თუ თანამდებობის პირის მიერ, რომელსაც ეგზავნება ეს აქტი.

საქართველოს ფარგლებიდან გაძევება დამატებითი ან ძირითადი სახდელია, რომელიც გამოიყენება მხოლოდ უცხოელის მიმართ, რადგანაც საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა და გაძევება დაუშვებელია. ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის საქართველოს ფარგლებიდან გაძევება მდგომარეობს იმ უცხოელის საქართველოს ტერიტორიის ფარგლების იძულებით დატოვებინებაში, რომელიც განზრახ სისტემატურად სჩადის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამ სახდელს დამრღვევს შეუფარდებს მოსამართლე. იგი შეეფარდე-

ბათ უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე პირებს, მაგრამ არა მოქალაქეობის არმქონე პირებს, თუ ესენი დროებით იმყოფებიან საქართველოში. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან მოქალაქეობის არმქონე პირი ჩვენი კანონმდებლობით გათანაბრებულია საქართველოს მოქალაქეებთან ზოგიერთი პოლიტიკური უფლების განხორციელების გარეშე (მაგალითად, მათ არ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში, განახორციელონ სავალდებულო სამხედრო სამსახური და სხვა). რაკი მოქალაქეობის არმქონე პირს რომელიმე ქვეყნის მოქალაქეობა არა აქვს მისი იძულებით გაძევება რომელიმე ქვეყანაში დაუშვებელია.

უცხოელების საქართველოდან გაძევების საკითხები მოწესრიგებულია საქართველოს 1993 წლის 3 ივნისის კანონით „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“¹. კანონში აღნიშნულია, რომ თუ პირი უარს იტყვის საქართველოს ფარგლებიდან გასვლაზე ან გადაწყვეტილებაში მითითებულ ვადაში არასაპატიო მიზეზით არ დატოვებს საქართველოს ტერიტორიას, იგი იძულებით იქნება გაძევებული. გადაწყვეტილება უცხოელის გაძევების შესახებ შესაბამის პირს უნდა ჩაბარდეს მისთვის გასაგებ ენაზე ან თარჯიმნის მეშვეობით უნდა გააცნონ მას სასამართლოს გადაწყვეტილება. გაძევების ვადა არ შემოიფარგლება ადმინისტრაციული სახდელების დაკისრებისა და აღსრულების ვადით, ე.ი. გაძევების პროცედურა შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე თვით, მაგრამ არ შეიძლება მან 1 წელზე მეტ ხანს გასტანოს, ვინაიდან ერთწლიანი ხანდაზმულობისას პირს უნდა მოეხსნას ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ხშირ შემთხვევაში სასამართლოს დადგენილებაში აღინიშნება უცხოელის საქართველოს ფარგლებიდან გაძევების ვადა, რომელიც ზუსტად უნდა იყოს დაცული. ადვილი შესაძლებელია, რომ ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) აღსრულების ვადა ამოიწუროს, მაგრამ უცხოელის გაძევება (თუ სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილება მიღებული აქვს) საქართველოდან მაინც უნდა განხორციელდეს, რამდენადაც გაძევების ვადა არ შემოიფარგლება ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების ვადით. უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონის 29-ე მუხლში აღნიშნულია, რომ უცხოელი მოქალაქეები და საქართველოში დროებით მყოფი მოქალაქეობის არმქონე პირები საქართველოს ტერიტორიიდან შეიძლება გაძევებულ იქნენ, თუ აღარ

¹ იხ. ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1993 წლის 8 ივნისი. დაწერილებით, იხ., არჩილ ლორია მოქალაქეობა საქართველოს კანონმდებლობით, თსუ. გამომც., 1996. გვ.102-108

არსებობს საქართველოში მათი შემდგომი ყოფნის საფუძველი. ერთ-ერთი ასეთი საფუძველი შეიძლება იყოს ტრანზიტით საქართველოს გავლით მიმავალი უცხოელის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის რამდენჯერმე (არანაკლებ ორჯერ, რაც სისტემატურობის გამომხატველია) ჩადენის ფაქტი. ასეთი პირი გაძევებულ უნდა იქნეს საქართველოდან სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს მისი ტრანზიტით საქართველოში ყოფნის ვადის ამოწურვისა. უცხოელის ან დროებით მყოფ მოქალაქეობის არმქონე პირს ეკრძალება საქართველოდან გასვლა, თუ ეს ეწინააღმდეგება სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებს, ან თუ იგი ეჭვმიტანილია ან ბრალდებულია დანაშაულის ჩადენაში, ან კიდევ თუ გამართლებულია დანაშაულისათვის, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, ტუსალობასა თუ სხვა სასჯელს, რომელიც დაპატიმრებასთანა დაკავშირებულია. ასეთ დროს პირმა უნდა მოიხადოს სასჯელი და ამის შემდეგ უნდა მოხდეს მისი გაძევება საქართველოს ტერიტორიის ფარგლებიდან. რაც შეეხება სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულებების მოხდამდე უცხოელის გაძევების გადავადებას (კანონის მუხლი 24-ე), ეს არასწორია, ვინაიდან სამოქალაქო სამართლებრივი ვალდებულებები პირმა უნდა მოიხადოს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან განცალკევებით. ამიტომ, თუ პირს შეეფარდა საქართველოდან გაძევება და დაეკისრა კიდევ სამოქალაქო ვალდებულება ზიანის ანაზღაურების შესახებ, იგი შეიძლება გაძევებულ იქნეს საქართველოდან აღნიშნული ზიანის ანაზღაურებამდე. ასეთ შემთხვევაში უცხოელმა სამოქალაქო ვალდებულება უნდა მოიხადოს თავის საცხოვრებელ ადგილას გაძევების შემდეგ, რაც მოწესრიგდება საერთაშორისო სახელშეკრულებო ურთიერთობების საფუძველზე ან დიპლომატიური გზით.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ უცხოელის გაძევება ამა თუ იმ ქვეყნიდან ძნელად აღსასრულებელია, ვინაიდან იგი დაკავშირებულია პირის ხელშეუხებლობის უფლებასთან და გაძევებასთან დაკავშირებულ ზარალებთან, რომელიც შეიძლება დამრღვევმა არ გადაიხადოს. მაგრამ საერთაშორისო ტერორიზმისა და საერთაშორისო ნარკობიზნესის ატმოსფეროში ამ ღონისძიების გატარება სრულიად აუცილებელია, და სამართალდამცავი ორგანოები უნდა იღებდნენ ყველა საჭირო ზომას საეჭვო პირის გასაძევებლად საქართველოდან, როცა მათ ადმინისტრაციული სამართალდარღვევა აქვთ ჩადენილი, ან სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მათ მისაცემად, როცა მათ ჩადენილი აქვთ სისხლისსამართლებრივი სამართალდარღვევა.

ადმინისტრაციული იუსტიციის პრობლემატიკა
საქართველოში

ბიუროკრატია უმაღლეს ადმინისტრაციას გულისხმობს. იგი წარმოადგება ორი სიტყვისაგან: ფრანგული ბიურო-სა (დაწესებულება) და კრატოსაგან (ხელისუფლება). ბიუროკრატიის საქმიანობა აღმასრულებელ ხელისუფლებასთანაა დაკავშირებული, რომელიც კანონების აღსრულებას უნდა ისახავდეს მიზნად, რამდენადაც კანონის სიცოცხლისუნარიანობა აღსრულებაშია, ამდენად, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბიუროკრატიის მიერ კანონიერების დაცვას. აღმასრულებელ-განმკარგულებელი საქმიანობის სფეროში კანონიერების დაცვის მრავალი ფორმა არსებობს, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია სასამართლო დაცვა. სასამართლო ორგანოთა სისტემას, რომელიც აღმასრულებელ-განმკარგულებელ (მმართველობის) სფეროში კანონიერებას იცავს, ადმინისტრაციულ იუსტიციას უწოდებენ¹.

ადმინისტრაციული იუსტიციის ინსტიტუტი წარმოიშვა XIX საუკუნის დასაწყისში საფრანგეთში, ხოლო შემდეგ გავრცელდა მთელ ევროპაში. არსებობს ადმინისტრაციული იუსტიციის სამი სისტემა: ინგლისურ-ამერიკული, ავსტრია-გერმანული, ფრანგული.

ანგლო-ამერიკული ადმინისტრაციული იუსტიცია გულისხმობს ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვას საერთო სასამართლოებში, ხოლო სპეციალური საქმეებისა – საუწყებო ადმინისტრაციულ ტრიბუნალებში (აშშ-ში კვაზი-სასამართლოებში). ეს უკანასკნელები მეტწილად განიხილავენ დავებსა და საჩივრებს პენსიების დანიშვნის, სამედიცინო მომსახურებისა და სხვათა გამო.

ავსტრიულ-გერმანული ადმინისტრაციული იუსტიცია მოიცავს ფედერალურ ადმინისტრაციულ სასამართლოს, მიწების უმაღლეს ადმინისტრაციულ სასამართლოებს, ხოლო უფრო ქვედა რგოლი არ არსებობს. მათ მეთაურებს პრეზიდენტები და ვიცეპრეზიდენტები ეწოდებათ. მათი წევრები ინიშნებიან რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ, ხოლო საპატიო წევრები აირჩევიან. ეს სასამართლოები მოქმედებენ ადმინისტრაციული

¹ იხ. Wade H. W. R. Administrative Law. Oxford, 1965, p. 39.

სამართლის წარმოების კოდექსით, ხოლო იხილავენ არა მარტო მოქალაქეთა, არამედ კომპანიების, კორპორაციებისა და სხვათა საჩივრებს მმართველი ბიუროკრატიის მიმართ¹.

მეტად საინტერესოა საფრანგეთის ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოთა სისტემა². იგი შედგება სამი რგოლისაგან: სახელმწიფო საბჭოსაგან, რომელიც ცენტრალური და ხელმძღვანელი ორგანოა, რეგიონული ადმინისტრაციული სასამართლოებისაგან და სპეციალიზებული ადმინისტრაციული სასამართლოებისაგან, რომლებიც იქმნებიან სპეციალურ საქმეთა განსახილველად როგორც ცენტრში, ისე რეგიონებში. საფრანგეთის ადმინისტრაციული იუსტიციის სასამართლოს კონტროლს ექვემდებარება სახელმწიფო ცხოვრების მეტად ფართო სფერო: აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა ეშელონი და მმართველობის ყველა აქტი დაწყებული მუნიციპალური გადაწყვეტილებიდან და დამთავრებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ორდონანსებით.

საფრანგეთის სახელმწიფო საბჭო იქმნება მთავრობის მიერ. მისი ოფიციალური თავმჯდომარეა პრემიერ-მინისტრი, ხოლო მოადგილე — იუსტიციის მინისტრი, მაგრამ საზიემო შემთხვევების გარდა, ისინი ამ ფუნქციებს არ ასრულებენ და ამიტომ, ფაქტობრივად სახელმწიფო საბჭოს მეთაურია მისი ვიცე-თავმჯდომარე. სახელმწიფო საბჭოს გააჩნია ბიურო და 4 სექცია (საზოგადოებრივ საქმეთა, შინაგან საქმეთა, ფინანსების, სოციალურ საკითხთა), განსაკუთრებით გამოიყოფა სასამართლო იურისდიქციული სექცია, რომელიც აკონტროლებს ქვეყანაში დაკეებისა და კონფლიქტების საქმეთა განხილვას. ამდენად, სახელმწიფო საბჭო არის როგორც საკასაციო, ისე პირველი ინსტანციის ადმინისტრაციული სასამართლო.

საფრანგეთში 30 რეგიონული ადმინისტრაციული სასამართლოა, ე.ი. უფრო მეტი, ვიდრე რეგიონებია ქვეყანაში. არსებობს პარიზის ადმინისტრაციული სასამართლო, რომელიც რამდენიმე სექციისაგან და 50 წევრისაგან შედგება. ფინქციონირებს ვერსალის ადმინისტრაციული სასამართლოც, რომლის იურისდიქცია ვრცელდება პარიზის განაპირა და თვით ვერსალის ტერიტორიაზე. აღნიშნული სასამართლოების მოსამართლეთა შერჩევა ხდება საკონკურსო წესით კურსდამთავრებულ-

¹ იხ. Ernst Forsthoff. Lehrbuch des Verwaltungsrechts. München-Berlin 1961. s. 481-487.

² იხ. Боботов С.В. Правосудие во Франции, М., 1994; Административное право зарубежных стран, под ред. Козырина А. Н. М., 1996

ისა და პერიფერიული საშტატო ჩინოვნიკებისაგან. ეს სასამართლოები წელიწადში დაახლოებით 40 ათას საქმეს განიხილავენ, რომელთა 10-15% სააპელაციოდ გადადის სახელმწიფო საბჭოში.

საფრანგეთში სპეციალიზებულ ადმინისტრაციულ სასამართლოთაგან აღსანიშნავია საანგარიშო პალატა, რომელიც აკონტროლებს ბიუჯეტის შესრულებას და მას ჰყავს თავისი რეგიონული საანგარიშო პალატები, რომლებიც ადმინისტრაციული სასამართლოებია. ასევე არსებობს სპეციალიზებული დისციპლინური სასამართლო, სოციალური უზრუნველყოფის (დახმარების) ადმინისტრაციული სასამართლო, სამხედრო პენსიების საქმეებზე და ომით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების საქმეთა ადმინისტრაციული სასამართლო.

რუსეთის იმპერიაში ადმინისტრაციული იუსტიციის ინსტიტუტი განუვითარებელი იყო. იგი წარმოდგენილი იყო საგუბერნიო საკრებულოთა სახით („გუბერნსკიე პრისუტსტვია“), რომლებიც განიხილავდნენ მხოლოდ საგადასახადო, საგზაო ბეგარის, საპოლიციო დადგენილებათა დარღვევების საქმეებს. მათი ზედა ინსტანცია იყო სენატის პირველი დეპარტამენტი. საქმის განხილვის სასამართლო-პროცესუალური წესი ამ ორგანოებში გამორიცხული იყო, იწერებოდა მხოლოდ ოქმები. უწყების წარმომადგენელს საქმის განხილვისას მოსამართლის თანაბარი უფლებები ჰქონდა.

დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკაში 1919 წლის 30 ივლისის „საქართველოს სენატის დებულების“ თანახმად, სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტში შექმნილი იყო საადმინისტრაციო განყოფილება, რომელიც ზედა ინსტანცია იყო ადგილობრივი სასამართლოების საადმინისტრაციო განყოფილებების მიმართ. ეს ორგანოები განიხილავდნენ საჩივრებს, პროტესტებსა და თხოვნებს მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების მიმართ და საერთოდ, ყველა საქმეს, რაც „არ ეკუთვნის სენატის სამოქალაქო სამართლის დეპარტამენტების ან საზოგადო კრების ან დეპარტამენტთა შეერთებული საკრებულოს განსახილველი საკითხების რიცხვს“ (დებულების მუხლი 34-ე, პუნქტი მე-15).

საბჭოთა ხელისუფლებამ მოსპო ადამიანთა უფლებების დაცვის ყველა დემოკრატიული ფორმა, თუკი რაღაც ფორმით მაინც იყო შემორჩენილი მეფის თვითმპყრობელობის დროს. ეს შეეხებოდა საგუბერნიო საკრებულოებსაც. ადმინისტრაციული იუსტიცია და ადმინისტრაციუ-

ლი სამართალი საერთოდ ბურჟუაზიული სამართლის რეცეფციად იქნა მიჩნეული საბჭოთა სინამდვილეში, რის გამოც დაიწყო ბრძოლა სამართლის ამ დარგის მიმართ. 30-იანი წლების უმაღლეს სასწავლებლებში აკრძალული იყო სამართლის ამ დარგის სწავლება, მაგრამ იურისტთა პირველ საკავშირო ყრილობაზე (1938 წ.) აღინიშნა ადმინისტრაციული სამართლის არსებობის შესახებ საბჭოთა სინამდვილეშიც (თუმცა მეტად შეზღუდული და არადემოკრატიული სახით). და აი, 1940 წელს პირველად ლენინგრადელი მეცნიერი ა. მაგიდი აყენებს წინადადებას ადმინისტრაციული სასამართლოების შექმნის შესახებ, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებას გაგონებაც არ უნდოდა ამის თაობაზე, და ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან როგორ შეიძლებოდა ბოლშევიკური დიქტატურის სახელმწიფოში პარტიის მიერ შერჩეული ჩინოვნიკის მოქმედებაში ეჭვი შეჰპარვოდათ და მით უფრო სასამართლო განსჯის საგნად გამხდარიყო იგი.

საბედნიეროდ, დღევანდელ დემოკრატიულ საქართველოში თავისუფლად შეიძლება დაისვას საკითხი ადმინისტრაციული იუსტიციის სასამართლოთა სისტემის შექმნის შესახებ. ეს, უპირველეს ყოვლისა, გამომდინარეობს მართლმსაჯულების ტრადიციულ-უნივერსალური პრინციპიდან, რომლის თანახმადაც „არავინ არ შეიძლება იყოს მოსამართლე საკუთარ საქმეში“, რომ თანამდებობის პირის უკანონო მოქმედების განსჯა კვლავ თანამდებობის პირს არ უნდა მიეხდინოთ. ნეიტრალური ადმინისტრაციული სასამართლოების შექმნა გამორიცხავს მმართველობის ბიუროკრატიული აპარატის მიერ სამოქალაქო უფლებების ხელყოფას. მეორეც, ადმინისტრაციული სასამართლო ნეიტრალური და კვალიფიციური იურიდიული დაწესებულებაა, რომელიც კანონების ზუსტი შესაბამისობით გადაწყვეტს ადმინისტრაციულ დავასა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამოყენების ფარგლებს. მესამეც, ნეიტრალური ადმინისტრაციული სასამართლო უკეთ გამოძენის შემარიგებელ მომენტებს მოდავე მოქალაქესა და მმართველობის ორგანოსა თუ თანამდებობის პირს შორის. ამასთან, ადმინისტრაციულ საქმეზე ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ გამოტანილ დადგენილებას უფრო მეტი იურიდიული ძალა აქვს, ვიდრე მმართველობის აქტს, ვინაიდან პირველი გამოიტანება მთელი სახელმწიფოს სახელით. დაბოლოს, ადმინისტრაციულ სასამართლოში საქმისწარმოება ეყრდნობა ადმინისტრაციულ პროცესს, რომელიც გულისხმობს სწრაფ სამართალწარმოებას და გამორიცხავს დავის საგანზე უფლების გაქრობას ხანდაზმულობის გამო.

ადმინისტრაციული სასამართლოების შექმნა გულისხმობს, რომ: 1) ადმინისტრაციული წარმოება განხორციელდება მმართველობის ორგანოებისაგან გამოცალკეებულ, სპეციალურ, ნეიტრალურ ორგანოში – ადმინისტრაციულ სასამართლოში ადმინისტრაციული მოსამართლის მიერ; 2) ადმინისტრაციული სასამართლო შეამოწმებს მმართველობის ორგანოს და მისი თანამდებობის პირს, განახორციელებს კონტროლს მხოლოდ იმ ადმინისტრაციული საქმის გამო და იმ საქმესთან დაკავშირებით, რომელიც მის წარმოებაშია; 3) ადმინისტრაციულ სასამართლოში საქმის წარმოება განხორციელდება ადმინისტრაციულ-პროცესუალურ ფორმებში, რომელიც უზრუნველყოფს ოპერატიულობას, სისწრაფეს, სიმარტივეს, ობიექტურ ჭეშმარიტებასა და კანონიერებას.

ადმინისტრაციული სასამართლოები უნდა შეიქმნას როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე – რაიონებისა და ქალაქების (რესპუბლიკური დაქვემდებარების) ადმინისტრაციული სასამართლოების სახით, რომელთაც საკასაციო ინსტანციად ეყოლებათ საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციული პალატა. ორგანოთა მთელი ამ სისტემის შექმნა რესპუბლიკის პრეზიდენტს უნდა ევალებოდეს.

ადმინისტრაციულ სასამართლოებს უნდა გადაეცეთ ნებისმიერი ადმინისტრაციული საქმის განხილვა, რომელშიაც ერთ-ერთი მხარე მოქალაქეა. ამასთან დაკავშირებით, გადასინჯვას საჭიროებს არა მარტო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, არამედ სისხლის სამართლის, სამოქალაქო და სამოქალაქო-პროცესუალური კოდექსები. ადმინისტრაციული მოსამართლე უნდა იხილავდეს ყველა ადმინისტრაციული გადაცდომის საქმეს, ხოლო პასუხისმგებლობის დეპენალიზაციისა და დეკრიმინალიზაციის პრინციპებიდან გამომდინარე, საჭირო იქნება მრავალი დანაშაულისათვის დაწესდეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, ამასთან, გაიზარდოს ადმინისტრაციულ ჯარიმის ოდენობა. პასუხისმგებლობისა და კანონმდებლობის სტაბილიზაციის პრინციპიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა უნდა წესდებოდეს მხოლოდ კანონით და არა კანონქვემდებარე აქტებით, მით უფრო დაუმკვეთელია მისი შემოღება ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ, რაც გამოიწვევს განუკითხაობასა და ქაოსს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სფეროში. თუკი ინგლისის პარლამენტს იმის დრო რჩება, რომ იმსჯელოს ავტომანქანებში ღვედებით მგზავრობის აუცილებლობაზე, მაშინ საქართველოს პარლამენტს რა

გაუჭირდა ისეთი, რომ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შემოღება ამა თუ იმ დარღვევისათვის სხვა ორგანოს დააკისროს.

ადმინისტრაციული სასამართლოები უნდა იხილავდნენ არა მარტო ადმინისტრაციული გადაცდომების საქმეებს, არამედ მოქალაქეთა საჩივრებსაც მმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების უკანონო მოქმედების გამო, შრომისა და საბინაო დავების საქმეებს, საჩივრებს ნოტარიუსებისა და მმაჩის ორგანოების არასწორ მოქმედებაზე და საერთოდ, ადმინისტრაციული იძულების წარმოების ყველა საქმეს. ადმინისტრაციული სასამართლოების ფუნქციების უნიფიცირების შესაბამისად, ცალკეულ ორგანოებს უნდა ჩამოერთვათ ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვის უფლება. ამ წინადადებათა განსახილველად საჭირო იქნება გადაისინჯოს საქართველოს კონსტიტუციის 83-ე მუხლის მე-4 პუნქტი, რომელიც უსამართლოდ კრძალავს ჩვენში სპეციალური სასამართლოების შექმნას.

საქართველოს 1997 წლის 13 ივნისის კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ ქმნის სასამართლოების ახალ სისტემას, სადაც გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ ინდივიდუალურ საქმეთა წარმოება სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებით, თუმცა სპეციალური ადმინისტრაციული იუსტიციის სასამართლოების შექმნა არაა გათვალისწინებული¹.

აღნიშნული კანონი ადგენს, რომ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში ინიშნება არანაკლებ 2 მოსამართლისა, რომელთაგან ერთ-ერთი განიხილავს სამოქალაქო და სხვა კატეგორიის, კერძოდ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ საქმეებს, ხოლო საოლქო სასამართლოში სამი მოსამართლის შემადგენლობით განიხილება იმავე კატეგორიის, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი საქმეები, თუმცა აქ შექმნილია 3 კოლეგია: სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის საქმეთა და ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, საოლქო სასამართლოები განიხილავენ სახელმწიფო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს, თუმცა ამავე კოდექსის მე-13 მუხლით, რაიონისა და ქალაქის სასამართლოები არ განიხილავენ აღნიშნული კატეგორიის საქმეებს,

¹ იხ. ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1997 წლის 8 ივლისი

რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. აქ არ არის აღნიშნული, რომ ყოველ ადამიანს არ შეუძლია მიმართოს რაიონისა თუ ქალაქის სასამართლოს თავისი ადმინისტრაციული უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად, გარდა ამისა, თვით სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეიმჩნევა კოლიზიური დებულებები, კერძოდ, 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივრები დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ღირებულებები აღემატება 500 ლარს, ხოლო ადმინისტრაციული ჯარიმა, რომელიც შეიძლება სასამართლომ დააკისროს სამართალდამრღვევს, თითქმის არასოდეს არ აღემატება 500 ლარს, გამოდის, რომ ადმინისტრაციული დავის გასაჩივრება სააპელაციო სასამართლოში შეუძლებელია. მაშინ გაუგებარია, თუ რატომაა შექმნილი სააპელაციო სასამართლოში ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატა. როგორც საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 21-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლო არის მეორე ინსტანციის სასამართლო, რომელიც სააპელაციო წესით განიხილავს საჩივრებს რაიონულ (საქალაქო) და საოლქო სასამართლოების გადაწყვეტილებაზე. მაშასადამე, რაიონული (საქალაქო) სასამართლოები განიხილავენ ადმინისტრაციული დავისა და სხვა კატეგორიის საქმეებს, რომელთა გასაჩივრებაც შეიძლება ზემოთ აღნიშნულ პალატაში სპეციალურად ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეებზე. როგორც ცნობილია, ორგანულ კანონს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა ჩვეულებრივი კანონის წინაშე, ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ჩვეულებრივი კანონია და არა ორგანული. საქართველოს 1999 წლის 23 ივლისს მიღებული ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსიც აღიარებს რაიონულ და საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვას, ხოლო საოლქო სასამართლოების კომპეტენციას ამ მხრივ ცალკე გამოყოფს. ეს კოდექსი ასევე აღიარებს სააპელაციო და საკასაციო გასაჩივრების უფლებას დავის ღირებულების მიუხედავად (იხ. კოდექსის მე-5, მე-6, 34-ე მუხლები).

„საერთო სასამართლოების შესახებ“ 1997 წლის 13 ივნისის ორგანული კანონის პირველივე მუხლის მე-2 პუნქტი აცხადებს, რომ მართლმსაჯულება არის სასამართლო ხელისუფლების განხორციელებ-

ის ერთ-ერთი ფორმა და მას სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალწარმოებათა მეშვეობით ახორციელებენ საერთო სასამართლოები. ასევე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 298-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების წესი სასამართლოებში განისაზღვრება ამ კოდექსით, ე.ი. ადმინისტრაციულ-პროცესუალური წესით. ნორმატიული აქტების შესახებ კანონის 25-ე მუხლის თანახმად, იერარქიის ერთი და იმავე საფეხურის ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის წარმოშობისას მოქმედებს უფრო გვიან მიღებული აქტით დადგენილი ნორმა, მაშასადამე, ადმინისტრაციულ საქმეთა სასამართლო განხილვისას მოქმედებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის („ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოება“) ნორმები.

მართლაცაა, თუ დავაკვირდებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იმ გამონაკლისებს, რომელსაც იგი უშვებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებიდან წარმოშობილი საქმეების მიმართ, დავინახავთ, რომ ეს გამონაკლისები სწორედ ადმინისტრაციულ-პროცესუალური წესებია. კერძოდ, სასამართლო არ არის შეზღუდული მხარეთა მიერ წარმოდგენილი არგუმენტებითა და მტკიცებულებებით და საქმის გარემოებებს იკვლევს თავისი ინიციატივით, ასევე მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმა ან მოპასუხის მიერ სარჩელის აღიარება სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის. სასამართლოს თავისი ინიციატივით ან მხარეთა განცხადების საფუძველზე შეუძლია მოიწვიოს სხვა ისეთი ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთა სამართლებრივ ინტერესებს შეიძლება შეეხოს გადაწყვეტილება, სასამართლოს ნებისმიერ დროს შეუძლია ადმინისტრაციულ საქმეზე განჩინების შეცვლა ან გაუქმება (მუხლი 362-ის პუნქტი მე-4). და სხვ.

ცხადია, ადმინისტრაციულ-პროცესუალური საქმიანობა სრულიად დამოუკიდებელი იურიდიული პროცესის გამომხატველია, რომ მის ნაცვლად სამოქალაქო ან სისხლის სამართლის პროცესებით სარგებლობა შეუძლებელია. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ აყენებს დღის წესრიგში საკითხს საქართველოში ადმინისტრაციული იუსტიციის შემოღებისა და ადმინისტრაციული მოსამართლეების უფლებების გაფართოების შესახებ.

დღეს ცივილიზებული სამყაროს ყველა ქვეყანაშია შემოღებული ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოთა სისტემა. სპეციალურ ლიტ-

ერატურაში დეტალურადაა გახილული ეს სისტემები ცალკეულ ქვეყნებში. მიუთითებენ ადმინისტრაციული იუსტიციის პრაქტიკულ ფორმებზე სხვადასხვა ქვეყანაში¹. ასეთი ფორმებია: 1) ავსტრიულ-გერმანული ადმინისტრაციული იუსტიცია, სადაც ადმინისტრაციული სასამართლოების სისტემა პირველიდან უმაღლეს ინსტანციამდე ფორმალურად დამოუკიდებელია როგორც ადმინისტრაციული ორგანოებისაგან, ისე საერთო სასამართლოების სისტემისაგან და არსებობენ ამ უკანასკნელების პარალელურად. ასეთი ადმინისტრაციული იუსტიცია შექმნილია გერმანიაში, ავსტრიაში, ფინეთში, შვეციაში, პორტუგალიაში, ურუგვაიში და სხვაგან; 2) ფრანგული ადმინისტრაციული იუსტიცია, სადაც ადმინისტრაციული სასამართლოები მოქმედებენ საჯარო ადმინისტრაციის ჩარჩოებში და მეტ-ნაკლებად არიან მისგან დამოკიდებული. ასეთი სისტემა შექმნილია საფრანგეთში, იტალიაში, ლუქსემბურგში, საბერძნეთში, თურქეთში, სირიაში, ლიბანში და სხვ.; 3) ანგლო-საქსონური ადმინისტრაციული იუსტიცია, სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დავების განხილვაში ძირითად როლს ასრულებენ საერთო სასამართლოები (courts of ordinary jurisdiction), ხოლო არსებული ადმინისტრაციული სასამართლოები შეზღუდულნი არიან თავიანთ იურისდიქციაში, არ ქმნიან ერთიან სისტემას ან უმნიშვნელოებია და იმყოფებიან ემბრიონულ მდგომარეობაში ეგრეთწოდებული კვაზი-სასამართლოების სახით. ასეთი სისტემა შემოღებულია: ინგლისში, აშშ-ში, ავსტრიაში, ინდოეთში, ახალ ზელანდიაში, ფილიპინებში და სხვ.;

4) ადმინისტრაციული იუსტიციის შერეული სისტემა, რომელიც გამოირჩევა მითითებული სისტემების სხვადასხვა კომბინაციით და რომელიც შეიმჩნევა: შვეციაში, ბელგიაში, ეგვიპტეში და სხვაგან; 5) ადმინისტრაციული სასამართლოების უნიფიცირებული სისტემა, რომლის დროსაც საერთო სასამართლოები რამდენიმე დონის ფარგლებში არსებობენ ადმინისტრაციული სასამართლოები ან ადმინისტრაციული პალატები. ამასთან, ზოგიერთ ქვეყანაში ამ საერთო სასამართლოების გარდა, შეიძლება არსებობდნენ ცალკეული სპეციალიზებული ადმინისტრაციული ტრიბუნალები სასამართლო ხელისუფლების ფარგლებს მიღმა. ასეთი სისტემა შექმნილია: ესპანეთში, მექსიკაში, ლიბანში, იორდანიაში; 6) მონოიურისდიქციული სისტემა, სადაც რაიმე ადმინისტრაციული

¹ იხ. Зеленцов А. Б. Административная юстиция, М., 1997

ტრაციული სასამართლოები არ არსებობენ, ხოლო მმართველობის სფეროში წამოჭრილი დავები განიხილება საერთო იურისდიქციის, – სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი იურისდიქციის სასამართლოების მიერ, ე.ი. ასეთ ქვეყანაში ადმინისტრაციული პროცესი განუვითარებელია, რის გამოც არ არსებობენ ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოები. ასეთი წესი ადმინისტრაციული საქმეების განხილვისა შემოღებულია: იაპონიაში, ისრაელში, ერაყში, კუვეიტში, მაროკოში, ტუნისში, მალტაში, კანადასა და სხვაგან.

ადმინისტრაციული იუსტიციის ყველა დასახელებული სისტემა, მონოიურისდიქციულის გარდა, რომელიც არსებითად არცაა ადმინისტრაციული იუსტიციის სისტემა, დადებით როლს ასრულებს ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში შესაბამის ქვეყნებში. ნებისმიერი ამ სისტემათაგან შეიძლება ჩვენშიც დამკვიდრებულიყო, თუმცა უპირატესობას ფრანგულ სისტემას ვანიჭებთ.

**ადმინისტრაციულ-საპროცესო სამართლის
კოდიფიკაციის საკითხები საქართველოში
ადმინისტრაციული მატერიალური სამართლის
კოდიფიკაციის კონტექსტში**

**§1. ადმინისტრაციული მატერიალური და პროცესუალური
სამართლის წყაროების მოკლე მიმოხილვა**

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმები მოცემულია მრავალრიცხოვან სამართლებრივ აქტებში. ეს აქტები მიღებულია ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების მიერ. ამ აქტებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია კანონები.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კანონები შეეხება ადმინისტრაციული სამართლის მნიშვნელოვან საკითხებს. ძირითადი კანონი – კონსტიტუცია განსაზღვრავს ადმინისტრაციული სამართლის ისეთ კარდინალურ საკითხებს, როგორცაა: მმართველობის პრინციპები, მმართველობის ორგანოთა სისტემა, მთავრობის შექმნის წესი და კომპეტენცია, მოქალაქეთა ძირითადი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი უფლებები და სხვ. კონსტიტუცია, როგორც ცნობილია, წარმოადგენს ბაზას მიმდინარე კანონმდებლობისათვის სამართლის ყველა დარგში და მათ შორის ადმინისტრაციულ სამართალშიც.

მიმდინარე მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან აღსანიშნავია საქართველოს რესპუბლიკის 1997 წლის 15 აპრილის კანონი „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ“, 1996 წლის 29 ოქტომბრის კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, 1997 წლის 31 ოქტომბრის კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ და სხვ¹.

1999 წლის 25 ივნისს მიღებულ იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, ხოლო 1999 წლის 23 ივლისს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, რომლებიც აწესრიგებენ

¹ იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1997 წლის 3 მაისი, 1996 წლის 28 ნოემბერი, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 1997 წლის 27 ნოემბერი.

ადმინისტრაციული აქტების მიღების, გასაჩივრების, აღსრულების წესს¹.

კანონით დაწესდა, რომ საქართველოს მთავრობა ეხმარება რა პრეზიდენტს, ვერ აკონტროლებს მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების საქმიანობასაც, ვერ ახდენს ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობათა მუშაობის კოორდინაციას. ამჟამად დასმულია საკითხი საქართველოში მინისტრთა კაბინეტის ინსტიტუტის შემოღების შესახებ, რაც აამაღლებს სამინისტროების პასუხისმგებლობას და გაზრდის ადმინისტრაციული ხელმძღვანელობის ოპერატიულობას.

დასახელებულ საკანონმდებლო აქტებს დიდი მნიშვნელობა აქვს ადმინისტრაციული სამართლის ზოგიერთი ინსტიტუტის განსაზღვრისათვის, ასევე საქართველოში აღმასრულებელი ხელისუფლების დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, რომელიც ორი საუკუნის მანძილზე წართმეული ჰქონდა ქართველ ხალხს, ყოველივე ამის გამო, სრულიად აუცილებელი გახდა საქართველოს ყველა სახელმწიფო ორგანოს მიერ საქართველოს ტერიტორიების ერთიანობის შენარჩუნებისათვის ზრუნვა და მათი ადგილობრივი ხელისუფლების გატარება ქართველი ხალხის ინტერესების სასარგებლოდ, საქართველოს მიწების ფარული ყიდვა-გაყიდვა, უცხო ეროვნების ხალხთა მიერ საქართველოს ტერიტორიების ექსპანსია ქართველ ვაიხელმძღვანელთაგან ქართული მიწების მათთვის გამოყოფის გზით, აიკრძალა. ყოველივე ეს, რასაკვირველია, უდიდესი მიღწევაა დამოუკიდებლობისაკენ მიმავალი ქართველი ხალხის ბრძოლის გზაზე.

ამ მიზეზითვე იყო განპირობებული 1991 წლის 29 იანვრის კანონის მიღება ადგილობრივი მმართველობის შესახებ, ხოლო ამჟამად 1997 წლის 16 ოქტომბრის ორგანული კანონისა „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“².

საქართველოს ადმინისტრაციული სამართლის წყაროებს შორის ერთერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს, რომელიც მიღებული იყო 1984 წლის 21 დეკემბერს და არეგულირებდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხებს.

¹ იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1999, №32, №39.

² იხ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წლის 3 მარტი. იხ. 1997 წლის 16 ოქტომბრის კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“, - გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1997 წლის 7 ნოემბერი.

ამჟამად საქართველოში ინტენსიური საკოდიფიკაციო მუშაობის შედეგად მიღებულია სამართლის ცალკეულ დარგებში ახალი კოდექსები. ერთ-ერთი ასეთი ახალი კოდექსებია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსი და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომლის პროექტზედაც მუშაობა დაამთავრა სამთავრობო კომისიამ.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი შედგება 3 ნაწილისაგან: ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზოგადი საკითხები, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ცალკეული სამართალდარღვევებისათვის, ორგანოები და თანამდებობის პირები, რომლებიც განიხილავენ ადმინისტრაციული გადაცდომების საქმეებს, და ადმინისტრაციული გადაცდომის საქმისწარმოების პროცესუალური საკითხები.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი აგებულია ახალი სქემის მიხედვით. ამ კოდექსის უდიდესი ნაკლი ისაა, რომ მასში გაერთიანებულია ადმინისტრაციულ-პროცესუალური ნორმები, რითაც დარღვეულია მატერიალური და პროცესუალური ნორმების დამოუკიდებლობის პრინციპი. პროცესუალური ნორმები მატერიალური ნორმების რეალიზაციის საშუალებაა, რის გამოც ისინი მკვეთრად ემიჯნებიან ამ უკანასკნელებს. არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში არ არსებობს ისეთი კოდექსი, რომელიც მატერიალურ ნაწილთან ერთად, აერთიანებდეს პროცესუალურ ნაწილსაც, ქართულ ფეოდალურ სამართალშიც კი მატერიალური სამართალი გამოყოფილი იყო პროცესუალურისაგან. ამ მხრივ, აღსანიშნავია „დასტურლამალი“, რომელიც პროცესუალურ საკანონმდებლო ღირსშესანიშნავ ძეგლს წარმოადგენს. მაგრამ ეს ხომ ცივილიზებული ერის ცივილიზებული სამართალია. ამიტომ მომავალშიც საქართველოში ცალ-ცალკე უნდა იყოს კოდიფიცირებული ადმინისტრაციული მატერიალური და მთლიანად პროცესუალური კანონმდებლობა.

§2. ადმინისტრაციული სამართლისა და ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის კოდიფიკაციის საკითხი

ადმინისტრაციული სამართლის კოდიფიკაცია მეტად რთული საქმეა, ვინაიდან სამართლის ეს დარგი შედგება მრავალრიცხოვანი ნორმებისაგან. საკანონმდებლო აქტები ამ დარგში მეტად მრავალფეროვანია, ხოლო,

რაც მთავარია, მათი სტაბილურობა არაა მყარი. თუ სამართლის სხვა დარგები შედარებით სტაბილურია და მეტ-ნაკლებად ზშირად განიცდიან ცვალებადობას, ადმინისტრაციული სამართალი, მათგან განსხვავებით, ზშირად იცვლება, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის უშუალო ზეგავლენას განიცდის. ყოველივე ამის გამო ადმინისტრაციული სამართლის ერთიანი კოდიფიკაცია შეუძლებელი ხდება. მაგრამ არსებობს ცალკეული კოდიფიკაციური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, რომლებიც არეგულირებენ ადმინისტრაციული სამართლის ამა თუ იმ ინსტიტუტს. მაგალითად, საფრანგეთში მოქმედებს კოდექსი კომუნების შესახებ, რომელიც 500 მუხლისაგან შედგება. რაც შეეხება ადმინისტრაციული სამართლის ასეთ ინსტიტუტებს, როგორიცაა: ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, იგი თითქმის ყველა ქვეყანაში კოდიფიცირებულია სათანადო კოდექსების სახით. ჩვენშიც, როგორც აღინიშნა, მოქმედებს კოდექსი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ, რომელიც რამდენიმე ადმინისტრაციული ინსტიტუტის კონგლომერატს წარმოადგენს.

ბუნებრივია, უმჯობესია არსებობდეს კოდექსები ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის, ადმინისტრაციული პროცესის, ადმინისტრაციული სამსახურისა და სხვათა შესახებ.

გერმანიაში არსებობს სისხლისსამართლებრივ-ადმინისტრაციული კოდექსი, რომელიც სისხლისსამართლებრივ მუხლებთან ერთად აერთიანებს ისეთ მუხლებსაც, რომლებიც აწესებენ პასუხისმგებლობას არა მარტო ადმინისტრაციული გადაცდომებისათვის, არამედ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ზოგიერთი უმნიშვნელო ხასიათის სისხლისსამართლებრივი დარღვევებისთვისაც. ასეთი კოდექსის არსებობა მოასწავებს იურიდიული პასუხისმგებლობის დეპენალიზაციას, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სფეროს შეზღუდვასა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის, როგორც პასუხისმგებლობის მსუბუქი ფორმის, გამოყენების გაფართოებას, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სისხლის სამართლის კანონით ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არ უნდა მოწესრიგდეს.

ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში ეს პრობლემა გადაჭრილია, გაფართოებულია ჯარიმების გამოყენების შემთხვევები როგორც ადმინისტრაციული, ისე სისხლისსამართლებრივი დარღვევებისათვის. მრავალია ისეთი დარღვევა, რომელიც არ ატარებს სერიოზულ და მძიმე ხასიათს,

არასასურველია მათი ჩადენისათვის დაწესდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ეს გამოიწვევდა მოსახლეობის დიდი ნაწილის ნასამართლობას, რაც შავ ლაქად მისდევს მთელ მათ ცხოვრებას. საჭიროა კვლავაც გაუქმდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უმნიშვნელო ხასიათის დარღვევებისათვის და დაწესდეს მათთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. პასუხისმგებლობის გამკაცრება არასოდეს დადებით შედეგებს არ იწვევს და საბოლოო ჯამში, იგი კვლავ საზოგადოების წინააღმდეგაა მიმართული.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი არათუ შეიცავს კრიმინალურ მოქმედებათათვის ადმინისტრაციულ დასჯას, არამედ ზოგიერთი ადმინისტრაციული გადაცდომაც კი არაა მასში გათვალისწინებული, რაც ადრე დასჯადად ითვლებოდა.

ბუნებრივია, ადმინისტრაციული კანონმდებლობის ასეთი მიმართულება სრულიად გამართლებულია, არ შეიძლება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის კანონმდებლობით განისაზღვრებოდეს. და საერთოდ, დაუშვებელია სამართლის ერთი დარგის ესა თუ ის საკითხი სამართლის სხვა დარგებით რეგულირდებოდეს, რეგულირების საგნების განსხვავების გამო.

კოდიფიკაციის მეტად მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს სახელმწიფო სამსახურის ინსტიტუტი. სამწუხაროდ, იგი არც ერთ ქვეყანაში არაა კოდიფიცირებული. მაგრამ ადმინისტრაციისტიების დიდი ნაწილი სავსებით სამართლიანად მოითხოვს ამ ინსტიტუტის მარეგულირებელი ნორმების კოდიფიცირებას. ეს მით უფრო სასურველია, რომ შედარებით სამართალმცოდნეობას, რომლის მიღწევებითაც სარგებლობს ეროვნული ადმინისტრაციული სამართალი, მეტი შესაძლებლობა ექნება გაარკვიოს, თუ როგორია სამსახურის გავლის თავისებურება სხვადასხვა ქვეყანაში. სახელმწიფო სამსახურის კოდიფიცირება გადაწყვეტდა მეორე მნიშვნელოვან საკითხსაც: უზრუნველყოფდა კოლიზიური ნორმების აღკვეთას ამ სფეროში, სრულყოფილსა და მწყობრს გახდიდა სახელმწიფო სამსახურის გავლას ქვეყანაში. სამწუხაროდ, ეს საკითხი დიდ შინაპოლიტიკურ ინტერესს იწვევს და ყოველი მმართველი პარტია შეეცდება თავისი ინტერესების სასარგებლოდ წარმართოს სახელმწიფო სამსახური, მაგრამ სამართლებრივი სახელმწიფოს აშენების პრინციპიდან გამომდინარე, სრულიად აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს სახელმწიფო სამსახურის გავლის მწყობრი სისტემა, რომელიც

ხალხის ნება-სურვილს შეესაბამება და არ იქნება მხოლოდ ვიწრო პარტიული თუ პოლიტიკური დაჯგუფების ინტერესების გამომხატველი.¹

ადმინისტრაციული სამართლის კოდიფიკაციის მნიშვნელოვანი სფეროა ადმინისტრაციული პროცესის ძირითადი საფუძვლები, რომელიც ევროპის ბევრ ქვეყანაში დიდი ხანია კოდიფიცირებულია. პოლონეთშიც კი 1960 წლიდან მოქმედებს ადმინისტრაციულ-პროცესუალური კოდექსი, რომ არაფერი ვთქვათ საფრანგეთზე, სადაც საუკუნეზე მეტია კოდიფიცირებულია ადმინისტრაციული იუსტიციის ინსტიტუტი.

ადმინისტრაციული პროცესი მოიცავს მმართველობის სფეროში წამოჭრილი ინდივიდუალური საქმეების გადაწყვეტის წესს და შედგება წარმოების ისეთი სახეებისაგან, როგორცაა: მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების წარმოება, ადმინისტრაციული დავის საქმეთა წარმოება, მმართველობის ორგანოთა და ორგანიზაციათა მიმართულების საქმისწარმოება, სამუშაოზე მიღებისა და დათხოვნის საქმისწარმოება, ადმინისტრაციული და დისციპლინური გადაცდომების საქმეთა წარმოება და სხვ. წარმოების ყველა ეს სახე ძირითადად ერთმანეთს ემსგავსება, ვინაიდან დაკავშირებულია სამართალმეფარდებით საქმიანობასთან, რის გამოც შესაძლებელია ამ ინსტიტუტის ერთიანი კოდიფიკაცია. სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცესიც ხომ სამართლის შესაბამისი დარგების ნორმების მეფარდების პროცესია. ამჟამად საქართველოში ცალ-ცალკეა მოწესრიგებული მმართველობის სფეროში ადმინისტრაციული აქტის გამოცემის წესი, ადმინისტრაციული დავების სასამართლოში განხილვა და ადმინისტრაციული გადაცდომის საქმისწარმოება. სასურველი იქნებოდა მათი გაერთიანება ერთ საკოდიფიკაციო აქტში, რამდენადაც საქმისწარმოების ამ სახეებს ერთი საფუძველი აქვთ – იძულების გამოყენება მმართველობის სფეროში.

დაბოლოს, დიდ დავას იწვევს სასამართლო პრეცედენტის გამოყენება ადმინისტრაციულ სამართალში. მეცნიერთა დიდი ნაწილი უარყოფითად ეკიდება სასამართლო პრეცედენტს და თვლის, რომ ეს არის სასამართლო სამართალშემოქმედება და საკანონმდებლო ორგანოების ფუნქციების მითვისება. მიუხედავად ამისა, სასამართლო პრეცედენტს ადგილი აქვს ამერიკისა და ინგლისის ადმინისტრაციული სამართლის

¹ იხ. საქართველოს 1997 წლის 31 ოქტომბრის კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ – გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1997 წლის 27 ნოემბერი.

პრაქტიკაში, ხოლო ამ უკანასკნელ პერიოდში კი საფრანგეთშიც. სასამართლო პრეცედენტი ჯერ კიდევ რომის სამართლიდან მომდინარეობს და, როგორც ჩანს, მას გვერდს ვერ აუვლის ცივილიზებული ქვეყნის ვერც ერთი კანონმდებლობა, მას ადგილი ჰქონდა საქართველოს ფეოდალურ სამართალშემოქმედებაშიც, მაგრამ იგი ყოველთვის იყო შემოფარგლული მეფის ხელისუფლების ნებით და საჭიროების შემთხვევაში იკრძალებოდა კიდევ. დღესაც ჩვენ უნდა დაეუშვათ სასამართლო პრეცედენტი ადმინისტრაციულ სამართალში, მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოს მკაცრ კონტროლქვეშ. ადმინისტრაციული პრაქტიკა იმდენად მრავალფეროვანი და რთულია, რომ სასამართლო პრეცედენტის აღიარების გარეშე შეიძლება კურიოზამდეც კი მივიდეთ. მხოლოდ საჭიროა ადმინისტრაციული მოსამართლე იყოს მაღალი მართლშეგნების, ითვალისწინებდეს ხალხის სამართლიან ნებას და იყოს საკანონმდებლო ორგანოს დიდი ხელშემწყობი.

საგნობრივი საკითხები

ა

- ადმინისტრაციული პროცესის ცნება 7-35, 27
ადმინისტრაციული იურისდიქცია 15-16, 18
ადმინისტრაციული მატერიალური ნორმების შეფარდება 20-22
ადმინისტრაციულ-პროცესუალური სამართლის რეგულირების საგანი 29-31
ადმინისტრაციულ-პროცესუალური სამართლის წყაროები 34-35
ადმინისტრაციული პროცესის პრინციპები 35-40
ადმინისტრაციული პროცესის სტადიები 40-45
ადმინისტრაციული საქმის აღძვრა 42
ადმინისტრაციული საქმისწარმოების სახეები 51-69, 54, 112
ადმინისტრაციული საქმის ფორმა 52-54
ადმინისტრაციული აქტის ფორმა 71
ადმინისტრაციული აქტის დასაბუთებულობა 72
ადმინისტრაციული აქტის შესწორება 73, 242
ადმინისტრაციული აქტის ბათილობა 74, 193-195, 243
ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება 75, 193-194
ადმინისტრაციული აქტის აღსრულება 76-78
ადმინისტრაციული მიმართვების საქმისწარმოება 92-95
ადმინისტრაციული გარიგების საქმისწარმოება 95-96
ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა ადმინისტრაციულ ორგანოში 130-137
ადმინისტრაციული დავების სასამართლოში განხილვა 164-190
ადმინისტრაციული დავის საგანი 165-168
ადმინისტრაციული მიყვანა 214-215
ადმინისტრაციული დაკავება 215-217
ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა ადმინისტრაციულ ორგანოში 233-239
ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში 249-264
ადმინისტრაციული სახდელების აღსრულება 268-280

ადმინისტრაციული იუსტიცია 283-290
ადმინისტრაციული სამართლის კოდიფიკაციის პრობლემები 293-297
აცილება ადმინისტრაციულ პროცესში 45-48, 90-91

ბ

გადაცემითი ეფექტი 13-14, 99-101
განსხვავება ადმინისტრაციულ და სამოქალაქო-პროცესუალური განხილვის წესებს შორის 12-13
განცხადების ცნება 82-83
განცხადების განუხილველად დატოვება 88-90
გასაჩივრებული აქტის შეჩერება 132-134, 182-183

ღ

დადგენილება ადმინისტრაციულ საჩივარზე 136-137
დადგენილების აღსრულება 244-245
დადგენილების გასაჩივრება 244-248
დადგენილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე 239-243
დადგენილების შეცვლა 242-243
დაინტერესებული მხარე 84-85
დამოუკიდებელი ორგანო 121
დამცველი 87, 227-228
დაწინაურება თანამდებობაზე 150-151
დამსწრე 231
დისციპლინური გადაცდომა 153
დისციპლინური გადაცდომის საქმისწარმოება 152-163

ე

ექსპერტი 87-88, 104-105, 229-230

ზ

ზეპირი მოსმენა 118-119
ზედამხედველობა ადმინისტრაციული პატიმრობის აღსრულებაზე 277

თ

თანამდებობის პირთან მიღება 41-42, 113
თანამდებობაზე დანიშვნა 138-146
თანამდებობაზე არჩევა 146
თარჯიმანი 230-231

ი

იმპიჩმენტი 63-66
ინდივიდუალური საქმე 8-10
ინფორმაციის თავისუფლების საქმისწარმოება 66-69
იურიდიული პირი 225-226

კ

კონკურსი 146-150
კოლგეიალურ ორგანოში საქმის განხილვა 116-117, 119

ლ

ლიცენზიებისა და სერტიფიკატების გაცემის საქმისწარმოება 59-63

მ

მართვის მოწმობის ჩამორთმევა 222-224
მანქანის გაჩერება 223
მარტივი ადმინისტრაციული საქმისწარმოება 112-116
მესამე პირი სასამართლოში 175
მომზადება საქმის განსახილველად 235
მოწმის ჩვენება 102-104, 228-229
მტკიცებულებები 101-102
მტკიცების ტვირთი 83, 96-99, 176-178, 192

ნ

ნივთის გასინჯვა 218-219
ნივთის ჩამორთმევა 220-222
ნორმატიული ადმინისტრაციული აქტის გამოცემა 78-81, 91-92

ორგანოები, რომლებიც განიხილავენ ადმინისტრაციული სამართალ-
დარღვევის საქმეებს 232-233
ოქმი (აქტი) ადმინისტრაციული გადაცდომის შესახებ 211-214

პირადი დათვალიერება 217-218, 258
პროცედურა 31-34
პრეიუდიცია 111

სააპელაციო წარმოება ადმინისტრაციულ დევებზე 199-204
სააპელაციო წარმოება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის
საქმეზე 249-264
საკასაციო გასაჩივრება ადმინისტრაციულ დევებზე 204-207
საკასაციო გასაჩივრება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის
საქმეზე 264-267
სასამართლოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ სარჩელზე 186-
190
სამართალდამრღვევი 224-225, 255-256
სასამართლოში ადმინისტრაციული საჩივრის შეტანა 127-130, 196-
198
საპროცესო ვადები 106-107, 234-235, 271
საპროცესო ხარჯები 110-111
საჩივრის ცნება 122-123
საჩივრის რეკვიზიტები 124
საჩივრის განხილვაზე უარის თქმა 132
საჯარო ადმინისტრაციული საქმისწარმოება 119-121
სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერება 158
სამსახურიდან გათვისუფლება 159-163
სასამართლოში საიდუმლო ინფორმაციის გამოთხოვა 177-178
სასამართლო განსჯადობა 169-172
სასამართლოში გამარტივებული და დაჩქარებული წარმოება 179-
182

სპეციალისტი 230

სხდომის ოქმი 237-239

ფ

ფორმალური ადმინისტრაციული საქმისწარმოება 117-119

ქ

ქვემდებარება ადმინისტრაციული საქმეებისა 44

შ

შერეული პროცესი 10-12

შეტყობინება და დაბარება 108-109

წ

წარმომადგენელი ადმინისტრაციულ პროცესში 85-86, 226-227

წარმომადგენელი სასამართლოში 174

წერილობითი მტკიცებულობები 105-106

წინასწარი გამოკვლევა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე 43-44, 210-211

გამომცემლობის რედაქტორი მ. ჩიკვილაძე
ტექ. რედაქტორი ლ. ნინიკაშვილი
კორექტორი მ. კილაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.11.2001
საბეჭდი ქაღალდი 60X84 $\frac{1}{16}$
პირ. ნაბ. თაბახი 19
სააღრ.-საგამომც.თაბახი 20,75
შეკვეთა №102 ტირაჟი 500

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 112

Лория Валерий Амберкович

Административно-процесуальное право Грузии

Издательство „Меридиани“
Тбилиси 2002